

საქართველო-ჩინეთის კულტურის ცენტრი  
„აბრეშუმის გზა“

„**丝绸之路**“

ლიაოჭაი  
ფუ სუნგლინ-ი

**მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი**

ჩინურიდან თარგმანი  
ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ისა  
და რუსუდან ქუთათელაძისა

ვეუძღვნით ჩვენი დედების, ნონა თუშმალიშვილ-ლიუს და  
მარგარიტა თუშმალიშვილ-ქუთათელაძის ნათელ ხსოვნას

გამომცემლობა „მერიდიანი“

出版社 „美利吉安“

თბილისი 2010

დიდი ჩინელი მწერლის ფუ სუნგლინ-ის (1622-1715, ფსევდონიმი ლიაოჭაი) მოთხრობები ჩინურიდან ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა. მწერლის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან წინამდებარე წიგნში შესულია 36 მოთხრობა. წიგნი განკუთვნილია თარგმნილი მხატვრული ლიტერატურით, მდიდადი ტრადიციის მქონე ჩინური კულტურით დაინტერესებული მკითხველთა წრისათვის

წიგნი დაიბეჭდა საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს, საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩის, ბატონი **კუნგ ნიენვეი-ს (Gung Jianwei)** მატერიალური მხარდაჭერით

მთავარი რედაქტორი — **როსტომ ჩხეიძე**  
პოეზიის რედაქტორი — **მარიამ ნიკლაური-ძიძიგური**

ტოპოგრაფიულ სახელწოდებათა და საკუთარ  
სახელთა რედაქტორი — **ნინო დალუნდარიძე**  
ჩინური კალიგრაფია — **ჭანგ ჩენ-ი**

კომპიუტერული სამუშაო — **მალხაზ, ლაშა უთურაშვილები,  
დავით გოგლიძე**

სასიამოვნო ვალდებულებად მიგვაჩნია გულწრფელი მადლიერებით აღვნიშნოთ:  
ღვანლი ბ-ნი **როსტომ ჩხეიძისა**, ვინც დედანში წაიკითხა თარგმანი, ვისი რედაქტორული მითითებები, რჩევები უკლებლივ იქნა გათვალისწინებული და კეთილ კვალადაც დააჩნდა წიგნს

ქ-ნი **მარიამ ნიკლაური-ძიძიგური** — პოეტურ პნკართა რედაქტირებისათვის

ქ-ნი **ნინო დალუნდარიძე** — ჩინური ტოპოგრაფიული სახელწოდებებისა და საკუთარი სახელების ქართულ შესატყვისებზე განეული სამუშაოსათვის

ბ-ნი **ჭანგ ჩენგ-ი** — ცნობილი მხატვარ-კალიგრაფი საგანგებოდ წინამდებარე გამოცემისათვის შესრულებული კალიგრაფიული ნამუშევრისათვის

ბ-ნი **მალხაზ უთურაშვილი, ბ-ნები ლაშა უთურაშვილი და დავით გოგლიძე**, კომპიუტერული უზრუნველყოფისათვის

წიგნი დღის სინათლეს ვერ იხილავდა, რომ არა საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს, კერძოდ საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩის, ბ-ნი **კუნგ ნიენვეი-ს**, პირველი მდივანის, ბ-ნი **ლო შისიუნგ-ის** მზადყოფნა გამოეწოდებინათ მატერიალური დახმარების ხელი, გაელოთ დაბეჭდვისათვის საჭირო თანხა

ასევე დიდ მადლობას მოვასხენებთ გამომცემლობა „მერიდიანის“ დირექტორს, ბ-ნი **კახა რუსიძეს** წიგნის გამოცემისთვის

თითოეულ აქ დასახელებული პიროვნების წინაშე თავს მდაბლად ვხრით, კიდევ ერთხელ უღრმეს მადლობას მოვასხენებთ სულიერი თანადგომის, მხარდაჭერისათვის და რაც მთავარია სრულიად უანგაროდ განეული ხანგრძლივი, რთული მუშაობისათვის

**ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი, რუსუდან ქუთათელაძე**

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010

© ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი, რუსუდან ქუთათელაძე

© საქართველო-ჩინეთის კულტურის ცენტრი „აბრეშუმის გზა“

## ს ა რ ჩ ე ვ ი

|   |         |
|---|---------|
| მთარგმნელთა წინასიტყვაობა.....                            | 4-14    |
| 1 ქალი სინგ მეთოთხმეტე 辛十四娘.....                          | 15-33   |
| 2. ფულის წვიმა 雨钱.....                                    | 34-35   |
| 3. ბაყაყთა სული 青蛙神.....                                  | 36-42   |
| 4. მოჭადრაკე კუი 棋鬼.....                                  | 43-45   |
| 5. ვირთავათა თამაში 鼠戏 ბაყაყთა მღერა.....                 | 46-47   |
| 6 ფენგიანგ-ელი კეთილშობილი სწავლული 凤阳士人.....             | 48-51   |
| 7. დასავლელი ბერები 西僧.....                               | 52-53   |
| 8. ცუი მენგ-ი 崔猛.....                                     | 54-65   |
| 9. სახელმწიფო ჟამთაღმწერი წიან-ი 蒋太史.....                 | 66-67   |
| 10. იშვითი ტრედნი 鸽 昇.....                                | 68-71   |
| 11. ოლენა - ირმის ბალახი 鹿草.....                          | 72      |
| 12. მწვანესამოსიანი ქალწული 绿衣女.....                      | 73-75   |
| 13. ძველთაძველი ლარნაკი 古瓶.....                           | 76-77   |
| 14. თვალთმაქცობა ჩამოსრჩობისა 戏缢.....                     | 78      |
| 15. მსხლის რგვა 种梨.....                                   | 79-80   |
| 16. ლაოშან-ელი ტაო-ბერი 崂山道士.....                         | 81-84   |
| 17. წითელი ფერის თეჯა 红毛毡.....                            | 85      |
| 18. ლუტი ბერი 丐僧.....                                     | 86-87   |
| 19. დაწინაურებისათვის ბოძებული წლები 禄数.....              | 88      |
| 20. ლუ იაკუან-ი 陆押官.....                                  | 89-92   |
| 21. მეფე-დიდებული 王者.....                                 | 93-96   |
| 22. ჭ'ჩენგ-ი 织成.....                                      | 97-103  |
| 23. ნახატი ცხენი 画马.....                                  | 104-105 |
| 24. ხუანგ წიოულანგ-ი 黄九郎.....                             | 106-117 |
| 25. მეოთხე და ხუ 胡四姐.....                                 | 118-123 |
| 26. წარჩინებული სწავლული ბატონი ჭანგ სიანგკუნგ-ი 张老相公 ... | 124-125 |
| 27. ვეიშუ-ელი მელი-მაქცია 淮水狐.....                        | 126-128 |
| 28. ატმის პარვა 偷桃.....                                   | 129-132 |
| 29. ქალბატონი თუტი 土地夫人.....                              | 133-134 |
| 30. ვაჭრის ვაჟიშვილი 贾儿.....                              | 135-140 |
| 31. იეჩა-თა ქვეყანა 夜叉国.....                              | 141-148 |
| 32. ჟუი იუინ-ი 瑞云.....                                    | 149-152 |
| 33. ჭრიჭინათა ბრძოლა 促织.....                              | 153-158 |
| 34. ლიენჩენგ-ი 连城.....                                    | 159-167 |
| 35. მოხატული ტყავი 画皮.....                                | 168-175 |
| 36. სიზმრისეული მგლები 梦狼.....                            | 176-181 |

## მთარგმნელთა წინასიტყვაობა

ფუ სუნგლინ-ი ჩინური ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წამომადგენელია. იგი ლიაოჭაი-ს ფსევდონიმითაა ცნობილი. ჩინური სულიერი კულტურის ამ უბრწყინვალესი წარმომადგენელთაგანის ბიოგრაფიული ცნობები ძალზე მწირია. დაბადებულია XVIII ს. აღმოსავლეთ ჩინეთის პროვინცია შანტუნგ-ის ქ. წ'ჩუან-ში (ამჟამად ქ. წ'პო), 1622 წ., ცალკეული ცნობით 1639 თუ 1640 წ. ესაა მინგ-ისა და ცინგ-ის დინასტიათა მეფობის მიჯნა, ანუ ეპოქა მინგ-ის დინასტიის მზის ჩასვენებისა, როცა ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ჯერ საჭურის მოხელეთა ერთმა მუჭამ, ეპოქა, როცა დინასტიები ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ერთმანეთს არ ინდობდნენ, ხოლო საბოლოო გამარჯვება წილად ერგო და ხანგრძლივად დაისაკუთრა ცინგ-ის დინასტიამ. მანჭურიელთა (მანჯურები) მომთაბარე ტომის წარმომადგენელი, ინტელექტუალურად ღარიბი, სულიერებისაგან დაცლილი, მაგრამ ფიზიკურად უძლეველი ცინგ-ები საუკუნეთა მანძილზე, ვიდრე 1911 წლამდე რკინის ხელითა მართავდნენ თვალუნვდენელ სივრცეზე გადაჭიმულ ჩინეთის უზარმაზარ იმპერიას, დაუნდობლად ახშობდნენ ხან-ელეების, ჩინეთის ძირითადი და რაოდენობრივად უმეტესი მოსახლეობის, ეროვნულობის ყოველგვარ გამოვლინებას, პატრიოტული სულისკვეთების ნიშანწყალსა შანთავდნენ. აი ასეთ პირობებში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა ფუ სუნგლინ-ს, დიდ პატრიოტს, უნიჭიერეს მწერალს, ეროვნულ მოღვაწეს.

ფუ სუნგლინ-ის მშობლიური პროვინცია შანტუნგ-ი განთქმულია ულამაზესი ბუნებით, ჩანჩქერებით, ტბებითა და მდინარეებით, მთებითა და კორომებით. სწორედ აქ მდებარეობს ჩინეთის ხუთ დიად და წმინდად შერაცხულ მთათა შორის ერთ-ერთი — თაინშან-ი, სადაც უამრავ მოქმედ ტაძარს შორის აღმართულა დიდებული ტაოური ტაძარი პი სია, განთიადის ქალღმერთის სამლოცველო. აქვე გადის აბრეშუმის გზა. მთავარი კი ისაა, რომ შანტუნგ-ი გამოირჩევა კულტურულ-ისტორიულ ღირსშესანიშნაობათა სიმრავლით. ამ უძველეს მინა-წყალზე დაბადებულან ისეთი სახელოვანი მოღვაწეები, როგორებიც არიან ქუნგ წ' (კონფუცი), მენგ წ', კუან წ', სუენ წ', სიუენ ვანგ-ი და სხვები, ანუ ფილოსოფოსები, მოაზროვნეები, მეფეები, დიდი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები, ეროვნული გმირები, მწერლები, მედიკოსები, მხედართმთავრები ... ამრიგად, ფუ სუნგლინ-ის დაბადების ადგილი ეროვნული სულიერების ჭეშმარიტი აკვანია. ცალკეული მონაცემით ფუ-ს საგვარეულო მეცნიერთა რიგს განეკუთვნება. მწერლის მამა მემამულე და კომერსანტი ესე იგი წიგნიერი ადამიანი ყოფილა, რაც ჩინეთში ყოველთვის დიდად საპატიო იყო.

ფუ სუნგლინ-ი ძირითადად არასოდეს გაშორებია შანტუნგ-ს, მშობლიურ პროვინციას. იქვე გარდაცვლილა 1715 წ. დაბადება-გარდაცვალების თარიღების გარდა ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ 1711 წ. ანუ 70 წლის ასაკს გადაბიჯებულს, მოუპოვებია წარმატება ქენიუ-დ ნოდებულ სახელმწიფო გამოცდებში, სადაც 19 წლის ასაკით დაწყებული ამაოდ სცდიდა ბედს. მხოლოდ გარდაცვალებამდე 3-4 წლით ადრე ეპოძა სუიკუნ-ის (დაახლოებით დღევანდელი ბაკალავრი) ნანატრი ხარისხი. ვაივავლახით მოპოვებული ეს სანუკვარი სამოხელეო ნოდება მწერალს უფლებას აძლევდა „სახელმწიფო ჭურჭლის“ ნოდება მიეღო, ანუ ხელფასით უზ-



რუნველყოფილ სამსახურში ჩამდგარიყო. ამ წოდება-ხარისხის მოსაპოვებლად, ჩანს, მწერალს მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოცდებში ხელი მოსცარვოდა, მარცხის სიმწარე უხვად უწვნივია. ჩინური საგანმანათლებლო სისტემა ქენიუ ხომ ურთულესი იყო, თუმცა აბიტურიენტობის უფლებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში იძლეოდა. ამიტომაცაა, რომ ფუ სუნგლინ-მა მოხუცებულობაში შეძლო სასურველი შედეგის მიღწევა. მაგრამ ეს ხომ ერთ-ერთი დაბალი ხარისხი იყო მხოლოდ. ამ დროისათვის კი მას უკვე საყოველთაო აღიარება დაემსახურებინა, როგორც ხალხის უაღრესად საყვარელ მწერალს. ძიუპინ-ის ხარისხზე (არისტოკრატიულ ოჯახებში მიწვეული სწავლული-მასწავლებელი) მალევე უარი უთქვამს. მშობლიურ ქალაქში საკუთარი სკოლა დაუარსებია. იქნებ სწორედ სახელმწიფო მოხელის თანამდებობის უქონლობამ მისცა კიდეც შესაძლებლობა ეგოდენ ნაყოფიერად ეღვანა სამწერლო სარბიელზე. მთელი დარჩენილი ცხოვრება მიყრუებულ სოფელში გადაკარგული ეწეოდა მასწავლებლისა და მწერლის ჭაპანს. უცხოვრია მოკრძალებულად, შეიძლება ითქვას ღარიბულადაც კი. 76 წლისა გარდაცვლილა. სიცოცხლის მიწურული მარტოობასა და სიღარიბეში გაუღევია.

მართალია, მეგობარ-ამხანაგები ადრიდანვე ჰყოლია, მაგრამ მისი ნაწერებიდან მძაფრად იკვეთება მარტოობის განცდა, მწუხარე განწყობილება, საკუთარ მისწრაფებათა ხორცშეუსხმელობა რომ ჰბადებდა. ეული, მიუსაფარი მწერალი, ვერც ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ „მცირე მოთხრობათა მეფედ“ შერაცხავდა შთამომავლობა, ხოლო მისი ნოველები, ზღაპრები, არაკები საუკუნეთა მანძილზე ანდამატის ძალით მიიზიდავდა მკითხველს, ჩადგებოდა ჩინური კულტურის ისეთ დიდებულ თხზულებათა მწკრივში, როგორებიცაა სუენ ძ'-ს „სამხედრო ხელოვნების შესახებ“ (ძვ. წ. VI-V ს.ს. მიჯნა), „ჩუნციუ-ს ეპოქის ისტორია“ (III-IV ს. ძვ. წ.), მინგ-ის ეპოქის „ხალხთა ტექნიკისა და ხელოვნების ტრაქტატი“ (XIV-XVII ს.ს.), ცაო სიუეცინ-ის „სიზმარი წითელ კოშკში“ (XVIII ს.) და ა.შ., სახელს რომ გაითქვამდა არა თუ ჩინეთში, არამედ მთელს მსოფლიოში.

ქენიუ-ს გამოცდებში გაუთავებელმა მარცხმა, გულს ღრმა ჭრილობად რომ აჩნდებოდა, ჩანს, მაინც ვერ გატეხა მწერლის უდრეკი სული. მან თავი მისცა ლიტერატურულ შემოქმედებას, მოთხრობებით, ზღაპრებითა და ლექსებით მალე გაითქვა სახელი. ჩინურ უმდიდრეს ლიტერატურულ მატრიანეში, 2500 და მეტ წელს რომ მოითვლის და უძველესი და უმდიდრესი ტრადიცია აქვს, ლიაოჭაი-მ სრულიად დამოუკიდებელი, საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა. და მართალია, იგი მტკიცედ ადგას ეროვნული ტრადიციის გზას, საფუძვლიანად იცნობს ჩინურ მწერლობასა და, საერთოდ, უძველეს ნაწერებს, მაგრამ გამოიმუშავა მკვეთრად ინდივიდუალური ხელწერა, დახვეწილი სამწერლო სტილი. დიდად საგულისხმო ისიცაა, რომ ლიაოჭაი-ს შემოქმედება გზას უკვალავს ახალ ხელოვნებას, ახალ, ცინგ-ის ლიტერატურულ სტილს. მეტიც, მძლავრ შემოქმედებას ახდენს იაპონურსა და ზოგადად შორეულ აღმოსავლეთის მწერლობაზე. ვან შიჟენ-ს, ლიაოჭაი-ს თანამედროვე ცნობილ სწავლულს, თურმე იმდენად აღაფრთოვანებდა ლიაოჭაი-ს მწერლური ნიჭი, რომ „რიგით მოკვდავთა გონებისათვის მიუწვდომლად“ მიაჩნდა.

ჩინური ტრადიციისამებრ ფუ სუნგლინ-ს ჰქონდა რამდენიმე სახელი-ფუ ლიუსენ-ი, ფუ ლიუციუენ-ი. მან კი ადრევე შეირჩია ლიაოჭაი. მწერლის ფსევდონიმი ცალკე განმარტებას მოითხოვს. სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ოთახში გამა-

რთულ საუბარს“, „მოსაუბრეთა თავშეყრის ალაგს“. უცხო ენაზე თარგმნისას, მათ შორის რუსულად, ჭაი-ს უსადაგებენ სიტყვას კაბინეტი. სულხან-საბა ორბელიანი კაბინეტის მსგავს ცნებას განმარტავს, როგორც „სამარტოვო ოთახს, სამხოლოვო ოთახს“. მართალია, ორბელიანისეული განმარტება შინაარსობრივად ახლოსაა სიტყვასთან კაბინეტი, მაგრამ სრული სიზუსტით მაინც ვერ გამოხატავს „ჭაი-ს“ სიღრმისეულ შინაარსს. „ჭაი“ ჩინურად ნიშნავს ოთახსაც, დარბაზსაც, სადაც მასპინძელი სუფრასაც შლის და, ამასთანავე, სტუმრებს სთავაზობს საინტერესო საუბარს. იმართება სჯა-ბაასი, კამათი, პაექრობა, მსჯელობა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ათასგვარი ინტელექტუალური მოღვაწეობა. ერთი სიტყვით, გონების გაცხოველებული წვრთნა მიმდინარეობს. ლიაოჭაი-მ თავის ირგვლივ ადრევე შემოიკრება თანამოაზრეთა წრე, ცნობილი ადამიანები, ვისთან ერთადაც პოეტურ-მწერლური თანამეგობრობა ჩამოაყალიბა. ისინი ერთმანეთის ზნეობრივ აღზრდა-განათლებლასაც ესწრაფოდნენ, დახვეწილი მწერლური ენის გამომუშავებაშიც ეჯიბრებოდნენ და საზოგადოების ზნეობრივ აღზრდასაც ემსახურებოდნენ. მათგან გამოსაყოფია ლი სიმეი და ჭან ლიუი. ლიაოჭაი-ს ამ „სამხოლოვო ოთახში“, და საერთოდ, მის ბინაში, თავმოყრილი იყო უამრავი ნაწერი, გრაგნილი, წიგნი, ანუ დღევანდელი გაგებით ეს ერთგვარი ბიბლიოთეკაც ყოფილა.

ვფიქრობთ, ხაზგასასმელია, რომ ჩინური ლიტერატურა ვითარდებოდა იზოლირებულად, ანუ მას არ განუცდია არავითარი ზეგავლენა, არც ევროპული ლიტერატურისა, ვინაიდან არ იცნობდა, არც მეზობელი აღმოსავლური ქვეყნებისა (იაპონია, ვიეტნამი, კორეა), რადგან მათ დამწერლობა არ გააჩნდათ (თვითონ კი განიცადეს ჩინურის, და უშუალოდ ლიაოჭაი-ს ზეგავლენა). ამდენად, ჩინური ლიტერატურა, მისი 3000 წლოვანი ევოლუცია, საკუთარი გზით, მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ენობრივი კულტურის კანონზომიერებებთან შესაბამისად ვითარდებოდა. ხოლო ლიაოჭაი ამ ტრადიციის მცოდნეცაა, ერთგული მემკვიდრეც და ღირსეული გამგრძელებელიც.

ჭეშმარიტი კლასიკოსის, ლიაოჭაი-ს მწერლურ ღირსებათა საუკეთესო განმარტებას იძლევა შესანიშნავი მთარგმნელი, ჩინური ლიტერატურის ღრმა მცოდნე, აკადემიკოსი ვასილი მიხაილის ძე ალექსეევი (1881-1951). აი რას წერს მეცნიერი:

„ჩინელი განათლებული ადამიანი, და განსაკუთრებით ფუ სუნგლინ-ის დროის სწავლული—იყო მემკვიდრე და გამომხატველი თავისი ეპოქის კულტურისა, გამორჩეულად კი ლიტერატურულისა. ფუ სუნგლინ-ი იწყებდა არა საბავშვო ტექსტებითა და მარტივი მოთხრობებით, არამედ პირდაპირ კონფუციის მოძღვრებითა და ყოველივე იმით, რაც ამას ზედ ერთვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩინური ნაწერებით, რომელთაც, რაღა თქმა უნდა, შეიძლება მივუსადაგოთ ჩვენებური სიტყვა და ცნება „წმინდათაწმინდა“, თუმცაღა სათანადო განმარტებით, სახელდობრ: ეს ნაწერები ნასესხები კი არაა სხვა ხალხებისაგან, როგორც ეს ჩვენშია, და კი არ ხასიათდებიან ზებუნებრივი სიწრფოებით, არამედ გადმოსცემენ „სრულქმნილი ბრძენკაცის“, კონფუციის მოძღვრებას ადამიანის მონოდებაზე - ემსახუროს უზენაესს. ისწავლიდა რა ზეპირად-უსათუოდ სრულყოფილად-და ისწავლიდა რა წვდომას სრული მკაფიობით, მკაცრ, ურყევ ტრადიციასთან ღრმა თანხმობით, მთელი ამ ჩინური ბიბლიის შინაარსს, რომელიც, რა თქმა უნდა, მრავალგზის აღემატება ჩვენსას, თუნდაც თავისი მოცულობით, რომ აღარაფერი ვთქვათ

ენის სირთულის შესახებ-იმ ბიბლიისა, რომლის თაობაზე რამდენიმე სტრიქონით შეუძლებელია მიახლოებითი წარმოდგენის შექმნაც კი (ორიოდ სიტყვით თუ ვიტყვი, ეს ენა ისევე ჰგავს იმას, რომელზეც საუბრობს მონაფე, როგორც რუსული ენა ჰგავს სანსკრიტს)-ამ მკაცრი სწავლის შემდეგ, რასაც „მრავალთა შეუღევიათ ძალი და ღონე“ და სამუდამოდ ჩამოშორებიან განათლების გზას, ჩინელი კაცი შეუდგებოდა ისტორიკოსთა, სხვადასხვა სკოლების ფილოსოფოსთა, მწერალთა ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე ნაწერების კითხვას, და უმთავრესად ლიტერატურული ნიმუშებისა, რომელთაც იგი უკვე გამომუშავებული ჩვევის დახმარებით შექველად ზეპირად დაისწავლიდა ხოლმე. მისი მიზანი ამჯერად მიმართული იყო სანიმუშო ლიტერატურული სტილისა და ჩვევის გამომუშავებისადმი, რაც შესაძლებლობას მისცემდა სახელმწიფო გამოცდებში (*ქენიუი. მთარგმნ.*) ღირსეულად გადმოეცა თავისი აზრი თხზულებაში მოცემულ თემაზე, დაემტკიცებინა, რომ იგი სრულყოფილად დაეუფლა ჩინური სულიერი და ლიტერატურული ათასწლოვანი კულტურის სიღრმეს და ახლა უკვე არის მისი თანამედროვე წარმომადგენელი და გამომსახველი. აი, რაში მდგომარეობდა ჩინური განათლება. იგი გამოწვრთნიდა ადამიანს, განსხვავებულს გაუნათლებლისაგან, პირველ ყოვლისა იმით, რომ სრულყოფილად იცნობდა ჩინური ენის საიდუმლოებას მის ყველა სტადიაში, დანყებული არქაულით, გასაგები რომ იყო მხოლოდ და მხოლოდ ტრადიციული განმარტების შემთხვევაში, და დამთავრებული თანამედროვეთი, ენის უწყვეტი განვითარების შედეგად რომ იყო ჩამოყალიბებული და რომელმაც კიდევ მთელი რიგი შუალედური სტადიები განვლო. მეორეც, ინტელიგენტ ჩინელს ეს ყველაფერი უნდა ჰქონოდა თავის მეხსიერებაში, ჩინური ლიტერატურის უმდიდრესი შინაარსი, რომლის კითხვაში იგი ჩაძირული იყო ლამის ოცი, და შესაძლოა მეტი წელიწადიც! ამრიგად, ჩვენს წინაშეა რთული მსოფლგაგების ადამიანი, მჭვრეტელი თავისი ოთხიათასწლოვანი კულტურისა, თავისი აზრების გამოხატვის უნარის მქონე, სარგებლობდა რა კულტურული ენის უმდიდრესი მარაგით, და რომელსაც ერთი წუთითაც კი არა ჰქონია ნყვეტილი თავის განვითარებაში.

აი ასეთი იყო ფუ სუნგლინ-ის დროის ჩინელი ინტელიგენტი (...). იმისთვის, რათა წარმოვიდგინოთ თვით ლიაოჭაი-ს პიროვნება, ამ უჩვეულო მოთხრობათა ავტორისა, საჭიროა განათლებული ადამიანის ზემოაღნიშნულ ფორმულას დავუმატოთ საუკეთესო მეხსიერება, გამორჩეული პოეტური ნიჭიერება და გაქანება დიადი პიროვნებისა, რომელსაც გადმოეცა ესოდენ რთული კულტურული მემკვიდრეობა.“

მეცნიერისა და მთარგმნელის ნააზრვეიდან ეს ვრცელი ამონარიდი, ვფიქრობთ, დახმარებას გასწევს ლიაოჭაი-ს შემოქმედების ღირსებათა შემეცნებაში.

ფუ სუნგლინ-ის ნაწარმოებთა მოქმედება მწერლის მშობლიური შანტუნგ-ის პროვინციას თითქმის არ სცილდება, ერთთავად მის ირგვლივ ტრიალებს. მოქმედების დროც მწერლის ცხოვრების თანადროულია. რეალისტურადაა აღწერილი ჩინური ყოველდღიური ცხოვრება, სახელმწიფოებრივი და ოჯახური ურთიერთობები და ყოველივე ეს, უპირატესად, სასიყვარულო ამბების, სატრფიალო თავგადასავლების, საყოფაცხოვრებო სურათების ფონზე ვითარდება. მწერალი კიცხავს და სჯის სოციალურ უსამართლობას, იბრძვის ბოროტების წინააღმდეგ, ამუნათებს მოხელეთა თუ დიდგვაროვანთა დაუდევრობასა და უსულგულობას,

ვერცხლისმოყვარეობასა და სიხარბეს, გამომძალველობასა და მექრთამეობას, მლიქვნელობასა და პირფერობას, გაიძვერობას, სიცრუეს, ლალატს, ფეოდალური წყობის ტყვეობას, წმინდანებსაც კი არ ინდობს. ერთი სიტყვით, ყოველგვარ ადამიანურ უარყოფით თვისებებს, რისი მსხვერპლი უბრალო, სანყალი, დაბეჩავებული ხალხია. ზნეობის სიმტკიცეს, სიკეთის ქმნის აუცილებლობას, ბოროტებაზე სიკეთის საბოლოო გამარჯვებას, სიკეთის უძლეველობას ქადაგებს დაუცხრომლად. მარად თანაუგრძნობს ღარიბ-ღატაკ, ეულ, ჩაგრულ თანამოძმეებს. ეს ყოველივე, და ამასთანავე ლიაოჭაი-ს შემოქმედების დემოკრატიულობა და გაბედულება, ერთ-ერთი საწინდარია დიდი მწერლის შემოქმედების უდიდესი პოპულარობისა, საუკუნეებში შენარჩუნებული სიყვარულისა. თუმცა იყო ისეთი დროც, როცა ლიაოჭაი-ს ნაწერები იდევნებოდა, შერაცხული იყო „ცრურწმენის მქადაგებლად“, „შიშის მომგვრელად“, „მავნებლად“.

ლიაოჭაი სათუთი ყურადღებით ეკიდებოდა, შეისწავლიდა და იკვლევდა ეროვნულ ზეპირსიტყვიერებას, ხალხურ თქმულებებს, ლეგენდებსა და ზღაპრებს. დღევანდელი ენით თუ ვიტყვით, ეთნოგრაფობდა. დროთა ვითარებაში კი ლიაოჭაი-ს თხზულებათა დიდმა ნაწილმა თვითონვე შეიძინა, ასე ვთქვათ, ხალხურის, ფოლკლორის სტატუსი, საუკუნეთა მსვლელობაში გადაეცემოდა თაობიდან თაობას, ფრთიან ფრაზეზად, ანდაზებად იქცა, ყოველდღიურ მეტყველებაში მოიკიდა ფეხი. არ არსებობს ჩინეთში ლიტერატურის სახელმძღვანელო, ლიაოჭაი-ს ნაკალმევი რომ არ იყოს შესული. მისი გმირები ცოცხლობენ დრამატულ თეატრსა და მუსიკალურ სპექტაკლებში, კომიქსებსა და კინოფილმებში, ამდენად, დიდ-პატარა ჩინელი კარგად იცნობს, ლამის ზეპირადაც იცის. საყოველთაოდ საყვარელი შეიქნენ, ხშირ შემთხვევაში საზოგადო სახელებად იქცნენ სტუდენტი ვანგ-ი და მზეთუნახავი-ემშაკეული („მოხატული ტყავი“), მეხარკე ჩენგმინგ-ი („ჭრიჭინათა ბრძოლა“), ერთი შეხედვით შეყვარებულნი („ლიენჩენგ-ი“) და მრავალი სხვა.

ლიაოჭაი-ს ნაწარმოებთა შინაარსი, დედააზრი უცვლელად მაღალი ზნეობრიობით განირჩევა. იგი შეეხება საკითხებს, ყველა დროში რომ აღელვებს და იზიდავს კაცობრიობას. მკითხველი, ალბათ, შენიშნავს, არის სიუჟეტები, ევროპულსა და ჩვენს, ქართულ ზღაპრებს, ლეგენდებს, გადმოცემებს რომ ეხმიანება („ფულის წვიმა“, „ბაყაყთა სული“, „ჭრიჭინათა ბრძოლა“ „ხუან ნიოულანგ-ი“ და სხვა მრავალი). ეს იმიტომ, რომ ფუ სუნგლინ-ისეული თემები ზოგადსაკაცობრიოა, სამარად-ყამოა. მკითხველმა შეიძლება იმასაც მიაქციოს ყურადღება, რომ ლიაოჭაისეულ ცალკეულ მონათხრობს აქვს დამთხვევის წერტილები ქრისტიანულ რელიგიასთან — სენჟენ-ების იერარქია, ზეცაში მოსახვედრად სავალდებულო, აუცილებელი პირობები, რაც უმთავრესია, სიკეთის ქმნის უცილობლობა და ზოგი რამ სხვაც. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ზოგადკაცობრიული, უცვალელებელი, ზეეროვნული და მარადიული პრობლემებია.

მწერალს ახასიათებს კაზმულსიტყვაობა, მხატვრულობა და ამავდროულად აზრის სიღრმე. მართალია, წერს ცოცხალი, მეტყველი, დახვეწილი ენით, რომელსაც „ვენ იენ-ი“, ანუ ძველი კლასიკური სალიტერატურო ენა ეწოდება, მაგრამ ამავდროულად მისათითებელია, რომ ეს შუასაუკუნოვანი სალიტერატურო ენაა და არა თუნდაც მწერლის თანადროული, XVII-XVIII ს. ს. ყოველდღიური სალაპარაკო ენა. ამიტომაცაა, რომ მისი ნაწერების ნაკითხვა იმთავითვე შეეძლო მხოლოდ



განათლებული, ნაკითხი, წიგნიერი საზოგადოების მცირეოდენ წარმომადგენლებს და არა მდაბიო ფენას. წერა-კითხვა ჩინეთში ყველა დროში უაღრესად საძნელო საქმე იყო, წერა-კითხვის მცოდნენი დღისით, მზისით სანთლით საძებარნი იყვნენ ყოველ დროს. თუმცა, როგორც ითქვა, ამ გარემოებას სრულიადაც არ შეუშლია ხელი მწერლის უდიდესი პოპულარობისათვის, რამეთუ მისი ნაწერები უპირატესად ზეპირმეტყველების სახით ვრცელდებოდა.

ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია, რომ ჩინეთში უძველესი დროიდან ქალაქთა უბნების ქუჩებში, სოფლად, იმართებოდა ათასგვარი საინტერესო ამბის კითხვა-თხრობა. ამ საქმიანობას მისდევდნენ „შუოშუჟენ-ები“ (სიტყვა-სიტყვით მოსაუბრე, მთხრობელი, წიგნიერი ადამიანი), ანუ პროფესიული მთხრობელები, ზეპირი სიტყვის ოსტატები, იმართებოდა ერთი მსახიობის თეატრის მსგავსი წარმოდგენები. ზეპირი კითხვა-თხრობა ხალხის შექცევის ტრადიციად იყო ქცეული და ეს ტრადიცია ჩინეთში დღესაც ცოცხალია. შუოშუჟენ-ების მიერ მონათხრობ ამბებს შორის ლიაოჭაი-ს ნაწერებს იმთავითვე თვალსაჩინო ადგილი ჰქონდათ დამკვიდრებული.

ზეპირ მოთხრობათა ეროვნული ტრადიციის ერთგულება ლიაოჭაი-ს შემოქმედების მთელ რიგ თავისებურებებში იკვეთება. ერთ-ერთი გამოვლინებაა, მაგალითად, ის, რომ ცალკეულ ნოველაში ჩართულია პოეტური სტროფები, ლექსები, რაც აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო ჩინური ზეპირმეტყველური ტრადიციისა. ასევე ტრადიციის ერთგულების ნიშანია ნოველათა ბოლოს დართული ერთგვარი რეზიუმეები, რომელთაც უპირატესად ჭკუისდამრიგებლური ელფერი დაჰკრავთ. თუმცა აქვეა მისათითებელი ერთი გარემოება. იმის გამო, რომ ლიაოჭაი-ს მოთხრობები თაობიდან თაობას ზეპირად და გადამწერთა ხელნაწერების მეშვეობით გადაეცემოდა, რეზიუმეები გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა. ზოგი მთხრობელი საკუთარ სიტყვას ჩართავდა, ზოგიც ვითარების, პოლიტიკური სიტუაციის ან სხვა გარემოების შესაბამის კორექტივს შეიტანდა. ამიტომაც, რომ მწერლის ნაწერების სხვადასხვა ნუსხასა და გამოცემებს შორის სხვაობა იშვიათობა არაა.

ჯერ კიდევ სუნგ-ის ეპოქაში, ანუ XI-XIII ს. ხალხური ზეპირი მოთხრობების მთავარ მოქმედ პირთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა ათასგვარ სულესს, მოჩვენებებს, უმეტესწილად კი მელი-მაქციებს. ხოლო მელი-მაქციების უდიდესი ნაწილი ქალთა სქესს განეკუთვნებოდა. ეს არ ყოფილა შემთხვევითი. ქალი ჩინურ საზოგადოებაში, როგორც სოციალურად, ისე ოჯახური მდგომარეობით, დაჩაგრული, შევინროებული, უფლებო არსება იყო. ამიტომაც გარდაცვალების შემდეგ ქალები ამქვეყნიურ ცხოვრებას მელი-მაქციების სახით უბრუნდებოდნენ და ახლა შურსაც იძიებდნენ, ბოროტებისათვისაც სჯიდნენ დამნაშავეებს. მელი-მაქციები, მოჩვენებები, სულელები, ლიაოჭაი-ს თხზულებებში ცხოველმყოფელ სიცოცხლეს განაგრძობენ.

ლიაოჭაის შემოქმედების ცენტრში მუდამ დგას ადამიანი, მისი სვე-ბედი, ცხოვრება, თავგადასავალი მთელი თავისი სირთულით, სიხარულითა და ნუხილით, დარდითა და იმედით, სიყვარულითა და ვერაგობით, ერთგულებითა და ღალატით. ხოლო ბუნების სურათები, ყოფა-ცხოვრების შემადგენელი ატრიბუტიკა მხოლოდ და მხოლოდ იმისთვისა სჭირდება მწერალს, რათა მონათხრობს სიმართლე, ცხოვ-

რებისეული დამაჯერებლობა შემატოს, დაარწმუნოს მკითხველი (უწინდელ დროს — მსმენელი), რომ ყველაფერი, რასაც იგი მოგვითხრობს, სინამდვილეა, ირწმუნოს ადამიანმა, რომ ისიც, თუკი სიკეთის გზით ივლის, თუკი განერიდება ბოროტებასა და სიავეს, უეჭველად ზეცაში დაიდებს ბინას, სიენუენობას ეწევა, ანუ ამქვეყნიური ტანჯვა-წვალების საზღაურად მარადიულ ნეტარებას დაიმსახურებს. მაგრამ არც ისაა უმნიშვნელო, რომ ბუნების სურათების აღწერისას მწერალი იშვიათ პოეტურობას ავლენს, განა მარტო თავისთავად ბუნებაა საინტერესო, არამედ ბუნების სურათებისა თუ მოვლენების აღწერისას ლიაოჭაი ჭეშმარიტი პოეტია, ულამაზეს სიტყვებს, შედარებებს მოიხმობს, ამ პნკარების პოეტური რითმა და რიტმი თავისთავადაა მშვენიერი, მომხიბლავი. სიმართლის, ნამდვილობის, დამაჯერებლობისთვის მოიხმობს მწერალი მოქმედების ადგილმდებარეობის სახელწოდებებს. მის თხზულებებში ამბავი ვითარდება ჩანშა-სა და ხანჭოუ-ში, თაიშან-სა და ვეიშუ-ში და არა გამოგონილ, ზღაპრულ ქვეყნებსა და ადგილებში.

ლიაოჭაი-ს თხზულებათა დიდზე დიდი ნაწილის მთავარი მოქმედი პირია სიუცაი. ევროპულ, რუსულ თარგმანებში ჩინურ სიტყვას-სიუცაი-უსადაგებენ სტუდენტს, სტუდენტ-კანდიდატს. ჩვენ სწავლული-შეგირდი ვამჯობინეთ და აი რატომ. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ სიტყვა სტუდენტი ლიაოჭაი-ს ჩინურის და მისი თანადროული ქართული ენისათვის შეუსაბამოდ, უცხოვდ გვეჩვენა, ყურსა სჭრიდა. მეორე კი იმიტომ, რომ ჩინური საგანმანათლებლო სისტემის, ქენიუი-ს (ან იგივე ქეძიუი-ს) კანონთა თანახმად ადამიანს უფლება ეძლეოდა სიცოცხლის ბოლომდე ეცადა ბედი გამოცდებში, მარადიული აბიტურიენტი ყოფილიყო. განუწყვეტლად, მთელი სიცოცხლის მანძილზე ესწავლა, შეგირდიც ყოფილიყო და იმავდროულად განსწავლულიც, მცოდნეც, სწავლულიც. ამიტომ ლიაოჭაი-ს გმირები ქართულ თარგმანში სწავლულ-შეგირდებად მოინათლნენ. უეჭველია, იმგვარი უნიჭიერესი და განათლებული პიროვნებისათვის, ფუ სუნგლინ-ი რომ ბრძანდებოდა, ესოდენ ხანგრძლივი მარცხი საგამოცდო პერიპეტივებში მწარე განცდების წყარო იქნებოდა, იქნებ ამიტომაცაა, ასე რომ თანაუგრძნობს შეგირდ-სტუდენტებს, ებრალება გაჭირვებასა და განსაცდელში ჩავარდნილი სიუცაი. თავად ნანწვევი რომ ჰქონდა მარცხის სიმწარე, ამიტომ ესწრაფოდა მის სიუცაი-ს თავს შემოვლებონენ მზეთუნახავი ქალწულები, კეთილ სულელებ გაებედნიერებინათ თავიანთი თავდავინყებული სიყვარულითა და მზრუნველობით, ბოროტებაზე გაემარჯვათ და ამ გზით შემსუბუქებოდათ მიწიერი ცხოვრების ტვირთი.

ლიაოჭაი-სეული სიუცაი რომანტიკული და ამავედროულად თანასწორუფლებიანობის მომხრე პიროვნებაა. იგი მზადაა შეიყვაროს ნებისმიერი სოციალური ფენის ქალი, მოახლევა და თავადის ასულიც, ზეცის მკვიდრიცა და როსკიპიც, მელი-მაქციაცა და ჩვეულებრივი მოკვდავიც. ყველაფერ ამაში განსაკუთრებული სიცხადით მჟღავნდება მწერლის დემოკრატიზმი, მისი ეპოქისათვის ესოდენ მოულოდნელი და გაბედული.

ლიაოჭაი-ს ლიტერატურული სტილის ერთ-ერთი თავისებურებაა ლაკონიზმი. მწერალი გაურბის დანვრილებით აღწერას როგორც მთელი რიგი ვითარებებისა, ისე ცალკეული მოქმედებისა. ბევრ ადგილს უტოვებს მკითხველს, რათა თვითონვე მიხვდეს, იფიქროს, ფიქრს გასაქანი მისცეს. ამიტომაცაა, რომ ევროპელი და ესე იგი ქართველი მკითხველისათვის, ხშირად გაუგებარი რჩება ესა თუ ის ამბავი თუ რა-

ტომ ხდება ამა და ამ ადგილას, ამ და ამ დროს, რარიგ აღმოჩნდა გმირი ამ ვითარებაში და ა. შ.

რაც შეეხება უშუალოდ ჩვენს თარგმანს. გავიმეორებთ, ლიაოჭაი ჩინური ლიტერატურის უბრწყინვალესი წარმომდგენელთაგანია. ამ დიდოსტატის მხატვრული ენა, მისი მეტყველება უმდიდრესია, ფერადოვანი, ტევადი, პროზა ძალზე რიტმული, ხშირად გართმულია. იმავდროულად ძალზე ლაკონური, დანურული. იეროგლიფური დამწერლობის სპეციფიკა ამის საუკეთესო პირობასა ქმნის, ერთი ნიშნის მეშვეობით ღრმა აზრი გადმოსცე, ერთ იეროგლიფში დანახო ვრცელი აზრი. ლიაოჭაი-სეული ტექსტის ორიგინალის ადექვატური დონის თარგმანი უთუოდ თვით ლიაოჭაი-ს დონისავე მწერლურ მონაცემებს ითხოვს. მაგრამ, როგორც უკვე ხსენებული ალექსეევი ბრძანებს: „ბაირონის მთარგმნელი — ბაირონი არაა და არც პუშკინის მთარგმნელია — პუშკინი“. და მაინც, მოვიკრიბეთ გამბედაობა და ნოველათა „გადმოქართულებას“ შევბედეთ.

მწერლის უზარმაზარი დანატოვარიდან, 500-ზე მეტი ნოველიდან, მოთხრობიდან, რამდენიმე ასეული ზღაპრიდან თუ ლექსიდან, წინამდებარე კრებულში შემოვიფარგლეთ ჩინელთა შეხედულებით საკრალური რიცხვით, 36 თხზულება გადმოვაქართულეთ. შევარჩიეთ ის ცალკეული დიდი თუ მცირე ნოველა, ჩინეთში განსაკუთრებით პოპულარული რომაა, ქრესტომათიულადაა მიჩნეული.

ამრიგად წინამდებარე კრებული დიდი ჩინელი მწერლის ნაწარმოებთა უშუალოდ ჩინურიდან პირველ ქართულ თარგმანს წარმოადგენს. მას წინ უსწრებს მხოლოდ „ჩვენი მწერლობის“ 2008 წლის 4 ივლისის (66) გამოქვეყნებული ჩვენს მიერვე თარგმნილი ლიაოჭაი-ს ნოველა „ჭრიჭინების ბრძოლა“, „მეოთხე და ხუ“ და „ატმის პარვა“. რაკი რედაქციამ პატივი დაგვდო და გამოაქვეყნა ჩვენი გაბედული ნაბიჯი, სიმხნევე შეგვემატა და განვაგრძეთ მუშაობა. ცხადია, კარგად გვესმოდა, თუ რაოდენ ძნელია გენიალური მწერლის ნააზრევის სხვა ენაზე უნაკლოდ გადატანა. შეგნებული გვქონდა დასახული ამოცანის სირთულე და ისიც, თუ მოულოდნელად რამდენი საკითხი წამოიჭრებოდა მუშაობის პროცესში. შესაძლოა, გადაულახავ დაბრკოლებადაც აღმართულიყო ჩვენს წინ. მაგრამ, როგორც დიდი სულხან-საბა ბრძანებს: „ცდა საქმის შებმაა. ცდა არს რაი არა იცოდეს, მას სწავლასა ეცადოს...“. და ჩვენც ცდა არ დავაკელით, თარგმნის „სწავლასა ვეცადეთ“ და ამაში ერთხელ და ორჯერ როდი დავიხმარეთ ამ ბრძნული შეგონების ავტორის — სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“.

გაბედულება შეგვემატა იმ გარემოებამაც, რომ საქართველო-ჩინეთის ურთიერთობანი ჩვენს დროში უფრო და უფრო ფართო ხასიათს იძენს. ვიფიქრეთ, კარგი და სასურველი იქნებოდა, თუკი ამ ურთიერთობათა სფეროში მხატვრული ლიტერატურა კუთვნილ ადგილს დაიმკვიდრებდა. შევეცადეთ ამ საქმეში საკუთარი მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა; ჩვენ შესაძლებლობათა ფარგლებში ქართველი მკითხველისათვის მცირეოდენი წარმოდგენა შეგვექმნა ჩინურ კლასიკურ ლიტერატურაზე, მის საუკეთესო წარმომადგენელზე, XVII-XVIII ს. ს. მიჯნის ჩინურ სამწერლო სტილსა, ნაწარმოებთა შინაარსობრივსა თუ სტილურ მხარეზე.

მართალია, მონდომება არ დაგვიკლია, რათა ქართულ ენაზე სრულად გამოგვეტანა ჩინელი სახელმძღვანელო მწერლის თხზულებები, თუმცაღა, ვფიქრობთ, ბოდიშის მოხდა ცალკეული მომენტის გამო მაინცა გვემართებს, სახელდობრ:



ჩინურმა ენამ ეს-ესაა დაიწყო შემოსვლა ქართულ ინტელექტუალურ სივრცეში. ამდენად ჩინურ-ქართული სიტყვების შესაბამისობა ქმნადობის, დადგენის პროცესში იმყოფება, ბევრი რამაა დასაზუსტებელი. ადვილი შესაძლებელია მომავალმა მთარგმნელებმა ესა თუ ის სიტყვა ჩვენგან განსხვავებულად, თავის შეხედულებისამებრ თარგმნონ. ეს მით უფროა მოსალოდნელი, რომ ლიაოჭაი-ს სალიტერატურო მეტყველება ადვილგასაგები არაა, ლექსიკური მარაგი, როგორც ითქვა, უმდიდრესია, დახვეწილი, ამასთან საოცრად დანურული, ლაკონური, უხვადაა დატვირთული ქარაგმებით, გადაკრული სიტყვით, მინიშნებებით, სემანტიკით, პოეტურ-პროზაული თუ ისტორიული რემინისცენციებით, რომელთა გარკვევა ახლა თვით ჩინელი განათლებული ადამიანისთვისაც კი საძნელოა. ამიტომ, რომ მწერლის კომენტატორები ხშირად როდი წერენ: „რაც შეეხება სიტყვას (ამასა და ამას) საიდან არის და როგორ აღმოჩნდა ტექსტში, გაუგებარია.“ ნათქვამის ნათელსაყოფად უკვე მრავალგზის ხსენებული ვ. მ. ალექსეევის კიდევ ერთ-ერთ ციტატას მოვიშველიებთ: „ერთ-ერთი უცნაური ბერის ამბის თხრობისას, რომლის ახლგაზრდულ სხეულში ღრმა მოხუცის სული ჩასახლებულა, ფუ სარგებლობს კონფუციის სიტყვებით, საკუთარი თავის შესახებ რომ აქვს ნათქვამი: „მე ბრძანებს ჩინელი ბრძენკაცი-თხუთმეტისა ვიყავ-და დავენაფე სწავლას; გავხდი ოცდაათისა-და მყარი შევიქენი.“ ახლა ფუ-ს ფრაზა გვაუწყებს შემდეგს: „ასაკი მისი (ბერისა) — ის-ის იყო მყარი შეიქნა“, ხოლო გვიამბობდა ამბებს, ოთხმოცი, იქნებ მეტი წლის უნინ რომ მომხდარიყო.“ ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ფრაზა გასაგებია მხოლოდ იმათთვის, ვინც იცის ადგილი კონფუციის ზემორე მოყვანილი გამონათქვამიდან და მიხვდება, რომ ბერი ოცდაათი წლისა იყო. აქედან გამომდინარე ჩვენს ენაზე თარგმნა საჭიროა ასე: „ასაკი მისი იყო მხოლოდდამხოლოდ, როგორც ბრძანებს კონფუციი „როცა ის-ის იყო მყარი შეიქნა“, ხოლო მოგვითხრობდა...“ და ა.შ. ერთი სიტყვით, ფუ სუნგლინ-ი სარგებლობს კონტექსტიდან ამოღებული გამოთქმებით, მთლიანობიდან ნაწილთან კავშირში. ამ ასოციაციის აღდგენის უნარი შესწევს მარტო განათლებულ ჩინელს. თარგმანის სიძნელეზე კი ლაპარაკიც არ ღირს.“

მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ თითოეული ჩინური სიტყვაერთეული, ანუ თითოეული იეროგლიფი ღრმა შინაარსს შეიცავს, რაც სხვა ენებზე გადატანისას ლაკონურობის მოთხოვნას ველარასგზით ვერ აკმაყოფილებს. როგორც უმშვენიერეს ქართულ სიტყვებს, „გენაცვალე, შენიჭირიმე“ სინონიმი არ ეპოვება სხვა ენაზე, ერთი სიტყვის მეშვეობით ვერასგზით ვერ ითარგმნება, ასევე შეუძლებელია ცალკეულ ჩინურ სიტყვას ზუსტი ქართული ანალოგი მიესადაგოს. ამის საუკეთესო მაგალითია თვით მწერლის ფსევდონიმი, ლიაოჭაი, რომელიც ცალკეული ჩინური იეროგლიფის მსგავსად შემცველია არამც თუ სიტყვის, ფრაზის, არამედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთელი ცნების, აზრის. დავძენთ იმასაც, რომ თითოეული ჩინური იეროგლიფი თავისთავად ხშირად მრავალგვარ მნიშვნელობას იტევს, სხვადასხვა იეროგლიფთან შესიტყვებისას კი მნიშვნელობას, შინაარსს იცვლის. ეს გარემოებაც ხელს უშლის ქართული თარგმანის ლიაოჭაი-ს სადარ ლაკონურობას. აღვნიშნავთ კიდევ ერთ გარემოებას. XX ს., განსაკუთრებით კი ყბადაღებული „კულტურული რევოლუციის“ შემდგომი თაობა, არა თუ დამწერლობის ღრმა მცოდნე, ფრიად მწირი ლექსიკური მარაგის პატრონი შეიქნა. ამის გამოა, რომ დღევანდელი

ჩინელებისათვის დიდი მწერლის შემოქმედებას თანამედროვე ენაზე „თარგმნიან“, ადაპტირებული ვარიანტებიც ხშირად გამოიცემა. მართალია, ამგვარი ადაპტირების, ამგვარი „თარგმანის“ შემთხვევაში დიდი მწერლის მეტყველება ღარიბდება, ფერმკრთალდება იუმორი, ქარაგმისა და გადაკრულის სიტყვის ძალა დუნდება, მაგრამ მაინც სასიკეთოა, რადგან ლიაოჭაი-ს შემოქმედება კვლავინდებურად ცხოველმყოფელ სიცოცხლეს განაგრძობს. თარგმანში ძველსა და ახალ ჩინურ ენაში სხვაობის ნათელსაყოფად ორიოდ ნოველა თანამედროვე ჩინურზე „თარგმნილიდან“ გადმოვაქართულეთ.

გავიმეორებთ, ლიაოჭაი-ს თარგმნისას, რა თქმა უნდა, ვერ მოგვიხერხდა სიზუსტით შეგვენარჩუნებინა მწერლის თვითმყოფი სტილი. ეს უმეტესწილად ქართულსა და ჩინურ ენებს შორის არსებული დიდი განსხვავების, სპეციფიკათა თავისებურებების გამო მოხდა. ისე კი ვესწრაფოდით ყოველი ჩინური სიტყვის ქართული ზუსტი ექვივალენტისთვის მიგვეკვლია, ვცდილობდით „სიტყვაი სიტყვის ნაცვალ“ გადმოგვეცა, თუმცა კი წინადადებები ქართული ენის ზუნების შესაბამისად გავგენყო. მწერლის სიტყვიერი მარაგის სიმდიდრე და ფერადოვნება შევეცადეთ ქართული სინონიმების სიუხვით აგვენაზღაურებინა, ჩინურ სიტყვათა სიღრმისეული მნიშვნელობა კი სხვადასხვა ქართულ სიტყვათა მეშვეობით დაგვეზუსტებინა. ამ გარემოებამ თავის მხრივ გამოიწვია ტექსტის გაზრდა, ლაკონიზმს ხელი შეუშალა. დასანანია, აგრეთვე, რომ დედნისათვის დამახასიათებელი ენის რიტმი და რითმა (მით უფრო ჩინურისა), ლიაოჭაი-ს პროზა კი უაღერსად პოეტურია, ხშირად ლექსის მსგავსი რიტმია დაცული, ნებისმიერ თარგმანში იკარგება. დასანანია, ისიც, რომ მინიშნებანი, გადაკრულ სიტყვათა მნიშვნელობა, რემინისცენციები, ქართველი მკითხველისათვის გარკვეულწილ დაფარული დარჩება (ეს დღევანდელი თაობის ჩინელების დიდი ნაწილისთვისაც კი მიუწვდომელი შეიქნა). ამის ერთ-ერთ მაგალითად გამოდგება ნოველის „ატმის პარვა“ ბოლოს მოხსენიებული თეთრი ლოტოსის სექტა. ამ სექტის მოხსენიებით მწერალი მკითხველს მიანიშნებს, რომ როგორც XIII ს., მონღოლთა დინასტიის ბატონობის ხანაში, ეს სექტა იდევნებოდა, რადგან ეროვნული სულისკვეთებით იყო განმსჭალული, ასევე XVII-XVIII ს.ს, მანჭურიელთა დინასტიის დროსაც, თეთრი ლოტოსის მიმდევართ დაუნდობრად ებრძოდნენ, ხოცავდნენ და ჟლეტდნენ, რადგან უბრალო ხალხში ეროვნულ-გამათავისუფლებელი სულის გამოღვიძებას ესწრაფოდნენ. ასეთი მინიშნებებით ლიაოჭაი-ს შემოქმედება მდიდარია. მოკლე, ორიოდ ფრაზაში დანეხილი ღრმა აზრით მწერალი თავის პოლიტიკურსა თუ ეროვნულ მრწამსს შეფარვით გადმოსცემს, თავშესაქცევი, ზღაპრულ-სათავგადასავლო, იუმორისტული და სხვა სიუჟეტებითა ნიღბავს.

აღვნიშნავთ, აგრეთვე, ჩვენს ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა ის, რომ ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ლიაოჭაი-ს მეტყველება მისი თანადროული, ანუ XVII-XVIII ს.ს. ქართული მეტყველებისათვის მიგვეახლოებინა, თუმცა ამავდროულად დღევანდელი მკითხველისთვისაც გასაგებად გვენერა. ჩვენი თვალსაზრისით გაუგებარი არა მხოლოდ ჩინურ, არამედ ქართულ სიტყვათა განმარტებანი კი ყოველ მოთხრობას ბოლოში დავუერთეთ.

უკანასკნელი 300 წლის მანძილზე მწერლის ნაწერები არ ძველდება, ყავლი არ გასვლია. იზრდება თაყვანისმცემელთა რიცხვი, რამეთუ ლიაოჭაი აქტი-

ურად ითარგმნება. შანდუნგ-ის უნივერსიტეტში დაარსებულია ფუ სუნგლინ-ის სახელობის ცენტრი, რომელიც შეისწავლის და პოპულარიზაციას უწევს მწერლის შემოქმედებას, მოიძიებს მის ხელნაწერებს. ქ. ძ'პო-ში მოქმედებს მწერლის სახლ-მუზეუმი, რომელიც უამრავ ტურისტს იზიდავს. აქვე 1992 წლიდან მუდმივად იმართება სიმპოზიუმები, მიძღვნილი არამარტო მწერლის შემოქმედებისა და თარგმანებისადმი, არამედ იმ ეპოქის შესწავლისადმი, რომელმაც ესოდენ დიდი მოღვაწის დაბადება განაპირობა.

ჩვენი თარგმანი დაეყრდნო შემდეგ გამოცემებს: პირველია „ლიაოჭაის თხზულებანი საოცრებათა შესახებ“ („ლიაოჭაი ჭი ი“ შანხაი. გამომც. „შანგ უ“ 1930 წ.). მეორე „ლიაოჭაის თხზულებანი საოცრებათა შესახებ“ („ლიაოჭაი ჭ' ი“ შანტუნგ-ი. გამომც. „ნუნგცუნ ტუ უ“ 1992 წ.), ხოლო მესამე — „ჩენ ციუანშენგ-ისეული ლიაოჭაი“ („ჩენ ციუანშენგ ლიაოჭაი“ ლიაონინგ მეიშუ. 2003.). პირველ გამოცემაში მწერლის ორიგინალია დაცული, ხოლო მეორესა და მესამეში — დღევანდელ ჩინურ ენაზე თარგმანი. ჩვენ ეს გამოცემები შევაჯერეთ.

უპირატესად რეალური, ცხოვრებისეული და მასთან შენივთებული ზღაპრულ-ფანტასტიკური, ყოველთვის ბრძნული შინაარსის ნაწერებით ლიაოჭაი-მ, როგორც ითქვა, დიდად გაითქვა სახელი არამარტო თავის სამშობლოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც, თავდაპირველად მახლობელ იაპონიასა, კორეასა, ვიეტნამსა და სხვა აღმოსავლეთ ქვეყნებში, ხოლო XXს. დაწყებული ევროპასა, ამერიკასა და რუსეთში გახდა ცნობილი. ვიმედოვნებთ, ქართულად ამეცყველებული ჩინელი კლასიკოსი შეუერთდება მსოფლიოს დაახლოებით 100 ენაზე თარგმნილ ლიაოჭაი-ს.

ჩვენს თარგმანში მკითხველი ნაკლს რაიმეს თუ შენიშნავს, მორჩილად ვითხოვთ შენდობას და დავიხმართ დიდი წინაპრის, არსენ იყალთოელის სიტყვებს: „თუ სიბნელე რაიმე სადმე, ანუ სიდუხჭირე შესდგამს, იგი ბერძნულსა (*ჩვენს შემთხვევაში-ჩინურსა, მთარგმ.*) შედარებულობისაგან არს და არა ქართულთა სიტყვათა დაშუენებასა ვერმეცნიერობისაგან.“

**ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი, რუსუდან ქუთათელაძე**  
2005-2010 წ.წ. თბილისი

## ქალი სინგ მეთოთხმეტე

### 第十四卷

კუანგფინგ-ის მაზრაში იყო ერთი სწავლული-შეგირდი, გვარად Fენგ-ი. ესე ამბავი მინგ-ის თაობის მეფობის ჟამს მოხდა, ჭენგ ტ'-ს წლებში.

სიჭაბუკიდანვე სწავლულ-შეგირდ Fენგ-ს მსუბუქი ყოფაქცევა სჩვეოდა. ქარაფშუტობით, დარდიმანდობით, აღვირახსნილობით გამოირჩეოდა. ღვინოს ენაფებოდა თავშეუკავებლივ.



ერთ დილას, ადრიანად, შინიდან გასვლა მოუწია. შემოხვდა ნორჩი ქალიშვილი, მხრებზე კვასკვასა ნითელი მოსასხამი მოეგდო. პირმშვენიერი იყო, კენარი, სანდომი. თან ახლდა მსახური პათიკი<sup>2</sup>. დილის ნამს ადგამდნენ ნაბიჯს თვისას. პანია მოხდენილი ფერხთსაცმელი, წინდები, მთლად დაღტობოდათ. სჩანდა იჩქაროდნენ. სწავლულ-შეგირდმა Fენგ-მა იგრძნო, ქალიშვილის სიყვარული ნელი-ნელ გულის სიღრმეში რომ შეეპარა.

სალამოხანს, გვარიანად შემთვრალი, ბარბაცით შინ ბრუნდებოდა. შუაგზად, შარას პირად ამართულ ძველ, მიტოვებულ, ნგრეულ, ხავსმოკიდებულ ბუდას ტაძარს მიადგა. ხედავს, ტაძრიდან მავანი ქალიშვილი გამოვიდა. დააცქერდა. იგი ლამაზმანი ყოფილა, დილით რომ შემოხვდა! ნორჩმა ქალწულმა სწავლულ-შეგირდ Fენგ-ს თვალი რომ ჰკიდა, შეტრიალდა, ტაძარში შებრუნდა.

სწავლულ-შეგირდმა Fენგ-მა გულში გაივლო — რა ამბავია, რარიგ ხდება, ეგე მზეთუნახავი ნგრეულ ტაძარში, სალოცავში ვითარ ბინადრობსო?! აილო, ვირი იქვე დააბა, ალაცაფის კარ წინ. იზრახა, მონასტერს შევალ, ვნახავ ერთი, უცნაური ესე რა ხდებაო.

შევიდა. ხედავს სვეტები მინგრეულ-მონგრეულა, კედლები ჩამოშლილა. ირგვლივ სხვა არა ჩანს რა. ქვის საფეხურებზე ხასხასა, ქორფა მოლი მწვანე ფიანდაზისებრ დაფენილა. ბალახმა სინორჩით მიიპყრო სწავლული-შეგირდი Fენგ-ის ყურადღება. შეყოვნდა. გაიარ-გამოიარა. ჭოჭმანობს. არ უწყის რარიგ მოიქცეს.

ხედავს, ჭარმაგი მოხუცი გამოეგება. ჭალარაშერთული. თავსაბურავი, ტანსაცმელი ფრიად სუფთა, ლაზათიანი მოსავს. ჰკითხავს მომხდურს: „ერთი ეს მიბრძანეთ, საიდან მობრძანებულხართ, სტუმარო-ჩემო?“ სწავლულ-შეგირდმა Fენგ-მა მიუგო: „გზად მიმავალმა შემთხვევით ძველთაძველ ეგე მონასტერს ჩამოვუარე. ვისურვებდი დამდოთ პატივი, აქაურობა დავათვალიერო. ხოლო პატივცემულო მსცოვანო-ბატონო, თავად აქ რარიგ მოხვედრილხართ?“

მსცოვანმა თქვა: „მე, ბერიკაცი ესე, ტალღამ ცხოვრებისა გამომრიცა ამ მხა-

რეს. მომთაბარე ცხოვრებას მივდექ. ერთ ალაგას არ გამაჩნია ბინა-სადგომი. მოველ, საცხოვრისი კი არსადაა. ვიზრახე დედანულიანად მონასტერს შევაფარო თავი დროებით, შევეხიზნო, სული მოვიბრუნო. რაკილა ესოდენ პატივი დამდეთ, მეწვიეთ, კარგი მთის ჩაი მომეპოვება, მოგართმევთ, ღვინის სანაცვლოდ. გიმასპინძლებთ.“

ამ სიტყვებით სწავლული-შეგირდი Fენგ-ი ტაძარში შეინვია. სწავლულ-შეგირდმა Fენგ-მა მიიხედ-მოიხედა. ტაძარს მიღმა ეზოა. კენჭებით მოკირწყლული ბილიკი სისუფთავითა კრიალებს. აღარც ჯვანარია, აღარც გაუსხლავი ხეები, არც ოროვანდი და ბალახ-ბულახი.

შევიდნენ სახლაკში. სწავლული-შეგირდი Fენგ-ი იმავ წამს მიიზიდა სარეცელს ზემოთ ჩამოფარებულ ფარდებიდან გადმოფრქვეულმა სურნელმა ციურმა, ირგვლივ ნისლისებრ რომ ტრიალებდა, აბრუებდა.

დასხდნენ. ბერიკაცმა მაშინვე წარუდგინა თავი: „მე, ბეჩავი, გვარად სინგ-ი გახლავართ.“ სწავლული-შეგირდი Fენგ-ი, ღვინით შეთამამებული, პირდაპირ, დაურიდებლადა ჰკითხავს: „ხმა რამ მომივიდა, ვგონებ, ასულის პატრონი ბრძანდებით, ქალიშვილი გყოლიათ. სჩანს ღირსეული სასიძო ჯერხანად არ მოგიძიებიათ. კადნიერ ვიქნები თქმად, ვისურვებდი თავი ჩემი შემოგთავაზოთ, ხელი მისი გთხოვოთ, რომ იტყვიან, „სარკითა და სადგამითა.“<sup>3</sup>

ხანდაზმულმა შეჰლიმა, მიუგო: „ნება მიბოძეთ, ცოლს, ბებერს ჩემსას, დავეკითხო.“

სწავლულ-შეგირდმა Fენგ-მა მსწრაფლ ითხოვა სანერელი, ფუნჯი. მყისიერად შეთხზა ლექსი:

**„ათას ოქროდაც ვერ მოიძიებ, კვერთხს უძვირფასესს, იეშმისას.  
თუკი ინიუნ-ი ინებებს,  
მე თავადვე, ხელით საკუთართ დავუნაყავ ქვასანაყში,  
შევუზავებ ნამით, პირველთრთვილის,  
ბანგს განვამზადებ.“<sup>4</sup>**

მასპინძელმა მოცინარი სახით გაუწოდა მსახურს ნაწერი.

მალევე შემოვიდა მონა-გოგონა. ბერიკაცს ყურში უჩურჩულა. მოხუცი ზე ნამოდგა. სტუმარსა სთხოვა — მოთმინება იქონიეთ, დამელოდეთო. კრეტსაბმელი ფრთხილად გადასწია. შიდა სადგომში შევიდა. გაისმა საუბარი ბუნდოვანი, ხმადაბალი, ორი-სამი წინადადება ოდენ.

მოხუცი მალე დაბრუნდა. სწავლული-შეგირდი Fენგ-ი ელოდა, უეჭველად კეთილსასურველ ამბავს მაუნყებსო. ბერიკაცი დაბრძანდა. საუბრობს. იცინის. ნიშნობის თაობაზე კრინტიც არ დაუძრავს. სწავლულ-შეგირდ ფენგ-ს მოთმინება გადაეწურა, ველარ ითმინა, გადანყვიტა შეჰკითხოდა:

„რას აპირებთ, ჯერაც არ ფუნყი. გთხოვთ, ჰქენით სიკეთე, ამიხსენით, მითხარით რას ფიქრობს, რას ბრძანებს მეუღლე თქვენი. სიამე მომგვარეთ, ეჭვი, გულს რომ მიღრღნის, განმიფანტეთ.“

სინგ-მა მიუგო: „თქვენ, ბატონო-ჩემო, იშვიათი ესე ადამიანი, განათლებული, სწავლული ბრძანდებით. დიდია ხანი თქვენდამი პატივისცემით განვმსჭვალულ-



ვარ. თუმცა არის ზოგი რამ მოსაზრება, ფიქრი ფარული და იჭვი ჩემი, ვერ გამიბედავს, რომ გაგიმხილოთ. მიჭირს თქმა პირდაპირ.“ სწავლულ-შეგირდმა ფენგ-მა მრავალგზის შესთხოვა.

სინგ-მა თქვა: „მე, რომ იტყვიან, სუსტი სქესისა, ასულის, სულ ცხრამეტის პატრონი გახლავართ. მათგან თორმეტი გათხოვილია უკვე. გაძლოლა ყოველივე საქორწილო წესისამებრ და ჩვეულებისა, გადანყვეტილება, დედაბერს ჩემსას მივანდე. მე, ბებრუხანა, არ ჩავრეულვარ.“

სწავლული-შეგირდი ფენგ-ი უბნობს: „მე, მონა-მორჩილს თქვენსას, მხოლოდ და მხოლოდ იგი მსურს სისხამ დილას ასაკმცირე მსახურის თანხლებით რომ ვიდოდა. დილის ნამს რომ ადგამდა ნაბიჯს თვისას. საითკენლაც რომ იჩქაროდა.“

სინგ-მა არა მიუგო რა. მდუმარენი ისხდნენ ერთიმეორის პირისპირ. ამ დროს შიდა სავანედან ერთი ჭირვეული, წკრიალა, მოჭიკჭიკე ხმა რამ შემოესმა. სწავლული-შეგირდი ფენგ-ი, ნამთვრალევი რომ იყო, შეღვინებული, მით გათამამებული, ეცა კარის კრეტსაბმელს, გადასწია, უბნობს:

„თუკი ცოლ-ქმრობა არ გვინერია, თუკი არ ვქმნილვარ ღირსი იმისა თანამეცხედრე ჩინებული შევიძინო, იმის უფლება მიბოძეთ, ამ მშვენიერი არსების სახეს თვალი მაინც შევაგლო, ვინძლო ხიბლი და ჭმუნვა ჩემი განვიქარვო!“

ოთახში მყოფთ ესმათ შრიალი კრეტსაბმელისა. შიში მიეცათ. ყველანი ზეზე წამოხტნენ. უცნობს უტყვი გაოცებით მიაპყრეს მზერა. სწავლული-შეგირდი ფენგ-ი, როგორც მოელოდა, ხედავს, საშუალ მათსა, მართლაც დგას იგი. მენამულ სამოსელში გამონყობილა. ქორფა, ფუფუნებით მორთულ-მოკაზმული. ფერუმარლით გამშვენებული. სარტყელს კაბისას ხელით ათამაშებს. იეშმის ლამაზ ხისებრ აზიდულა, ნარნარი. უმზერს სწავლულ-შეგირდს. ხედავენ, სწავლული-შეგირდი ფენგ-ი მზადაა ოთახში შეიჭრას. ყველანი დაბნეულან, შეშფოთებულან. სინგ-ი განყრა ძალზე, გაჯავრდა. მსახურთ უბრძანა, სწავლული-შეგირდი ფენგ-ი გაათრიეთ აქედანო.

სწავლული-შეგირდი ფენგ-ი გრძნობს, ძალა ღვინისა ტალღისაებრ აწვება. თავში სცემს შადრევანსავით. დაეცა. ბალახოვანში ჩაეფლო. ქვა, კრამიტი, ნვიმასავითა ცვივა. ბედად ზედ არაფერი დაეცა.

ცოტა ხანში, მწოლარემ, ყური მიუგდო. ესმა, ვირი მისი ჯერაც ბალახსა ძოვს, იცოხნება. აითრია წელი. შეაჯდა ვირს. ვაივაგლახით შინისაკენ გასწია.

ლამე იყო ბნელი. ნისლი ჩამონოლილიყო. გზა აებნა. მთებში, ხეობაში ამოჰყო თავი. ყმუილი მგლისა გაისმის. ჭოტი კივის. გრძნობს, შიშით სული ეყინება. თმა ყალყზე დაუდგა. გაიხედ-გამოიხედა. ოთხივ მხარეს თვალი მიმოავლო. ალაგი უცნობია. შორით, უღრან ტყეში შუქი რამ ციმციმებს. გაიფიქრა, სოფელია ალბათ, მახლობლადო. ვირს მათრახი გადაუჭირა, იქითკენ მოჰქუსლა. ლამეს გავათევო.

თავი ააღო. ზედ თვალწინ კარიბჭეა მალალი. მათრახის ტარით მიარაკუნა. კარს მიღმა მავანი ჰკითხავს:

„ვინა ბრძანდებით, ყმანვილო, ამ შუალამით აქ რამ მოგიყვანათ?“ სწავლულ-შეგირდმა ფენგ-მა მიუგო: „გზააბნეული გახლავართ.“

იგი უბნობს: „მოითმინეთ, ბატონს მოვახსენებ.“

სწავლულ-შეგირდმა ფენგ-მა კისერი წაიგრძელა, დაბეჯითებით ელოდება. უეცრივ კარიბჭის ურდულის ღრჭიალი ესმა. მსახურნი გამოვიდნენ. ერთმა ახ-

მასმა, ზორბა მსახურმა სტუმარს ვირი ჩამოართვა, ხელმკლავით წაიყვანა. შევიდა რა სწავლული-შეგირდი **ჩენგ-ი**, ხედავს, სახლია ბრწყინვალე. დარბაზში შუქი კაშკაშებს. ცეცხლი ეღვარებს, როგორც გინახავს დღისით, მზისით. ჩამოჯდა. მოლოდინი დაიჭირა. შემოვიდა მავანი ქალი. სტუმარს გვარ-სახელი გამოჰკითხა. სწავლულ-შეგირდმა **ჩენგ-მა** პასუხი მიუგო. არ გასულიყო დიდი დრო, რამდენიმე მონა-გოგონამ ხელმკლავით შემოაბრძანა ქალბატონი ხანდაზმული.

„ქალბატონი-მბრძანებელი მობრძანდა!“, იყო თქმული.

სწავლული-შეგირდი ზე აღდგა, კეთილკრძალულებით, რიდით დააპირა თავი დაეკრა. დედაბერმა ეგე შეაჩერა. დაბრძანება უბრძანა.

„**ჩენგ იუნგძ'**-ის შვილიშვილი არა ბრძანდებით განა?“ იკითხა მან.

„დიალ! სწორედ რომ ასეა!“ მიუგო სწავლულ-შეგირდმა **ჩენგ-მა**.

დედაბერი უბნობს: „ესე იგი დედაშენის მხრით შთამომავლად, ძმისწულად მერგები. მოვხუცებულვარ, სიბერემონვენული გახლავარ. ვამთავრებ სიცოცხლეს. რომ იტყვიან, „სანთელს ნიავი რომ მიანავლებს, წლებს უკანასკნელთ მივითვლი.“ რახანია ჩემს სისხლსა და ხორცთაგანთან<sup>5</sup> მისვლა-მოსვლა აღარა მქონია, დავშორებულვარ!“



სწავლულ-შეგირდმა **ჩენგ-მა** თქვა: „ჯერ კიდევ ბავშვობისას დავკარგე, როგორც იტყვიან, ბურჯი ჩემი იმედისა.<sup>6</sup> პაპაჩემთან ვინც მაკავშირებს, ნათალსაც<sup>7</sup> კი აღარ ვიცნობ. აი, არც თქვენთან შეხვედრის პატივი მქონია ოდესმე. მთელი გულითა გთხოვთ, გეთაყვა, მიბრძანეთ გარკვეულად, რარიგ მოგმართოთ?“

თავად შეიტყობ — თქვა დედაბერმა.

სწავლული-შეგირდი **ჩენგ-ი** დაიბნა. ველარ გაბედა ჩაძიებოდა მეტად. ზის მის პირისპირ ფერმიხდილი. ბუნ-

დად რალაცის გახსენებასა ლამობს, ფიქრში ჩაძირულა. დედაბერი ჰკითხავს: „ძმისწულო, მითხარ, გეთაყვა, რომელ ქარს მოუტანისათ ამ შუალამით?“

სწავლულ-შეგირდი **ჩენგ-ი** მთელი სიცოცხლე თავს იწონებდა, სიმამაცით, თავდაჯერებით ტოლი არ გამაჩნიაო. ამიტომ იყო გაკადნიერდა, იმ დღის თავგადასავალი თავიდან ბოლომდე, დაწვრილებით მიუთხრო.

დედაბერი იცინის, უბნობს:

„ეგოდენ ჩინებული ესე ამბავი მომხდარა. მით უფრო, ძმისწულო ჩემო, მინგ შ<sup>8</sup>-ი რომ ბრძანდებით, გვარეულობით თქვენით არ ჩამოუვარდებით საპატარძლოს. უფლება ვინ მისცა ვილაც უბირ, ველურ მელი-მაქციას, შენზედ თავი აღიმადლოს, ზემოდან დაგყუროს? შენ, ჩემო ძმისწულო-ბატონო, არა იღელვო რა, მე დაგეხმარები, მე მოვაგვარებ ყოველივეს. აქ თავად მოგგვრი.“

სწავლულ-შეგირდმა **ჩენგ-მა** გამოთქვა მადლიერება თვისი. თქვა: „კეთილი, კეთილი!“



დედაბერმა მოახლეთ მიაპყრო თვალთა ისარი, უბნობს:

„არც კი ვუწყოდი, სინგ-ის ოჯახში ეგოდენ ამაყი და ულამაზესი ქალწული თუ იზრდებოდა!“

მონა-გოგონამ მიუგო: „ცხრამეტი ქალიშვილის პატრონი გახლავთ. თითოეული ფერიასა ჰგავს. მოხდენილნი, ნაზი, სიფრიფანანი არიან. ერთი კი არ ვუწყი, რიგით რომლის დანიშვნას ინებებდა ბატონი მოხელე?“

სწავლულ-შეგირდმა ფენგ-მა უპასუხა: „თხუთმეტიოდენ წლისა რომ არის, ან ცოტა მეტიცა, იმას.“

მონა-გოგონამ თქვა:

„რიგით მეთოთხმეტე გახლავთ იგი! მესამე თვეში, ქალბატონო-მბრძანებელო, დაბადების დღის მოსალოცად დედასთან ერთად რომ გეახლათ, დღეგრძელობა რომ გისურვათ. ეს რარიგ მოხდა, ქალბატონო-მბრძანებელო, ნუთუ მთლადაც დაგვიწყნიათ?!“

დედაბერმა გაიცინა, უბნობს: „იგი ხომ არაა, სქელლანჩიან ფერხთსამოსს რომ ხმარობს, ლანჩებზედ რომ ამოუტვიფრავს ყვავილი ლოტოსისა, რომ ამოუვსია სურნელოვან ყვავილთა მჭკნარი ფურცლებით. სიფრიფანა, მჭვირვალე მანდილ-ით შებურული პირისახით რომ დარონინებს? იგია, ხომ?“

„სწორედ ის გახლავთ, როგორ არა“, მიუგო მონა-გოგონამ.

კვლავ დედაბერი უბნობს: „ამ გოგოს, ამ კუპაჭიას<sup>9</sup> ამას, მოსდგამს უნარი, ხან ერთი ჩინებული სამოსი მოირგოს, ხან მეორე, პრანჭიაობდეს, კეკლუცობდეს. ისე კი, სიმართლე რომ ითქვას, ტურფაა, მხიბლავი რამ არსებაა, ჭეშმარიტად. ძველთაძველ ლექსში რომაა თქმული „განმარტოებულთა და მოკრძალებულთა“. ღირსეული ქალწულია. შენ კი, ძვირფასო ძმისწულო ჩემო, გემოვნება არ გქონია ურიგო, რაკილა კეთილმოსურნე თვალთ მიგიპყრია ყურადღება შენი.“ შინამოსამსახურე დაემორჩილა. წავიდა.

მალიად შემობრუნდა, მოახსენა: „სინგ-ის ოჯახის მეთოთხმეტე ქალიშვილს უხმეს. აქაა უკვე!“

და ყოველმა იხილა მენამულ სამოსით მორთული ქალწული. პირდაპირ მოხუცისაკენ გაემართა. მუხლი მოიდრიკა. მდაბლა დაუკრა თავი. დედაბერმა წამოაყენა. თქვა: „მერმისში შეიქნები მეუღლე ჩემი ძმისწულისა. აი, მაშინ კი აღარ გეგების თავი აგრერიგ მდაბლა დამიკრა, ისე, ვითარცა გასათხოვარ ქალიშვილებს მართებთ.“

ქალიშვილი წელში გაიმართა. დგას, ვითარცა ხე იეშმისა, ატყორცნილი, მოხდენილი, კისკასი. მოქნილი, კენარი სხეულის ორთავ მხარეს წითელი კაბის უგრძესი სახელოები ჩამოუშვია<sup>10</sup>. დედაბერმა მიუალერსა. თმა-დალალი ფრთხილად შეუსწორა. საყურეებს შეახო ხელი. ჰკითხავს: „მეთოთხმეტევე, რასა იქმოდი ამ ბოლო ხანს, ქალთა სასუფეველში რითა საქმობდი?“ ქალიშვილმა, თავჩაქინდრულმა, დანელებული ხმით გასცა პასუხი: „ვუქმობდი. ვქარგავდი ოდენ.“ ამ სიტყვებით შებრუნდა, თვალი მოჰკრა სწავლულ-შეგირდ ფენგ-ს, მყის დაიმორცხვა, უხერხულობაში ჩავარდა.

მონა-გოგონას უბრძანა: „გაგზავნე მონა მელი-მაქცია, მოუხმოს ქალიშვილს ესე!“

დედაბერმა თქვა: „ეგე ძმისწული გახლავს ჩემი. დედის მხრით ნათესავია.“

მთელი თავისი სულითა და გულით სწადია, ასე ვთქვათ, მეუღლეობა გაგინოს. მამ გეკითხები, რალატომ შეიქნა საჭირო, მისთვის გზა-კვალი რომ აგებნია? მთელს ღამეს უგზო-უკვლოდ ხევ-ხუევებში რალატომ ახეტიალე?“

ქალიშვილმა ჩაჰქინდრა თავი. ხმა გაკმინდა.

დედაბერი კვლავ უბნობს: „მოგიხმე. სხვა არა მსურს გარნა ძმისწულის, ასე ვთქვათ, მაშვალი ვიქნე.“

ქალიშვილი კვლავაც დუმს, სიტყვას არა ძრავს.

დედაბერმა მონა-გოგონებს უბრძანა, საძინებელი ოთახი დაალაგეთ, სარეცელი განმინდეთ-გაასუფთავეთ, ლოგინი, ქვეშაგები გაშალეთ, შეუმზადეთ ფილა საქორწინო. ორივენი შესაუფლებლად განამზადეთო. ქალწულს ღანვები შეეფაკლა, წამოჭარხლდა, თქვა: „ვალდებული ვარ შინ დავბრუნდე, მშობლებს მოვახსენო.“

დედაბერი ბრძანებს: „ყური მიგდე. მე, ასე ვთქვათ, მაშვალი გახლავარ შენი. გაუგებრობა, შეცდომა განა რარიგ შეიძლება მოხდეს.“ ქალიშვილი უბნობს: „ცხადია, სიტყვა დედუფალ-მბრძანებელისა კანონია ჩემთვის. ჩემი მშობლებიც ვითარ შემოგბედავენ უარს. და მაინც, ასე, ზეიმის გარეშე, ნაუცბათევად, ჰაიჰარად ქორწინება, სიკვდილიმც მექადნებოდეს, ვერ გავბედავ დავეყვებ ბრძანებას თქვენსას!“

დედაბერი იცინის, უბნობს: „ერთი ამას დამიხედეთ! პანია ქალია, ხოლო რარიგ ამაყი ყოფილა! უფროსობასაც არ უხრის ქედს, არ ემორჩილება. ძმისწულის ჩემისათვის ღირსეული საცოლვა, ჭეშმარიტად.“

ასე და ამგვარად დედაბერმა ქალიშვილის თმის ვარცხნილობას ამოარიდა ოქროს სარჭი ერთი, ყვავილით შემკული. მიუპყრა სწავლულ-შეგირდ ფენგ-ს. ურჩია, შინ დაბრუნდი. გადაფურცლე კალენდარი, იმარჩიელე. ბედნიერ, ხელსაყრელ, კეთილსასურველ დღეს<sup>11</sup> მიაკვლიე. იმ დღით დანიშნეო ქორწილი. მონა-ქალებს უბრძანა, გააცილეთ მეთოთხმეტეო.

ამ დროს შორით მამლის ყივილიც გაისმა. დედაბერმა კაცი გაგზავნა, უბრძანა აღკაზმვა ვირისა. სწავლულ-შეგირდ ფენგ-ს გზა მიუთითეთ, შინ გაისტუმრეთო.

სწავლულ-შეგირდ ფენგ-ს არ გაეველო ორიოდ ეჯი, მიიხედა უკან, რას ხედავს-არც სოფელია, აღარც სახლები. ყოველივე უჩინო ქმნილა. ირგვლივ ტყეა უღრანი ოდენ. ნაძვებქვეშ, ველურ აკაციათა შორის, ხშირ, გაბურდულ ბალახ-ბულახს დაეფარა მთლად არემარე, ორი-სამი ტაგრუცი<sup>12</sup> რამ ამოშვერილა აქ-იქ. არაფერია სხვა. უკუნია გარშემო.

სწავლულ-შეგირდმა ფენგ-მა ძლივს მოიბრუნა სული. თავში ფიქრები დაუტრიალდა. გულმოდგინებით იხსენებს. საფლავი ესე მაღალჩინოსან სახელმწიფო მოხელის, სიუე სი-სა უნდა იყოს. ბატონი სიუე სწავლულ-შეგირდ ფენგ-ის ბებიას უმცროს ძმად ერგებოდა. დედაბერი სწავლულ-შეგირდ ფენგ-ს ტყუილუბრალოდ ხომ არ უხმობდა ძმისწულს. გულის სიღრმეში კი მიხვედრილიყო კუი-ს<sup>13</sup> რომ გადაჰყროდა. ხოლო ის მაინც ვერა და ვერ გაეგო, ამ ყველაფერთან მეთოთხმეტეს რა ესაქმებოდა, ის ვინლა ბრძანდებოდა. შინისაკენ მიმავალი ვერ დამშვიდებულიყო, სული აფორიაქებოდა, მღელვარებას შეეპყრო.

შინ დაბრუნებულმა ნება-უნებურად კალენდარს გადაავლო თვალი ზერელედ. მარჩიელობას შეუდგა. უახლოეს ბედნიერ დღესაც მიაგნო. უნებლიეთ მომლოდნელ შეიქნა. თუმც ზოგჯერ იჭვიც ნაიღებდა-კუი-ს ნდობა რარიგ შეიძლებაო.

კვლავ გაეშურა იმ ადგილთა, მონასტრის მოსანახულებლად. უკაცრიელი იყო მიდამო. არავინ ჭაჭანებდა. არც სულები ჩანდნენ, არცა ნაშიერი ადამიანისა.

ახლომახლო მოსახლეთა შორის გაიკითხ-გამოიკითხა. უბნობდნენ, საყდარში მელისთვის ხშირად მოგვიკრავს თვალი. შევა, გამოვა, შევა, გამოვაო.

სწავლულ-შეგირდმა Fენგ-მა გაიფიქრა: „მზეთუნახავი ეგე ერთი ხელში ჩამაგ-დებინა და, ჯანდაბას, თუნდც მელი-მაქცია იქნეს.“

სწავლულ-შეგირდი Fენგ-ის შერჩეული კეთილსაიმედო დღეც მოდგა. სწავლულ-შეგირდმა ფენგ-მა ყოველი შემთხვევისათვის ბინა მიალაგ-მოალაგა. სახლისაკენ მიმავალი ბილიკი დაგავა-მოაკალიფა. მსახურთ უბრძანა, კარ-მიდამოში, ჭიშკრის გადაღმა იდარაჯეთო. შუალამემდე ელოდა. არაფერი მომხდარა. ხმა არსაიდან ისმოდა. ის-ის იყო იმედი დაეშრიტა, რომ ანაზღად კარს მიღმა ხმაური რამ შემოესმა.

ფოსტლებში ფეხის ჩაყოფა ძლივსლა მოასწრო, კისრისტეხით გაიჭრა გარეთ, მოდი, ვნახავ ერთი, რა ხდებოაო.

დახეთ! ძვირფასი, მორთულ-მოკაზმული, მოჩარდახებული ტახტრევანდი შემოუტანიათ ეზოში. ამა მოაბაში ჩაბრძანებულა შიმუნვარი ორი<sup>14</sup> მეთოთხმეტეს აქეთ-იქედან ხელს აშველებენ. მწვანე ოთახისაკენ<sup>15</sup> მიუძღვებიან.

მზითვის ყუთებსა და სკივრთა შორის ნივთეულობა, სჩანდა, არაფერი იყო ზედმეტი. ორად-ორ მებარგულეს, გრძელწვეროსანს, ქედს უღელი ადგათ, ზედ თიხის უშველებელი ჭურჭელი, ყულაბა რამ შემოუდგამთ. ტვირთი მხრებიდან ჩამოიხსნეს. სასტუმრო პალატის კუთხეში დადგეს.

სწავლულ-შეგირდ Fენგ-ს იმ ზომამდე უხაროდა მზეთუნახავის ცოლად მოყვანა, თავში აზრადაც არ მოსვლია, იჭვადაც არ გაუვლია, საცოლუე სხვა მოდგმისა, სხვა ჯიშისა და ჯილაგისა თუ იყო.

ერთხელაც ქალს, სხვათა შორისა ჰკითხავს: „ეს რარიგად ხდება, იგი ერთი ვინმე კუი რომ ბრძანდება, ხოლო ოჯახი თქვენი აგრერიგ მონა-მორჩილია მისი?“

მეთოთხმეტემ მიუგო: „სახელმწიფო მოხელე სიუე, შანშუ-ს<sup>16</sup> ხარისხის მფლობელია. ან უკვე ხუთივე დედაქალაქის ოლქს განაგებს. რამდენიმე ასეული ლი-ს<sup>17</sup> საზღვრებში ყველა ეშმაკეული-კუი, ყველა მელი-მაქცია, სუყველა სული, კეთილიცა და ბოროტიც, მას მორჩილებს, მას მსახურებს. ხშირად როდი უწევს საფლავს საკუთარს დაბრუნება.“

სწავლულ-შეგირდ Fენგ-ს არ დავიწყნია, ასე ვთქვათ, თუ ვინ უშუამავლა, თუ ვინ იყო მაჭანკალი მისი. მეორე დღესვე საფლავს მისას მიეახლა. სული მისი მოიხსენია. შესწირა მსხვერპლი. შინ რომ დაბრუნდა, ხედავს, ორ ახალგაზრდა მონაქალს საქორწინო საჩუქარი, მოსალოცი ძღვენი მოურთმევია. ფარჩის რამ ქსოვილია, ნაქარგით ლოკოკინის ნიჭარისებურით<sup>18</sup>. ტაბლაზე დადეს ესე ყოველივე. ნავიდნენ.

სწავლულ-შეგირდმა Fენგ-მა ესე ამბავი მეთოთხმეტეს მოახსენა. მან დახედა, თქვა: „დიდი ქალბატონ-მბრძანებელის საბოძვარია ესე!“

იმავე მაზრაში ცხოვრობდა ერთი გვაროვნებით წარჩინებული, დაფასებული, კეთილშობილი, „ვერცხლის აივნის“<sup>19</sup> წოდების მფლობელი. გვარად იყო ჩუ. ჰყავდა თავადს ვაჟიშვილი. ბავშვობიდანვე Fენგ-ის ტუშისა და ფუნჯის მეგობარი<sup>20</sup> გახლდათ. ძალზე, ძმებსავით, მახლობლობდნენ. შეიტყო, ცოლად ქალბატონი-

მელი შეირთო სწავლულ-შეგირდმა Fენგ-მაო. ქორწილის მესამე დღეს საჩუქრები გამოუგზავნა. მერე თვითონაც ეახლა სტუმრად. ღვინით სავსე სასმისი ასწია, მიულოცა.

ამას ზეით რამდენსამე დღეში თავადიშვილ ჩუ-ს მიწვევა მოვიდა, ჩაუკეცა მოსაწვევი ბარათი<sup>21</sup>. სთხოვდა, სანადიმოდ მენვიყო. მეთოთხმეტემ რომ შეიტყო ესე ამბავი, სწავლულ-შეგირდ Fენგ-ს ეუბნება: „იმ დღეს, თავადიშვილი რომ გვენვია, კედელში ჭუჭრუტანა<sup>22</sup> გავჩვრიტე, შევიჭვრიტე. ვიხილე, თვალები მიუგავს დიდ მაიმუნს, ცხვირი- ძერას. კაცთან ამგვართან დიდი ხნით მეგობრობა არ შეიძლება. სჯობდეს ნუ წახვალ!“

სწავლულ-შეგირდმა Fენგ-მა პირობა აღუთქვა. მეორე დღეს თავადიშვილი თავად ეახლა. უსაყვედურა სწავლულ-შეგირდ Fენგ-ს. მოსთხოვა პასუხი, შეხვედრა რად აირიდე, თავს ღალატის, სიტყვის გატეხვის უფლება რად მიეციო. თან მეგობარს რამდენიმე ახალმეთხზული ლექსი მიართვა. სწავლულ-შეგირდმა Fენგ-მა წაიკითხა. მსჯელობისას იკადრა მეგობრის შემოქმედების, თხზულების მისი გაქილიკება, აბუჩად აიგდო. თავადიშვილმა ჩუ-მ დაიმორცხვა, თავი უხერხულად იგრძნო. დამდურებულნი, გულგრილად დაშორდნენ ერთმანეთს.

სწავლული-შეგირდი Fენგ-ი ბინაში შებრუნდა. ყოველივე ესე საძინებელ ოთახში მეთოთხმეტეს სიცილ-ხუმრობით უამბო. შეწუხდა მეთოთხმეტე, აიმრიზა. წარბშესკვნითა თქვა: „თავადიშვილი ეგე ტურა-მგელია. ხუმრობა კაცთან ასეთთან არ გიღირს. არ მიჯერებ და უბედურებას უნდა ელოდო!“ სწავლულ-შეგირდმა Fენგ-მა კვლავ სიცილით მოახსენა მადლი, ბოდიში მოუხადა.

მას აქეთ სწავლული-შეგირდი Fენგ-ი და თავადიშვილი ჩუ ხშირად ხვდებოდნენ ერთიმეორეს, თავს იქცევდნენ, დროს ატარებდნენ. სწავლული-შეგირდი Fენგ-ი ეპირფერებოდა, კვერს უკრავდა. უწინდელი უხერხულობა ნელი-ნელ თითქოს გაქრაო.

სწორედ იმხანად დედაქალაქიდან ჩამობრძანდა წარჩინებული მოხელე, სახელმწიფო გამოცდებს ჩაუდგა სათავეში. თავადიშვილმა ჩუ-მ პირველი ადგილი დაისაკუთრა, სწავლულ-შეგირდმა Fენგ-მა-მეორე. თავადიშვილი ჩუ უაღრესად კმაყოფილი ბრძანდებოდა, ზეიმობდა, ამპარტავნებდა, ქედმაღლობდა. სწავლულ-შეგირდ Fენგ-თან მსახური აფრინა-ვიქეიფოთ, დავლიოთო. სწავლული-შეგირდი Fენგ-ი თავგამოდებით უარობდა. თავადიშვილმა ჩუ-მ რამდენჯერმე დაჟინებით მიიწვია. ბოლოს და ბოლოს სწავლული-შეგირდი Fენგ-ი მივიდა. რომ ეახლა, მამინლა შეიტყო-ჩუ-ს დაბადების დღე არ ყოფილა?! პალატი სტუმრებს გაეცხო. სუფრა გაეშალათ ფრიად ხელგამლით. თავადიშვილმა ჩუ-მ გამოიტანა საკუთარი თხზულება, ქეძიუ-ს გამოცდაზე რომ წარედგინა, ისა. სწავლულ Fენგ-ს უჩვენა. მეგობარ-ახლობლებმა თავი მოიყარეს, მოგროვდნენ, კითხულობენ, ხოტბას შესძღვნიან, ქებას ასხამენ. წრე ღვინისა რამდენჯერმე დატრიალდა<sup>23</sup>. მემუხიკეთა დასმა, ქვემოთ რომ ისხდნენ, ინყო მუსიკობა. დოლების ხმა სალამურისას შეერია. იდგა ერთი ჟრიამული. სტუმრებმაც და მასპინძელმაც ფრიად და ფრიად მოილხინეს.

მოულოდნელად თავადიშვილი ჩუ სწავლულ-შეგირდ Fენგ-ს მიუბრუნდა, თქვა: „ხომ იცი, არსებობს ანდაზა ესე: „საგამოცდო თხზულებას ნაწერის ღირსებათა შესატყვისად ნუ განსჯი...“<sup>24</sup> ახლალა მივხვდი, მცდარია აზრი ესე. მრცხვენის

თქმა, ხოლო შენზე აღმატებულ ადგილს დავეუფლე, ეს შეეძებლ მიტომ, თხზულებას ჩემსას რომ წავუმძღვარე ორიოდ პნკარი, იმგვარი, დონეს შენი თხზულებისას სულ ორიოდ ნაბიჯით რომ აღემატა!“ როგორც კი დაასრულა თავადიშვილმა ჩუ-მ სიტყვა თვისი, უმაღლ ერთხმად გაისმა შეძახილები ქება-დიდებისა. სწავლულ-შეგირდმა ფენგ-მა, გვარიანად შეზარხოშებული რომ ბრძანდებოდა, მოთმინება იოლად რომ დანრეტოდა, ველარ შეიკავა თავი, გადაიხარხარა, უბნობს:

„როგორ? ნუთუ დღემდე მიგაჩნიათ, ბატონო-ჩემო, პირველი ადგილი დაიმსახურეთ თხზულების თქვენის ღირსებათა გამო?“

სწავლულ-შეგირდმა ფენგ-მა თქვა და ყველამ, იქ ვინც იყო, სახეზე ფერი დაჰკარგა, გაფითრდნენ. თავადიშვილი ჩუ უხერხულობაში ჩავარდა. სუნთქვა შეეკრა, გაქვავდა. ამ ამბის შემსწრე სტუმრები შეუმჩნევლად, ერთიმეორის მიყოლებით ჩუმჩუმად გაიძურნნენ. სწავლული-შეგირდი ფენგ-იც, მასპინძელს არ გამოთხოვებია, ფეხაკრეფით გაიპარა.

რომ გამოფხიზლდა, სწავლულ-შეგირდმა ფენგ-მა ინანა ძლიერ საქციელი თვისი. რაც იყო და როგორც იყო, ყოველივე მეთოთხმეტეს უამბო. ქალმა მისმა მოიწყინა, დაიღვრიმა, სახით კუშტით მიუგო: „გეტყვი გულახდით. ხეპრე იყავ და ხეპრედვე დარჩი! წინდაუხედავად, უგუნურად, ქარაფშუტულად იქცევი. უდიერად რომ მოეპყრობი დიდგვაროვანთ, დიდკაცებს, ზნეობასაც, ღირსებასაც დაჰკარგავ, ზარალსაც სულიერს, აუნაზღაურებელს, დაიტეხ თავს. ხოლო თუკი დაუდევრად მოეპყრობი წვრილფეხობას, კაცუნას, სხეულს საკუთარს ჩაჰკლავ, თავადვე მოიწევ სიკვდილს. უწყოდეთ, ბატონო-ჩემო, უბედურება შორს აღარაა! მე არ ძალმიძს დაცემას თქვენსას გავუმკლავდე. ვერ ვიშწევ, ვერ ავიტან. სჯობს ახლავე დავცილდეთ ერთურთს!“

სწავლული-შეგირდი ფენგ-ი ამბავმა განშორებისა დააფრთხო. ცრემლსაღვრიდა, ინანიებდა დანაშაულს.

უთხრა მას ქალმა: „თუკი გსურს დავრჩე შენთან, შევთანხმდეთ. ამიერიდან, დღეის იქეთ, კარს გამოჰკეტავ, შინ იჯდები, არსად გახვალ. ძმაკაცებთან, თანამეინახებთან კავშირებს განწყვეტ. ლოთობას ბოლოს მოუღებ!“ სწავლულ-შეგირდმა ფენგ-მა მოკრძალებით შეისმინა რჩევა-დარიგება, ბრძანება ესე.

მეთოთხმეტეს თადარიგი სჩვეოდა. ხელმომჭირნე, გამრჯელი, წესრიგის მოყვარე ქალი იყო. არც წვრილმანობას იჩენდა.. დღენიადაგ შრომობდა, თავჩაღუნული მუშაობდა, ართავდა, ფეიქრობდა. დრო და დრო სტუმრობდა დედ-მამის ოჯახს, მშობელთა დასამშვიდებლად<sup>25</sup>. ხოლო საკუთარ სახლს მიღმა ღამე არასოდეს გაუთეგია. ვაჭრობაც ემარჯვებოდა. ხშირ-ხშირად გაჰქონდა ოქროულობა, ვერცხლი, ქსოვილები ოჯახის სარჩენად. მოგებას რასმე თუკი ნახავდა, ფულს ყულაბაში ინახავდა, ამატებდა. მავანი და მავანი თუკი მოულოდნელად, უდროო დროს ეწვეოდა, კარს შეიკეტავდა, მსახურს ავალებდა-თავაზიანად უარით გაისტუმრეო.

მეორე დღეს თავადიშვილმა ჩუ-მ ცხენოსანი მსახურის ხელით უსტარი საქარო გამოუგზავნა. მეთოთხმეტემ აიღო, უჩუმრად დაწვა ბარათი, სწავლულ-შეგირდი ფენგ-ს რომ არ ენახა. მომდევნო დღეს სწავლული-შეგირდი ფენგ-ი ქალაქიდან მიდოდაგარდაცვლილი მეგობრის სულის მოსახსენიებლად, წესის ასაგებად. სწორედ იქ, მიცვალებულის ოჯახში, შემოხვდა თავადიშვილი ჩუ. თავადმა ჩუ-მ მკლავში ხელი ჩაავლო, შემოუჩინდა, გეპატიჟები, მენვიეო. სწავლული-შეგირდი ფენგ-ი მტ-



კიცი უარს იყო. მაშინ თავადიშვილმა ჩუ-მ თავის მეჯინიბეს უბრძანა, სწავლულ-შეგირდ Fენგ-ს აღვირით მოჰგვარე ცხენიო, უეცრივ, მოულოდნელად გაიტაცეს, წაიყვანეს საქეიფოდ.

როგორც კი მიბრძანდნენ თავადიშვილი ჩუ-ს ოჯახში, სასწრაფოდ ბრძანა-სუფრა გაშალეთო. „დანმენდილი, გამობდილი, მაგარი“<sup>26</sup> მოართვეს. სწავლული-შეგირდი Fენგ-ი უარზე იდგა. გამოთხოვებას დამშვიდობებას ლამობდა. ენადა წასვლა. ხოლო თავადიშვილი ჩუ ასეც ცდილობს, ისეც ცდილობს ძალით დატოვოს. იმავე წამს მოუხბო შინაურ წი-როსკიპებს, მუსიკობა გაგვიმართეთო. მემუსიკეთა დასმა იწყო დაკვრა, ჭენგ-ს<sup>27</sup> ჩამოჰკრეს.

სწავლული-შეგირდი Fენგ-ი ისეც დარდიმანდი, თავდაუჭერელი ხასიათისა ბრძანდებოდა. გამუდმებით შინ რომ გამოკეტილიყო, დარდი და ნაღველი რომ შემოსწოლოდა, სალალობო და გასართობი რომ მონატრებოდა, ახლა კი მოულოდნელად შემთხვევა ბედნიერი ხელში ჩავარდნოდა! თავდავინწყებას მიეცა. სვა და სვა. დაღვევას რომ შეუდგა, რალა შეაჩერებდა, გადაჰკრა და გადაჰყულურნა. მერე და მერე პირობაც თვისი გადაივიწყა. გამოთვრა, გამოიბრუჟა. ნამოიდლარდა, თავი მაგიდაზე დადო, დაიძინა.

თავადიშვილი ჩუ-ს ცოლს, გვარად იუენ-ი რომ იყო, ანჩხლი, კაპასი ქალის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ეჭვიანიც ბრძანდებოდა იმგვარი, იშვიათად რომ შეხვდება კაცი. მოახლენი, ხარჭები, შიშით ფერუმარილის მოხმარებასაც ვერა ბე-დავდნენ.

ჯერ კიდევ წინდლით პირისფარეში ერთი თავადიშვილის სამეცადინო ოთახში შესულიყო. იუენ-ს თვალი მოეკრა. ისე ჩაეცხო კომბალი, თავი გახეთქოდა. პირის-ფარეშს წამშივე სული გაეცხო.

უნინდელი შეურაცხყოფის, დაცინვისა გამო თავადიშვილი ჩუ გონს ჯერაც ვერ მოსულიყო. ფიქრი შურისძიებისა დღე და ღამ თავში უტრიალებდა. მოსვენება დაჰკარგვოდა. იზრახა, სწავლულ-შეგირდი Fენგ-ი ამჯერად დაეთრო, გარყვნილე-ბაში დაედო ბრალი.

ვიდრე სწავლულ-შეგირდ Fენგ-ს ეძინა, ოთახში სარეცელი შეათრია. სარე-ცელზე დაასვენა ცხედარი. კარი გაიხურა. გაეცალა იქაურობას.

მეხუთე გუშაგობის ჟამს<sup>28</sup> სწავლული-შეგირდი Fენგ-ი გამოფხიზლდა, გა-მოიღვიძა. ხედავს, მაგიდაზე გაშხლართულა. ზეზე წამოდგა. ქვეშაგებს, ტახტს დაუნყო ძებნა. ხედავს ფეხქვეშ ლიპია, რბილია რალაც. ფეხი დაუცდა. ხელი გაი-წოდა, შეეხო. სულდგმულია. გაიფიქრა, უთუოდ მასპინძელმა მოახლე-გოგოს უბრ-ძანა ჩემთან გაეთია ღამე, ჩემთან დანოლილიყო, მომმსახურებოდაო. ფეხი ნაჰკრა. სხეული არც გატოკებულა, წევს გამოტილი.

ელდა ეცა. კარში გაიჭრა. ღრიალებს თავზარდაცემული. ხელად გამოცვივდ-ნენ მსახურნი. ჭრაქი აანთეს. ხედავენ, ცხედარი გდია. ეცნენ, ხელი სტაცეს სწავ-ლულ-შეგირდ Fენგ-ს. ლანძღავენ, აგინებენ. გამობრძანდა თავადიშვილი ჩუ. თვალთმაქცურად, მოჩვენებითად მიავლ-მოავლო თვალი იქაურობას. სწავლულ-შეგირდ Fენგ-ს მკვლელობაში დასდო ბრალი. ნამუსის ახდა გენადა, ვერ შესძელ და მოახლე-გოგო სიცოცხლეს გამოასალმეო. გაკოჭეს სწავლული-შეგირდი Fენგ-ი. ქალაქ კუანგფინგ-ის იამენ-ისაკენ გზას გაუყენეს.

ერთი დღე-ღამე რომ ჩათავდა მეთოთხმეტემ მაშინდა შეიტყო ყოველივე ესე.

მწარედ ატირდა. თქვა:

„რახანია ვუნყოფი, დამიდგებოდა დღე ესე!“

სწავლულ-შეგირდ ფენგ-ს სატუსალოში ყოველდღე ფულს უგზავნიდა, პატიმრის საჭიროებისათვის, მოსახმარად.

სწავლულ-შეგირდმა ფენგ-მა სიმართლის დასადგენად, უბედურების ასარიდებლად თავი ვერაფრით იმართლა. ყოველ ცისმარე დღეს აწამებდნენ, ჯოხითა სცემდნენ, ბეგვავდნენ. სხეულზე ერთი ციდა ადგილიც არ დაურჩა მრთელი. ტყავი გაყვლეფოდა, ძვლები უჩანდა.

ცოლმა ხერხი ყოველი იღონა, ქმარი რომ მოენახულებინა, ამბავი გამოეკითხა. ხოლო უბედურებას, გულისტკენას იმგვარად აღევსო სწავლული-შეგირდი ფენგ-ი, სიტყვაც ვერ დაძრა.

მიხვდა მეთოთხმეტე, უბედურებას ხარო<sup>29</sup> მეტად ღრმად გაეთხარა. სწავლული-შეგირდი ფენგ-ი ხაფანგს თავს ვერა და ვერ დააღწევდა. დაბეჯითებით სთხოვა, ჯერხანად აღიარე დანაშაული, განაჩენს დაემორჩილე, ეგებ გვემა, ცემა-ტყეპა მაინც აიცდინოო. სწავლული-შეგირდი ფენგ-ი ატირდა. უსმინა რჩევა-დარიგებას ცოლისა, ვითარცა ბრძანებას. ვაი-ვაგლახით დაჰყვა ბედისწერას.

ვიდრე მეთოთხმეტე ქმართან მიდი-მოდიოდა, ადამიანიშვილს, ჩი-ს მანძილზეც კი, არავის მოეკრა თვალი.

შინ დაბრუნებულმა მეთოთხმეტემ მწუხარებას მისცა თავი. ოხრავდა, გულს ვარამი მოეძალა. ანაზღად ერთი პირისფარეში თვისი გაისტუმრა. რამდენსამე დღეს განმარტოებით იწყო ცხოვრება. მერე ბებერ მაჭანკალს დაავალა, ერთი კარგი ოჯახისშვილი ქალწული შემისყიდო. სახელად იყო ლუერ-ი. იმ ასაკში იდგა, თმის ვარცხნილობას რომ იცვლიან, გასათხოვრად რომ მოწიფულან. პირისახით მიმზიდველი იყო, ფრიად ტურფა. იწყეს ერთად ცხოვრება. ერთად სვამდნენ-ჭამდნენ. ეძინათ ერთად. ლუერ-ს არ ეპყრობოდა იმგვარად, დანარჩენ პირისფარეშებს, მოახლეებს რომ ექცეოდა.

მას მერე, რაც სწავლულ-შეგირდმა ფენგ-მა ყალბი ჩვენება მისცა, აღიარა, უნებლიეთ მკვლევლობა ჩავიდინეო, იამენ-ში განაჩენი გამოუტანეს-სიკვდილი ჩამოხრჩობით. ამბავი ესე ბებერმა მსახურმა შეიტყო. თავზარი დაეცა. მოთქვამდა. ვაი-ვიშით, ხმის ჩახლეჩამდე ტიროდა. შინ მიიბრინა. სიმართლე დაუფარავად მოახსენა მეთოთხმეტეს. სახეზე ნაკვთიც არ შესტოკებია, ვითომ არც გულს მისას, არც გონებას არაფერი შეხებოდა.

მალე მოდგა შემოდგომა. დადგა დღეები, საშემოდგომო განაჩენთა გამოტანისა<sup>30</sup>. აი, ახლა კი ქალი მღელვარებამ შეიპყრო, აფორიაქდა. მოხშირებით ტოვებდა სახლ-კარს. დილაადრიან წასული შინ მხოლოდ საღამოხანს ბრუნდებოდა. ფერხთსაცმელს მისას არა ჰქონია მოსვენება. ყოველ ჯერზე, განმარტოვდებოდა თუ არა, უსაზღვროდ მწუხარებდა, იურვოდა, ცრემლად იღვრებოდა. შესაბრალისი შეიქნა. თვალს რული არ ეკარებოდა, მადა წაუხდა.

ერთხელაც, მოშუადღევეებული რომ იყო, უწინ წარგზავნილი პირისფარეში მელი-მაქცია მოულოდნელად დაბრუნდა. მეთოთხმეტე, ელდანაკრავი, ქვეშაგებიდან წამოიჭრა. მოახლე თეჯირს მიღმა გაიხმო. იჩურჩულეს. რომ შემობრუნდა, ხალისიანი, მხნე ჩანდა. ტუჩზე ღიმილი დასთამაშებდა. საოჯახო თადარიგს შეუდგა, უწინდებურად, ჩვეულებისაებრ.



მეორე დღეს ბებერი მსახური სატუსაღოს მივიდა. სწავლულ-შეგირდმა ჩენგ-მა მისი პირით ცოლს შემოუთვალა — სამარადისო განშორებამდე გამოვემშვიდობოთ ერთმანეთსო. ბებერმა მსახურმა დანაბარები აასრულა. მეთოთხმეტემ გულგრილად ისმინა შემონათვალი. არა მწუხარებას, არა ნალველს მის სახეზე ნატამალიც არ დაუჩნევია. მსახურნი ზურგსუკან ამუნათებდნენ, გულცივია, გასასტიკებულიო.

უეცრივ ირგვლივ ხმა დაირხა, თავადიშვილ ჩუ-ს ნოდება ჩამოართვესო. ხოლო ფინგიანგ-ის მეთვალყურესა და გამომძიებელს პირადად მეფეთმეფისაგან მიეღო განკარგულება უზენაესი, სიკვდილმისჯილი სწავლული-შეგირდი ჩენგ-ის საქმე განიხილეთ, გაარჩიეთ ხელახლაო. ბებერმა მსახურმა ამბავი ესე ქუჩაში რომ შეიტყო, გაიხარა, თავპირისმტვრევით გაქანდა ქალბატონთან მისახარებლად. მანაც გაიხარა. მაშინვე მიავლინა კაცი იამენ-ს, ამბის შესატყობად. სწავლული-შეგირდი ჩენგ-ი, თურმე ნუ იტყვით, საპყრობილედან გამოუშვიათ უკვე. თვალი მოჰკრა ბებერ მსახურს. ორთავე ტიროდა, თან იცინოდა, რომ იტყვიან „უსასრულო მწუხარება, სიხარული უსაზღვრო, ერთურთს გადახლართული, თავს დაატყდათ.“

ცოტაც და თავადიშვილი ჩუ მხარშეკრული, შებორკილი მოიყვანეს. გამომძიებელმა მხოლოდ ერთხელ დაჰკითხა. პირველსავე დაკითხვაზე საქმის ვითარება სრულად დაიხატა. ყოველივე მალიად გაირკვა. უმაღვე დაინერა ბრძანება სწავლული-შეგირდი ჩენგ-ის გათავისუფლებისა. შინ მშვიდობით გაისტუმრეს.

დაბრუნდა შინ. დაინახა ცოლი თუ არა, მყის ცრემლი წასკდა. მდულარი ცრემლი აფრქვია. ქალიც, მისი შემხედვარე, თავადაც დანალვლიანდა. ხოლო მწუხარება მალე სიხარულმა შეცვალა.

ხოლო არც სწავლულ-შეგირდმა ჩენგ-მა, არც სხვამ არავინ უწყოდა, როგორ, რა გზებით მიაღწია პირადად მეფეთმეფის ყურამდე ამბავმა მისმა. ცოლმა გაიცინა, მოახლისაკენ გაიშვირა თითი, თქვა: „აი, ბატონო-ჩემო, იგი გახლავს უფალი-მწყალობელი შენი!“

სწავლულ-შეგირდი ჩენგ-ი გაცეხამ გააოგნა, გაშეშდა. იწყო გამოკითხვა ამბისა. როგორ, რარიგად მოხდაო.

თურმე ნუ იტყვით, ცოლმა ფარეში იენის დედაქალაქს<sup>31</sup> წარავლინა. მეფეთმეფის სასახლის კარზე მსაჯულთ დიდი უსამართლობის, სწავლულ-შეგირდ ჩენგ-ს უდანაშაულობის გამო ფიცით მოწმედ დაუდექიო. ფარეში დედაქალაქს ჩავიდა. სასახლეს მიადგა. ხედავს, კარიბჭეს სასტიკი სულელები<sup>32</sup> დარაჯობენ, იცავენ გულმოდგინებით. მაინც თვეობით შორიახლოს, ფლისკინას<sup>33</sup> გასწვრივ წინ და უკან მიდ-მოდოდა. შესვლასა ლამობდა. შეუძლებელი იყო შეღწევა. იმედი გადაეწურა. შეშინდა, შეყოვნებით არ წავახდინო საქმეო. ის-ის იყო იზრახა უკან გაბრუნება, საქმის თაობაზე რჩევის საკითხად, უეცრად მოჰკრა ყური, მეფეთმეფე, ცისშვილი<sup>34</sup> ჩაბრძანებით თვისით ქალაქ ტათუნგ-ს<sup>35</sup> გაბედნიერებას უპირებსო. ფარეშმა ქალაქ ტათუნგ-ს გაშურება იჩქარა, მოხეტიალე როსკიპის მიიღო სახე. მეფეთმეფე, რომ იტყვიან, გასართობ სახლს მიბრძანდა, ფარეში ეგე გამორჩეული ყურადღების, ტრფობის, სასიყვარულო აღერსის ღირსი შეიქნა. ურიდად მეძავი, ერთი რამ როსკიპი რომ იქნებოდა, შეეეჭვა. მეფეთმეფემ გამოუთქვა იჭვი, უთხრა: „არა ჰგებხარ „მტილისა და ქარის“ არსებას, ქალს დაცემულს.“ ფარეშმა ჩაჰკინდრა თავი. ცრემლთა ნაკადი გადმოსქდა თვალთაგან. მისი უდიდებულესობა ჰკითხავს:

„რად სწუხარ? თავს რა უბედურება დაგტყვის?“

მიუგო: „მე, მხევალი თქვენი, კუანგფინგ-ის მაზრის მკვიდრი გახლავართ. ასული ვარ მავანი და მავანი სწავლული-შეგირდი ფენგ-ისა. მამას ჩემსას უსამართლოდ ბრალი დასდეს, სიკვდილი მიუსაჯეს. ხოლო მე მიკრეს თავი გასართობ სახლში.“

მეფეთმეფემ ამბავი ესე მეტად სამწუხაროდ მიიჩნია. გული აუჩუყდა. ასი ლიან-ი<sup>36</sup> ოქრო უსაჩუქრა. წასვლისას ერთხელ კიდევ დანვრილებით გამოჰკითხა ვითარება საქმისა. გვარ-სახელი ფუნჯით ქალაღებზე ჩაწერა. ისიც დასძინა: „ვისურვებდი შენთან გამეყო მდიდრული, დიდგვაროვანი ცხოვრება, პატივი.“

ფარეშმა წარმოსთქვა: „ოღონდკი ჩემს მამასთან კვლავ ერთად მეღირსოს ცხოვრება, არც ფუფუნება მჭირია, არც კერძეული ძვირფასი, არცა გვარიშვილობა!“

მეფეთმეფემ ნიშნად თანხმობისა თავი დაუქნია. წაბრძანდა.

პირისფარეშმა ყოველივე ამბავი ესე სწავლულ-შეგირდ ფენგ-ს მიუთხრო. თხრობა ამბისა რომ დაასრულა, სწავლული-შეგირდი ფენგ-ი მუხლებზე დაეცა. თავი მდაბლა დაუკრა. ორთავ თვალში აუკიაფდა ცრემლი მადლიერებისა.

ამ ამბის შემდეგ ერთად დიდ ხანს აღარ უცხოვრიათ და ცოლი მოულოდნელად სწავლულ-შეგირდ ფენგ-ს ეუბნება:

„მე, მხევალს თქვენსას, სიყვარული თქვენდამი, საბედისწერო კავშირი ჩვენი, ბედად რომ არ მენეროს, რომ უწყოდეთ, საზრუნავს ამდენს, ესოდენ ტანჯვა-ვაეზას თავს რად დავიტყვებდი?! შენ რომ შეგაკაყრეს, დავხეცებოდი, დავწანწალებდი, მთლად ნათესაობა შემოვიარე. ვერავინ, გესმის შენ, ვერავინ ვერა იღონა რა. ვერვინ გამცა პასუხი. რჩევა ვერავინ მომცა. სიმწარე იმ დღეთა, ჩემს სულს რომ შემოსწოლოდა, მერწმუნე, ენით უთქმელია. და აი, ახლა, როს შევცქერიამაოსა სოფლისაგან ყოველივეს, ტლანქსა და უხეშს, ფუჭსა და უხამსს, ცხოვრება მინიერი გამბეზრებია. დიდიხანია უკვე, რაც მშვენიერი შენი საწყვილო ქალი აღგიზარდე. ასე და ამგვარად, ამიერიდან შეიძლება რომ განგეშორო კიდევ!“

ამის გამგონე სწავლული-შეგირდი ფენგ-ი ატირდა, მუხლებში ჩაუვარდა. ზე არ ამდგარა მანამ, სანამ ქალი არ დარჩა.

ღამით უბრძანა ლუერ-ს, წა, სწავლულ-შეგირდ ფენგ-ს მოსვენებისას მიემსახურეო<sup>37</sup>. ხოლო სწავლული-შეგირდი ფენგ-ი მტკიცე უარზე დადგა. არ მიიღო. დილით, მეთოთხმეტეს თვალი რომ შეავლო, შენიშნა, სახე რომ შესცვლოდა. მშვენიერებას მისას ფერი დაჰკლებოდა. სიამის ნასახ-ნაკვალიც აღარ შერჩენოდა.

ჩაიარა დრომ თვეზე მეტმა. თვალდათვალ მოხუცდა. დღითიდღე პირისახეს მისას ჭკნობა ერეოდა. ნახევარ წელიწადში სოფლელ მდაბიო დედაბერს ემსგავსა. შეიქნა დედაკაცი ზერდაგი<sup>38</sup>. დაუშნოვდა. სწავლული-შეგირდი ფენგ-ი ვერ ამჩნევდა ამ ყოველივეს. სიყვარულს მისას, მოწინებას არ ჰქონდა საზღვარი. არ ჩაანაცვლა სხვა ქალით.

ერთხელ, ქალმა მოულოდნელად კვლავ იწყო საუბარი განშორებაზე. უბნობს: „თქვენ, ბატონო-ჩემო, გყავთ უკვე საწყვილო მშვენიერი. ასეთი ძიუპან-ი<sup>39</sup> რაღად გჭირივართ.“

მას კი უწინდებურად ცრემლი მოერია. ემუდარა უწინდებურად.

გავიდა კიდევ თვე ერთი. მეთოთხმეტეს უეცრივ სწეულებამ დარია ხელი. ლოგინად ჩავარდა. საქმე ისე წავიდა, სიკვდილი კარს მომდგარიყო. საჭმელ-სასმელზე

ხელი აიღო. ინვა სარეცელსა ზედა, ფარდებს მიღმა, ჩონჩხად ქცეული. სწავლული-შეგირდი *ენგ-ი* ბალახეულის ნახარშს უზავებდა, წამლებსა სთავაზობდა. ემსახურებოდა, ვითარცა საკუთარ დედ-მამას. ვერც აქიმებმა, ვერცა მისნებმა ვერა გააწყეს რა. ვერ მიჰმადლეს კურნება. ვერაფერმა უშველა. და აი, მიიცვალა.

სწავლულ-შეგირდმა *ენგ-მა* ისე დაიტირა, იგლოვდა იმგვარად, იშიშოდნენ, თავადაც არ განეტევოს სულიო. ოქრო მოიხმარა, მეფეთმეფის ნაბოძები რომ იყო. დამარხა მეთოთხმეტე. აუგო წესი.

დასაფლავებიდან რამდენიმე დღე არც გასულიყო, მოახლე მელი-მაქციაც წავიდა. და მაშინ სწავლულ-შეგირდმა *ენგ-მა* ლუერ-ი დაისვა ცოლად. ქალმა ერთ წელიწადში ვაჟიშვილი იღო მუცლად.

იმხანად შიმშილის წლები დამდგარიყო. მინა მოსავალს არ იძლეოდა. მძიმე დღეები დაუდგათ. ჭირდა ცხოვრება. ოჯახი იქცეოდა. ცოლ-ქმარს ვერა ელონა რა. ისხდნენ ერთიმეორის პირისპირ დამწუხრებულნი, მჭმუნვარენი.

ანაზღად გაახსენდა დარბაზის კუთხეში თიხის ჭურჭელი, ყულაბა რომ იდგა. ხშირად უნახავს, მეთოთხმეტე შიგ ფულს რომ ჰყრიდა. იფიქრა-ვნახავ ერთი, იქვე თუა ყულაბაო.

მივიდა. ხედავს, კუთხეში უამრავი ჯამ-ჭურჭელია მოგროვილი. რიგ-რიგადა დგას დიდ-პატარა ბადიები, ლოდები და ლოდიკები<sup>40</sup>, ქილები მარილით, ცერცვით, ლობიოთი აპირთავებული. მისნი-მოსნია ყარაყურა<sup>41</sup>. ყულაბაც იქვეა, თავის ადგილას, ხელუხლებელი. ჩაჰყო ნაპრალში ქუაიძ-ი<sup>42</sup>, აფათურებს. გაჭედელია. ჩანს, ფულითაა პირთამდინ სავსე. დაამსხვრია ყულაბა. ჩხარაჩხურით გადმოცვივდა ოქროს ფულები, ჩანჩქერსავით მოსჩქევს.

გამდიდრდა ოჯახი, მოლონიერდა.

გაიარა საკმაოდ რომ. მსახურმა ძველმა ხუაშან-ის მთები მიმოიარა, მოინახულა. შემოხვდა მეთოთხმეტე. ვეჟან<sup>43</sup> ჯორზე შემჯდარიყო. ფეხდაფეხ გერგეზე<sup>44</sup> მჯდომი მოახლე მიჩაქჩაქებდა.

მეთოთხმეტე ჰკითხავს: „ჭაბუკ *ენგ-ისას* ხომ მშვიდობაა?“ თქვა, დაურთო: „შინ როს დაბრუნდე, ბატონს მოახსენე, უკვე ჩანერილ ვარ სენჟენ-თა<sup>45</sup> გუნდში!“

ესა თქვა, უჩინო იქმნა.

უჩვეულო ამა ამბის მომთხრობელი იტყოდა ესე: ქარიფანტია ყბედობა მეტადრე სწავლულ ხალხსა სჩვევია. ეს კი ნიუნძ'-თათვის<sup>46</sup> სანუხარი უნდა იყოს. ხოლო მე სახელს ჩემსას მაინც ბედზე მივაგდე და ვიტყვი. ბრალდება როცა გაქარწყლდება, ეს როდი ნიშნავს, თავს ლაგამი არ ამოსდო, არ იქნე თავდაჭერილი, რათა არ მოხვდე ნიუნძ'-თა ტყესავით ხშირ რიგებში. ნუ იტყვი, რომ სწავლული-შეგირდი *ენგ-ი* შავ დღეში ბედმა, ან ბედისწერამ ჩააგდო. ერთმა ქარაფშუტულმა ნაბიჯმა სწავლული-შეგირდი *ენგ-ი* ლამის იყო სასიკვდილო განაჩენს გადაჰყარა. ვთქვათ და, მისი ოჯახის ქალთა სასუფეველში სენჟენ-ი არ აღმოჩენილიყო, შესძლებდა კია იგი უსამართლო განაჩენის მარწუხებისგან თავი დაეხსნა, ამქვეყნად სიცოცხლე შეენარჩუნებინა? რარიგ საზარელია ესე ყოველი!

## განმარტებანი

**სინგ მეთოთხმეტე** — ძველ ჩინურ ოჯახებში გოგონებს უმეტესწილად რით, უ რიცხვით სახელებს არქმევდნენ-პირველი გოგონა, მეორე ქალიშვილი, მესამე ვაჟი და ა.შ. ხოლო გარეშენი მიმართვისას გვარს უმატებდნენ-ჭან პირველი, ლიუ მეორე, სინგ მეთოთხმეტე და ა.შ. იშვიათად ყვავილის, პეპელას სახელს უწოდებდნენ. ხოლო მსახიობებს, პოეტებს, მომღერლებს, გეიშებს, განათლებულ, წერა-კითხვის მცოდნე ქალებს (რაც დიდი იშვიათობა იყო) რაიმე განსაკუთრებულ სახელს ანიჭებდნენ.

**1. ჭენგ ტ'-ს წლები** — ჭემმარიტ, მარჯვე სიქველეთა წლები. ჩინეთში უძველესი დროიდან ხელმწიფეებს განსაკუთრებული სახელები ენიჭებოდათ, ოღონდ ხელმწიფეთა, იმპერატორთა სახელების წარმოთქმაცა და დაწერაც სასტიკად იკრძალებოდა. სახელწოდება ენიჭებოდა მათი მმართველობის წლებს. ამ ნოველაში იგულისხმება მინგ-ის დინასტიის ხელმწიფე, რომელიც მეფობდა 1500-1522 წლებში. იგი თავის მმართველობის ხანას უწოდებდა მარჯვე კეთილშობილების, ან ჭემმარიტი, მართალი კეთილშობილების, სიქველეთა წლებს. ეს მისი ოფიციალური წოდება იყო, თუმცა ამ სიტყვებით მისადმი მიმართვა ასევე იკრძალებოდა.

**2. პათიკი** — ასაკმცირე ბიჭი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**3. სარკითა და სადგამითა** — უძველესი ჩინური ტრადიციის თანახმად ნიშნობის შემდეგ საქმროს საპატარძლოსათვის უნდა მიერთმია საჩუქრები. საჩუქრები, სასიძოს ქონებრივი შესაძლებლობის შესაბამისად, ოქროს, ვერცხლის ან ნეფრიტის ნაკეთობა, უმეტესწილად ქალის ტუალეტის საგნები იყო ხოლმე. სარკე, ადამიანის სახის ამრეკლავი საგანი, წუნდაუდებელი, უპატიოსნესი საქციელის სიმბოლოდ მიიჩნეოდა. არსებობს ერთი ისტორიული ანეკდოტური ამბავიც. მავან დაქვრივებულ ვენ ციაო-ს რომ შეემთხვა. დეიდამ დაავალა თავისი ქალიშვილისათვის საქმრო მოეძებნა. მან კი, ქვრივმა, თავის დისწულს არშიყი დაუწყო. ენადა სასიძოდ საკუთარი თავი შეეთავაზებინა. საპატარძლოს აჩუქა სარკე, იემშის სადგამით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩინური ენაში მრავალი სიტყვა ერთნაირად (ოღონდ განსხვავებული ტონით) გამოითქმის, ხოლო სხვადასხვაგვარად იწერება. „წინგ ან“ რებუსია; სიტყვები, „წინგ“-სარკე, „ან“-სადგამი“ და - „წინგან“ „მშვიდობა, სიმყუდროვე“ ასევე მსგავსად გამოითქმის, თუმცა სულ სხვადასხვა იეროგლიფით იწერება. ამიტომ, როდესაც მექორნილებს სჩუქნიან „სარკესა და სადგამს“ ანუ „წინგ ან“-ს, ამით მათ უსურვებენ „მშვიდობა თქვენდა!“-ო

**4. ბანგს განვამზადებ** — აზრი ამ ლექსისა ერთობ ბუნდოვანია. მისი ღირსებაა პოეტურ პნკართა მუსიკა, რითმა, მრავალგვარი მინიშნება, მაგ. ათასი ოქრო. ასეთ თანხას უხდოდა საქმრო საცოლის მშობლებს. ეს იმ შემთხვევაში ხდებოდა, თუკი საპატარძლო ამდენ ოქროდა ღირდა. ამავდროულად ათასი ოქრო, გადატანითი მნიშვნელობით, ქალიშვილსაც, ქალწულსაც ნიშნავს. ინ-იუნი ქალის სახელიცაა და ამავე დროს ღრუბელსაც და ყვავილის ბუტკოსაც ნიშნავს. „არ ვითაკილებ საკუთარი ხელით ბანგის განმზადებას“, ე.ი. თავს დავიმდაბლებ, მოვუვლი, მოვემსახურები ჩემს საცოლეს. პირველთორთილს-ჩინელები ბუნების ქმნილებას ათასგვარ საოცარ, ზღაპრულ, სახელს არქმევდნენ. ამ შემთხვევაში სწავლული-შეგირდი თავისი ლექსით გამოთქვამს სურვილს, ითხოვოს ხელი მეთოთხმეტესი, ზღაპრული, საოცარი მშვენიერების ასულისა, უმნიკვლოსი, ვითარცა პირველთორთილი

**5. სისხლსა და ხორცთაგანთან** — იგულისხმება უახლოესი, სისხლით ნათესა-  
ვები

**6. ბურჯი ჩემი იმედისა** — იგულისხმება მამა

**7. ნათალი** — ათისგან ერთი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსი-  
კონი

**8. მინგ შ'** — ენოდებოდა იმ ადამიანებს, ვინც წარმატებით ჩააბარებდა ქეძიუს, ანუ სახელმწიფო გამოცდებს, და მოიპოვებდა სახელმწიფო მოხელის წოდებასა და ხელფასით უზრუნველყოფილ თანამდებობას. საზოგადოების პატივსაც დაიმსახ-  
ურებდა, სახელსაც გაითქვამდა. ეს არ ყოფილა ოფიციალური წოდება. რაინდს, მებრძოლს, მაღალი წოდების წარმომადგენელს ნიშნავდა. მინგში თანამედროვე ჩინურში აღარ იხმარება

**9. კუპაჭია** — პატარა გოგო. დავით ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსი-  
კონი

**10. უგრძესი სახელოები ჩამოუშვია** — უაღრესი ზრდილობის, ცერემონიული პატივისცემის ნიშანი

**11. ბედნიერი, კეთილსასურველი დღე** — ძველ ჩინეთში არსებობდა რწმენა, რომ არის დღეები ბედნიერი და უბედური, წარმატებული და უიღბლო. ამიტომ მა-  
ნამ, სანამ რაიმე მნიშვნელოვან საკითხს გადაწყვეტდნენ, იქორწინებდნენ, გზას გაუდგებოდნენ თუ სხვა საქმეს მოეკიდებოდნენ, კალენდრით, ტაბულებით მკითხ-  
აობდნენ, რათა ამოეცნოთ, თუ რომელი დღე იქნებოდა კეთილსაიმედო, საბედ-  
ნიერო, წარმატების მომტანი

**12. ტაგრუცი** — მაღლა ნაგები საფლავი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული  
ლექსიკონი

**13. კუი** — გარდაცვლილი სული. ხალხური წარმოდგენით, უპირატესად ბნელი, ბოროტი ძალის მფლობელი იყო, მაგრამ სიკეთისა და სარგებლობის მოტანის უნ-  
არიც შესწევდა. სიკეთე მოჰქონდა თავისი შთამომავლებისა და იმათთვის, ვინც წინაპართა მიმართ კეთილსინდისიერად მოიხდოდა ვალს. ყოფაცხოვრებაში კუი შეიძლება უბრალო ეშმაკიც ყოფილიყო. ჩინელებს სწამდათ, აგრეთვე, რომ ადამი-  
ანის სულს შესწევდა უნარი განშორებოდა (სიზმარშიც კი) და ემოგზაურა, ეარსება სხეულის გარეშე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მას უკვე კუი კი არა, ხუნ ენოდებოდა

**14. შიმუნვარი** — მოახლე ქალი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსი-  
კონი

**15. მწვანე ოთახი** — უძველესი ჩინური ტრადიცია მოითხოვდა პატარძალი სა-  
ქორწილო ნადიმის განმავლობაში საგანგებოდ გამზადებულ მწვანე ოთახსა, ან მწვანე კარავში მჯდარიყო, მილოცვები მიეღო. კარვიდან, ოთახიდან გამოსვლის ნება არ ჰქონდა

**16. შანშუ** — წოდება ან ხარისხი. თანამედროვე გაგებით, საზოგადო მოღვაწის მსგავსი

**17. ლი, ლიე** — სიგრძის ერთეული. 1 ლი = დაახლ. 0,5 კმ

**18. ლოკოკინის ნიჟარისებური ნაქარგი** — მეტად ძვირფასი ქსოვილი, რომელ-  
საც ჯერ კიდევ უძველეს ხანაში მსხვერპლშესანიერ რიტუალთა ოდებში ასხამდნენ ხოტბას

**19. ვერცხლის აივნის ჩინოსანი** — ე. ი. მაღალჩინოსანი, რომელიც განაგებდა



პროვინციის საქმეებს. „ვერცხლის აივანი“ იყო სახელწოდება სასახლისა, ხოლო შემდეგ სასახლის შიდა კარისა, დაბოლოს, როგორც ეს დახვეწილ ჩინურ ლიტერატურულ ენაზე იტყვის, უზენაესი სამოხელეო ინსტანციისა, რომელიც თავსდებოდა სასახლე-ქალაქის შიდა სივრცეში

**20. ტუშისა და ფუნჯის მეგობარი** — ე. ი. სკოლის მეგობარი

**21. მოსაწვევი ბარათი ჩაუკეცა** — მოსაწვევ ბარათს ჩინეთში გაშლილი ფურცლის ფორმა კი არ ჰქონდა, არამედ ჰკეცავდნენ ისე, მუხლმოდრეკილი ადამიანის სახე რომ მინიჭებოდა. აქედან მოდის გამოთქმა, მოსაწვევი ბარათი მიუკეცავო. ამგვარი ბარათი, სხვადასხვაგვარი მისალმებითა და მიწვევის სურვილით, გამოიყენებოდა, აგრეთვე, როგორც თანამედროვე სავიზიტო ბარათი

**22. კედელში ჭუჭრუტანა** — ჩინეთში ოთახებს ხის ჩარჩოზე გადაკრული გასართული ქალაღდის კედლები მიჯნავდა. ამდენად კედელში ჭუჭრუტანის გახვრეტა იოლი იყო

**23. ღვინის წრე დაილია** — ჩინურ სუფრაზე მკაცრად იყო დაკანონებული წესი ლიჭუტ'. ამ წესის თანახმად, სასმისს პირველად სვამდა სუფრის მმართველი, ქართული გაგებით-თამადა. შემდეგ -ყველა უკვე რიგის შესაბამისად. საზეიმო სუფრა იშლებოდა მრგვალ მაგიდაზე.ამდენად სასმისი წრიულად მოძრაობდა.ეს წესი დღემდეა შენარჩუნებული, თუმცა სადღესასწაულო თამაშობანი, ღვინით შეზავებული, თანდათან მივიწყებას ეძლევა, კარგავს პოპულარობას

**24. „საგამოცდო თხზულებას ნაწერის ღირსებათა შესატყვისად ნუ განსჯი“** — ე. ი. ლიტერატურულ ღირსებათა მიხედვით ნუ შეაფასებ. ეს ანდაზა ეხებოდა იმ პიროვნებებს, ვისაც პროტექცია შველოდა. საყოველთაოდ ცნობილია ქენიუ-ს გამოცდების იშვიათი სირთულე. ხოლო ცხოვრება ცხადჰყოფდა, რომ პროტექციას დიდი ძალა ჰქონდა

**25. მშობელთა დასამშვიდებლად** — ეს არქაული გამოთქმა გულისხმობს ტრადიციას, რომლის თანახმადაც, პატარძალი ქმართან ორი-სამ დღეს რომ დაჰყოფდა, შემდეგ, ცოტა ხნით ბრუნდებოდა მშობლიურ ოჯახში, რათა მოეკითხა მშობლები, შეჰკითხოდა, მშვიდად ანუ ჯანმრთელად თუ ბრძანდებოდნენ

**26. „განმენდილი, გამოსდილი, მაგარი“** — არაყი

**27. ჭენგ-ს ჩამოჰკრეს** — უძველესი ჩინური სიმებიანი საკრავი

**28. მეხუთე გუშაგობის ჟამი** — ჩინეთში ღამე რამდენიმე ნაწილად, საღამოს 7 საათიდან დილის 5 საათამდე ხუთ ორ-ორ საათიან შუალედად იყოფოდა. ამ შუალედებს ეწოდებოდა გუშაგობის ჟამი. გუშაგობის მეხუთე ჟამი გამთენიის სამიდან ხუთ საათს შორის დროს გულისხმობს

**29. ხარო-ორმო** — სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**30. დრო საშემოდგომო განაჩენთა გამოტანისა** — უძველესსა და ძველ ჩინეთში ტრადიციულად, ჩინელ მოაზროვნეთა თანახმად, სიკვდილით დასჯა გვიანი შემოდგომით ხდებოდა ანუ მაშინ, როდესაც დგება დრო „ბუნების კვდომისა“. ტაოური ფილოსოფიის თანახმად, შემოდგომით სიკვდილით დასჯის ტრადიცია ნიშნავდა სახელმწიფოს მიერ ბუნების კანონთა დაცვას. ამავდროულად ეს ტრადიცია შეესაბამებოდა კონფუციურ წარმოდგენას ხელისუფლების მიერ კაცთმოყვარეობის, ჰუმანურობის დაცვაზე, ვინაიდან გვიანი შემოდგომისას სიკვდილი კაცთმოყვარედ, კეთილად იყო მიჩნეული, რამეთუ ბუნების კანონზომიერებას ეთანხმებო-

და. ბუნებაც ხომ ამ დროს კვდება. წელიწადის სხვა დროს სიკვდილით დასჯა ულ-  
მობელად, სისასტიკედ მიიჩნეოდა. დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა იმართებოდა  
მეცხრე მთვარობისას, დედაქალაქის მოედანზე. ეს სანახაობა იზიდავდა უამრავ  
ხალხს. არც თუ შორეულ წარსულში ევროპელებიც მრავლად ესწრებოდნენ

**31. იენ-ის დედაქალაქი** — უძველეს დროს ასე უწოდებდნენ სამთავროს, რომე-  
ლიც დღევანდელი პეკინის ადგილას მდებარეობდა. დღესაც პეკინის მეორე, არაო-  
ფიციალური სახელი იენ-ია

**32. სასტიკი სულელები დარაჯობენ** — ჩინეთში უხსოვარ დროიდან სწამდათ,  
რომ უწმინდური ძალა ბინაში კარიდან შედის. ამრიგად, ამ უწმინდურ ძალას უნდა  
შენიშნააღმდეგებოდა ნათელი, კეთილი ძალა, არ შეეშვა იგი ბინაში. უწმინდური  
ძალისგან სახლ-კარის დასაცავად ფართოდ იყო გავრცელებული კარებზე ორი  
მრისხანე მეგრძოლის, რაინდის გამოსახვა. ისინი შუბებით იყვნენ აღჭურვილნი  
უწმინდურთა განსაგმირავად

**33. ფლისკინა** — ციხესა და ქალაქს გარეშემო სიმაგრისათვის შემოვლებული  
თხრილი, რომელიც ზოგჯერ წყლით იყო ავსებული, რათა მტერს ბრძოლით ად-  
ვილად ვერ აეღო

**34. ცისშვილი** — იმპერატორის ტიტული. ჩინელები ამით ხაზს უსვამდნენ იმ-  
პერატორის ღვთაებრივ, ზეციურ წარმოშობას, მის უზენაეს ძალაუფლებას. ცის  
შვილი ისაა, ვინც ცას მსხვერპლსა სწირავს, როგორც შვილი მამას, ვინც ცის მი-  
ერაა მოვლინებული

**35. ქალაქი ტათუნგ-ი** — შანსი-ს პროვინციაში დიდი ქალაქი, სადაც ბუდის-  
ტური ტაძრებია მღვიმეებსა, გამოქაბულებში აგებული, ბუდასა და სხვა წმინდ-  
ანთა უამრავი ქანდაკება დგას

**36. ლიან-ი** — ოქროს, ვერცხლის წონის ერთეული. უდრის დაახლოებით 30 გრ.  
ეს იყო ვერცხლის წონის ძირითადი ერთეული, ფულის სახით რომ მოქმედებდა

**37. მოსვენებისას მიემსახურეო** — ე. ი. დაწევი მასთან, ცოლი გახდი მისიო

**38. ზერდაგი** — ყვითელშავი, მოყვითელფერო დედაკაცი. სულხან-საბა ორბე-  
ლიანი. ქართული ლექსიკონი

**39. ძიუპან-ი** — ჩინურ თქმულებათა და ზღაპრების გმირი, საზარელი სული.  
აქ მინიშნებაა ერთ ლეგენდაზე. „ერთ ქმარს ეშინოდა თავისი ცოლისა. თავს კი იმ-  
ართლებდა შემდეგით: არსებობს სამი მიზეზი ცოლის შიშისა. პირველი-როცა იგი  
ახალგაზრდაა და მომხიბლავი, გეშინოდეს ვითარცა ბოდისატვასი; როცა ოჯახი  
გაივსება შვილებით, გეშინოდეს შენი ცოლის, როგორც ცხრა ეშმაკის დედისა;  
როცა ორმოცდაათი, სამოცი ან მეტი ასაკისა შესრულდება, ხოლო ჯერაც თავს  
იქცევს ფერუმარილით, ხან გალურჯდება და ხანაც გაშავდება, გეშინოდეს, ვი-  
თარცა ძიუპან-ისა. განა ეს ყოველივე არ გვაიძულებს შიში გვქონდეს ცოლისა?“

**40. ლოდა** — დიდი ბადია, ლოდიკი – პატარა ბადია, თასი. სულხან-საბა ორბე-  
ლიანი. ქართული ლექსიკონი

**41. ყარაყურა** — ცუდ-მადი რამ. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსი-  
კონი

**42. ქუაიძ'-ი** — წყვილი ჩხირი, რომლითაც ჩინელები კერძს მიირთმევენ.  
ჩანგალი მეტად გვიან შევიდა ჩინურ ყოფაში და ვერც ახლა უწევს კონკურენციას  
ჩხირებს



43. ვეჟანი ჯორი — შავმოიისფრო ფერისა. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

44. გერგე — ასაკმცირე ცხენი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

45. სიენჟენ-თა გუნდი — ზეცის მკვიდრნი, წმინდანები, სრულქმნილი სულები, ვისაც ზეცაში მარადიული ნეტარი ცხოვრება ებოძა

46. წიუნ ძ' — კეთილშობილი, სათნო, სწავლული, ნაკითხი, განათლებული ადამიანი. ეს ცნება კონფუციუსგან მომდინარეობს

P.S. ვინაიდან იეროგლიფები ფენგ-ი და Fენგ-ი განსხვავებულია, და, შესაბამისად მნიშვნელობაც სხვადასხვა აქვთ, იძულებული ვიყავით გამოგვეყენებინა ლათინური ასო F.



## ფულის წვიმა

### 雨 钱

პინგჭოუ-ელი სიუცაი<sup>1</sup> ერთ ღამით თავის სამეცადინო ოთახში კითხვით გართულიყო. მავანმა კარს დააკაკუნა. ზე ნამოდგა. ხედავს, მოხუცია ჭარმაგი, თმა-წვერ შევერცხლილი. შესახედაობა ძველდროინდელისა აქვს. შეინვია. გამოჰკითხა გვარ-სახელი. უხუცესმა თავი წარუდგინა, თქვა: „იანგჭენ-ი გახლავართ, გვარად ხუ<sup>2</sup>. ისე კი შენსენ-ი<sup>3</sup> ვარ, გვაროვნებით მელის ტომიდან. კეთილშობილი, ზნე-ქველი სიუცაი-ს სიფაქიზემ მომხიბლა, მიმიზიდა. მზად ვარ დღედაღამ გემ-სახუროთ.“ სიუცაი ალაღმართალი, გულღია კაცი იყო, ნაკითხი, ნასწავლი. ამაღ იყო, ამბავი ესე არც თუ იკვირვა.

საუბარი მათი თანდისთანობით წარსულ ამბებსაც შეეხო, დღევანდებობასაც გადმოსწვდა.

ჭადარამორეული მეტად განათლებული, მცოდნე ბრძანებულა. განსწავლულობა მისი ნატიფი სამშვენიისი, ძვირფასი მაქმანის, ფარჩეულის სადარი იყო. ენამოსწრებულცი, გონებამახვილიც ბრძანდებოდა. სიტყვა მისი ხშირად უძველეს ნაწერებიდან ამოკრებილიყო. აზრს მისას სიღრმე აჩნდა მუდამ. კაცი იფიქრებდა, აზროვნება ამგვარი მიუწვდომელია მოკვდავთათვისო. სიუცაი განცვიფრდა, მოიხიბლა, მოიხუსხა ყოველივე ამით. ამაღ იყო, რომ დიდი ხნით შეაყოვნა თავისთან სტუმარი უცხო.

ერთ დღესაც სიუცაი სიბერემონენვულს შეევედრა: „თქვენო უკეთილშობილესობავ, ვხედავ, შეგყვარებევართ ძლიერ, კეთილად მეპყრობით. რაკილა იხილეთ რაოდენ ღატაკი ვარ, თუკი ერთი ბენო თავს შეინუხებთ, ხელს თქვენსას თუკი ალაპყრობთ, მყის მომეველინება ოქროს ფულები. ხომ არ ინებებდით ნყალობა მოიღოთ, შემეწიოთ, შემომამშველოთ ხელი?“ მხცოვანს აღმოხდა ოხვრა. დაფიქრდა მცირედ ხანს. თითქოს არც იყო თანახმა. მერე კი, პირს ღიმილმოგვრილმა, მიუუგო: „იოლია საქმე ესე. ათიოდ ციენ-ზე<sup>4</sup> მეტი არც ეღირება, დედო ფულისა რომ შევთხზა.“

სიუცაი-მ შეასრულა ყოველივე იმგვარად, საქმე რომ მოითხოვდა, წვერთეთრმა როგორც ბრძანა. შევიდნენ ორივენი იდუმალ ოთახს. ბერიკაცმა იწყო მიმოსვლა იუი-ს<sup>5</sup> ნაბიჯით. მიმოიძვრის, მიმოვალს, თან წარსტყვამს შესალოცს, თილისმა სიტყვებს. მალაღ ჭერიდან სეტყვასავით წამოვიდა ათასობით, ბევრად ბევრი ფული. ჩხრიალ-ჩხრიალითა ცვივა. თქორის, ღვარცოფის ღრიალსა ჰგავს ხმა ესე. თვალის დახამხამებაში ფული თავსაყრელი შეიქნა, მუხლის თავამდე უწვდებათ. ფეხებს ძლივ-ძლივ ამოათრევენ ფულის გროვიდან. თავს გაჭირვებით იმაგრებენ. ხოლო ფული იმატებს და იმატებს, მატულობს და მატულობს. მალე ყელს მიუწვდათ. ოთახში ტევა აღარაა. აღარ წყდება და აღარ ცვენა ფულისა. მთლადაც აავსო ოთახი დიდი, ააპირთავა. სამი-ოთხი ჩი-ს<sup>6</sup> სიმაღლეს მიატანა.

აი ამ დროს სიუცაი-ს მიუბრუნდა, უბნობს: „ხომ ხედავთ, თქვენო უკეთილშობილესობავ, ამ ყოველივემ რარეგ შეგანუხათ, ხომ აგრეა?!“ მან თქვა: „კმარა!“

ხანდაზმულმა ხელი აიქნია. შეწყდა ერთბაშად ნიაღვარი ფულისა. ორივენი

სადგომიდან გარეთ გავიდნენ. სიუცაი გულის სიღრმეში დიდად კმაყოფილია, ფიქრობს: „აი ასე, უშრომელად, იოლად გარდამომეველინა სიმდიდრე ესე. მამონის<sup>7</sup> მქონებელი შევიქენ! ბედნიერებაა! ბედს ვეწიე!“ ხშირ-ხშირად, წარამარა მიბრუნდებოდა ოთახში ფულის მოსახმარად.

ერთხელაც შებრუნდა ოთახში. მიხედ-მოხედა იქაურობას, თვალი მიმოავლო. ჰოიმე, რას ხედავს?! ოთახი, ხელის ჭუჭყით პირთამდე რომ ავსებულყო, გამოცარიელებულა, აღარაფერია ირგვლივ. მხოლოდ აქა-იქ მიმოფანტულა ათიოდ ციენ-ის დედო.

იმედგაცრუებული, ნირწამხდარი სიუცაი სამდურავით მიუბრუნდა მოხუცს. ბერიკაცი გულისწყრომით აღივსო, თქვა: „თქვენთან მეგობრობა ჩემ ცოდნას, წიგნიერებას, განათლებას მრავალკიდოვანს დაფუძნებოდა. მიზანი ჩემი მოქმედებისა არა ყოფილა თქვენთან ერთად ქურდ-ავაზაკი, მომხვეჭელი შევქნილიყავ. ახლა კი ვუნცი, სიუცაი-ბატონო, თქვენს სურვილს რომ დავყოლოდი, ვემსგავსებოდი მათ, ღამის წყვდიადში ერდო-სახურავებზე ვინც დაეხეტება, ქურდობასა და პარვას ვინც მისდევს. არც საჭიროა ამა საქმეში ხელი გაგიმართოთ, არც სასურველი! მოვხუცებულვარ, მსგავს საქმეთათვის ვითარ ვივარგებ!“ ჩაიმობერტყა კალთა. იოტა.

### განმარტებანი

1. **სიუცაი** — განათლებული, სწავლული, ნაკითხი, წიგნიერი ადამიანი. ცენზით დღევანდელ სტუდენტს რომ უტოლდება

2. **ხუ** — იხ. განმარტება<sup>1</sup> „მეოთხე და ხუ“

3. **შენსენ-ი** — გარდაცვლილი სული, ზეცის მკვიდრი, უფრო მაღალი ხარისხისა, ვიდრე სიენჟენია

4. **ციენ-ი** — ფულის ერთეული. წვრილი ფული.

5. **იუი-ს ნაბიჯი** — იუი, ჩინელთა მითოლოგიური წინაპარია, პატივსაცემი სული, ხელმწიფე ( XXIII ს. ძვ.წ.) სამ ლეგენდურ იმპერატორ-წინაპართა — იაო-ს, შუნ-ისა და იუი-ს — შორის ერთ-ერთია. კაცობრიობის წინაშე იუი-ს დამსახურება ისაა, რომ დიადი წარღვნა დააცხრო, ადამიანთა მოდგმა გადაარჩინა. ამ უმძიმესმა ჯაფამ იუი-ს ჯანმრთელობა შეურყია, დაასახიჩრა, დააკოჭლა. ძლივძლიობით დადიოდა, ტერფს ტერფის წინ ვერ ადგამდა. იუი-ს დამახასიათებელი სიარულის ეს ჩვევა სამომავლოდ სიმბოლოდ იქცა. სიმბოლურად ასე დაიარებოდნენ ქურუმები, ნათელმხილველები, ვარსკვლავთმრიცხველები, წინასწამეტყველები. შემდეგ და შემდეგ ეს თავისებურება დამკვიდრდა მისტერიებში, თეატრალურ დადგმებში. ასეთი ნაბიჯით ახლა ძირითადად თეატრალურ დადგმებში, მსახიობებში შემორჩა

6. **ჩი** — სიგრძის ერთეული. ერთი ჩი = 1/3 მეტრს

7. **მამონა** — უსამართლოდ მოგებული სიმდიდრე. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

## ბაყაყთა სული



ქვეყნის სამხრეთ მხარეს, იქ, სადაც მდინარეები იან ძ'-ი და ხანძიან-ი მიედინება, მომეტებულად ბაყაყთა სული სწამთ. სამსხვერპლო — ცინვა ც'-ს<sup>1</sup> რომ უხმო-ბენ, ათასობით, ბევრზე ბევრ ბაყაყით ავსებულა. ნაირ-ნაირ, დიდ-პატარა მყუარს, გომბეშოს, ვასაკასა<sup>2</sup> და ბაყაყს დაუდვია იქ ბინა. ზოგი იმსისხოა, ჭენგლუნგ-ის<sup>3</sup> ტოლაა. მავანი და მავანი თუკი სულს ბაყაყისას განარისხებს, მის სახლში უმაღლ ათასგვარი უცნაურობა დატრიალდება. ბაყაყნი მაგიდებსა და ლოგინებზე ხტიან, კედლებზე დაცოცავენ, შვეული ზედაპირიდან არც კი ცვივიან. ასე და ამგვარად, ხიფათი, ფათერაკი უამრავია. ხოლო ყოველივე ამით როდი მთავრდება. ოჯახებს თავს ატყდება უბედურება ნაირ-ნაირი. დამფრთხალ-დაშინებული ხალხი საქონელსა სწირავს მსხვერპლად. ტაძრებს მიეშურებიან ლოცვათა აღსავლენად. გულს ღვთაებრივი ბაყაყისა როგორც კი მოიგებენ, უბედურება მყისვე შეწყდება, განქარდება.

იყო ხუბეი-ში ერთი კაცი, სიუე ქუნშენგ-ი. დაბადებით გონიერება, სილამაზე დაჰყოლოდა. ექვსი-შვიდი წლისა რომ შეიქნა, დედაბერი ერთი ეწვია. თალხსამოსიანი. თქვა: „ბაყაყთა სულის წარმოგზავნილი გახლავარ. გეახელით, რათა ნება-სურვილი მისი გაუნყოთ. კეთილინება სულმა, წყალობა მოიღოს, ქალიშვილი თვისი ცოლად მიათხოვოს ქუნშენგ-ს.“ მამა ქუნშენგ-ისა თავმდაბალი, პატიოსანი კაცი იყო, ალაღმართალი. წრფელი გულით მოახსენა, ქორწინების ასეთისა სურვილი არ გამაჩნიაო. თან ქუნშენგ-ი ჯერხანად ასაკმცირეა მეტადო. ქორწინებაზე მართალია უარი განუცხადა, ხოლო ველარც ის გაბედა, სხვა ოჯახისთვის დამოყვრება შეეთავაზებინა.

წლები გავიდა. სიუე ქუნშენგ-ი წამოიზარდა. მოხუცმა სიუე-მ ერთ ოჯახთან, გვარად ძიანგ-თან, საქორწინო პირობა შეკრა. ბაყაყთა სული ძიანგ-ებს ეუბნება: „სიუე ქუნშენგ-ი ჩემი სასიძოა. რარიგ გაგიბედავთ საქმით ასეთით თითების დასვრა?!“

ძიანგ-ის ოჯახს ელდა ეცა. სიუე-ს ოჯახს საჩქაროდ დაუბრუნეს ბელგა, საფაშხანდიერო<sup>4</sup> ნიშნობის ძღვენი. ხნიერი სიუე დალონდა. განამზადა მსხვერპლშესანიერი. ტაძრისაკენ გასწია სალოცავად. უბნობს: „ვერასგზით ვერ გავბედავდი სულეებთან დანათესავებას.“ ის-ის იყო ლოცვა-ვედრება დაასრულა, რომ ღვინის ფიალაზე, ლანგარზე უშველებელი მატლები ამოცოცდნენ, ფუთფუთებენ, ირევიან. ხანდაზმულმა სიუე-მ სამსხვერპლო ღვინო, კერძი, საჩქაროდ გადააქცია. მობოდიშ-



ებით გაეცალა იქაურობას. შინისაკენ ქნა პირი. შიშნეულია, გული ელევა, მორჩილად ელოდება-რაც მოხდება, მოხდება.

ერთხელ ქუნშენგ-ი გზას დასდგომა. შემოხვდა შიკრიკი. ნაუკითხა განკარგულება სულისა. მიწვეული ბრძანდებითო. მოციქული გულმოდგინებით, ლამის ხმა ჩაუნყდეს, ემუდარება – თანხმობა თქვიო. სხვა რაღა გზა იყო, გაჰყვა მოციქულს ლასლასით. მენამულ, წითლად მოკაშკაშე ალაცაფის კარი<sup>5</sup> გაიარეს. ხედავს ქუნშენგ-ი, ბრწყინვალე სრა-სასახლეა, სართულებად აზიდული. ირგვლივ საარაკო სილამაზე, მშვენიერება თვალწარმტაცი სუფევს. სამოცდაათი-ოთხმოციოდენ წლის მოხუცი პალატში დაბრძანებულია. ქუნშენგ-მა მის წინაშე მყის მუხლი მოიყარა, დაემხო, თავი იატაკს ახალა. ხანდაზმულმა ბრძანა, წამოაყენეთო. იქვე, თავის გვერდით სავარძელი შესთავაზა.

გამოხდა რამ ხანი. დარბაზი გაივსო შიმუნვარებითა<sup>6</sup> და სეფე-ქალებით, პირისფარეშებითა და მსახურებით, დედაბრებითა და დედაკაცებით. პალატის აქეთ და იქეთ გამწკრივდნენ. ქუნშენგ-ს ცნობისმოყვარეობით აკვირდებიან, თვალჩაშტერებით უმზერენ. ხანმრავალმა განკარგულება გასცა: „მიბრძანდით, მოახსენეთ, ყმანვილი სიუე აქა ბრძანდება!“

რამდენიმე მოახლე გაიქცა. კიდევ ცოტა და მოხუცმა მოახლემ გამოიყვანა გოგონა. თექვსმეტ-ჩვიდმეტიოდენ წლისა იქნებოდა. ენითუთქმელი სილამაზისა, თვალწარმტაცი. სიბერემონვენულმა თქვა: „აი, ქალიშვილი ჩემი, შ'ნიანგ-ი. <sup>7</sup> შესაძლებელ იყო ყოფილიყავით ჩინებული თანამეცხედრენი. მამაშენმა იუარა იმა მიზეზით, სხვადასხვა მოდგმისანი რომ გახლავართ. საქმე ესე ასწლიანია. ხოლო მშობლებს შენსას მარტოოდენ ორმოცდაათი წლის განკარგვა ხელენიფებათ ოდენ. უფლება საბოლოო გადაწყვეტილებისა მარტოოდენ შენა გაქვს.“ ქუნშენგ-ს ქალიშვილმა თვალი მოსწყვიტა. შ'ნიანგ-ის სიყვარული გულში შეეპარა. ხოლო სიტყვას არა ძრავს.

მოხუცებულმა ქალბატონმა თქვა: „აკი ვუნყოფი, ყმანვილი სიუე რომ ისურვებდა. დაღაცათუ ჯერხანად დაბრუნდი შინ. შ'ნიანგ-ს ჩვენ თავად მოგგვრით.“ ქუნშენგ-ი დაეთანხმა, მიუგო: „კეთილი!“ გამოეთხოვა ბერიკაცს. სასახლიდან გავიდა. შინისაკენ მოჰკურცხლა. სურდა მამისათვის მიეთხრო ყოველი, რაც რამ გარდახდა.

მოხუცი სიუე სიჩქარეში რაღას გაანყობდა, რაღა უნდა ელონა. ვაჟიშვილი დაარიგა: „წადი, პატივისათვის თავაზით, ზრდილი სიტყვით მოახსენე მადლობა. უარი კი მაინც განუცხადე.“ ქუნშენგ-ი არ დაეთანხმა მამას. ვიდრე კამათობდნენ საქორწინო ცხენებზემული ეტლი კარს მოადგა. შიმუნვართა და მოახლე ქალთა გუნდი, ლურჯ კაბა-ხალათებში გამოწყობილნი, შ'ნიანგ-ს ხელს აშველებენ. პალატში შემოაბრძანეს. მიიწია რა პალატად შ'ნიანგ-მა დედამთილ-მამამთილს თავი დაუკრა. ხედავენ, მართლაც მშვენიერია. ნება-უნებურად მოენონათ. აი ასე და ამგვარად, საღამო ხანს ქორწილი გადაიხადეს. მემუსიკეთა დასი საამოდ აგუგუნებდა ჰანგს. ახალგაზრდა წყვილმა სიამტკიბილით, ნაზი სიყვარულით იწყო ცხოვრება.

მას აქეთ ციური რძლის დედ-მამა ხშირ-ხშირად სტუმრობდა სიუე ქუნშენგ-ის ოჯახს. ცნობისმოყვარედ მიმართულიყო მათკენ მეზობელთა თვალი. ყურადღებით აცქერდებოდნენ ფერს მათი ტანსაცმლისა. თუკი მენამული, ხასხასა



წითელი იყო სამოსი<sup>8</sup>, ნიშნავდა სიუე-ს ოჯახში სიხარული რომ სუფევდა. თუკი სპეტაკი თეთრი ემოსათ-ვერცხლით გამდიდრებას მოელოდნენ. წესი ესე არაოდეს დარღვეულა. მარადჟამ აღსრულდებოდა ხოლმე. სიუე-ს ოჯახი ხარობდა, იფურჩქნებოდა. ოლონდ ეს კი იყო-ყველგან, დარბაზებსა, პალატებსა, ოთახებში, გალავანსა, ფეხსალაგში, ყველგან და ყოველგან, ბაყაყნი, ჯოჯოები დახტოდნენ, ირეოდნენ. ვერვის გაებედა მათი აუგად ხსენება, ლანძღვა. ზედ ფეხის დადგმას ხომ აბა ვინლა გაბედავდა.

ქუნშენგ-ი ფრიად ახალგაზრდა იყო, გულფიცხი. თუკი კარგ გუნება-განწყობაზე ბრძანდებოდა, ლმობით ეპყრობოდა ბაყაყთ. ხოლო კმაროდა გულისწყრომა მორეოდა, რომ დაუნდობრად სრესდა, ფეხითა ჭყლეტდა, მუსსრს ავლებდა. შ'ნიანგ-ი ბუნებით თუმც სათუთი, სათნო, ნანარი იყო, ხოლო გაცხარებაცა სჩვეოდა. ქმრის საქციელი აჯავრებდა, ბრაზი მოსდიოდა. ქუნშენგ-ი აინუშშიც არ აგდებდა ცოლის ნება-სურვილს, თავს არ უდებდა.

ერთხელაც შ'ნიანგ-მა არ შეიკავა თავი, განყრა. დაამუნათა ქმარი. ქუნშენგ-ი ნამეტნავად განრისხდა, თქვა: „გინდა ისარგებლო, მშობლები სულელები რომ გყვანან. რაო, ადამიანებზე შურისძიება გნებავს?! მე მამაკაცი გახლავარ. ბაყაყებს რარიგ შევუშინდები, თავს რარიგ დავუდებ?!“ შ'ნიანგ-ისათვის სხვა რამ კანონი არ არსებობდა გარნა ბაყაყისა. მის თანდასწრებით აბა ვინ გაბედავდა წარმოეთქვა სიტყვა „მყვარი.“ ახლა განრისხდა ძლიერ, თქვა: „მას აქეთ, რაც შენს ოჯახში ფეხი შემოვდგი, მოსავალი უხვია, ხვავრიელი. ვაჭრობა მოგებას იძლევა. ვერცხლი საკმაო დაიგროვეთ. დიდ-პატარა არც მოშეიბულია, არც შემცივებული. შენ კი, ნუთუ გსურს იქცეოდე ბუს და ზარნაშოს მსგავსად, ბუდიდან აფრინდებიან თუ არა, მყისვე დედას თვალებს ამოჰკორტნიან?!“ ქუნშენგ-იც გაშმაგდა, ლანძღვა-გინება დააყარა: „ყოველი, რაც რამ მოგიტანია, გულს მირევს, მძაგს, მეზიზღება. ოხრობა და სისაძაგლეა ესე ყოველი! სასირცხვოა შვილებსა და შვილიშვილებს მემკვიდრეობა ამგვარი ვუანდერძო! აჰა, დავშორდეთ ერთმანეთს, გავიყაროთ. რაც ადრე, მით უმჯობესი!“

განაგდო შ'ნიანგ-ი. ხმაურსა და აყალმაყალზე მშობლები გამოცვივდნენ შეშფოთებულნი. შ'ნიანგ-ი წასული დაუხვდათ. გულისწყრომით აღივსნენ, დაამუნათეს ვაჟიშვილი. უბრძანეს, გასწი, საჩქაროდ დაეწიე, მოაბრუნეო. ქუნშენგ-ის ბრაზი ტალღის მწვერვალს მისწევნოდა, გაჯიუტდა, გაკერპდა. არა და არ ნავიდა.

იმავე ღამით ქუნშენგ-იცა და დედა-მშობელიც ავად შეიქნენ. მადაც დაკარგეს. მეორე დღეს მოხუცმა სიუე-მ, ელდანაკრავმა, ზურგს ეკლიანი ძნა მოიკიდა<sup>9</sup>, თხოვნა-მუდარით მიაშურა ცინვა ც'-ს სამსხვერპლოს. ილოცვიდა წრფელი გულით. შენდობას ითხოვდა.

სამ დღეში დედა-შვილმა მოიხედა, მომჯობინდნენ. შ'ნიანგ-იც დაბრუნდა. შერიგდა ცოლ-ქმარი. ძველებურად სიამტკბილეში იწყეს ცხოვრება, უწინდებურად.

შ'ნიანგ-ი ქალური საქმის ხელოვნებაში არიყო განაფული. ხელსაქმე, ჭრა-კერვა, ქარგვა არ ემარჯვებოდა. დღენიადაც სალუქი, საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული დაბრძანდებოდა. ქუნშენგ-ს თავსაბურავს, ფერხთსამოსს ერთთავად დედა უკერავდა. ერთხელაც ქუნშენგ-ის დედა, გულჯავრიანი, უბნობს: „ვაჟიშვილს ცოლი მოუყვანია. ხოლო მაინც დედა-მშობელს აკისრებს ტვირთს, საზრუნავს. ქანცსა

სწყვეტს! სხვა ოჯახებში რძლები თავს ევლებიან დედამთილთ, ზრუნვას არ აკლებენ. ხოლო ჩვენს ოჯახში დედამთილი ემსახურება რძალს!“ შემთხვევით შ’ნიანგ-ს ესმა ნათქვამი. შევიდა რა პალატად ჰკითხავს: „რძალი თქვენი დილ-დილაობით, საუზმისას, გემსახურებათ. სალამოხანს, საძილედ მზადებისას, ხელს გაშველებთ. ერთი ეს მიბრძანეთ, გეთაყვა, რძალს რომ ევალება, იმ საქმეთაგან რომელია, რომ არ ვასრულებ?! ფულიც საკმარი გაქვთ, რათა პირისფარეში დაიყენოთ, იქიროთ. ხოლო ფულს ხელს უჭერთ, ძუნწობთ. ვითომ რატომაო? სჩანს, იღლებით, ქანცი გელევათ. ამა მიზეზით ჯავრობთ. მე მყვედრით!“ დედამთილს რაღა ეთქმოდა, დაჩუმიდა, შერცხვა. აიმრიზა, დაემდურა. თვალნი ცრემლით აღევსო.

სწორედ ამ დროს ოთახში ქუნშენგ-ი შევიდა. ხედავს, დედის თვალს ცრემლი მოსდგომია. იწყო მიზეზთა გამოძიება. ბრაზმორეულმა შ’ნიანგ-ს საყვედური დააყარა. შ’ნიანგ-ი ჯიქურ თავისას ადგა. კიდევ მეტად გაცეცხლდა ქუნშენგ-ი. გაგულისდა, თქვა: „ცოლი მომიყვანია, ის კი არცა კადრულობს დედამთილს მიმიხედოს, გამიხალისოს დედილო. ცოლი ამგვარი სჯობს არც იყოლიო. თუკი ბებერ მწვანე მყვარს განვარისხებ, ნეტავ ვიცოდე, რას დამაკლებს?! ერთი ეს არის, ნყულ სიკვდილს გადამყრის, მეტს ხომ არას?!“ განაგდო ცოლი. შ’ნიანგ-იც გაშმაგდა, გაცოფდა. წავიდა.

მეორე დღესვე სიუე-ს ოჯახში ხანძარი გაჩნდა. ოთახი რამდენიმე გადაიბუგა. მაგიდები, ტახტები ფერფლად იქცა. ქუნშენგ-ი უწინდებურზე მეტად გააფთრდა. ტაძრისაკენ მოჰქუსლა. გავეშებულნი ეკვეთა საკურთხეველს, ილანძღება: „ეს რარიგი ქალიშვილი გაგიზრდიათ?! დედამთილ-მამამთილს არა მორჩილებს. არ არს ზრდილი. უკმეხია, ურჩი. მფარველობთ და ქომაგობთ, იცავთ, ამართლებთ ნაშიერს თქვენსას. აკი სულელები სამართლიანნი ბრძანდებით?! განა რომელი სული დამოძღვრავს კაცს, გქონდეს შიში ცოლისა, ქალისა გეშინოდესო? ჩვენს შორის ჩხუბის, უთანხმოების მიზეზით პასუხი მარტოოდენ მე მეკისრება. მშობლებს ჩემსას განა რა ბრალი ადევთ? გინდ მომკალით, გინდ ასო-ასო ამკუნეთ, ყოველივე მე მადევს ბრალად. თუ არა და ბუდეს თქვენსას ცეცხლს მივცემ, ნაცარტუტად ვაქცევ. საკადრისს მოგაგებთ! აი, ეს იქნება პასუხი ჩემი!“ ესა თქვა, მოარბენინა თივა, ტაძარს გარს შემოუწყო. ცეცხლის გაჩენას აპირებს. თანასოფლელებს თავზარი დაეცათ. სირბილ-სირბილით მოიყარეს თავი. სთხოვენ, ევედრებიან. ბოლმით აღვსილი უილაჯოდ წალასლასდა შინისაკენ.

მშობლებმა ამბავი ესე შეიტყეს. შიშით ათრთოლდნენ. სახე შეეშალათ.

კარგა შელამდა. თანასოფლელებს ერთს ღამით სიზმრად ბაყაყთა სული ეზმანა. მეზობელ სოფლის ბაყაყთა სულმა შემოგითვალა, სიძე-კაცს გადაეცი – ახალი სახლის შენებას შეუდგესო.

ის იყო ირიჟრაჟა, მეზობელ სოფლის მკვიდრნი დაიძრნენ. მოზიდეს მორები. მოიწვიეს ოსტატები. ქუნშენგ-ისათვის ახალი სახლის აგებ-შენება იწყეს. დღე-დღე გარეშემო სოფლებიდან მუშა-ხელი ასობით, დამწკრივებულნი, ხელებდაკაპინებულნი, მისაშველებლად მოდიოდა. ქუნშენგ-ის ოჯახობა რაღას გახდებოდა, ველარ იყო უარს.

არც გასულიყო დღე რამდენიმე და ახალი სახლი გაბრწყინდა, გამშვენდა. სარე-ცელიცა და ქვეშაგებიც, ფარდაგებიცა და ფარდებიც, ავეჯიცა და ჯამ-ჭურჭელ-იც, მთლადაც გაახლდა, სახმარად მზა შეიქნა.

ის-ის იყო დასრულდა სამზადისი და შ'ნიანგ-იც მობრძანდა. დარბაზს შევიდა. დედამთილს შესთხოვა პატიება. იყო ფრიად ზრდილი, მორჩილი, სათნო, გულთბილი. ახლა სახით ქუნშენგ-ისაკენ შებრუნდა, შეჰკლიმა. და ოჯახობა რისხვიდან სიკეთისაკენ მოექცა. სიამე, სიხარული დამკვიდრებულყო ყველგან.

მას აქეთ შ'ნიანგ-ი მარადღუამ ალერსიანი, თავაზიანი, სანდომიანი შეიქნა. ორმა წელიწადმა ზედმიყოლებით ჩაიარა ისე, ოჯახში უთანხმოება არა მომხდარა რა.

შ'ნიანგ-ს მეტადრე ქვემძრომნი, გველები სძაგდა, ზიზღსა ჰგვრიდა. ერთხელ ქუნშენგ-მა მოიპრიანა, მოდი ერთი ვიხუმრებო. აილო და ზარდახშაში პანია ძლოკვი ჩასვა. შ'ნიანგ-ს მიუპყრა. სთხოვა, გახსენ, ახადე სახურავიო. გახსნა თუ არა ზარდახშა, შ'ნიანგ-ს პირკატა ეცა, კანკალმა აიტანა, ფერი დაჰკარგა, გაფითრდა. შიშმა იმ ზომამდე გააშმაგა, შეიგინა. ქუნშენგ-ს სახუმარო გუნება ჯავრით ეცვალა. უხამსი, უნმანური სიტყვები დაახალა. შ'ნიანგ-მა თქვა: „აი ან უკვე ველარ ხარ შემძლებელი განმაგდო მე! ამჯერად ველარ განმაძევებ! ამიერიდან ძაფი, ჩვენს შორის რომ გაბმულიყო, დანით გადაჭრილა!“ გულგამეხებული ალაყაფს მიღმა გაიჭრა. განქრა, განქარდა.

მოხუცმა სიუე-მ, მეხდაცემულმა, ძლიერ დატუქსა, ჩათათხა, გვარიანად მიბეგვა კიდევაც ქუნშენგ-ი. ისევ და ისევ სამსხვერპლოსაკენ გაემართა შენდობის შესავედრებლად. ამჯერად, საბედნიეროდ, უბედურება ოჯახს თავს აღარ დასტეხია. ხოლო შ'ნიანგ-ის კვალი აღარსად გამოჩენილა.

განვლო დრომ წელიწადზე მეტმა. ქუნშენგ-ს მოენატრა შ'ნიანგ-ი. ნანობდა, იგვემებოდა. ერთხელ ჩუმ-ჩუმად, ყველასგან ფარულად, სამსხვერპლოს მიიღრბინა. შენდობას ივედრებოდა. პასუხი არა იყო რა.

მოკლე ხანში ხმა დაირხა. ბაყაყთა სული შ'ნიანგ-ს ხელახლა ათხოვესო. ამჯერად იუან-ის ოჯახის შთამომავალზე სურს დააქორწინოსო.

ქუნშენგ-მა იმედი დაკარგა. უსასო შეიქნა. ადგა და მაჭანკლების ძებნას შეუდგა. ცოტანი როდი იყვნენ მსურველნი. ხოლო ქალწული ერთიც არ ჩანდა შ'ნიანგ-ის სადარი. ქუნშენგ-ის გული კაემნით შემძიმებულიყო. დარდი მეტად და მეტად გაუცხოველდა.

წავიდნენ, ვნახოთ ერთი იუან-ის ოჯახში რა ხდებაო. ხედავენ, სახლი გაახლებულა, გამშვენებულა, ბრწყინვალეხს. ელოდებიან პატარძალს. ქუნშენგ-ი იურვოდა, წუხდა, ჭმუნავდა, ინანიებდა დანაშაულს. ჭამა-სმაზე უარი თქვა. გაუხარებელი შეიქნა, სიცოცხლემობეზრებული. სნეულებამ დარია ხელი.

ქუნშენგ-ის მშობლები მღელვარებამ მოიცვა. აღარ უწყიან რა იღონონ, რა გზას დაადგინენ.

ერთხელ ქუნშენგ-ი გონებამიხდილი, გულმიბნედილი წევს. უეცრად გრძნობს, ხელი მავანისა უალერსებს ნაზად, ელაციცება. ხმა ესმა: „ჰე, მამაცო ვაჟკაცო! აგრერიგ მოხშირებით რომ ესწრაფოდი ჩემს განშორებას. ეს რას დამსგავსებულხარ, რა ამბავია, რა ხდება შენს თავს?“

გაახილა თვალი. რას ხედავს — შ'ნიანგ-ი დგას იქვე, ზედ თვალწინ! ქუნშენგ-ი სიხარულით ცას ენია. თოფნაკრავივით წამოიჭრა ზეზე, ამბობს: „ჰოი, რა მომხდარა, ჩემთან მოხველ?!“ შ'ნიანგ-მა მიუგო: „თუკი ვიმსჯელებთ იმგვარად, უნინ რომ მეპყრობოდი, მე მშობლების მორჩილი უნდა ვყოფილიყავ. ცოლად სხვას მივთხოვებოდი. იუან-ების ოჯახმა დიდი ხნის უნინ მოგვართვა შანა,

საქორწინო სანდო ნიშანი. ხოლო მე თავში ფიქრნი მომიგროვდა. ათასჯერ, ათი-ათასჯერ ვიფიქრე. გული ჩემი მაინც არ მკარნახობს გადამწყვეტილებას მტკიცეს, რომ მიგატოვო. საქორწინოდ დანიშნული უკვე იყო სალამო დღევანდელი. მამა-ჩემი თავს ისე როდი დაიმცირებდა გაეტეხა პირი, უკან წაელო სიტყვა პირობისა, იუან-თა ოჯახისათვის უარი შეეთვალა. მე თვითონვე მომინია ხელთ აღმეპყრო ძღვენი საქორწინო, თავად წარმევლინა უკან ნიშნად უარისა. ჰოდა აი, სწორედ ახლა დავბრუნებულვარ შინიდან. მამა, მშობლიური სახლიდან როს მაცილებდა, მითხრა: „შეშლილხარ ბედკრულო, უგუნურო მიჯნურო! არ ხარ მორჩილი ჩემი. მაშ ჰა, წადი! ამიერიტ სიუე-ს ოჯახში რაგინდ გტანჯონ, რაგინდ განამონ, ჩემთან დაბრუნებას ნულარ გაბედავ! მოჭრილია გზა დასაბრუნებელი!“

ქუნშენგ-ი განაცვიფრა შ'ნიანგ-ის ერთგულებამ. მადლიერებით განიმსჭვალა. ოხვრა აღმოხდა. ცრემლთა ღვარი, წვინტილი ვერ შეიკავა.

ჯალაბობამ მთელმა გულით გაიხარა. გაექანნენ ბატონთან, მოხუც სიუე-სთან, ამბის მისახარებლად. დედამთილი არ დალოდებია ვიდრე შ'ნიანგ-ი ეახლებოდა, თავს დაუკრავდა. თვითვე იჩქარა ვაჟიშვილის საძინებელ ოთახში. ხელი ჩაჰკიდა შ'ნიანგ-ს, ცრემლი გადმოაფრქვია.

ამ ამბის მერე, ქუნშენგ-ი თითქო კიდევ უფრო დავაჟკაცდაო. გონიერება შეემატა. აყალმაყალს თავი ანება. ცოლ-ქმარი ღრმა გრძნობით განმსჭვალულიყო.

ერთ დღეს შ'ნიანგ-ი ქუნშენგ-ს ეუბნება: „ადრე ის მალონებდა, ქარიფანტია, ცულუტი რომ იყავ. ვწუხდი, ჩვენი ერთად ცხოვრება, რომ იტყვიან, ჭალარას, ღრმა სიბერეს, სრულ თანხმობაში ვერ მიატანდა. ამიტომ იყო, ვერ გამებედა ამქვეყნად შთამომავალი დამეტოვებინა. ახლა კი ვუნცი-შევეძლებთ ამას! ამრიგად და ამნაირად მალე მემკვიდრეს გაგიჩენ!“

მოკლე ხანში შ'ნიანგ-ის მშობლებმა, მენამულ კაბა-ხალათებში გამოწყობილებმა, მორთულ-მოკაზმულებმა, ინებეს ზეციდან სიუე-ს ოჯახსა სწვეოდნენ. მეორე დღეს შ'ნიანგ-მა იმშობიარა. ტყუპი შეეძინა. ვაჟები იყვნენ ორთავენი.

მას აქეთ ბაყაყთა სულებთან კავშირი არ განყვეტილა. თანასოფლელნი, თუკი ბაყაყთა სულს განარისხებდნენ, უეჭველად ეახლებოდნენ ქუნშენგ-ის ოჯახს. ქალები, საზეიმოდ მორთულნი, მიეახლებოდნენ შ'ნიანგ-ის საძინებელს, თავს დაუკრავდნენ. და თუკი შ'ნიანგ-ი ღიმილს შეაგებებდა-უნყოდნენ, უბედურება გვერდს აუქცევდა.

ამ ამბის მერე სიუე-ს გვარი ფრიად გავრცელდა, შვილიერი შეიქნა, შთამომავლობა მრავლად შეიძინა. ხალხში ახლაც უბნობენ: „ეგე სიუე ვასაკა არისო.“<sup>10</sup> მართალია, სიუე-ს თანასოფლელნი აგრერიგ არ კადნიერდებიან, ვერა ბედავენ ხოლმე სიტყვით ასეთით მოიხსენიონ, ხოლო შორეულ სოფლის გლეხობა სწორედ რომ ასე უბნობს-„სიუე ვასაკას გვარი არისო!“

## განმარტებანი

1. ცინვა — ბაყაყი, ც' — სამსხვერპლო, ტადარი

2. მყვარი, ვასაკა — მწვანე მცირე მყუარო, ბაყაყი. სულხან-საბა ორბელიანი.

ქართული ლექსიკონი

3. ჭენგლუნგ-ი — ჭურჭელი. ლითონის ქვაბი, რომელზეც იდგმება ბამბუკის



მონწილე მჭურჭელი და ორთქლზე მზადდება კერძი. ჩინეთში საჭმელს პირდაპირ ცეცხლზე არ ხარშავენ, უმეტესწილად ორთქლზე ამზადებენ

4. **საფაშხანდიერო** — საცერემონიო, ცერემონიული

5. **წითლად მოკაშკაშე ალაყაფი** — მდიდარი, შეძლებული ოჯახის ჭიშკარი

6. **შიმუნვარი** — ქალი მხლებელი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

7. **შ'ნიანგ-ი** — მეათე ქალწული, ოჯახში რიგით მეათე ქალიშვილი

8. **წითელი სამოსი** — ძველ ჩინეთში წითელი ოფიციალურად იყო მიჩნეული სიხარულის ფერად. საქორწილო ცერემონიებში, მაგალითად, წითელი ფერი ბატონობდა ტანსაცმელში, საგნებში, ყველაფერ იმაში, რაც ნეფე-პატარძალს გარს ერტყმოდა. ამასთანავე, წითელი ტანისამოსის უფლება მხოლოდ და მხოლოდ მაღალჩინოსნებს ჰქონდა. ეს იერარქია ზეცაშიც, სულების სასუფეველშიც იყო დაცული

9. **ეკლიანი ძნა მოიკიდა** — მოსანანიებლად წავიდა





## მოჭადრაკე კუი

# 棋鬼

იანგჭოუ-ელი სამხედრო რწმუნებული, ბატონი ლიანგ-ი, სამსახურიდან რომ გადადგა, მშობლიურ მამულს დაუბრუნდა. ყოველ ცისმარე დღეს ხელთ აღიპყრობდა ჭადრაკს, თან გაიყოლებდა ღვინოს, მწვანე ტყესა და მთებს ცისფერს მი-აშურებდა. ზურმუხტოვან მთა-ბარში სასეირნოდ მირონინებდა. სწორედ მეცხრე თვის მეცხრე დღე იყო. იდგა ჩუნგინგ-ის<sup>1</sup> დღესასწაული. ხალხი მთის მწვერვალებისაკენ ნება-ნება მირონინებდა. ბატონი ლიანგ-იც სტუმრებითურთ სასეირნოდ, გასართობად, ჭადრაკით ხელში, იქეთ დაადგა გზას.

სად იყო, სად არა, გამოჩნდა ერთი კაცი. მიუახლოვდა. თვალი დაჰკრა ჭადრაკის დაფას. გარს უტრიალებს. თვალი ზედა რჩება. დრო კარგა დიდი გავიდა. კაცი იგი არა და არ შორდება იქაურობას. შეხედავ, ერთობ ღარიბ-ღატაკია. სამოსი ჩამოსძენძია, ხოლო იერს მისას ხიბლი რამ დაჰკრავს. საქციელით თვისით, სჩანს, დიდგვაროვანია, ვენჟენ-ი<sup>2</sup> უნდა იყოს. ბატონი ლიანგ-ი თავაზით მოეპყრა, ფაშხანდით.<sup>3</sup> მამაკაცი მხოლოდ ამას მერე ჩამოჯდა მოკრძალება-მორიდებით. ბატონმა ლიანგ-მა ჭადრაკს მიუთითა, თქვა: „გატყობთ, ბატონო, ამ თამაშის ჩინებული ხელოვნების ნიჭი გაქვთ ბოძებული, გატაცებულხართ, განაფულხართ. ხომ არ ინებებდით ჩემს სტუმრებთან გეთამაშათ, თუნდც ერთი ხელი. „მამაკაცმა კრძალვით უაღრესით იუარა. ბოლოს და ბოლოს დათანხმდა. შეუდგნენ თამაშს. წააგო ხელი პირველი. იმედგაცრუების ნალველი და მოუთმენლობა აღებეჭდა პირისახეზე. არსებით მთელით განიცადა მარცხი თვისი. თითქოს ვერც იკავებდა თავს. კიდევ და კიდევ ითამაშეს. კვლავ წააგო. კიდევ მეტად დაღონდა, მწუხარებამ დარია ხელი, განყრა, გაჯავრდა. ღვინო შესთავაზეს-არ გაიკარა. სტუმართ კაბა-ხალათის სახელოზე ეწევა, კვლავ და კვლავ ინვევს სათამაშოდ. დაღამებამდე, ვიდრე მზის სხივი დასავლეთს ჩაესვენებოდა, არ შეუწყვიტავს თამაში. შარდის გადასაქცევა-დაც კი არ გასულა.

ერთ ჯერზე მემორინენი<sup>4</sup> ერთი სვლის გამო ურთიერთს რომ შეეხნენ, ორივე მხარე გაცხარებით რომ ჩაება სამორინო თამაშობაში, გამოსავალი რომ აღარა ჩანდა, უცებ მნიგნობარი ეგე კაცი ზეზე წამოიჭრა. მოულოდნელად სახეზე შიში, უსაზომო ძრწოლა აღებეჭდა. შიშს უთმენი კაეშანი რამ ერთვოდა. წამისყოფაში ბატონი ლიანგ-ის წინაშე მუხლებზე დაეცა, თავი მიწას ახალა. მიხსენ, გადამარჩინეო შეჰლაღადა. ბატონი ლიანგ-ის გაოცებას არა ჰქონდა საზღვარი. შეცბუნდა. სცადა ზე წამოეყენებინა. თქვა: „ეს ხომ თამაშია ოდენ! ღირს განა ასევეითარად იკლავდეთ თავს, აგრერიგ ნუხდეთ, იურვოდეთ!?“ მნიგნობარმა კაცმა მიუგო: „გევედრებით, მეჯინიბეს თქვენსას უბრძანეთ, წყალობა ჰყოს, ყელს საბელს ნუ შემომეყულფავს“. ბატონმა ლიანგ-მა ამბავი ესე კიდევ მეტად იკვირვა. სახტად დარჩა. ჰკითხავს: „მეჯინიბე ვინლაა?!“ იგი მიუგებს: „მა ჩენგ-ი გახლავთ.“

თურმე ნუ იტყვით, ბატონი ლიანგ-ის ოჯახის მეჯინიბეს, მა ჩენგ-ს, ინ-ის<sup>5</sup> სამფლობელოში ჯოჯოხეთის მსახურის ხარისხი, თანამდებობა მოეპოვებინა. გახშირებით, ესე ათიოდ დღეში ერთხელ, ევალეობდა საიქიოში თვისი მოვალეობის

ასრულება, საბუთთა წარდგენა. სიებში ახლგარდაცვლილი სულები სახელდებოდნენ, მსახურთ ვინც უნდა შეეპყროთ.

წიგნიერი კაცის სიტყვები ბატონ ლიანგ-ს ფრიად უცნაურად ეჩვენა. შინაყმა თვისი წარავლინა. წადი, შეიტყე, მა ჩენგ-ს რა შეემთხვაო. მართლადაც, ორიოდ დღეც იქნებოდა, მა ჩენგ-ი ლოგინად ჩავარდნილიყო, მკვდარივით ესვენა თურმე. ბატონ ლიანგ-ს სხვა რალა დარჩენოდა, მა ჩენგ-ს უბრძანა, დაუნდობრად, სასტიკად ნუ მოეპყრობი ბატონ მწიგნობარ კაცსაო.

მწიგნობარი კაცი თვალის დახამხამებაში მიწაზე დაეცა. წამის უმალ გაქრა, განქარდა სახე თუ სახსენებელი მისი. ბატონი ლიანგ-ი კარგახანს ოხრავდა, ხვნიშოდა. იგრძნო გუმანით, კუი- ბრძანებულა მწიგნობარი ეგე კაცი.

გავიდა დღე ერთი. მა ჩენგ-მა სული მოიბრუნა, ცნობას მოვიდა. ბატონმა ლიანგ-მა მიიხმო, ჩაეძია, გამოჰკითხა უჩვეულო ამბავი ესე. მა ჩენგ-მა უამბო, როგორც იყო: „მწიგნობარი ეგე ხუსიანგ-ის მაზრის მკვიდრი გახლავთ. თურმე ნუ იტყვი, გარდარეული სიყვარული აჰკვიატებოდა ჭადრაკის მღერა-შექცევის<sup>6</sup> მიმართ. ჭადრაკის იმგვარ ჟინს შეეპყრო, მხოლოდ იმაზედღა ფიქრობდა. იმ ზომამდე გახელბულა, ისე თავდავინყებით გატაცებულა, თურმე ოჯახი მთლადაც დააქცია, გააკოტრა. ქონება, ავლადიდება, ზინეთი გაუნიავა. მამამ მისმა იდარდა მეტად. ვაჟიშვილს ხან სამეცადინო ოთახში გამოჰკეტავდა, ხან სამკითხველოში გამოამწყვევდა. ხოლო იგი არა და არ ცხრებოდა. კედელს გადაძვრებოდა, გარბოდა. უკაცრიელ ადგილს მემორინებებს, მემღერო, ამფსონებს თვისას გადაეყრებოდა. ეძებდა მხოლოდ და მხოლოდ თავის საფერსა და ყადარს, მხოლოდ სამორინოს, ჭადრაკის მღერა-შექცევის ალაგს. მამა, ამ ამბავს რომ შეიტყობდა, წყრებოდა, ტუქსავდა, თათხავდა, სჯიდა ვაჟიშვილს. ამაო იყო ყოველივე. მემორინეს ვნებას საკილველს ვერარა აბრკოლებდა. ვაჟიშვილის საქციელმა მამა სიკვდილის პირს მიიყვანა. კიდეც აღმოხდა სული.

მიცვალებულთა სამყოფელის მსაჯულმა, მეფემ იენვანგ-მა ყმანვილკაცის საქციელი უზნეოდა სცნო. ამად იყო, რომ შეზღუდა, შეამცირა სასიცოცხლო წლები მისი. ჯოჯოხეთს წარავლინა. ადგილი იქ მიუჩინა დამნაშავენი მიწყვი მშიერ-მწყურვალნი რომ არიან, მარადჟამ რომ იტანჯვიან, იგვემიან.

ესე ამბავში შვიდმა წელიწადმა ჩაიარა.

იმქვეყნად, აჩრდილთა სამყოფელში ამ დროისათვის გასრულდა აღმოსავლეთის მთებზე აღშენება ჭენიქსის გოდოლისა. გამოიცა ბრძანებულება, მოენვიათ ყოველ ქალაქთა ვენჟენ-ები, უკეთესო უკეთესნი. შეჯიბრი გაემართათ მჯობნის მჯობნი მწიგნობარ-შემთხვევის თხზულების შესარჩევად. ღირსსახსოვარი ამა ამბის აღმნიშვნელ ძეგლზე თხზულება მისი ამოეტვიფრათ. იენვანგ-მა მწიგნო-



ბარი კაცი ჯოჯოხეთის დილეგიდან გამოუშვა. ნა, შეჯიბრში ჩაები! ვინძლო ამ გზით ცოდვა-დანაშაული შენი გამოისყიდო. ვინ იფიქრებდა, მნიგნობარი კაცი გზად ხანს აგრერიგ დააყოვნებდა, აგრერიგ შეფერხდებოდა, შეჯიბრზე დაიგვიანებდა, ხელიდან გაუშვებდა სასიკეთო შემთხვევას.

აღმოსავლეთის მხარის ღმერთის ბრძანებულებით მორიგე სული-მოხელე მიავლინეს იენვანგ-ის წინაშე, რათა დამნაშავის ამბავი ეუწყებინა. განრისხდა იენვანგ-ი. „ჩვენ წარმოგვგზავნა, რათა შევიპყრათ შემცთარი ეგე. ხოლო გუშინსწინ განკარგულება თქვენი რომ შევიტყე, ვეღარ გავბედე გამეკოჭა თოკით.“

ბატონმა ლიანგ-მა ჰკითხა: „დღესდღეობით თავს როგორა გრძნობს?“ მა ჩენგმა მიუგო: „უწინდებურად. ჯოჯოხეთის მოხელეების ხელთ არის გადაცემული. ამქვეყნად, ცოცხალთა სამყოფელს დასაბრუნებლად აღეკვეთა უფლება სამარადუამოდ.“

ბატონ ლიანგ-ს ოხვრა აღმოხდა. თქვა: „ვნებას რაიმეს მიმართ, სიყვარულს გარდარეულს, აი, სადამდე მიჰყავს საბრალლო ადამიანი!“

### **განმარტებანი**

**კუი** — გარდაცვლილი სული. შეიძლება იყოს კეთილიცა და ბოროტიც. იხ. აგრ. განმარტება „ქალი სინგ მეთოთხმეტე“

**1. ჩუნგვანგ-ი (ან ჩუნგვანგ ძიე)** — იანგ-ის დღესასწაული. მეცხრე თვის მეცხრე დღე, ანუ ორმაგი ცხრიანის, მეცხრე მთვარის მეცხრე დღე. რიცხვი ცხრა იანგ-ის რიცხვია. ჩინური კალენდრის თანახმად, ღრმა შემოდგომის, მშვენიერი ქრიზანთემისა და მოხუცებულებისადმი მიძღვნილი დღესასწაულია. ამ დღეს, უძველესი ტრადიციისამებრ, მიდიოდნენ მთებში, მთის მწვერვალებზე, ბუნების წიაღში, ხვდებოდნენ მეგობრებს, სეირნობდნენ, სვამდნენ ქრიზანთემის ღვინოს, ბალახის კონებსა კრავდნენ. ამ დღესასწაულს გამორჩეულად მოხუცებულებს ულოცავენ

**2. ვენჟენ-ი** — სწავლული, წერა-კითხვის მცოდნე, ინტელექტუალური, განათლებული ადამიანი. მოთხრობაში მწერალი ვნებას დამონებულ ადამიანზე მიანიშნებს (ამ შემთხვევაში ჭადრაკის თამაშის სურვილს დამონებული)

**3. ფაშხანდი, ფაშხანდიერობა** — ცერემონია, ცერემონიობა. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**4. მემორინე** — მოთამაშე ჭადრაკთა და მისთანათა. ნიკო ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი

**5. ინ-ის სამფლობელო** — საიქიო, იანგ-ის საწინააღმდეგო მხარე. ჩინური ფილოსოფიური ცნება – ორი ურთიერთ დაპირისპირებული საწყისის, სამყაროს ინ-ისა და იანგ-ის ერთობა

**6. მღერა-შექცევა** — მღერა არს ჭადრაკთა და წარდთა და ყოველთა სამორინოთა თამაშობა. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**მოთხრობაში მწერალი ნარკომანობაზე მიანიშნებს.**

## ვირთაგვათა თამაშა

### 鼠戏

ვანგ ძ'სიუან-ს უამბნია: „ერთ კაცს, ქალაქ ჩანგან-ში თავი იმითი გაჰქონდა, ქუჩა-ქუჩა, ბაზრობებში დაიარებოდა. წარმოადგენდა უნარს თვისი განვრთნილი ვირთაგვებისა. ზურგს ჰკიდია ვაშკარანი<sup>1</sup> დიდი. ვაშკარანში ათიოდ, და იქნებ მეტიც, ვირთაგვი ჩაუსვამს. როს მიადგება ადგილს ხალხმრავალს, იმავე წუთს მოიმარჯვებს პანია, სართულებად ამართულ თაროს, ხით ნაკეთს. შემოიდგამს თაროს მხარზედ, ვითარცა სანახაობათა გასამართ მოედანს, სართულებად ამართულ ფიცარნავს<sup>2</sup>. იწყებს დოლისა და მუჰან-ის<sup>3</sup> ცემას, ძველთა-ძველ ძანიუი-ს<sup>4</sup> სიმღერათა მღერას. როს ამღერდება, ვირთაგვები მყის ამოცუცუნდებიან ვაშკარანიდან. ნიღბები მოურგიათ. ტანთ მოსავთ მოსასხამი, პანანინა, სადარი იმისა, ძანიუი-ს სანახაობაში რომაა. ნება-ნება აცოცდებიან მოთამაშე კაცის მხრებზე ამართულ თაროზე, ფიცარნავზე. გამართავენ თამაშას, სახიობას. უკანა თათებზე შემდგარან ადამიანისამებრ, ლალად, კისკასად როკავენ. წარმოადგენენ ქალსა და მამაკაცს<sup>5</sup> შორის გულისამაჩუყებელ ამბავს სამიჯნუროს, ისე ზუსტად, ძანიუი-ს სანახაობაში რომაა. და თამაშა მათი ზუსტად ემთხვევა შინაარსს, მსახიობნი რომ იმღერენ.



#### განმარტებანი

**ვანგ ძ'სიუან-ი** — ჩანს, მწერლის მიერ გამოგონილი პერსონაჟია

**1. ვაშკარანი** — სახელი არს ყოველთა შთასადებელთა. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**2. ფიცარნავი** — ჩინურ სანახაობებში, თეატრებში, ფიცარნავი, თეატრალური სცენა, სამი მხრიდან ღიაა. მაყურებლისგან მხოლოდ უკანა მხარეა დახურული კარით, საიდანაც მსახიობები გამოდიან

**3. მუჰან-ი** — ძველებური ხალხური საკრავი. სატკაცუნო ხის ფირფიტები, მსგავსი კასტანეტებისა. ახლაც გამოიყენება

**4. ძანიუი** — შუა საუკუნეების (XIII ს.) დროის თეატრალური პიესები

**5. წარმოადგენენ ქალსა და მამაკაცს** — ჩინური კლასიკური თეატრის მსახიობი ასრულებს როგორც მამაკაცის, ისე ქალის როლებს. ქალის როლის შემსრულებელი მამაკაცი მეტი ოსტატობითაც განირჩევა. ხოლო ქალის როლის შემსრულებელი მსახიობი მამაკაცის როლს უკვე აღარასოდეს ასრულებს



## ბაყაყთა მღერა



ვანგ ძ'სიუან-ს უამბნია: „დედაქალაქს მინახავს კაცი ერთი. ზედ ქუჩაში აჩვენებდა საკვირველებათა, ოინებსა. თვალთმაქცობასა მართავდა. დაარონინებდა გვადრუცს<sup>1</sup>. იყო გვადრუცში გალიაკი მრავალი. ჰქონდა თორმეტი ფოსო. თითო ფოსოში ჯდა ბაყაყი თითოთითო. ოინბაზს ხელთ ეპყრა ნკეპლა. ნკეპლას მალიმალ ბაყაყთ თავს ჩაჰკრავდა და იგინიც ხალისით მოჰყვებოდნენ ყიყინს. გააბამდნენ ბაყაყურს კილოზედ, ყვა-ყვა და ყვა-ყვა! ხოლო თუ მავანი და მავანი ფულს გარდუხდიდა, მიმოსი იგი მოუხშირებდა ბაყაყთ თავში ჩაკაკუნებას. და მყისეულად საკრავები დააგუგუნებდნენ, ვითარცა გონგი ღრუბელთა<sup>2</sup>. გაისმოდა ხმა, ვითარცა მემუსიკეთა დასისა, დასისა მესაკრავეთა. ჰანგი ესე ჰგავდა არათუ ყიყინს ბაყაყურს, არამედ მუსიკას, ბგერათა მწყობრ ჟღერას. ხუთივე ბგერა<sup>3</sup> ხმიანობდა, ჟღერდა წმინდად. ბგერა თითოეული, კუნგ-იც და შანგ-იც<sup>4</sup> იყო იმგვარად სუფთა, იმგვარად ანკარა, წმინდა, ვითარცა მუსიკა ჭეშმარიტი.




### განმარტებანი

1. გვადრუცი — ყუთი ხისა. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

2. გონგი ღრუბელთა — ჩინური საკრავი. გამოიყენებოდა რიტუალურ ცერემონიებში. აქვს ხის ჩარჩო, ზედ დატანებული ათი ნახვრეგით — 3+3+3+1. ნახვრეტებში ჩამაგრებულია სპილენძის პანია ფიფანურები, ასე ვთქვათ გონგები. ფიფანურები, მართალია, ერთი ზომისაა, მაგრამ სისქე მათი განსხვავებულია. ამიტომ ხმას განსხვავებულს გამოსცემენ. ბგერები იყოფა ეგრეთნოდებულ „სწორსა“ და „წმიდა“ ბგერებად. საკრავი უჭირავთ ერთ ხელში, მეორეთი კი პანია ჩაქუჩით ფიფანურებს ურტყამენ

3. ხუთივე ბგერა — ჩინური მუსიკალური ბგერათრიგი პენტატონურს, ანუ ხუთ და არა ევროპულ შვიდ საფეხურიან სისტემას ემყარება

4. კუნგ-ი და შანგ-ი — ამ იეროგლიფებით გამოისახება ჩინური ბგერათრიგის პირველი ორი საფეხური





## წენგიანგ-ელი კეთილშობილი სწავლული

風 雅 士 人

წენგიანგ-ის მაზრაში იყო ერთი კეთილშობილი სწავლული. მშობლიურ მხარეს უნდა განშორებოდა. სწავლისა გამო შორი მგზავრობის მნებებელი იყო. წასვლისას ცოლს უთხრა: „ნახევარი წელიწადიც არ გავა-დავბრუნდები.“ ვინ იფიქრებდა, თვე ათი ჩათავდა, ხოლო იგი არა და არ გამოჩენილა. არცა უსტარი, არცა მოკითხვა. ცოლი დაღონებულა, მჭმუნვარებს. დღე და ღამ ქმარზე ფიქრს მისცემია.

ერთ ღამით ცოლი ის-ის იყო აბრძანდა სარეცელსა ზედა, ხედავს, ღამეა კაკა-ჩი<sup>1</sup>. მთოვარი კაშკაშებს იმრიგად, სარკმელს წამოფარებულ კოზიმიტსა<sup>2</sup> მსჭვალავს. ამის მხედვარე ცოლი კიდევ მეტი განცდით იქნა წარტაცებული. დღევილი ქვეშაგებში მოუსვენრადა ტრიალებს. თვალს ლული არ ეკიდება. ანაზდად ხედავს, შემობრძანდა მზეთუნახავი ქალწული. თმას ყვავილები, თვალ-მარგალიტი უმკობს. კაბა მწანე ფერისა მოსავს. მიჩიგდანი, ფარდა სანოლისა, გადასწია, შეკლიმის, უბნობს: „ჰოი, უფროსო დაიკო, ქმრის ნახვას ინატრი?“ ცოლი საჩქაროდ ზეზე წამოიჭრა. ქალწულმა შესთავაზა-მომყევით. ცოლი შეშინდა, წინ შორი გზა იქნებოდა, ტვირთული. ქალწულმა, ნურას ინუხებო, შესთხოვა.

შინიდან გავიდნენ. ქალწულმა ცოლს ხელმკლავი გაუყარა. ბადრი მთვარის სხივს დაადგნენ. მიდიან უვალი გზით. უკან მიჰყვება მორჩილად. სულ რამდენიმე ეჯი<sup>3</sup> გამოეცლოთ და ცოლი ხედავს, ქალწული მიდის წინ შეუფერხებლივ, ისე სწრაფად, ვერა და ვერ ეწევა. უკვე გული ამოუჯდა, ქოშინებს. მოუხმო. ფერხთსაცმელს შევიცვლი, ახალს ჩავიცვამო. ქალწულმა ბილიკის პირს ჩამოჯდომაში ხელი შეაშველა. წაიძრო ფაფუჭი<sup>4</sup>, მიუპყრა ცოლს. ცოლს გაეხარდა, ჩაიცვა. რას იფიქრებდა, აგრერივ ზუსტად მოერგებოდა. წამოდგა. კვლავ გაუდგნენ გზას. დიდ-დიდი, ფართე ბიჯი ბიჯს მისდევს, თითქო მიფრენენო.

მალიად ცოლი ხედავს, უახლოვდება ქმარი მისი. თეთრ ჯვორზე მჯდომარია. ცოლს თვალი რომ მოჰკრა, გაიკვირვა დიდად. ფიცხლავ ჩამოხდა, ჰკითხავს: „საით გაგინვეია?“ ცოლმა მიუგო: „შენ საძებრად.“ ქმარი კვლავ ჰკითხავს, ქალწული ეგე ვინლააო. ცოლმა სიტყვის დაძვრა ვერც მოასწრო, ქალწულმა ბაგეს ხელი მიიფარა, მორცხვი ღიმილითა თქვა: „ჯერხანად ნურას იკითხავთ. ქალბატონი მთელს ღამესა რბიოდა, ადვილი სათქმელია? ხოლო თქვენ, ბატონო, ამ ვარსკვლავიან ღამით გზაზე შემდგარხართ, ვგონებ, თქვენ, ვითარცა ადამიანი და თქვენი ოთხფეხიც, ორთავენი მოიქანცებოდით. ოჯახი ჩემი აქვე, შორიახლოს ბინადრობს. მენვიეთ შინ, ღამე იქ გაათიეთ. მსთავად, ადრიანად გაუდგებით გზას. არ შეგიგვიანდებათ.“ ცოლ-ქმარმა მიიხედ-მოიხედა, მართლაც, ათიოდ ნაბიჯზე დაბა მოჩანს. სამივემ იქით გასწია. ერთ ეზო-ყურეს მიადგნენ. შევიდნენ. ქალწულმა გააღვიძა მძინარე



მსახურნი. სტუმართათვის გამასპინძლების თადარიგი უბრძანა. თქვა: „მთოვარე ცის ტატნობზე ბრწყინვალეებს იმგვარად, არ ღირს დანთება ჩირალდნებისა. მოდი, აქვე აივანში, ქვის სკამებზე დავსხდეთ!“

ქმარმა ჯორი სახლის ლავგარდანქვეშ, აივნის ბოძს გამოაბა. დაჯდა. ქალწული ცოლს ეუბნება: „ფეხთსამოსი ჩემი დიდია, არაა შენი სარგო, არაა შენი ზომისა. გზაში უთუოდ გეუხერხულა კიდევაც. უკან გზად ჯორს იყოლიებ. მოდი, დამიბრუნე მაშია<sup>5</sup> ჩემი.“ ცოლმა მრავალგზის მოახსენა მადლი, გაიძრო ფერხთსაცმელი, დაუბრუნა.

მალიად გაიშალა სუფრა. ჩამოასხა ქალწულმა ღვინო. უბნობს: „ცოლ-ქმარნი დიდი ხნის განშორების შემდეგ შეერთებულხართ, კვლავ ერთადა ხართ. ამ დაღაცათუ ნასი<sup>6</sup> ღვინით მსურს მოგილოცოთ!“ ქმარმა ასწია სასმისი. კრძალვითა და პატივით სამადლობელი შესვა. მასპინძელმა, სტუმრებმა მიირთვეს, მოილხინეს. ჭიქა ჭიქას მიჰყვა. გახალისდნენ, გამხიარულდნენ. ნუთდანუთ ქმარს მზერა ქალწულისაკენ გაურბის. თვალს ვერა სწყვეტს. შეჭფრფინვის, ხუმრობს, ენრაფის შეიქციოს ქალწული, გაართოს. ხოლო აგრერიგ დიდი ხნის უნახავ ცოლს გულითად ერთ სიტყვასაც არ მიუგდებს. ქალწულიც თვალეებით ქმრისკენ ხან შემოდგომის ტალღებსა<sup>7</sup> გზავნის, ხან მიბნედს, დანისლავს მზერას. თვალეებსა ნაბავს, უჟუჟუნებს, კეკლუცად უღიმის. ცოლს რალა დარჩენია, პირუჩუმრად ზის, არც არაფერს იმჩნევს.

გავიდა დიდი დრო. ქმარიც, ქალწულიც გვარიანად შეზარხოშდნენ. მასლაათი თანდისთანაობით უფრო და უფრო ქარაფშუტა, უფრო და უფრო ფუქსავატი შეიქნა. ქალწულმა ღვინის ფიალა უფრო მოზრდილით შეანაცვლა. დაჟინებით ითხოვს, გამოცალე სასმისიო. ქმარი უარსაა, მომეკიდაო ღვინო უკვე. ქალწული თავს იკლავს, ათასჯერ შესთხოვს, დაუჟინია — დალიე, შესვი, გამოცალეო! ქმარი იცინის, ხუმრობს: „თუ ინებებ, უკეთუ სიმღერას იმღერ-დავღევ!“ ქალწული დათანხმდა. ხელთ იპყრა ფირფიტა სპილოს ძვლისა, ფიფა-ს<sup>8</sup> სიმებს ნელინელ ჩამოჰკრა:

**„ვიდრე მზის სხივი ჩაესვენება, თმას გამოვარიდებ სარჭს,  
თმას სარკმლიდან კოზიმიტს მიღმა ჩამოვშლი.**

**დასავლეთის ნიავ-ქარი**

**ცივ-ცივ ნაკადს მომიქროლებს.**

**ყურს მივაპყრობ ბანანის ფოთოლთა შრიალს,  
რარიგ ჩურჩულით ეცემა წვეთი წვიმისა.**

**მე, ეულს, არც ჭორაობა მიზიდავს, არც მუსაიფი დიაცთა,  
თვალეები ამომილამდა შემოდგომის ჟიჟმატში.**

**ვერ ველირსე ქმრის დაბრუნებას.**

**ვითარცა ქსელი სელის ძაფისა,**

**იმრიგად ხშირი, ისე უხვია ღვარი ცრემლთა ჩემთა.**

**გულს ხან ჭმუნვა-ნაღველი, ხან საყვედური მივსებს.**

**ხელთ მიპყრია ფერხთსაცმელი წითელი<sup>9</sup>, ნაქარგი,**

**მზად ვარ თუნდც ეშმაკს მოვუხმო, ვიმკითხაო, ვიმისნო!“**

იმღერა, გაიკისკისა, თქვა: „ქალაქური სიმღერაა ესე. მდაბიურია, არაა საკადრი-სი შენი. ხოლო ამჟამად სიმღერები ამგვარი დიდად შემოსული, მოსაწონია. ამაღ

გავთამამდი, გადავწყვიტე ხუმრობით მიმებადა.“ სიტყვები ესე ისე ჭირვეულად, ისე ჭმაჭნით წარმოთქვა, კიდევ მეტად მოსანადი, სანდომი, მიმზიდველი შეიქნა. ქმარმა მთლადაც დაკარგა გონება, რომ იტყვიან, სული აემღვრა, გული ლამის ფეხებში გაეპარა. თავს ველარ იკავებს. ვნებას ველარ სდებს ლაგამს. კიდევ ცოტა და ქალმა თავი მოაჩვენა, შევღვინებულვარ, მთვრალი ვარ, გონებადაბინდულიო. წამოდგა, ბარბაც-ბარბაცით, ტორტმანით განერიდა იქაურობას. ქმარიც წამოიჭრა, გრძნობაარეული კუდივით აედევნა უკან.

დრო მიდის, მიდის, ისინი არა სჩანან. ამა სამთა მომსახურენი, ქანცმილევულნი, აივნის კიბეზე თვლემენ. დარჩა ცოლი მარტოდმარტო. ახლალა იგრძნო, გული პირთამდინ ავსებია შურითა და ზავით. ბოღმა ყელში აწვება. გულისწყრომა ზღვარს გადაასკდა, აღრჩობს. წავალო, გაივლო ფიქრად. ხოლო ირგვლივ წყვდიადია, უკუნი. დასაბრუნებელი გზაც დავიწყნია. აღარ უწყის რა ილონოს, ყოყმანობს, საგონებელში ჩავარდნილა. ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, მოდი ერთი მალულად შევიხედავ, ორნი იგინი რასა იქმანო. სარკმელს მიუახლოვდა. მამაკაცისა და ქალის ურცხვი, უხამსი ხმები ესმა. მეტი ძალით მიაყურადა. ქმარი მისი ქალწულს მგზნებარე ვნებით ჩასჩურჩულებს სიტყვებს, სარეცელზე მას რომ ეუბნებოდა ხოლმე. ცოლს მთლადაც ბრაზი მოერია. ღელვილს ხელები უცახცახებს, გული საგულეს აღარაა. მაჯისცემა მოუხშირდა. რა ილონოს?! ხელი რარიგ შეუშალოს?! გაგულისებულს ენადა, პირველსავე ღელე-ღულეში გადავეშვები, თავს დავიღრჩობ, მოვკვდები, მორჩა და გათავდაო!

გამწყრალი, გაანჩხლებული ქალი ჭიშკრიდან გაიჭრა. უეცრად რას ხედავს?! სად იყო, სად არა, მისი უმცროსი, მესამე ძმა, სანლანგ-ი ცხენს მოაგელვებს. დას თვალი ჰკიდა თუ არა, მყის ჩამოქვეითდა. გამოჰკითხავს. ცოლმა ძამიკოს წვრილად მიუთხრა ყოველი მომხდარი, რა იყო, როგორ იყო. მესამე ძმა გაჯავრდა, განყრა. წამისუმალ დასთან ერთად სახლში შეიჭრა. ოთახი შიგნიდან ჩარაზული დაუხვდათ. კარსუკან სასიყვარულო, საარშიყო, ტკბილმოუბარი ხმები მოისმის. მესამე ძმამ ხელი სტაცა რიყის უზარმაზარ ქვას. რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოიქნია, სარკმელსა სტყორცნა. ფანჯრის ჩარჩო, ხარხები ჩაილენა. ქვა ოთახში შევარდა. უმალ მოესმათ შეძახილი: „ვაი, რაღა ექნა?! ბატონს თავი გაუსქდა!“ ცოლს რომ ესმა, შიშით გული გაეპარა, დაფრთხა ძალზე. მოსთქვამს. ძმას ადანაშაულებს: „ქმარი რად მომიკალ, ეს როდი მითხოვია.“ ტიროდა, ვაებდა: „ახლა რა მეშველება?!“-ო. ძმამ თვალები გადმოკარკლა, დაუღრიალა: „ტირილ-ტირილით თავად მომიყვანე აქ. ეს-ესაა ანგარიში გაგასწორებინე. ვიძიე შური. ხოლო შენ ძმას შენსას მყვედრი, ბრალსა მდებ? შენს ახირებას, ბრძანებებს შენსას აღარ დავუდებ თავს. არა, არ ეგების ეს!“ ესა თქვა და წასვლა დააპირა. ცოლი შემფოთებული, დაედევნა. კაბახალათს ძმისას ჩაებლაუჭა, შესთხოვა: „სად მიხვალ, ძმაო? თან არ გამიყოლებ?“ ძმამ მოიქნია კაბახალათის სახელო გრძელი<sup>10</sup>, დას მუჯღუგუნი ჰკრა, ჩამომეცალე გზიდანო. წავიდა. ცოლი ძირს დაენარცხა და უეცრივ გამოელვია. შიშის კანკალმა აიტანა. ახლალა მიხვდა-სიზმარი იყო ესე ყოველი.

გათენდა მეორე დღე. ჰოი, საოცრებავ! ქმარი შინ გამოცხადდა. მობრძანდა თეთრ ჯორზე შემჯდარი. ცოლი სახტად დარჩა. გულის სიღრმეში შიშმა, თრთოლამ დაისადგურა. არ უწყის რარიგ გამოთქვას.

მასლათი რომ გააბეს, თურმე ნუ იტყვი, ქმარს იმ ღამით საკვირველი რამ სიზ-

მარი დასიზმრებია. სიზმრად ნანახი ცხადში გამეორდა, ზუსტად! სიტყვა-სიტყვით იგივე მოხდა! ორთავეს შიშის ზარი დაეცა.

არ გასულა დიდი დრო, სანლანგ-ი, მესამე ძამიკო, შეუტყვია რა, სიძე-ბატონი დაბრუნებულაო, მოსანახულე-ბლად, მოსაკითხად ეწვია. საუბარში სიძე-კაცს მიუთხრო: „წუხელ, ღამით მესიზმრა, ვითამც დაბრუნებულხართ. უცნაური რამაა, დახე, დღეს მართლადაც შინა ბრძანდებით! საკვირველია მეტად!“ გაიცინა სიძემ, მიუგო: „მადლი ზეცას, თავი არ გამიხეთქე!“ მესამე ძამიკო გაოგნდა, თუმცკი თავი მოიკატუნა, ითვალთმაქცა, იკითხა, რას გულისხმობს დისქმარი, რას მიმანიშნებს-ო. სიძე მოჰყვა თვისსა და ცოლის მაოცარ სიზმარს. მესამე ძამიკოს ტანში გასცრა. შიშის ჟრუანტელმა დაუარა, რამეთუ მასაც ენახა, დაიკო ცრემლად რომ იღვრებოდა, შესჩიოდა. სხვაც ყოველივე ეხილა. უზარმაზარი რიყის ქვა სარკმელს თუ როგორ სტყორცნა.



სამივე სიზმარი ერთურთს ზუსტად დაემთხვა. ხოლო ერთი რამ დარჩა ამოუცნობი — მზეთუნახავი ესე ქალწული ვინლა იყო.

### განმარტებანი

1. **კაკაჩი** — ღამე მთოვარით ნათელი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი
2. **კოზიმიტი** — მცირე ფარდა, სარკმელთ წამოსაფარებელი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი
3. **ეჯი** — ბიჯი, ნაბიჯი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი
4. **ფაფუჭი** — ფერხთსაცმელი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი
5. **მაშია** — ფერხთსაცმელი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი
6. **ნასი** — ვერ კეთილი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი
7. **შემოდგომის ტალღები** — ქალის თვალების პოეტური სახე. იგულისხმება უმანკო, სუფთა თვალთა გამოხედვა, თვალები მსგავსი შემოდგომის გამჭვირვალე, წმინდა წყლისა
8. **ფიფა** — უძველესი ჩინური სიმებიანი ჩამოსაკრავი საკრავი, ლიუტნის მსგავსი
9. **წითელი ფეხსაცმელი** — სამკითხაო ერთ-ერთი ატრიბუტი
10. **მოიქნია კაბა-ხალათის სახელო** — რისხვის, უაღრესი განრისხების გამომხატველი ჟესტი

## დასავლელი ბერები

# 西僧

იყო ორი ბერი, ხ'შანგ-ნი<sup>1</sup>, სიუი-ს<sup>2</sup> მხარიდან. ერთმა უთაიშან<sup>2-1</sup>-ის მთებისკენ გასწია, მეორემ-თაიშან<sup>2-2</sup>-ს მიაშურა. ფერს მათი სამოსისას<sup>3</sup>, ენას მათი საუბრისა, იერსა და პირისახეს, ჩინელებთან არა ჰქონდათ რა მსგავსება. თვით ამბავს ასეთსა ჰყვებოდნენ: „ცეცხლოვან ენების მთა, ხუოენშან<sup>3-1</sup>-ი შევლიეთ. მრავალტვირთულია სავალი გზა ესე. მწვერვალი მწვერვალს მიჯრილა, მთაგრეხილია. მთათა მწვერვალებიდან კვამლი, ბოლი ამოდის. ორთქლი ხრჩოლავს, არაოდეს ნელდება. მთათა ნაპრალი, ტაფობი ყოველი ღუმელსავითა ვარვარებს. მიწა მხურვალეა. ამა მთათა დაპყრობა მავან მოგზაურს მხოლოდ და მხოლოდ ნანვიმარზე, ნოტიოზე თუ ხელენიფება ოდენ. სვლა გმართებთ ფრიად სიფრთხილით. გულისყური გმართებს მოიკრიბო სრულად. ორთავ თვალი გაახილო უნდა ფართოდ. დაჟინებით იცქირო ტერფთა ქვეშ. მოძრაობა გქონდეს ნელი. წინ წაინიო ნელი-ნელ. ბიჯი წარმართო მსუბუქად. ხოლო ფეხი თუნდც ერთ ქვას მკრთოლვარეს, ცეცხლსავით ელვარეს თუკი დაადგი, მყის აბოლდება. ცამდინ ავარდება ცეცხლის ენები. იმავ წუთს დანვავს-დაბუგავს, დაფერფლავს ადამიანს.

კიდევ გადავიარეთ მდინარე ლიუშახ<sup>3-2</sup>, მოძრავი, მდინარი ქვიშის მდინარეს რომ უხმობენ. მდინარის შუა წელზე ამოზიდულა მთა ბროლისა. ბუმბერაზი კლდე-ნი, ქარაფნი ალესილია. კლდის ქიმნი ცაში აჭრილან. სალ კლდეთა ფერდობები ჩამოკაფულა, ჩამოშლილა. ირგვლივ მიმოფანტულა წვრილი პეტალი, კილიტა, კნეთელი.<sup>4</sup> ბროლის ქვა მჭვირვალი, ელვარე, თვალისმომჭრელი ბრწყინვალეებისა.

არის კიდევ საგუშაგო ერთი. კარიბჭე მისი ვინროა ისე, საომარ ეტლის სიგანის ტოლი იქნება ოდენ. რქებითა და ლაშებით ერთურთს შეზრდილი გველეშაპი ორი უდარაჯებს საგუშაგოს მარადჟამ. კარიბჭეს შემავალნი თავდაპირველად ურჩხულთ მდაბლა დაუკრავენ თავს. მხოლოდ თუ ნება იქნება მათი, შეძლებენ ან კიდევ ვერც შეუძლებენ მხარეს იქეთას შესვლას. უკეთუ გველეშაპნი ინებებენ თანხმობას, რქები მათნი ნება-ნება დაშორიშორდებიან. ურჩხულთა ფერი თეთრია, სპეტაკი. ქიცვი მათი მჭვირვალია, ვითარცა ბროლი მთისა.“

ხ'შანგ-ნი კიდევ ამბავს ასეთსა ჰყვებოდნენ: „თვრამეტ წელიწადს ვიდოდით გზათა ამას ზედა. დასავლეთს როს ვტოვებდით, თორმეტნი გახლდით. ჩინეთს მარტოდმარტო ორმა მოვალნიეთ. დასავლეთ ქვეყანას უზნობენ: ჩინეთს სახელგანთქმული წმინდა ოთხი მთა მყოფობს. ესე არს თაიშან-ი, ხუაშან<sup>4-0</sup>-ი, უთაიშან-ი და კიდევ ერთი, სახელად ლუონიაშან-ი<sup>4-1</sup>. იქ კიდევ უზნობენ: მათნი მოფენილა ბაჯჯალო ოქროთი. ბოდისატვები<sup>5</sup> კუანინ-ი და ვენშუ — ორნიც ამა მთებში ბინადრობენ მიწყვი. ყოველს, ვინაც დალაშქრავს ამ მთებს, მიემადლება უნარი გარდაისახოს ბუდად. ამ გზით სიცოცხლეს მარადიულს ეზიაროს.

ხ'შანგ-თა მონათხრობს ყური თუ მიუპყარ, იფიქრებ, ჩვენებური, დასავლური, მიწიერი, ჭეშმარიტად ნანინანატრი ადგილსამყოფელიაო.

აღმოსავლეთიდან დასავლეთს, დასავლეთიდან აღმოსავლეთს ბუდას მოსალოცად მიმავალი მომლოცველნი, მქადაგებელნი, უკეთუ ერთურთს შეეყარნენ გზა-



ჯვარედინზე<sup>6</sup>, ორივე მხარემ თუკი ერთურთს მიუთხრა ამბები მინა-წყლისა, მათ რომ მიმოვლეს, რომ მოიხილეს, უეჭველია, ერთიმეორის შემხედვარენი სიცილით დაიხოცებთან და განითავისუფლებენ თავს ათიათასი ლი-ს<sup>7</sup> ტვირთულ გზაზე ტან-ჯვა-ვაებისაგან, ვაი-ვაგლახისაგან.

### **განმარტებანი**

**1. ხ'შანგ-ი ბერი** — ბუდას მიმდევარი ბერი. არა სალიტერატურო, არამედ საერო, მდაბიურ ენაზე

**2. სიუი** — ჩინეთიდან დასავლეთის მხარეს არსებულ ქვეყნებს, ახლანდელ შუა და მცირე აზიას, ეწოდებოდა სიუი. სიტყვა-სიტყვით დასავლეთსა და მიცვალებულთა სამყოფელსა ნიშნავს

**2-1. უთაიშან-ი** — მთა ჩრდ. ჩინეთში (**შან-ი**—ჩინურად მთა), ბუდისტური სარწმუნოების ერთ-ერთი ცენტრი

**2-2. თაიშან-ი** — უმთავრესი მთა შანტუნგ-ის პროვინციაში, ტაო-ური და კონფუციური მოძღვრების ცენტრი

**3. სამოსის ფერი** — ბუდას მიმდევარ ბერთა ტანისამოსის ფერი, მათი ეროვნული და სარწმუნოებრივი კუთვნილების შესაბამისად განსხვავებულია, ნითელყვითელი ფერის ფარგლებში იცვლება. თარგი კი თითქმის ერთნაირია

**3-1. ხუოენშან-ი** — კაშკაშა წითელი ფერის, ვულკანური წარმოშობის მთა სინძიან-ის პროვინციაში

**4. კილიტა, კნეთელი, წვრილი პეტალი** — სალი, ფიქალი ქვა, ფოლგა. დავით ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი

**4-0. ხუაშან-ი** — მთა შენსი-ს პროვინციაში

**4-1. ლუონიაშან-ი** — სანსკრიტულ ენაზე მთა ლოკა. ინდოეთში ბუდიზმისა და ინდუიზმის ერთ-ერთი ცენტრი

**5. ბოდისატვა კუანი-ი** — იგივე კუან ში ინ ფუ სა, ბუდისტური წმინდანი, სიკეთისა და გულმონყალების ქალღმერთი, რომელიც მარადიულ ნეტარებას, ნირვანას ენია. ბუდაზე ერთი საფეხურით დაბლა მყოფი გასხივოსნებული სული. ბოდისატვა (ინდურად ავალოქითემვარა) ჩინეთში ერთ-ერთ უდიდეს წმინდანადაა შერაცხული; თავდაპირველად მამაკაცური სანყისის გამომხატველი იყო (ჟულაის სახელით), ხოლო შემდგომ ქალური სახე შეიძინა (კუანი-ის სახელით). ამა სოფლიდან არ გარდასული ნირვანაში, ანუ საბოლოო და ნეტარი ცხოვრების ნელინელი მინავლებისას თავსა სწირავს, რათა ტანჯულთ შეეწიოს. ბუდასა და ადამიანებს შორის შუამავალია. კუან-ინ ყოველგვარი უბედურებისა და განსაცდელის ჟამს ლოცვისას მოევიწიება ადამიანს და ამ დროს იღებს იმ სახეს, რომელიც ამ წუთისათვისაა ყველაზე შესაფერისი, საჭირო. გამოისახება ლოტოსის გაფურჩქნულ ყვავილზე მჯდომარე ქალღმერთის სახით, გვერდით უდგას ლარნაკი, შიგტირიფის რტოთი, წმინდა წყლის საკურებლად. მის ფერხთით განრთხმულია მლოცველი ბიჭუნა შანცაი; იქვე დგას გოგონა, „დრაკონის ასული“. კუან-ინ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წმინდანია ჩინეთში

**6. გზაჯვარედინი** — ჩინური წარმოდგენით გზის გასაყარი, ანუ საზღვარი საიდანაც იწყება საიქიო, გარდაცვლილთა სამყარო

**7. ლი, ლიე** — სიგრძის საზომი ერთეული = დაახლ. 400-500 მ.

## ცუი მენგ-ი

# 崔猛

ცუი მენგ-ი, ზედსახელად ცუი უმენგ-ი<sup>1</sup>, ნიენჩანგ-ელი წარჩინებული, სახელოვანი ოჯახიშვილი გახლდათ. იყო მედგარი, უტეხ-უძლეველი, შეუპოვარი, რვალის უმტკიცესი, გაუტეხელი ხასიათისა. ს'უ-ს<sup>2</sup> სკოლაში სწავლობდა. ამხანაგი თუ აწყენინებდა, თუ გააჯავრებდა ოდნავ მაინც, წამისყოფაში გამშაგდებოდა. მზა იყო მუშტიკრივი გაემართა. მასწავლებელმა ბევრჯერ დამოძღვრა რჩევა-დარიგებით, აფრთხილებდა. ამას იყო ყოველი, არაფერი სჭრიდა. არ შეცვლილა ნირი ცუი მენგ-ისა, არ გამოსწორებულა. სახელიცა და თიკუნიც<sup>3</sup> - „უხეში, ფიცხი“ მასწავლებელმა სწორედ იმად შეარქვა, აღარ ყოფილიყო აგრერიგ ფიცხი.

მიატანა ცუი მენგ-მა თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ასაკს. გაბედულებას, სიმტკიცეს, ძალ-ლონეს მისას ბადალი არ მოეპოვებოდა. აღჭურვილიყო იშვიათი უნართა და ჯომარდობათა ილეთებით. მოიმარჯვებდა გრძელ ჭოკს და იოლად, მსუბუქად „გადააფრინდებოდა“, გადაეველებოდა მაღალ გაღავანს, ერდოს სახლისა. სამართლიანობის მოყვარული იყო. იცავდა ყველას. ჩაგრულთა, უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულთა ქომაგი იყო. მისი შიშით სუსტის დაბრწყვებას ვერც ვერვინ გაჰბედავდა თავსწასული. ირგვლივ ოთხივ კუთხით მეზობლობა, რვა მხრით სოფელთა მკვიდრნი, ყველანი პატივსა სცემდნენ. მიეახლებოდნენ, თავიანთ სატკივარს შესჩიოდნენ. მომჩივანნი, სიმართლისა და სამართალის მაძიებელნი ავსებდნენ მის ეზო-მიდამოს. და ცუი მენგ-ი მუსრს ავლებდა მოძალადეებს. განამხნევებდა სუსტებს. არ უშინდებოდა, რომ გაიმრავლებდა მტერს, მტრებს რომ შეიძენდა. თუ მავანი ბოროტი თავს გავიდოდა, ითავხედებდა, თუკი კრიჭაში ჩაუდგებოდა, ცუი მენგ-ი ქვებს დაუშენდა, კომბლით მიბეგავდა, იმდენსა სცემდა, ვიდრე ხელ-ფეხს არ დაუმტვრევდა.



ყოველთვის, როცა კი განრისხდებოდა, რისხვის ტალღა მწვერვალს რომ მიატანდა, ვერა კაცი ვერ ბედავდა მის დაოკებას. ხოლო დედას თვისას ეპყრობოდა რიდიტა და დიდი კრძალვით. რარიგ მრისხანეც უნდა ყოფილიყო, კმაროდა გამოჩენილიყო დედა და სიბრაზე მისი უმალ ცხრებოდა, ქრებოდა, როგორც რამ კვამლი. ყველაზე ულმობელი მსაჯული მისი იყო დედა. ხშირ-ხშირად ამუნათებდა, უწყრებოდა. მკაცრად ზრდიდა. დედის საყვედურიცა და სასჯელიც მოხშირებით ნამეტ-

ნავად დაუნდობარი იყო. ხოლო ცუი მენგ-ი მაინც ემორჩილებოდა. დედის სიტყვა კანონი იყო მისთვის. ეთანხმებოდა, თავმდაბლად დებდა პირობას, ეტყოდა: „დიალ! დიალ!“ ოღონდ შინიდან კარში გავიდოდა თუ არა, მყის ყველაფერი ავინყდებოდა.

მეზობელს ერთს მისას ცოლად ჰყავდა საშინელი ანჩხლი, ანჯახი, კაპასი დედაკაცი. დედამთილს თვისას დღენიადაგ შავ დღეს აყრიდა. საბრალო მოხუცი, რომ იტყვიან, შიმშილით სიკვდილის პირს მისულიყო. ვაჟიშვილი უჩუმრად ცოტაოდენ საჭმელს რომ მიუპყრობდა, დედაკაცი შეიტყობდა თუ არა, ისეთ დღეში ჩააგდებდა, მისი უშვერი ლანძღვა-გინება სამეზობლოს ეზო-მიდამოს აყრუებდა, იკლებდა იქაურობას. მათი ჩხუბი-დავიდარაბით შეწუხებულიყო მეზობლობა. სასტიკად განრისხდა ერთხელ ცუი მენგ-ი. გალავანს გადაალაჯა. მივიდა, დედაკაცს ყურები, ცხვირი, ტუჩები დააჭრა, ენა წაჰკვეთა. განა თქმა უნდა, რალას იცოცხლებდა ქალი, მოკვდა ბედშავი.

ამბავი ესე შეიტყო ცუი მენგ-ის დედამ. თავზარი დაეცა. მოუხმო მეზობლის ვაჟს, ქმარს. როგორც ძაღედვა ანუგეშა. ახალგაზრდა პირისფარეში თვისი უსაჩუქრა, ცოლად მიათხოვა. საქმე ესე ვაი-ვაგლახით ჩაფარცხეს, მიაჩუმათეს.

მომხდარი ამა ამბისა გამო დედა ცუი მენგ-ისა გონს ვერა და ვერ მოსულიყო. ნუხდა ძლიერ. მოტყდა და მოიღვარძლა. ცრემლსა ღვრიდა. აღარცა სჭამდა, აღარცა სვამდა. მიხვდა ცუი მენგ-ი, საქმე სახუმროდ არ იყო. შიში მიეცა. მუხლი დაიდგა. მონანული შეიქნა. შენდობა ითხოვა. შეემუდრა, დამდე პატივი, დამსაჯეო. დედა ყურად არ იხვევდა ვედრებას ესე. მარტოოდენ იცრემლებოდა.

ცუი მენგ-ის ცოლი ჭოუ-სოჯახიშვილი იყო. ამ ყოველის შემხედვარე თვითონაც ქმართან ერთად მუხლებზე დაემხო. აი მაშინ დედამ მოიმარჯვა ჯოხი. მიბეგვა ვაჟიშვილი გვარიანად. აღარც ეს იკმარა. ხელთ იპყრა ნემსი. შვილს თვისას წარუხოცელ დალად ამოჰკანრა ნიშანი შ'-ი<sup>4</sup>. ამონაკანრი შეულება სინგურის საღებავით, წითლად, რათა შვილს დალი სამარცხვინო საქციელისა არასოდეს გაჰქრობოდა, სამარადისოდ დახსომებოდა. ცუი მენგ-მა ესე ყოველი ითმინა. მხოლოდ ამ ყოველის შემდეგ ინება დედამ საზრდოს მიღება.

დედილო ცუი ქველი იყო. იყო მოსწრაფე ხ'შანგ-ებისა და ტაო-ბერთათვის<sup>5</sup> უხვად გაეცა მანნაი<sup>6</sup>, შესანირი. წრფელი სულითა და გულით გულუხვად აჭმევ-ასმევდა, განაძლობდა. ერთხელ მავანი ტაო-ბერი მათს ალაყაფს მიადგა. სწორედ ამ დროს გამოიარა ცუი მენგ-მა. ტაო-ბერმა თვალი ჰკიდა. დააცქერდა გულდასმით. თქვა: „უნყოფე, ბატონო-ჩემო, სახე შენი დაუნდობარ, სასტიკ სულს, ბოროტებას აჩენს. ვიშიში, ვერ შეუძლებ ბუნებითი, კეთილი სიკვდილით აღესრულო. ოჯახი თქვენი მიწყვი განირჩეოდა კეთილ საქმეთა ქმნით, იგროვებდა ქველსა და კეთილ საქციელს. აქ, ამ ოჯახში, არ უნდა მომხდარიყო ასეთი რამ.“

სწორედ იმხანად დედილო ცუი-ს მკაცრად დაემოძღვრა ცუი მენგ-ი, შეეგონებინა, ჭკუა დაერიგებინა. ხ'შანგ-ის სიტყვები რომ ესმა, დაფიქრდა, საგონებელში ჩავარდა. სიტყვა არ დაუძრავს. ადგა, რიდითა და მოკრძალებით თქვა: „მეც ვუნყოფი ესე ყოველი. ხოლო საქმე ისაა, უსამართლობას რომ წავანყდები, რარიგ არ უნდა ვეცადო, ძალა არ შემწვეს შევიკავო თავი. დალაცათუ მთელი ჩემი ძალითა და ღონით მოვინდომებ, თუკი ვეცდები გამოვსწორდე, შევუძლებ კია ავირიდო სასჯელი ჩემთა ძვირთა ცოდვათა გამო?“ ჩაიცინა ტაო-ბერმა, თქვა: „ნუ იკითხავ, შეუძლებ თუ არა აირიდო ის, რაც ან გაუნყე უკვე. ჯერეთ თავს საკუთარს დაეკითხე, შეუძლებ კია გამოსწორდე, შეიქნე უკეთესი. რარიგ ძნელი, რარიგ მტკივნეულიც იყოს, თუკი განყვეტ კავშირს წარსულთან, თუკი გამოსწორდები, თუკი ათი ათასიდან ერთი მისხალი მაინც დაგირჩება იმედისა, მე შევუძლებ და-

გასწავლო გზა, სასჯელს საზარელს რომ გადაურჩე!“

ცუი მენგ-ს არა სწამდა მკითხავთა, მჩხიბავთა. არაოდეს სჯეროდა მისანთა შელოცვებისა, თილისმა სიტყვებისა, ტაო-ბერთა ჯადოსნობისა. ასე და ამრიგად, ამა სიტყვათა მსმენელს სახეზედ ღიმი ეფინებოდა ოდენ. არა უპასუხნია რა.

ტაო-ბერმა თქვა: „ვიცოდი, არ დაიჯერებდი. მაშ უწყოდე. ხერხი ჩემი როდია მისნობა ჯადეგთა, ან კიდევ სიცრუე ჯადობაზთა. ეგე ყოველი სისულელეა, ფუჭია. ხოლო თუ დაჰყვები რჩევას ჩემსას, უეჭველად დაიგროვებ კეთილ საქმეთა მარაგს. ღირსებად, ზნეობად მიგეთვლება. საქმე ესე თავისთავადაც სასურველია, სასიკეთოა. დაღაცათუ არ მოგიტანს შედეგს სასურველს, არც არას იზარალებ რასმე. რასა ჰკარგავ, რა გაგუა?!“<sup>47</sup>

აი მაშინ ცუი მენგ-მა ალალი გულით შესთხოვა, მასწავლე ჭკუა, დამარიგე, დამმოდღერეო. ტაო-ბერმა თქვა: „ალაყაფის კარს მიღმა ყმანვილკაცია ერთი. სამკვდრო-სასიცოცხლოდ, სამარადჟამოდ დაუძმობილდი, დაემეგობრე. ერთგულება მეგობრისა — უწინარეს ყოვლისა! მერმისში, მკვლელობისა მიზეზით, სასიკვდილო განაჩენს როს გამოგიტანენ, მეგობარი იგი გადაგარჩენს, გიხსნის!“ ესა თქვა, ცუი მენგ-ი კარიბჭის გადაღმა გაიხმო. მიუთითა ყმანვილკაცი.

ესე კაცი თურმე მავანი ჭაო-ს ვაჟიშვილი ყოფილა, სახელად ს'ნკ'.

ჭაო ნანჩანგ-ის მოქალაქე იყო. სასტიკი გვალვის, შიმშილობისა მიზეზით ვაჟიშვილითურთ მლტოლვარე შექმნილა. დროებით ქალაქ წიენჩანგ-ს შეუფარებია თავი.

ტაო-ბერის სიტყვებით შეგონებული ცუი მენგ-ი ერთგულად დაემეგობრა მავან ჭაო-ს. შინ მიიწვია, შეიკედლა, დააბინავა. თავის სახლში გაუხსნა სკოლა. სკოლაში ჭაო-მ მასწავლებლობა დაიწყო. ცუი მენგ-ი უხვად უხდიდა საფასურს.

ჭაო ს'ნკ' იმხანად თორმეტი წლის ასაკში იდგა. მიაახლეს ცუი მენგ-ის დედას. ბიჭმა თავი მდაბლა დაუკრა, ვითარცა უმცროსმა ძმობილმა მისი ვაჟიშვილისა. ძმადნაფიცნი შეიქნენ.

დრომ გაიარა წელიწადზე მეტმა. მავანი ჭაო ვაჟიშვილითურთ მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა. ხოლო იქიდან აღარა ამბავი აღარ მოსულა. განყდა კავშირი ყოველი.

ცუი მენგ-ის დედა მეზობელ დედაკაცის სიკვდილის შემდგომ ვაჟიშვილის მიმართ კიდევ უფრო მკაცრი შეიქნა. თუკი დაჩაგრულნი დახმარებისათვის, შველის სათხოვნელად მიაკითხავდნენ, უარით ისტუმრებდა ყველას, გაჰყრიდა.

ერთ დღეს დედილოს უმცროსი ძმა გარდაიცვალა. ცუი მენგ-ს დედასთან ერთად დაკრძალვაზე მოუწია გამგზავრება. გზად შემოხვდათ კაცი რამდენიმე. გათოკილ მამაკაცს მიათრევდნენ, ლანძლავდნენ, სცემდნენ. სეირის მოყვარულთ ქუჩაბანდი მთლადაც გაევისოთ. სანახაობას შესცქეროდნენ პირდაღებულნი. ბრბო ერთმანეთში არეულიყო, აუარებელი ხალხი მიდი-მოდოდა, ფეხს ძლივ უქცევდნენ. ტახტრევანდს, ცუი მენგ-ის დედას რომ მიაბრძანებდა, ვერ გაევილო. ცუი მენგ-მა ირგვლივ შექუჩრებულ ყალთაბანდებს შორის გაიკითხ-გამოიკითხა, რა ხდება, რა ამბავიაო. მავანმა შეიწნო ცუი მენგ-ი. მუჯლუგუნებით გზა გაიკვლია. იწყო ამბის მოყოლა თავით ბოლომდე. ჩიოდა.

თურმე მავანი მაღალჩინოსანი მოხელის ვაჟიშვილი მთლად თავს გასულიყო. მთელს ოლქში რასაც იპრიანებს იმას სჩადის. თავაშვებულად, ურცხვად, თან



დაუნდობრად იქცევავო. ვერავის ძალუძს მისი მოთოკვაო. ერთხელ თავადიშვილს თვალი მოუკრავს ლამაზი ქალისათვის, ლი შენ-ის ცოლისათვის. მოუწადინებია წართმევა. ხოლო საბაბი კანონიერი არა ჰქონიყო.

მაშინ თავადიშვილის ხელშეწყობითა და ნაქეზებით ხელქვეითი შეუწინდენ ლი შენ-ს, სამორინეში ჩაითრიეს. თამაშში ფულს უთვალავსა სძალავდნენ. ძალისძალით სესხსაც აძლევდნენ, ვახშსაც<sup>8</sup> ადებდნენ დიდს. ბოლოს და ბოლოს ლი შენ-ი იძულებული შეიქნა ცოლი დაეგირავებინა. ძალით მოუწერინებიათ ხელი თამასუქზე. ყოველი, რაც რამ ებადა, რომ წაუგია, ლი შენ-ს მაინც აიძულებდნენ ეთამაშა, ფულს სესხად ძალად აძლევდნენ. თამაშში ათენ-ალამებდა. ურიცხვი ასხმა<sup>9</sup> ფულისა წააგო. ნახევარი წელიწადი რომ გავიდა ვალიცა და ვახშიც, ლი შენ-ს ბოროტ თავადიშვილისა რომ ემართა, იმდენი შეიქნა, ციენ-ის<sup>10</sup> ოცდაათ ასხმას, იქნებ მეტსაც, მიაღწია. არ ძალედვა ლი შენ-ს გადახდა ვალისა. ყოვლად წამხდარმა თავადიშვილმა, უკეთურმა, წარავლინა თანამეინახენი თვისნი, ისეთნი, რომ იტყვიან ბასრ ბრჭყალებიანნი, ალესილ კბილებიანნი. მზაკვრულად დაესხნენ თავს. ინდომეს ლი შენ-ისათვის ცოლის წართმევა. ლი შენ-ი თავადიშვილის ალაყაფის კარს მიეჭრა. დაემხო მინაზე. კურცხალ-კურცხალი ცრემლი აფრქვია. თავადიშვილი გაგულისდა, ძლიერ გაჯავრდა. ლი შენ-ი ხეს მიაბეს, ხერხით ათასგვარით გაჯოხეს. აიძულეს ხელწერილი მიეცა, ცოლს ნებაყოფლობითა ვთმოზ, რაგინდ რა მოხდეს, აღარასოდეს ვიჩივლებო.

ამბავი ესე რომ ესმა, ცუი მენგ-მა შეიგრძნო თუ რარეგ შეეკრა სუნთქვა, ბრაზი რარეგ მოერია, მთასავით აღიმართა. მყისვე ცხენს ღონივრად გადაუჭირა მათ-რახი. სჩანდა, ენადა წინ გაჭრილიყო, მოძალადეებს შებმოდა. მზად იყო მიელო გამოწვევა. იქეთ მოჰქუსლა, უსამართლობა სადაც პარპაშებდა. მთელი არსება მისი აჩენდა, საცაა ჩხუბში ჩაებმებო. დედამ მსწრაფლ ახადა ფარდა ტახტრევან-დის სარკმელს. შეუძახა:

„სდექ! რა ამბავია! რაო, ვნებებს უწინდელს აჰყოლილხარ?!“ ცუი მენგ-ი იძულებული შეიქნა დაოკებულყო.

დაკრძალვიდან გამობრუნებული ცუი მენგ-ი მოდიოდა ჩუმის პირით, სიტყვას არა ძრავდა. პირში ლუკმა არ ჩაუდგია. მზერა გაშტერებოდა. მთელი არსება მისი იყო ისეთი, გეგონებოდათ, მავანმა ძალზე განარისხაო. ჰკითხავდა ცოლი. პასუხად არას მიუგებდა. ღამით ტანთ არ გაუხდია. გათენებამდე ლოგინში ბორგავდა მოუსვენრად. აღარ დაეძინა და აღარ. შემდეგ ღამესაც გამეორდა იგივე. მერე უცბათ ზე წამოიჭრა. მოჰყვა ბოლთის ცემას. გავიდა, დაბრუნდა. ასე სამჯერ და ოთხჯერაც ინვალა. ცოლი, სუნთქვაშეკრული, თვალყურს ადევნებდა. სიტყვის დაძვრა ვერ გაებედა. მხოლოდ და მხოლოდ აყურადებდა. ვერას შეჰკითხავდა. ბოლოს და ბოლოს ცუი მენგ-ი გავიდა შინიდან. დიდხანს არ გამოჩენილა. რომ დაბრუნდა, დანვა სარეცელსა ზედა. ღრმა ძილს მისცა თავი.

სწორედ იმ ღამით ბოროტი თავადიშვილი მისსავე სანოლში უცნობს ვისმე მოეკლა. გულ-მუცელი გამოეფატრა მისი, ნაწლავები გადმოეყარა, მიეყარ-მოეყარა. ლი შენ-ის ცოლიც მოკლული, შიშველ-ტიტველი, იქვე, სარეცელს ქვეშ ეგდო.

იამენ-ში ეჭვი აიღეს. საქმეს ესე ლი შენ-ი ჩაიდენდაო. სტაცეს ხელი. ისე აწამეს, ფეხებზე კანქვეშ ძვლები მოუჩანდა. ხოლო იგი მაინც არა და არ აღიარებდა ცოდვას. საქმე წელიწადზე გაიჭიმა, მეტხანსაც გასტანა. ველარ გაუძლო ლი შენ-მა



ტანჯვა-წამებას. აღიარა დანაშაული. კანონის ძალით გამოუტანეს განაჩენი სასიკვდილო.

სწორედ იმხანად დედა ცუდი მენგ-ისა გადაცვლილიყო. დედა როგორც კი საფლავად დადო, ცოლს ეუბნება: „დაჭეშმარიტებით შემძლია გითხრა, იგი ბოროტი კაცი მე მოვკალ! ვიდრე დედაჩემი, პატივსადები ესე მოხუცი, ცოცხალი იყო, ვერ გამებედნა მელიარებინა მკვლელი რომ ვიყავ. ახლა, როს აღარ არის ცოცხალი, საიქიოს გასასტუმრებელი ყველა საქმენი როს მოვილიე, ნუთუ არ ძალმიძს ვალია-რო სიმართლე, რათა ცოდვა ჩემი სხვას არ დაედოს კისრად. არა, არ შემწევს ძალა ვეგუო ამას! წავალ, იამენ-ს, ხელისუფალთ ჩავებარები, დაე მომეზლოს განაჩენი, თუნდც სასიკვდილო!“ ამის გამგონე ცოლი დაფეთდა. ქმრის კაბა-ხალათის სახელოს ეწევა, აკავენს. ცუდი მენგ-მა ჩამოიშორა ცოლი. აუქნია ხელი. ფიცხლავ გასწია იამენ-ს.

იამენ-ს ისმინეს საქმე ესე. ჰკვირობდნენ ფრიად. მყისვე დაადეს ბორკილი. ციხეს უკრეს თავი. ლი შენ-ი გაათავისუფლეს. ხოლო ლი შენ-ი არ მიდის და არა. დაუჟინია — მე ვარ და მე ვარ მკვლელიო. მოხელენი დაიბნენ. აირდაირია საქმე. ერთავენი სატუსაღოს გაამწესეს.

ლი შენ-ს ნათესავ-ახლობლები დასცინიან. ეგოდენ სულელი ყოფილხარო. იგი უბნობს: „უფლისწულმა ცუდი-მ რაც ჩაიდინა, იმას მე თავად ვინატრიდი, მე მენადა, ხოლო ვერ კი მოვახდინე. ჩემს მაგიერ ჩაიდინა ცუდი მენგ-მა საქმე ესე. მაშ რარიგ ვითმინო, სიკვდილით დასაჯონ იგი! გულისხმაჰყავით, არ უღიარებია მას დანაშაული!“

დაიჟინა, აიკვიატა, მე ვარ მკვლელიო. ეურჩებოდა ცუდი მენგ-ის სასიკვდილო განაჩენს. ერთურთს ეჯიბრებოდნენ, სიცოცხლით ჩვენით გარდავიხდით საფასურს დანაშაულისაო.

დიდმა დრომ გაიარა. იამენ-ში, როგორც იქნა, გაარჩიეს საქმე. ლი შენ-ი ძალისძალით განაგდეს სატუსაღოდან. ცუდი მენგ-ს გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი. მალე სისრულეშიც მოიყვანდნენ.

სწორედ იმჟამად დედაქალაქის მთავარ სასამართლოდან უზენაესი მსაჯული, დიდმოხელე ჭაო მობრძანებულიყო. სხვათა და სხვათა საქმეთა გასარჩევად, შესამოწმებლად. მსაჯულმა ჭაო-მ სასჯელმისჯილთა შორის ცუდი მენგ-ის გვარსახელი ამოიკითხა. უბრძანა ამაღას თვისას, დატოვეთ დარბაზიო. გამოიძახა ცუდი მენგ-ი. ცუდი მენგ-ი ეახლა. თავი ააღო. მზერა მიაპყრო სითიკანზე<sup>11</sup> დაბრძანებულს. რას ხედავს-უზენაესი მსაჯული ჭაო სწორედ ის ჭაო ს'ნკ' არა ბრძანდება?! ცუდი მენგ-ს სიხარული და უბედურება, ერთურთს გადაჭდობილი, თავს დაატყდა. თავგადასავალი თვისი, რაც იყო და როგორც იყო, ყოველივე დაწვრილებით მიუთხრო.

უზენაესი მსაჯული ჭაო ფიქრს მიეცა ძლიერს. მერმედ გასცა განკარგულება ცუდი მენგ-ი ჯერხანად საპყრობილეს დააბრუნეთო. ციხის გუმაგებს, მოდარაჯეებს უბრძანა, კარგად მოეპყართ, მიმიხედეთო.

ცუდი მენგ-მა დანაშაული რაკი თავის პირით აღიარა, ამ საბაბით სასჯელი შეუმცირეს, შეუმსუბუქეს. ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთს, იუნან-ის მხარეს გადასახლება მიუსაჯეს. ლი შენ-ი საკუთარი ნებით თან ეახლა გადასახლებაში, მსახურად გაჰყვა. ერთად გამოვისყიდით დანაშაულსაო.

წელიწადი არ გასულიყო და ცუდი მენგ-ს კანონის ძალით შეუნდეს დანაშაული. შინ დაბრუნდნენ. ყოველივე ესე, რაღა თქმა უნდა, მსაჯული ჭაო-ს ნებით მოხდა. მუხლჩაუხრელად იღვნოდა ამა საქმისათვის.

ლი შენ-ი იუნან-იდან დაბრუნების შემდეგ ცუდი მენგ-ის ოჯახში დასახლდა. მეურნეობას განაგებდა. ცუდი მენგ-ი განუთლი შრომის გასამრჯელოს უხდოდა. ხოლო ლი შენ-ი უარზე იდგა. იწყო ვარჯიში. ეუფლებოდა კედლებზე ცოცვას, ჭერში ახტომას, ჭიდაობას, მუშტი-კრივს, დაშნითა თუ ჯოხით ბრძოლას. უშუ-ს ყოველ იღეთს დიდის გატაცებით დაენაფა.

ცუდი მენგ-ი უხვად აძლევდა შეღავათს, ასაჩუქრებდა. ცოლი შეუსყიდა. მიწები უწყალობა.

ცუდი მენგ-მა მიიღო გადანყვეტილება მტკიცე ძველი ცხოვრების წესს თვისას განდგომოდა, ერთბაშად აელო ხელი. ყოველ ჯერზე, როს ხელს შეახებდა მხარზე ამოშანთულ პანია ნიშანს შ'ი, უმაღლეს ახსენდებოდა თუ რარიგ არიგებდა დედა. მწარე ცრემლსა ღვრიდა. ამიტომ თანასოფლელნი, თუკი დახმარებისათვის მიმართავდნენ, სამღურავ-საჩივარი თუკი რამ გაუჩნდებოდათ, ცუდი მენგ-ის სახელით განაჩენი ლი შენ-ს გამოჰქონდა. სამართლიანი იყო. მოარიგებდა ხოლმე მომჩივანთ. ხოლო ცუდი მენგ-ს არას მოახსენებდა.

იყო ერთი ძენშენგ-ი<sup>12</sup>, გვარად ვანგ-ი. ოჯახი მისი მდიდარიც იყო, ძალაუფლებაც დიდი ჰქონდა. მის სახლში ქვეყნის ოთხივე კუთხიდან უამრავი თავზეხელაღებული, გარყვნილი, ჰანგალი და მუქთახორა, გაქნილი და ყალბაბანდი დაიარებოდა. მაზრაში მრავლად იყო მდიდარი ოჯახი მათი გამომძალველობის, ავაზაკობის მსხვერპლი რომ შეიქნა. ვერვინ ბედავდა ვანგ-ის ოჯახთან შებმას, მასთან შეჭიდებას. ხოლო თუკი გაბედავდა ვინმე, ვანგ-ი მყისვე მონახავდა ავაზაკებს, ქონდაქართ<sup>13</sup>. გამოხდებოდა ხანი და სადმე ქალაქგარეთ, მიწდორსა თუ შარავზაზე ნახავდნენ, მოკლულის გვამი რომ ეგდო.

ვანგ ძენშენგ-ის ვაჟიშვილი ასევე კარგა გარყვნილი ვინმე ბრძანდებოდა. ულმოხელიც იყო, სასტიკიც. ჰყავდათ ერთი ძალუა. თვისი ბიძის, მამის ძმის ქვრივი. მამა-შვილი ვანგ-ები ბილნი გულისტქმით აღძრულიყვნენ. არა თაკილობდნენ მასთან ხორციელ ვნებათა დაოკებას. წაანვებოდნენ, მიუდგებოდნენ, სცხოვრებდნენ ძალუასთან ორთავენი. ვანგ-ის ცოლი, გვარად ჩოუ, წყრებოდა. ცდილობდა ხელი შეეშალა. საქმე იმით დამთავრდა, ვანგ-მა ცოლს თვისას თოკი წაუჭირა, მოაშთო. ჩოუ-ს ძმებმა იამენ-ს იჩივლეს, მკვლელობა ამხილეს. ვანგ-მა მოისყიდა სასამართლოს მოხელენი. ვექილსაც მისცა ქრთამი. ასე და ამრიგად, საქმე შეატრიალეს ისე, ვანგ-ის დასჯის ნაცვლად, ვითომცდა ცილისწამების, ყალბი ჩვენების გამო, ძმებ ჩოუ-ს დააკისრეს ბრალი. ჩივილს ან რაღას, ან სადღა გააგრძელებდნენ. ცუდი მენგ-ს ეახლნენ სახლში. მწარედ ოხრავდნენ, მოთქმა-ტირილით მიუთხრეს ყოველივე. ჯერ ორიოდ სიტყვაც არ დაეძრათ, რომ ლი შენ-მა მოსთხოვა – მიბრძანდით აქედანო. გააძევა.

გავიდა დღე რამდენიმე. ცუდი მენგ-ის ოჯახში სტუმრიანობა იყო. მოჯამაგირე სხვაგან ყოფილიყო გაგზავნილი. ასე და ამგვარად, ცუდი მენგ-მა ლი შენ-სა სთხოვა-შენ დაგვიყენე ჩაიო. ლი შენ-ი უსიტყვოდ გავიდა. მერე კი თქვა: „მე და ცუდი მენგ-ი განუშორებელი ვართ მეგობარნი. მასთან ერთად იუნან-ს გადასახლებაში ყოფნისას ათი ათასი ლი-ს სიმორე არც განმიცდია. არ ითქმის, ურთიერთობას ჩვენსას

სიღრმე რომ აკლდეს. ზერელეაო, ვერ იტყვის კაცი. ხოლო ცუი მენგ-ს ჩემთვის წლითი-წლობამდის არ გადაუხდია გასამრჯელო. ჯამაგირი არ უძლევია. მიაჩნია, მსახური ვარ მისი. ან განილია თმენაი ჩემი!“ ესა თქვა და განრისხებული გაეცალა იქაურობას.

მომხდარი ესე ამბავი ცუი მენგ-ს მიუთხრეს. მეტად იოცა ლი შენ-ის გულის აგრერიგ გარდასახვა, ცვლილება მოულოდნელი. ხოლო ჯერხანად საქციელს უცნაურს ყური არ ათხოვა. ხოლო ლი შენ-მა სასამართლოში შეიტანა საჩივარი. სამი წელიც იქნება არ მიხდის ჯამაგირსაო. აი ახლა კი შეიგრძნო ცუი მენგ-მა უცნაურობა ამგვარი, ჰკვირობდა. თავისი ფეხით პირდაპირ იამენ-ს გასწია, რათა ლი შენ-ს პირზე დასდგომოდა. ხოლო ლი შენ-ი ჩიოდა, ბრახმორეული ეკამათებოდა ცუი მენგ-ს. არა და არ ცხრებოდა. იამენ-ში მიიჩნიეს, ლი შენ-ს არც საფუძველი აქვს და არც უფლება თავხედი, თავზეხელაღებული ამგვარი საქციელისა. იამენ-იდან გააპანღურეს.

კიდევ გავიდა დღე რამდენიმე. ღამით ლი შენ-ი ვანგ-ის სახლში შეიჭრა. განა მარტო მამა-შვილი, ვანგ ძენშენგ-ის ბიცოლაც, განურჩევლად ყველა, დახოცა, ამოჟლიტა. არც ამას დასჯერდა. კედელს მიაკრა ბარათი, საკუთარ გვარ-სახელით ხელმოწერილი. ძებნა რომ უწყეს, კვალიც გამქრალიყო მისი. ვანგ-ებმა ეჭვი აიღეს, წამქეზებული ცუი მენგ-ი იქნებოდაო. ხოლო სასამართლოს მოხელეებმა არ ირწმუნეს.

აი მაშინლა ცუი მენგ-ს ანაზდად აეხილა თვალები. ლი შენ-ი სასამართლოში თურმე იმად ჩიოდა, მკვლელობაში ეჭვი ჩემზე არავის აელო, ამ საქმეში რომ არ გავრეულიყავიო.

ამასობაში იამენ-ში გამოსცეს განკარგულება, ქვეყნის ოთხივ კუთხეს შეატყობინეთ ლი შენ-ის შეპყრობის ბრძანებაო. სწორედ იმჟამად ის ამბავიც მოხდა, საჩინო, სახელგანთქმული კაცის, ლი ძიჩენგ-ის მეთაურობით ქვეყანაში აჯანყებამ რომ იფეთქა. მალე ლი ძიჩენგ-ი მემამბოხეებითურთ პეკინ-ქალაქს შევიდა. აიღეს დედაქალაქი. ამა მიზეზთა გამო მკვლელობათა საქმეების გარჩევა შეჩერდა, გადაიდო.

მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მინგ-ის თაობის მეფობა<sup>14</sup> გადავარდა, დამხობილ იქნა, ლი შენ-ი ოჯახითურთ დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს. ისევ და ისევ ცუი მენგ-ის ჭერქვეშ ნახა თავშესაფარი. ურთიერთობა მათი კვლავინდებურად მეგობრული შეიქნა. კვლავ სიამტკბილე დამკვიდრდა.

ცისქვეშეთის<sup>15</sup> სამეფოში საშინელი შფოთი და არეულობა დატრიალდა. დრო იყო ფრიად მღელვარე. ქურდები, ქვაბ-ავაზაკნი თარეშობდნენ, გუნდ-გუნდად დაეხეტებოდნენ არემარეში, ვითარცა ფუტკრის ნაყარი.

ჰყავდა ვანგ ძენშენგ-ს ძმისწული ერთი. ვანგ ტ'ჟენ-ი ერქვა. შეეკრიბა ბიძის ამფსონები, ქურდ-ავაზაკთა, მოძალადეთა ხროვა. ერთ მთაზე დაბანაკებულიყვნენ. დათარეშობდნენ, ძარცვა-გლეჯას მისდევდნენ. მძევალთ იტაცებდნენ. სახლებს ცეცხლს აძლევდნენ. ქვეყნად არ იყო ბოროტება, რომ არ ჩაედინათ.

ერთ ღამით ვანგ ტ'ჟენ-მა განაცხადა, გული პირთამდე ამევსო შურისძიების ჟინითაო. მოთარეშეთა, ავაზაკთა ხროვა ცუი მენგ-ის ოჯახს დაესხა თავს. სწორედ იმ დროს ცუი მენგ-ი შინ არ იყო. ჭიშკრიდან ეზოში რომ შეაქროლეს ტაიჭები, სახლში რომ შეცვივნილიყვნენ, მაშინლა შეიტყო ლი შენ-მა ავაზაკნი შემოგვსევინაო.

საჩქაროდ გადაევლო ღობეს, ბნელ ადგილს განერთხო, მიწას მუცლით მიეკრო. გაინაბა. ავაზაკებმა ცუდი მენგ-სა და ლი შენ-ს ვერსად რომ ვერ მიაგნეს, მძევლად აიყვანეს ცოლი ცუდი მენგ-ისა. არც ეს იკმარეს. არ დატოვეს არც ფული, არც ნივთი რაიმე. სახლ-კარი მთლადაც ააოხრეს, გაატიალეს, გააპარტახეს.

გაბრუნდა ლი შენ-ი, სახლ-კარს გაემართა. და რა ნახა, ცოცხალი მარტოდმარტო ერთადერთი მსახურიღა გადარჩენილიყო. რისხვით აღევსო გული. სიბრაზეს, აღშფოთებას მისას არა ჰქონდა ზღვარი. მოძებნა თოკი გრძელი. ათ-ათ ნაწილად გაჭრა. მოკლე-მოკლე ნაწილები თოკისა მსახურს მისცა. თავად დაიტოვა გრძელი ნაწილები. ჯიბე-უბეში ჩაიდო. მსახურს უბრძანა: მთისაკენ გაცოცდი, იქეთ, საცა ავაზაკთა ბუნაგიაო. შუა გზად მოკლე თოკებს სათითაოდ ერთ ბოლოში ცეცხლი ჭაოკიდე. ეკლოვან ბუჩქებს გადაჰკიდეო. ამ საქმეს რომ მორჩე, მსწრაფლ უკან გამობრუნდო. მსახურმა თანხმობა მისცა. წავიდა.

ლი შენ-ს ენახა, ავაზაკებს წითელ-წითელი თოკები რომ შემოერტყათ წელზე. თავსაბურავებს აბრეშუმის ალისფერი სარტყელი რომ უმშვენებდათ. ლი შენ-მაც აიღო და თვიტონაც ასე მოიკაზმა.

ჰყავდა ცუდი მენგ-ს შინ ერთი ჯაგლაგი ცხენი. ის-ის იყო კვიცი მოეგო. ავაზაკებს თვალში ეპატარავათ. დანარჩენ ცხენებთან ერთად ხელს აღარ გაუყოლებიათ. ჭიშკრის გადაღმა მიეტოვებინათ. ლი შენ-მა კვიცი ჭიშკარს გამოაბა. თვითონ ფიცხლავ მოაჯდა ლაფშა<sup>16</sup> ცხენს. პირდაპირ ავაზაკთა ბუნაგისაკენ გააჭენა გაჩქარებით.

ავაზაკებს მთაში ერთი სოფელი დაეპყროთ. ლი შენ-მა ჯაგლაგი სოფლის პირას დააბა. ღობე-ყორეს გადააძვრა. შუკა-შუკა იარა. ძლივ-ძლივ, ხელის ცეცებით სოფლის ზედ შუა ადგილას მივიდა. ხედავს, ავაზაკნი მთელს სოფელს მოსდებიან. ხელთ იარაღი უპყრიათ. ლი შენ-მა ავაზაკს ერთს აქეთურ-იქითური გამოჰკითხა. შეიტყო, ცუდი მენგ-ის ცოლი ვანგ ტ'ჟენ-ს ჰყოლოდა მიტაცებული.

ახლო ხანში გაისმა განკარგულება, ყველას უფლება ეძლევა დასვენებისაო. ავაზაკნი ჟრიაშულითა და ყიჟინით შეეგებნენ ამა ბრძანებას. უეცრივ ვილაცამ მორთო ღრიალი, არიქა, აღმოსავლეთ მხარეს მთაზე ცეცხლი გაჩენილაო. ყველამ აღმოსავლეთს მიაპყრო მზერა. მართლაც, ხედავენ აღმოსავლეთით, ხან აქ, ხან იქ, ალი ავარდება. ჯერ იყო და ორი-სამი წერტილი ციმციმებდა. მალე ბურჯლი<sup>17</sup>, დიდრონ-დიდრონი ნაპერწკლები, ვითარცა ვარსკვლავები შებნელებულ ცაზე, მიმოფანტულიყო ირგვლივ. ალი მთელს არემარეს მოსდებოდა. ლი შენ-მა დრო იხელთა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიღრიალა—არიქა, განგაშია აღმოსავლეთ მთაზე, მტერი გამოჩნდაო!

შეშინდა ვანგ ტ'ჟენ-ი საშინლად, დაფეთდა. საჩქაროდ განემზადა. სარისტა მისცა ლაშქარს, თადარიგი დაიჭირა. ბრბოს თვისას სათავეში ჩაუდგა. მტრის შესაგებებლად გაჰქუსლა.

ლი შენ-ი ფეხაკრეფით შეიპარა ვანგ ტ'ჟენ-ის სადგომში. ხედავს, ორი ავაზაკი სახლ-კარს გუშაგად უდგას. ლი შენ-ი ატყუებს: „სარდალს თქვენსას, ვანგ ტ'ჟენ-ს, ხმალი აქ დარჩენიაო.“

ორივე ავაზაკი მყისეულად, ერთიმეორეს ასწრებენ, გაქანდნენ, იარაღს დაეძებნენ. ლი შენ-მა ერთ მათგანს ზურგსუკან, შეუმჩნევლად, მოუქნია და ლახვარი უგმირა. დასცა ერთი ავაზაკი. მეორე ავაზაკმა, გაოგნებულმა რომ მოიხედა უკან, ლი

შენ-მა ისიც განგმირა. მერე ზურგს მოიკიდა ცოლი ცუდი მენგ-ისა, ლობეს გადააფრინდა. მირბის სოფლის შარაგზაზე. მანამ ირბინა, სანამ იმ ადგილს მიაღწევდა, ჯაგლაგი რომ ჰყავდა დაბმული. ალვირი ქალს მიუპყრა, თქვა: „ქალბატონო, გზა თქვენთვის უცნობია, ხოლო ბებერ ცხენს მიენდეთ! მიუშვით ალვირი. ივლტვოდეთ!“ ცხენმა, კვიცი რომ ჰყავდა მიტოვებული, რალა თქმა უნდა, ხალისით მოჰკურცხლა შინისაკენ. ლი შენ-იც ოთხამოლებით მისდევდა ფეხდაფეხ.

გაიარეს ხეობა. ლი შენ-მა ამოიღო თოკი გრძელი, უბეში რომ ჩაედო. ნაუკიდა ცეცხლი. ხეობის ვინრო გასასვლელს გარდიგარდმო გაუბა. შინისაკენ გასწია.

მეორე დღეს ცუდი მენგ-ი შინ დაბრუნდა. შეიტყო მომხდარი. გაუგონარ შეურაცხყოფად, სასირცხვოდ, სათაკილოდ სცნო ესე ყოველი. ვერასდროს წარმოედგინა, ვერც ვერასოდეს დაითმენდა დამცირებას ასეთს. ბრაზით ცოფებსა ჰყრიდა, შფოთავდა, რისხვით მებსა სცემდა, გულისცემას აჰყოლოდა მბორგავი ნაბიჯი მისი. სურდა ცხენს შემჯდარიყო, მარტოდმარტო შეჭრილიყო ავაზაკთა ბუნაგში, გაენადგურებინა. ლი შენ-მა ძლივს დაითანხმა, შედექო. შეჰყარა მთლად სოფელი. ხალხთან თათბირი დაიჭირა. იბჭეს, რარიგ გავუსწორდეთ ავაზაკებსაო. თანასოფლელთ დიდხანს არნმუნებდა, სთხოვდა. ხოლო ყველა დაშინებულყო ისე, ისე დამფრთხალიყო, არა კაცი არ იყო მზა საბრძოლველად. ორჯერ და სამგზის თხოვნა-მუდარის, რჩევა-დარიგების, შეგონება-დარნმუნების შემდეგ ძლივძლიობით დაიყოლია ოციოდ გულადი, უშუშარ-შეუბოვარი, ყოჩალი მამაკაცი, ვინც გაბედა მას გაჰყოლოდა. მაგრამ ვაი, იარალი არ გააჩნდათ.

ამ დროს ვანგ ტ'ჟენ-ის ხროვიდან შეიპყრეს მზვერავი ორი. დასდეს ბრალი ჯაშუშობაში. ცუდი მენგ-ს სურდა მოკვდინება მათი. ლი შენ-მა ნება არ დართო. თქვა: „ნუ იყოფინ! ჰყოვნადე მცირედს!“ თავის ოც ყოჩად ყმანვილს უბრძანა, ხელჯობები მოემარჯვებინათ, გამწკრივებულიყვნენ. მოათრიეს მსტოვარნი. ზედ ხალხის თვალწინ თითოეულს ყური ჩამოათალეს, გაუშვეს. ხალხი აიმრიზა. ბუზღუნებენ. უბნობენ: „ცოტანი ვართ. ხროვა ესე ამბებს ჩვენსას შეიტყობს, მოცვივდებიან, დაგვესხმიან, სოფელს ამოხოცავენ, გაგვჟლეტენ. არ დაგვინდობენ!“ ლი შენ-მა თქვა: „სწორედ რომ მეტი არა მინდა რა!“

ყველა, ვისზეც ლალატის იჭვი აედო, ლი შენ-მა დახოცა. ხალხი თვისი ოთხივ მხარეს წარავლინა: ნა, მშვილდ-ისრები, ხელნაკეთი მცირე ქვემეხები ჩამოითხოვეთ, ინათხოვრეთო. თავად მაზრის დედაქალაქს მიაშურა. ორი დიდი ზარბაზანი იშოვა.

ის იყო მოსალამოვდა და ყველაზე გაუტეხელი, მამაცი კაცები ხეობისაკენ დაიძრნენ. ლი შენ-მა საომრად ყველაზე მარჯვე ადგილას დააყენა ზარბაზნები. ორ კაცს დაავალა, პატრუქებიანად უჩენ ადგილას ჩაიმაღეთო. თვალს როგორც კი მოჰკრავთ ავაზაკებს, მყისვე ცეცხლი მიეცით პატრუქებსაო. გაისროლეთო. თვითონ, რამდენიმე ხელლონიერ მამაკაცთან ერთად ხეობის აღმოსავლეთ მხარისაკენ აიღო გეზი. მრავლად მოჭრეს ხეები. გორაკზე დაალაგეს. ყველაფერი რომ მიანყ-მოანყეს, საქმე რომ მოამთავრეს, ლი შენ-ი და ცუდი მენგ-ი ათ-ათ მოხალისესთან ერთად ხეობის ორსავე მხარეს ბუჩქნარში ჩასაფრდნენ.

გუშაგობის პირველი ჟამი იწურებოდა, როს შორით გაისმა ჭიხვინი ავაზაკთა საომარ ცხენტა. ფრთხილად გაიხედეს. ხედავენ, მართლდაც ავაზაკთა ჯარი ფუტკრის ნაყარსავით მრავლად, უწყვეტ რიგებად მოღელავდა. როგორც კი



ავაზაკთა რაზმი სრულად შეიტყუა ვინროებში, ლი შენ-მა ბრძანება გასცა, გორაკზე დაგროვებული ხეები გარდამოაგორვეთო. ჩახერგეთ ხეობა, მტერს უკან დასახევი გზა მოუჭერთო. ახლა ზარბაზნებმა დასცეს ზათქი. ყიჟინამ, ქვემეხთა გრიალმა, ხეების გრუხუნმა გააყრუა ხეობა, მთლადაც არემარე. ავაზაკები ჩქარ-ჩქარა იხევდნენ უკან. თავგამეტებით ჟღეტდნენ ერთიმეორეს, ფეხქვეშა ჰქელავდნენ დაუნდობრად. იყო ერთი ორომტრიალი.

ხეობის აღმოსავლეთ გასასვლელს რომ მიადგნენ, იქ ახლა მორებმა, მოჭრილ ხეებმა გადაუღობეს გზა. შეიქნა ავაზაკთა ზედახორა. ერთმანეთში ერთ მუჭად აზელილიყვნენ. ხეობის ორივე მხრიდან ყუმბარა, შავცეცხლი<sup>18</sup>, მდულარი ზეთის აღმოდებული ბოთლები სეტყვასავითა ცვიოდა. ათასობით ისრის ზუზუნის ქარიშხალს, გრიგალს, ღვარცოფს შეედრებოდა ოდენ. დელე-დულე აევსო ავაზაკთა გვამებს. თავნაცლილნი, განგმირულ-გაპობილნი, ხელ-ფეხ დამსხვრეულნი ეყარნენ აქეთ და იქეთ. სულ ოციოდ კაცი თულა გადარჩენლიყო. მუხლმოდრეკით ივედრებოდნენ შენდობას, შებრალებას, გულმონყალებას.

ლი შენ-მა რამდენსამე თანასოფლელს უბრძანა: ქვეითი რამდენიმე გაკოჭეთ, სოფელში წაათრიეთო. თვითონ, რაკილა გამარჯვებული იყო, ლაშქარს სათავეში ჩაუდგა, ავაზაკთა ბუნაგს მიაშურა. ბუნაგის მოდარაჯენი, რა ესმათ ამბავი ესე, თავქუდმოგლეჯილნი უკუიქცნენ. ლი შენ-ი ჰხოცავდა, ტყვედა ჰბორკავდა. აღჭურვილობა მათი, მარაგი, დავლა-ალაფი წამოზიდა. გამარჯვებული დაბრუნდა.

ცუი მენგ-ის სიხარულს არა ჰქონდა საზღვარი. ლი შენ-ს გამოჰკითხა, მისი ცოლის გადასარჩენად თუ რა ეღონა. ჰკითხა, რა ფიქრი გახელმძღვანელებდა, ცეცხლმოდებული თოკების ხერხი რომ მოგიმარჯვიაო. ლი შენ-მა თქვა: „ცეცხლოვანი თოკები აღმოსავლეთ მხარეს მთებში მოჩვენებითად გვჭიროდა, რათა ავაზაკთა ყურადღება იქეთ მხარისკენ მიგვექცია, იქეთ გაგვეტყუებინა. ჩვენ რომ დასავლეთისაკენ დავიხევდით, ისინი რომ არ დაგვევენებოდნენ. მოკლე-მოკლე ცეცხლოვანი თოკები, რაკი სწრაფად იწვის, ესე ხერხი მოვიშველიე იმ მიზნით, ავაზაკთა მსტოვრებს ჰგონებოდათ, მთაში აღარავინ დარჩენილაო. ცეცხლნაკიდებული გრძელი თოკი ხეობის ვინროებში იმად გავაბი, წინაპარნი რომ იტყოდნენ: „ხეობის ვინროებში ერთი კაციცა კმარა, ათი ათასი მეომარიც ვერღა შეაღწევს! თუ გაბედავდა ვინმე დევნას, ამგვარ, გრძლად წასულ ცეცხლს რომ იხილავდა, შიშით დაითრგუნებოდა! რაკილა გზა სხვა არ გამაჩნდა, მოვიაზრე სახიფათო ესე ხერხი“. ლი შენ-ს მოჰგვარეს ავაზაკთა ტყვეები დასაკითხად. მართლაც, თურმე ხეობაში როს სდევნიდნენ, ხეობის შესასვლელში რომ იხილეს ცეცხლი, უკუქცეულან, დაუხევიათ უკან.

ლი შენ-მა ოცზე მეტი გადარჩენილი ტყვე ავაზაკი შეიპყრო, ცხვირები წააჭრა, გაუშვა. მას აქეთ ლი შენ-ის სახელი განითქვა ხალხში, მთლადაც იმერ-ამერში დაიგრგვინა. იმ შფოთიან დროს, შორი თუ ახლობელი სოფლებიდან, ყოველი მხრიდან, მისკენ ეშურებოდნენ ლტოლვილნი. მაშინ სამასი მეომრისგან შექმნა წვივმაგარი, ფეხმარდი რაზმი. განვრთნა. მხოლოდ ახლო-მახლო კი არა, შორ მხარეებშიც ავაზაკნი ერიდებოდნენ, გაურბოდნენ ლი შენ-ის რაზმს. თავდასხმას, ძარცვა-გლეჯას ვინღა გაბედავდა. ესე და ესევითარად მშვიდობა, კეთილდღეობა დამკვიდრდა.

ამა უცნაურ ამბავთა მთხრობელი იტყოდა ასე:

ფიცხი ხარი უეჭველად დაამსხვრევს ურემს. ეს ცუდი-ს შესახებაა ნათქვამი. ხასიათი უხიაკი, ფიცხი ჰქონდა. გეტყვით პირდაპირ — ასეთი ცოტანი თუ არიან. ხოლო ენადა ცისქვეშეთში მოსპობილიყო უსამართლობა. მაგრამ განა არ გვიჩვენა, მიზნები მისნი მისთა შესაძლებლობებს რომ აღემატებოდა?

ლი შენ-ი ერთი ჩვეულებრივი მოკვდავი, არსება მდაბიო იყო, ხოლო შესძლო, როგორც აღმოჩნდა, საქმენი ჩინებული მოემოქმედა. კედლებს გადააძვრა, შეიჭრა ბინაში, ვითარცა ფრინველი და წააცალა თავები საკუთარ საძინებელში. გზა მოუჭრა ყოველი მხრიდან. მოსრა და გაანადგურა საძულველი მტერი ხეობის ვინრობში. დროშა-აღმები რომ უბოძო — სიცოცხლეს გასწირავს ქვეყნის საკეთილდღეოდ! განა არ იქნებოდა მისთვის ესე ყოველი საშუალება, რათა სახით სამხრეთისაკენ შებრუნებულიყო და ხელმწიფედ დამჯდარიყო?

### **განმარტებანი**

1. **მენგ-ი** — ფიცხი, დაუდეგარი; **უმენგ-ი** — ნუ იქნები ფიცხი, დაუდგრომელი

2. **ს'შუ-ს სკოლა** — სასწავლო დაწესებულება. დღევანდელი დაწყებითი და საშუალო სკოლის ტოლფარდი

3. **თიკუნი, ზედსახელი** — უძველესი დროიდან ჩინეთში ბიჭებს, ყმანვილებს, სახელს რამდენჯერმე არქმევდნენ. თავდაპირველად დაბადებისთანავე. ამას ეწოდებოდა სარძევე, ანუ დაბადების სახელი, რომლითაც მას მხოლოდ უახლოესი ნათესავ-მეგობრები მიმართავდნენ. იყო აგრეთვე საალერსო, სასკოლო, ფსევდონიმი და სხვა სახელები. სასწავლებელსა, სამსახურში და ა.შ. აკუთვნებდნენ ზედსახელს, თიკუნს. ეს წესი ძირითადად ვრცელდებოდა მოსწავლეთა, განათლებულთა, სწავლულთა ფენაზე, ანუ შენშ'-ს ფენის წარმომადგენლებზე. განათლების მიღების უფლება და ამის ნივთიერი შესაძლებლობა ძალზე ცოტას თუ ჰქონდა. სასკოლო სახელს უპირატესად მასწავლებელი არქმევდა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მშობლები ითხოვდნენ. სარძევე, ანუ დაბადებისდროინდელი სახელით მიმართვის უფლება მხოლოდ უახლოეს ნათესავებსა ჰქონდათ. ცოლიც კი ამ სახელით, მხოლოდ მარტონი როცა რჩებოდნენ, მაშინ თუ მიმართავდა. არცუმცროს ძმებს ჰქონდათ უფროსი ძმისადმი ამ სახელით მიმართვის უფლება

4. **ამოჰკანრა ნიშანი შ'ი, სინგურის საღებავით შეულება** — იეროგლიფი, რომელიც გამოისახება ასე +, ჯვარისებურად. ქრისტიანულ ჯვართან საერთო არაფერი აქვს. **სინგურის საღებავი**- წითელი სახატავი, ვერცხლის წყლითა და გოგირდის ცეცხლში გამოადნობენ. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

5. **ხ'შანგ-ი** — ბუდას მიმდევარი ბერი, ტაოს მოძღვრების მიმდევარი ბერი

6. **მანნაი** — შესანიშნავი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

7. **რა გაგვა** — რა გენაღვლება, რა გრჯის, რას დასდევ. ნიკო ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი

8. **ვალიდავანში** — ვალიდა პროცენტიანივალი. დავით ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი. ჩინურად პროცენტიან ვალს სიტყვასიტყვით „ვაჟიშვილი და დედა“ ეწოდება. „ვაჟიშვილი“-პროცენტებია, „დედა“-ძირითადი თანხა

9. **ფულის ასხმა** — ჩინეთში წვრილი სპილენძის ფულს შუაგულში ჰქონდა ოთხკუთხა ნახვრეტი, რომელშიც გაყრილი იყო მსხვილად ნაქსოვი აბრეშუმის

ზონარი. ზონარზე ასხმული ფული ქამარზე ეკიდათ ხოლმე. ერთი ასხმა ფულისა, ჩვეულებრივ, ათას ფულის ართეულს შეიცავდა

**10. ციენ-ი** — ჩინური ფულის ერთეული

**11. სითიკანი** — მამამთავართა საჯდომი ადგილი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**12. ძენშენგ-ი** — დაბალი ხარისხის სწავლული, გამოცდებზე ზედამხედველი

**13. ქონდაქარი** — მკვლევლობის მოხელე. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**14. მინგ-ის თაობის მეფობა** — მინგ-ის დინასტია მეფობდა XIVს. დანყებული XVIIIს. დასაწყისამდე

**15. ცისქვეშეთი** — ჩინეთის ერთ-ერთი სახოვანი სახელწოდება. ასე უწოდებდნენ ჩინელები თავიანთ ქვეყანას

**16. ლაფშა ცხენი** — ცუდი ცხენი, ჯაგლაგი. დავით ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი

**17. ბურჯლი** — დიდრონი ნაპერწკალი. ნიკო ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი

**18. შავცეცხლი** — ყუმბარა. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი



## სახელმწიფო ჟამთაღმწერი წიან-ი

蔣太史

სახელმწიფო ჟამთაღმწერს, მემატრიანეს, თაიშ<sup>1</sup>-ს<sup>1</sup> თანამდებობის მფლობელს, წიანგ ჩაუ-ს ახსოვდა, წინარე ცხოვრებაში ხ<sup>2</sup>შანგ-ი<sup>2</sup> რომ იყო. ს<sup>3</sup>ჩუანგ-ის მაზრაში რომაა მთა, ემეი, იქა მყოფობდა. მრავალგზის დასიზმრებია, იმ, უწინდელ ცხოვრებაში ფეხის საბანად წყალსატყვისაკენ რომ მირონიებდა ხოლმე. იქ, ბერთა სენაკების მოპირდაპირე მხარეს რომ მდებარეობდა. მთელი სიცოცხლე სუტრებს ერთგულებდა. რწმენითა და გატაცებით, სულითა და გულით მისდია ბუდას მოძღვრების მიმართულებას, თიენტაი წუნგ-ად რომ იწოდება. მართალია, ფრიად ახალგაზრდა გახლდათ, როს ჟამთაღმწერის საქმიანობას შეეჭიდა, ამ უალრესად პატივისცემი თანამდებობით იწყო სამსახური. ერთობ ადრე შევიდა მეცნიერთა უზენაეს წრეში, მწერალ-მწიგნობართა, სწავლულ-მოხელეთა, ხანლინ-თა<sup>3</sup> რიცხვში მიღებულ იქნა. თუმცაღა გულის სიღრმეში მარად იმარხავდა წადილს -ამაოთა ამაო სოფელს განრიდებოდა, აღკვეცილიყო ბერად.

როს დაუდგა მიმწუხრი ცხოვრებისა, სიბერესმონევენულმა ავადმყოფობა მოიმიზეზა, სამსახურიდან დაეთხოვა. შინ, მდინარე იანძ<sup>1</sup>-ის სამხრეთ მხარეს დაბრუნება იზრახა. ხოლო წიანსუ-ს მაზრის ქალაქ კაოიოუ-ს მიდამოებს მიახლოებულმა, უეცრივ იცვალა გულისთქმა. შინ დაბრუნება აღარ ისურვა. მართალია, ვაჟიშვილი მთელი სულითა და გულით, ცრემლმორეული სთხოვდა, უმუდრებოდა, შინ დაბრუნდიო, მაგრამ არ დაუჯერა, არ დაჰყვა თხოვნას მისას. ასევეითარად სხვა გზას დაადგა. შ.ჩუანგ-ის მაზრისაკენ გასწია.

ქალაქ ჩენგტუ-ს წინშა ს<sup>4</sup>-ს<sup>4</sup> მონასტერში დაიდო ბინა. ერთხანობას იქ დაივანა. კვლავ წასვლა ირჩია. ახლა ემეი-ს მთაზე ლუხუ ს<sup>5</sup>-ს<sup>5</sup> მონასტერს მიაშურა. იქ სნება რამ შეეყარა. ცოტა ხანს იავადმყოფა და განუტევა სული. თვითონ პირადად დაწერა ანდერძამაგი. საკუთარ საფლავის ქვას წარსაწერი წყვილ-წყვილი სიტყვები დაწერა: „უკვე უკანასკნელი გარდასახვისას არა ვყოფილვარ კაცი ამქვეყნიური. ვიყავ ტიალ წუთისოფელს განრიდებულის. ვიყავ მხცოვანი ბერი, მარტვილი. მაიმუნთა, წეროთა მოყვასი. მიზეზთ გარეშე, მარმენიოს<sup>6</sup> გარეშე, საერო, ამაო ცხოვრებით დაგებულ ბადეში გაბმული. მდულარი ზეთის ქვაბშიც ვლამობდი, ვოცნებობდი შთასვლას, რათა ავბედითი ცხოვრების პაპანებისათვის თავი დამედწია. განა კი იყო შესაძლებელი ამ მუხანათსა, ვერაგ ცხოვრებაში სულის ამაღლებას, სულის განწმენდას, ამაოთაგან გათავისუფლებას ვწევნოდი? საერო ცხოვრება აღვსილა წინსვლა-აღმასვლის, სახელის, სახელდიდ თანამდებობათა, დამსახურებათა, ქონება-



სიმდიდრეთა, ფორთომინობის<sup>7</sup>, წარჩინების, უკეთესისა და უკეთესის დაუფლებ-ის ჟინით. სიამტკბილეთა ხელში ჩაგდება ხით ნათალ თოჯინას ამსგავსებს კაცს, სხვათა სათამაშო ტაკიმასხარად აქცევს. ლამაზი, ჭირვეული ცოლი, საყვარელი, ნანარი, ნებიერი შვილები, ეს ყოველივე არც არა რა არის გამხმარ-გამოფიტული ჩონჩხის, უბადრუკ ადამიანთა ძვლების გროვისა გარდა. ოდენ ფუსფუსებენ, ირჯე-ბიან ამოდ. მეფეთმეფეთა წყალობისა და მშობელთა ვალის გარდახდას ესწრაფი-ან. ისლა შთენიათ სრულყოფილებისაკენ მიმავალ უსასრულო გზაზე, შემდგომი და შემდგომი დაბადებისას, სააქაოს ხელახალი და ხელახალი ყოველი მოვლინებისას, სამერმისო სიკვდილ-სიცოცხლეთა ჯაჭვში ოდენ სასოებდნენ, იმედნეულობდნენ, ბუდას ევედრებოდნენ კაცთმოყვარეობის ნათელი მიზნის, კაცთმოყვარეობის საზრისის მინვენას.

### **განმარტებანი**

**1. თაიშ'-ი** — მეისტორიე, ჟამთაღმწერი, მემატინანე

**2. ს'შანგ-ი** — ბუდას მიმდევარი ბერი. ამ მოძღვრების თანახმად, ადამიანის სული გარდაცვალების შემდეგ, ახალ სხეულში ჩაისახება და ახლა იქ განაგრძობს სიცოცხლეს. წინარე სიცოცხლიდან ახალ სიცოცხლეში გარდასახვის ეს პროცესი შეიძლება უსასრულო იყოს, მრავალგზის გამეორდეს კიდევ

**3. ხანლინ-ი** — საიმპერატორო სასახლის კარის სწავლულთა წრე. ხანლინ-ის წევრის საპატიო მაღალი წოდება ენიჭებოდათ განსაკუთრებულად გამორჩეულ სწავლულთ, ვინც დედაქალაქის გამოცდებში სწავლული ძინშ'-ს ხარისხს მოიპოვებდა. იმპერატოროთა სასახლის კარზე არსებულ ხანლინთა აკადემიაში (ხანლინი-უან-ი, სიტყვა-სიტყვით — ფუნჯების ტყე), სწავლულნი ადგენდნენ, იხილავდნენ იმპერატოროთა ბრძანებულებებს, განკარგულებებს, კანონებს, ამზადებდნენ, აწესრიგებდნენ საიმპერატორო ქალაქებს, სიგელ-გურჯებს, წერდნენ ჩინეთის ისტორიას .... დაახლოებით დღევანდელი მეცნიერებათა აკადემიის მსგავსი, ოღონ გაცილებით მეტი უფლებამოსილებით აღჭურვილი დაწესებულება

**4. მონასტერი ნიშა** — სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ოქრო-ქვიმას. ეს მონასტერი ახლაც არსებობს

**5. მონასტერი Fუხუ** — ბუდას მონასტერი. სიტყვა-სიტყვით მორჩილი ვეფხვის მონასტერსა ნიშნავს

**6. მარმენიო** — ბედი, სვე, ხვედრი, ბედისწერა. აღმოსავლური რელიგიის თანახმად-კარმა

**7. ფორთომინი** — დიდებულის გვარისა. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი





## იმვითი<sup>1</sup> ტრედნი

# 鸚鵡

ტრედი მრავალგვარია მეტად. შანსი-ს მხარეს „ქუნსინგ“-ის გვარისა ბუდობს; შანტუნგ-ში - „ხ'სიუ“<sup>1-1</sup>; იუნან-ში - „იეტიე“<sup>1-2</sup>; ხენან-ში - „Fანთიაო“<sup>1-3</sup>; წიანგსუ-ში - „ჭუნინე“<sup>1-4</sup>-ი. ყველა ესე გვარით სხვადასხვაა. არის კიდევ „სიუეთოუ“<sup>1-5</sup> „ტიენძ'1-8“-ი, „ტაპაი“<sup>1-7</sup>, „ხეიმ'1-8“-ი, „Fუცი ციუე“<sup>1-9</sup> „ხუაკოუიენ“<sup>1-10</sup> და სხვა მრავალი. სახელი მათი ისე ბევრია, ხელის თითები არც იკმარებს ჩამოსათვლელად. თითოეული გვარი ერთურთისაგან ასხვავონ, მხოლოდ და მხოლოდ მოყვარულთ, მოხალისეთ თუ ხელნიფებათ.


ნოუფინგ-ის მაზრაში, შანტუნგ-ის მხარეს რომაა, თავადიშვილი ჭანგ-ი, სახელად იოულიანგ-ი, ტრედის დიდად მოყვარული ბრძანდებოდა, მოხალისე. მხოლოდ „კ' ნინკ-ში“<sup>2</sup> ხსენებულთ გვარისას თუ შეიძენდა ოდენ. იგროვებდა, ინახავდა, უვლიდა, ენუკვოდა, ვითარცა ბავშვს ჩვილს. სიცივეებს როგორც კი დაიჭერდა და თუკი შეამცივნებდათ, ანისულის ბალახეულის ნახარშითა მკურნალობდა. თუკი დააცხუნებდათ, საგანგებო მარილს უყრიდა.

ტრედებს უყვართ ნებივრობა. ზოგნი დიდი ხნით ძილს მიეცემიან ჟამითი ჟამად. ხოლო უძრაობისა გამო კრუნჩხვა თუ მოეძალათ, ვინძლო დაიხოცონ კიდევაც.

თავადიშვილმა ჭანგ იოულიანგ-მა ქალაქ კუანგლინგ-ში<sup>2-1</sup> ათი ლიან-ი ოქრო დახარჯა, ტრედის ერთი პანანინა ხუნდი რომ შეეძინა. სხეული ჰქონდა მეტად პატარა, კარგად კი ჰგოგავდა. თუკი მიწაზე დასვამდნენ, გოგმანებდა, ტრიალებდა, წრეებსა ჰხაზავდა დაუსრულებლივ, არ ელეოდა ქანცი. არა სჩვეოდა დალლა. ასეთთ, უილაჯობამ რომ არ დახოცოს, მოხალისეთა მათთა ტრედნი უპყრიესთ ხელით, არონინებენ. ხოლო ღამ-ღამობით შეუშვებენ გუნდში, დანარჩენნი რომ აფხიზლონ, აშალონ. ასე და ასე ვითარად, გუნდში უძრაობისა გამო არ იღუპება ერთიც. ამაღ არის, ამ გვარს ტრედისა სახელად იეიოუ<sup>3</sup> რომ ეწოდა.

ცი-სა და ლუ-ს<sup>4</sup> მხარის ტრედთა მომრავლების მოხალისეთა და მცოდნეთა ყოველთა შორის თავადიშვილმა ჭანგ-მა განითქვა სახელი. ტრედებით თვისით თავადაც ამაყობდა, თავს ინონებდა.

ერთხელ, ღამით, თავის სამკითხველო პალატში იჯდა. უეცრად ეახლა ერთი ყმანვილკაცი, თეთრ სამოსიანი. ჯერ კარს მიუკაკუნა. უცნობი იყო. თავადიშვილი ჭანგ-ი ჰკითხავს, იგი მიუგებს: „მოხეტიალე გახლავართ. ღირს კი სახელ-გვარი მოგახსენოთ? შორით მსმენია, ტრედნი გყოლიათ. ამა საქმეში წარმატებული ბრძანდებით. გატაცება ესე მეც სასიცოცხლო საქმედ გამიხდია. ვისურვებდი თვალით საკუთარით მეხილა, თუ ინებებდით.“ თავადიშვილმა ჭანგ-მა ყველა, ყველა უკლებლივ, უჩვენა. ყველა შეფერილობისა გამოაბრძანა. ფრთოსანთა მშვენიერება, სილამაზე თვალწარმტაცი მათი იყო ვითარცა აბრეშუმის ფარჩეულზე ამონაქარგი ღრუბელი.



ყმანვილკაცი ილიმის, თქვა: „პირიდან პირს მინათხრობი არა ყოფილა სიცრუე, ჭეშმარიტად! ვიტყვი, ტრედთა შენახვის ხელოვნებაში სრულყოფილებას მიწვევულხართ. მე, მონა-მორჩილს თქვენსას, აგრეთვე მყავს ერთი-ორი ჩიტუნია, ხომ არ ინებებდით გეხილათ?“ თავადიშვილმა ჭანგ-მა გაიხარა. გაჰყვა ყმანვილს.

მცხრალი მთოვარე, ნისლით შებურული, სხივს ფერმკრთალს მიმოაფენდა. მინდვრად არა ჭაჭანებდა რა. ტრიალი იყო ირგვლივ მიდამო. გულში იჭვი შეეპარა. შიშმაც აიტანა. ყმანვილკაცმა სადღაც მიუთითა, უბნობს: „თუ თავის შენუხებას ინებებთ, ფეხს თუ მოუჩქარებთ, შორს აღარაა სადგომი ჩემი.“

მართლაც, ცოტა და ტაო-თა მონასტრის ეზო-მიდამო გამოჩნდა. ორად ორი სადგომი იდგა. ყმანვილკაცმა ხელი ჩაჰკიდა. შეუძღვა. ბოდიში ითხოვა, არც შუქია, არც ცეცხლი, ბნელი სუფევსო.

ყმანვილკაცი ზედ ეზოს შუაგულს შედგა. ბაგით ტრედისებრ დაილულუნა. მყისვე მოფართქალდა ორი ტრედი. სხვათა გვართა ტრედთაგან არა სხვაობდნენ. ჩვეულებრივთა მსგავსნი იყვნენ. ფრთა-ბუმბულ-თეთრნი, ბუმბულს ფერი არ ერია სხვა. სახურავის ლავგარდანის სიმაღლედ აფრინდების მსწრაფლ. კისკასად მალლა-მალლა ფრენენ, ხლდიან, ებრძვიან, ეძგერებიან ერთიმეორეს, ჭყვიან. ფრინვის დროსა იგრგვლივ ტრიალებენ. ჰაერში თავდამოქცევით, თავდაყირა ქვემო დაეშვებიან. მალაყს გადადიან. ყმანვილკაცმა ხელი აუქნია, იფრინეთო, მოუწოდა. ორთავემ ახლა გვერდი-გვერდ იწყო ლივლივი. გაფრინდნენ. კვლავ მოკუმა ბაგე. ხმა უცნაური გამოსცა. კიდევ მოფრინდა წყვილი. უფრო მოზრდილი, ზომით ყვავისოდენა, ხოლო მომცრო მუშტისტოლა იქნებოდა. აივნის მოაჯირზე ჩამოსხდნენ. აცეკვდნენ, მოცეკვავე წეროებისებრ. ერთმა, მოდიდომ, უფრო მოზრდილმა, ფართოდ განმარტა ფრთები, გეგონებათ სურს ფარშავანგს ემსგავსოსო. ფრთასა სცემს. ბზრიალ-ტრიალს მოჰყვა. ლულუნებს. თითქო სურს მეგობარი გოგონაც ააცეკვოსო. მომცრო აფრინდა, ზევიდან დაეშვა. ზეით-ქვეით ფრთხილებს, ფარფატებს. ხან ისე მალლა აიჭრება, მეგობრის თავსა სწვდება. ხან მერცხალსავითა ფრენს. ფოთლებზე ჩამოსკუბდება. პანია დოლის ხმასა ჰგავს ლულუნი მისი. რაკუნებს ნაზად. დიდრონმა ტრედმა ყელ-კისერი წაიგრძელა, მიეყინა ერთადგილს. რაც ძალი და ღონე აქვს იმღერის, ხმას იცვლის, სინგ-ის<sup>5</sup> წკრიალს მიუგავს ლულუნი. ასე და ასევეითარად, წყვილნი შეხმატკბილებულნი სიამითა ლაღობდნენ, ფართქალებდნენ. მანამდე იფრთხიალეს, სინამდის არ იჯერეს გული, არ დაოკდნენ. მერე კი მომცრო გაფრინდა. ხოლო მოზრდილი, კიდევ დიდხანს უხმობდა გულისსწორს, სატრფოს თვისას.

თავადიშვილი ჭანგ-ი, აღტაცებული, ოხვრიდა. მთლადაც შეძრულიყო. გუმანით იგრძნო, სანახაობა ეხილა იმგვარი, მის გუნდში ხსენებაც არა ყოფილა. არა ჰქონია რამ საამაყო, თავმოსაწონი.

თავადიშვილმა ჭანგ-მა ხელის გულები შეაერთა, გულს მიიკონა, წრფელად შესთხოვა ყმანვილს-მინილადე საყვარელი ესე ჩიტუნებო. ყმანვილკაცი არ იყო თანახმა. კიდევ მეტი გზნებითა სთხოვა, დიდად ევედრა.

ყმანვილკაცმა კვლავ უხმო ფრინველთ. განმეორდა სანახაობა ესე. ორ ტრედს, თეთრუას უბრძანა, მომიახლოვდითო. თქვა: „თუკი მე, უბადრუკს, არ დამძრაბავთ, წყალობა მოიღეთ, ინებეთ მცირედი.“

თავადიშვილმა ჭანგ-მა ხელთ იპყრა ტრედნი. გულისყურით დააცქერდა. გაეთა-

მაშა. ერთს თვალები ჰქონდა მჭვირვალი, კამკამა, ვითარცა მთვარე ცის ტატ-ნობზე, მონმენდილზე, ქარვისებური. თვალის ბაია ჰქონდა შავი, ვითარცა თესლი შავ პილპილისა. მგრგვალი, ვითარცა თვალი მძივისა. ფრთა აუნია. ღინღლის ქვეშ მოსჩანდა სხეული უნაზესი, კანი გამჭვირვალე, უმანკო. გრძნობდა, რაოდენ სა-თუთი, ფაქიზია შიგნეული ამ პანანინა სხეულისა.

თავადიშვილი ჭანგ-ი გაოცებას იყო. მსგავსი არაოდეს ეხილა. ვერ გამძღარი-ყო ტკბობით. ითხოვდა და ითხოვდა. ყმანვილკაცმა თქვა: „არის კიდევ ორი გვარი, ჯერხანად არ მომირთმევია თქვენთვის. ვერც გამიბედავს გიჩვენოთ!“

ვიდრე საუბრობდნენ, ამაღა, ჩირაღდნებით ხელში, ბატონს დაეძებდა. მივიდ-ნენ. თავადიშვილმა ჭანგმა თვალი ერთი მიაპყრა ყმანვილკაცს. ჰოი! იგი თეთრ ტრე-დად გარდასახულა. ქათმისტოლად. ისარსავით აიჭრა ცაში. აქეთ-იქეთ მიმოავლო თვალი. ეზო-მიდამო განქარდა. მთლადაც უჩინო იქმნა ყოველი. ერთი ყორღანი-ლა შემორჩა, აქეთ-იქედან ორად-ორი ტანმაღალი კვიპაროსით. დაფეთებულმა თავადიშვილმა ჭანგ-მა მსახურებითურთ აიტაცა ტრედები. შიშმორეულებმა ოხ-ვრით, ვიშვიშით შინისაკენ ქნეს პირი.

მემრე სცდილობდნენ ეფრინათ ტრედნი. ფრიად მორჩილნი იყვნენ, უწინდ-ებურად. თუმც ვერ იტყოდით, უკეთესთ-უკეთესნი რომ იყვნენ იმ ჯიშთა შორის, ყმანვილკაცს რომ შეეგროვებინა. ხოლო ამქეყნად მაინც დიდად საიშვიათონი კი იყვნენ, შნოანნი. თავადიშვილმა ჭანგ-მა შეიყვარა მთელი გულით. უვლიდა, უფრთხილდებოდა, ელოლიავებოდა.

გაიარა ორმა წელიწადმა. წყვილმა იმრავლა. დედალ-მამალი სამ-სამი წყვი-ლი შეიქნა. ნათესაობა, მეგობარ-ამხანაგნი ითხოვდნენ. არვის უწილადა. ვერვინ დასტყუა, ვერავინ დასცინცლა.

მამას მისას ჰყავდა მეგობარი ერთი, მავანი ოფიკალი, მალაღჩინოსანი. მოი-ნახულა ერთხელ თავადიშვილი ჭანგ-ი. ჰკითხავს, სამტრედეში რამდენი გყავთ ტრედით. თავადიშვილმა ჭანგ-მა თავაზიანად აირიდა პასუხი. იეჭვოდა, მალაღჩი-ნოსანი მოხელე თავადაც ტრედთა მოხალისე თუ ბრძანდებო. სულის დიდი ბრ-ძოდა უწევდა, რათა საგანი ეგ ზომ დიდი სიყვარულისა სხვისათვის ეწილადებინა. ყოყმანობს. საგონებელშია ჩავარდნილი. გაითვალისწინა, უფროსი თაობისაა, დი-დად პატივისაცემი ბრძანდება მოხელე ეგეო. ვერც ის გაებედა, უდიერად თავიდან მოეშორებინა დიდებული. ვერც ის იკადრა, ჩვეულებრივი ტრედები მიეთავაზე-ბინა. ასე და ამრიგად, ბოლოს და ბოლოს, ამოარჩია ორი თეთრუა ტრედი. კალათს მოათავსა. უსაჩუქრა. სწამდა და სჯეროდა, ათას ოქროდ ღირებული საბოძვარიც ვერ იქნებოდა ეგ ზომ ძვირფასი ვითარცა ძღვენი მისი, ეგე წყვილი ტრედნი.

გაიარა რამდენიმე დღემ. მოინახულა ბატონი ოფიკალი. ფიქრობს, ღირსვარ პატივისცემისაო. ხოლო საუბარში ბატონი ოფიკალი ეგე მაღლიერების სიტყვასაც არ ძრავს. ვერ ითმინა, ჰკითხავს, ფრინველნი თავს ხომ კარგადა გრძნობენო. მიუგო, მსუქანი, გემოდ საუცხოო იყო.

თავადიშვილ ჭანგ-ს პირკატა ეცა, მეტად ეოცა პასუხი ესე. ჰკითხავს: „რაო, საჭმელად მოამზადეთ?“ მიუგო: „დიად!“ ელდანაკრავმა დაიღრიალა: „არ ყოფი-ლან ჩვეულებრივი ტრედნი! „თათრულად“ რომ იწოდებიან, იმ გვარისანი იყვნენ, საიშვიათო ჯიშისანი გახლდნენ.“

მავანი ბატონი იხსენებს, უბნობს: „გემო დიდი არაფერი საიმისო ჰქონდათ.“

თავადიშვილი ჭანგ-ი ცოცხალ-მკვდარი გამოზრუნდა, დარდით გულჩანყვეტილი. იმ ღამით ესიზმრა ყმანვილკაცი, თეთრსამოსიანი. მოვიდა. სამდურავი, საყვედური დააყარა: „ვუნყოფი, კეთილშობილი ბატონი, ტრედთა დიდად მოყვარული, მოხალისე ბრძანდებოდით. ნდობით განვიმსჭვალე. ამაღ იყო შთამომავალნი ჩემნი მოგანდეთ. ეს რა ჩაიდინეთ! რომ იტყვიან, მარგალიტი, ხელიხელ საგოგმანები, შავბნელსა, მღვრიე მორევს მიეცით. აგრერიგ დაუნდობარ ბედსა სწიეთ. ცეცხლზე, სამფეხში, დელფიკურთაში<sup>7</sup>, სისასტიკე ეგ ზომი ჰქმენით! ან წარვავლენ მემკვიდრეთ ჩემთა, დავიბრუნებ!“ ესა თქვა და გარდაისახა თეთრუა ტრედად. ტრედ-ნი გუნდ-გუნდად, ფრთათა ფარფატით, ფრთების ტკრციალით აედევნენ.

გარიჟრაჟზე თავადიშვილმა ჭანგ-მა მოინახულა. გამქრალიყო ყოველი. თავადიშვილი ჭანგ-ი სევდა-ნალველმა შეიპყრო. ინანიებდა. აილო თვისი ტრედნი, უკლებლივ ყველა, საუკეთესო მეგობართ თვისას მიუძღვნა, გააჩუქა. ორიოდ დღე არც გასულიყო, აღარ დარჩა აღარც ერთი.

### **განმარტებანი**

1. **იშვითი** — არა ხშირად შესახვედრი. ნიკო ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი

### **მტრედების ჯიშთა სახელწოდებები:**

1-1. **კუნსინი** — ვარსკვლავი, დედამინა

1-2. **ხესიუ** — წეროს მოხდენილობა

1-3. **იოტ'** — პეპელა

1.4. **სანტიაო** — მალაყზე გადასული, მოხტუნავე

1.5. **ჭუძინი** — მახვილი, ბასრი

1-6. **სიუეთოუ** — წულის წვეტი

1-7. **ტიენძ'** — დანინკლული

1-8. **ტაპაი** — დიდრონი თეთრუა

1.9. **ხეიშ'** — შავი კენჭი

1-10. **ფუფციუე** — მეუღლეთა ჩიტუნია

2. **კ'ნიკ'-ი** — უძველესი ტრაქტატი მტრედების მოვლა-პატრონობის, გამრავლების შესახებ

2-1 **კუანლინგ** — ქ. იანჭოუ-ს ძველი სახელწოდება

3. **იეიოუ** — ღამით მოხეტიალე, მთვარეული, ცისად-ცისად მთოვარესა და მთოვარეზედ დაბნედილი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი.

**ხუაკოუიენ** — ჭროლა ძაღლის თვალი

იოანე ბაგრატიონი. საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი

4. **ცი და ლუ** — ორი უძველესი სახელმწიფო. ამჟამად შანტუნგ-ის პროვინცია ეწოდება

5. **სინგ-ი** — უძველესი დასარტყამი ქვის საკრავი. ეს არის ჩარჩო, ზედ ჩამოკიდებული ქვის ან ლითონის ფირფიტებით, რომელთაც ურტყამენ პატარა ჩაქუჩებით

6. **ოფიკალი** — დიდი მოხელე. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

7. **სამფეხი, დელფიკურთა** — სარიტუალო, მსხვერპლშენირვისათვის განკუთვნილი ჭურჭელი, რომელშიც უმეტესწილად საკმეველს აკმევდნენ

## ოლენა - ირმის ბალახი

### 鹿草

დიდი კედლის გადაღმა მრავლადა გვარობს ირემი. იქაურნი ხშირ-ხშირად თავს დაიდგამენ ხოლმე ფიტულს ირმის ხელნაკეთი თავისა, ჩაცუცქედებიან, მუხლამ-ვერით სხდებიან ბუჩქნარში, ბალახში გაილურსებიან. მოკუმულ პირში დაიჭირენ დახვეულ ფურცელს ფოთლისას. ჩაჰბერავენ. ხმას გამოსცემენ ირმის ყვირილის მსგავსს. ჯოგსა ჰხადიან<sup>1</sup> ირმისას, იზიდავენ, ჰკრებენ. ირმის ჯოგში ძუ ნაკლებ ურევია. მომეტებულად ხვადნი ჭარბობენ. ბუნება, ნირი ხარირმისა უფრორე იმგვარია, ჯოგის თითოეულ ფურთან ხურაობს<sup>2</sup>. ხოლო ფურნი რიცხვით ასობით, ათასნიც არიან. აღსარევად მისაშვები ხვასტაგი თითოსთან სათითაოდა მძუნაობს. ამადაა, მაკინტალობის<sup>3</sup> შემდგომ ქანცგანყვეტილი, დაუძღურებული ფურირემნი რომ იღუპებიან. აი მაშინ, ფურირემები ხვადს გარს უვლიან, ყნოსავენ, სუნავენ. და როს ირწმუნებენ, მომკვდარაო, ფურირემთა მეტი წილი იქსაქსება, მთა-ხეობისაკენ იჩქარის. მიეშურებიან იშვიათი სურნელების, რჩეული ბალახის ტისის, ოლენას საძებრად. მიუპყრობენ ამ ბალახს ხარირემს, ზედ დინგს წინ შემოუნყობენ, უკმევენ. და აი, მკვდარი ხვადი, სუნს იკრავს თუ არა, როს იყნოსავს სურნელს იღუმალს, მყისვე იღვიძებს, სულს მოიბრუნებს! ამ დროს ჩაცუცქულნი, ბუჩქნარში, ჩირგვებში ჩასაფრებულნი, მოჩქარებით ასტეხენ ხმაურს საზარელს, ლო-ს<sup>4</sup> აბრაგუნებენ, დოლსა სცემენ, აღმოდებულ ლითონის სატკაცუნოსა სტყორცნიან. ჯოგი ფრთხება, აიშლება, გარბის. მერე კი ამ საიშვიათო, მსალბუნებელი, საოცარი, იღუმალი ჯიშის ბალახს ხალხი თავად აჰკრეფს, აგროვებს. უბნობენ, მაცოცხლებელიაო, მიცვალებულის ამქვეყნად მობრუნების შესწევს ძალაო.



### განმარტებანი

**ოლენა** — მცენარე, სახელად ირმის ბალახი. დავით ჩუბინაშვილი ქართულ-რუსული ლექსიკონი

**1. ჰხადიან** — მოუხმობენ, მოუნოდებენ

**2. ხურაობა** — ენოდების ცხენთა, ჯორთა, აქლემთა მამალ-დედალთა აღრევას. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**3. მაკინტლობა** — ზროხათა, კამბეშთა, ირემთა და მისთანათა მძუნაობა. ჟამი აღრევისა დედალ-მამალთა ცხოველთასა. ნიკო ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი

**4. ლო** — უძველესი შემოსაკრავი საკრავი, სპილენძის ორი თეფში, რომელთაც ან ერთმანეთს, ან პატარა ჩაქურჩებს, ან ჯოხებს ურტყამენ



## მწვანესამოსიანი ქალწული



იყო ერთი შეგირდი-მწიგნობარი, სახელ-გვარად იუი წინგ-ი. თიკუნი მისი იყო სიაოსუნგ-ი. იტუ-ელი<sup>1</sup> კაცი იყო. ლიცუან-ის მონასტერში დამონაფებულყო.

შელამდა. მსრებს მაზარა<sup>2</sup> მოუსხამს. გალობს, მღერით აღმოსტქვამს. ანაზ-დად ესმა, სარკმლის მიღმა ქებას შესძღვნიან. ქათინაურით ამკობენ: „ჭაბუკო ბატონო იუი. რარიგ გულმოდგინედ მეცადინეობთ!“ შეკრთა იუი წინგ-ი. ზეზე ნა-მოდგა. სარკმელსუკან თვალი დაჰკრა მშვენიერ ქალწულს. ტანზედ ეცვა კაბა გრ-ძელი, მწვანე<sup>3</sup> ფერისა. ენითუთქმელი იყო სინაზე მისი. ლელნამტანისა, სათუთი, მოკრძალებული. ალლო აალო იუი წინგ-მა, მიხვდა გუმანით, ადამიანის მოდგმისა არ იქნებოდა, არამქვეყნიური რომ იყო. იკვირვა. მრავალგზის შეჰკითხა, მიუვალ მთებში რარიგ მყოფობო. ქალწული უბნობს: „ხედავთ, ბატონო, უკეთილშობილე-სო ადამიანო, მე, მონა-მორჩილი თქვენი, არ გახლავართ კაციჭამია. მამ რალად გინებებიათ ეგოდენ დაკითხვა?“ სწავლულ-შეგირდმა იუი-მ გულით გაიხარა. ასე და ასევეთარად ქალმა ტანთ გაიხადა. დაწვა მასთან, მიუდგა, თანაეყო. იყო ისე წერწეცა, წელი ჰქონდა ისე წვრილი, მუჭაში მოიგდებდა კაცი. ერთი ხელიცა კმა-როდა, რომ მოხვეოდა. როგორც კი ინათა, ქალწული მსუბუქი, ჰაეროვანი ნაბიჯით გაფარფატდა. მას აქეთ ღამე არ ჩაივლიდა, არა სწვეოდა.

ერთ ღამით ორთავენი დროსტარებას მისცემიან, ინახითა სხედან. ღვინოს შეექცევიან. მასლაათობენ. საუბარმა წარმოაჩინა დახვენილი ცოდნა მისი მუსიკო-ბისა, პოეტურ რითმისა. იუი წინგ-ი უბნობს: „აგრერიგ ნაზზე-ნაზი, აგრერიგ სი-ფრიფანაა ხმა შენი. ხომ არ ინებებდი, გემღერა რამ? მსმენელი შენი, უეჭველია, სიამით სულსაც განუტევებს.“ ქალწულმა შეჰლიმა, თქვა: „გეკრძალვი მღერას. ვაი თუ, პატივცემულო ბატონო ჩემო, სული აღმოგხდეთ. სულმა თქვენმა მიატოვოს სხეული თქვენი?!“ იუი წინგ-ი არა ცხრება. ბოლოს და ბოლოს ქალწული უბნობს: „არკი ვძუნნობ, არკი მენანება. თუმცალა გულში შიში ჩამვარდნია. ვაი თუ სხვამ, მავანმა ისმინოს. ხოლო რაკიდა აგრერიგ ითხოვს კეთილშობილი ბატონი ჩემი, მე, არარაობას, ნება მიბოძეთ კადნიერ ვიქნე, მოგიძღვნათ უბადრუკი ხელოვნება ჩემი. ჩუმი, მეტად დანელებული ხმით ვიმღერ. მინიშნებას ჩემსას თუ მიმიხვდებით ოდენ, ისიცა კმარა.“

ასე და ამგვარად, თავის ნამცეცა ტერფებით, კოკორს ლოტოსისას რომ მიუ-გავდა, მღერას ფეხს აყოლებდა, სარეცელის ზურგს მიყრდნობილი იმღერდა:

**„ხის ტოტზე, ბუდეში ჩიტს დაუდვია ბინა.**

**ღამით მონა-ქალს როს მეთხოვები,**

**არ მეშინის დავალტო მაშია ნაქარგი<sup>5</sup>,**

**ეს კია ვწუხვარ, რომ რაყიფს, ეულს,**

**სატრფოს გულისას არა ჰყავს წყვილი.“**

ხმა მისი იყო იმრიგად ნაზი, ვითარცა ძაფზე ჭიჭნაურისა<sup>6</sup> გავლება თითის. ვითარცა ზუზუნი მცირე რამ მწერის. ძლივ-ძლივ გაისმოდა. ფეხაკრეფით მიახ-

ლოებული ყურს თუ მიაპყრობდა, ლივლივებდა, ნკრიალებდა. ნაირგვარ ფერსა, გრძნობას ათასგვარს ასხივებდა. გულს ათრთოლებდა, სულს ატკობდა.

იმღერა. კარი შეალო, გაიჭვრიტა. თქვა: „ვშიშობ, კარსუკან არის მავანი.“ სენაკს გარს შემოუარა. დაბრუნდა. სწავლულ-შეგირდმა იუი-მ თქვა: „აგრერიგ სიღრმისად რად გიპყრობს იჭვი?“ იგი ილიმის, უბნობს: „ანდაზა გვამცნობს: „მხეცნი, სულთა მტაცებელნი, ეშმაკნი განმაკროთობელნი, ადამიანთა სიცოცხლეს როს მახეს უგებენ, თავს ქუდი ეწვით, მიწყევ შიშობენ, ფრთხიან მარადყამ.“ სიტყვები ესე სწორედ რომ ჩემზედ, თქვენს მონა-მორჩილზეა ვითამც ნათქვამი.“ დანვნენ.

მერე კი უეცრივ გაუნელდა სიხარული. თქვა: „ნუთუ წილი ნუთისოფლისა ეგზომ მცირეა?! სვე-ბედი წილხდომილი აგრე მთავრდება?!“ ურვეული შეიქნა. სწავლული-შეგირდი იუი იჩქარის შეჰკითხოს მიზეზი. ქალწული უბნობს: „გული ჩემი ძგერს მღელვარედ, მოუსვენრად. შიში მაქვს გულში ჩავარდნილი. გაუგონარი უბედურება ტრიალებს ჩვენს თავს.“ იუი წინგ-ი ამშვიდებს, ნუგეშინის სცემს, უბნობს: „გულისცემა, თვალის თამაში, ჩვეულებრივი რამ ამბავია. რისათვის შიშობ, რალად გჭირია სიტყვები ესე?“ სიმშვიდე დაეუფლა თითქო. მიესურვილნენ ერთმანეთს. ინეტარეს.

ის-ის იყო ღამე ინურებოდა, გამთენიისას, როს დრო მოდგა ქალაქის საგუშაგოს კარის გახსნისა, ქალმა ტანთ სამოსი მოიცვა. გადმოვიდა სარეცელიდან. ენადა კარი გამოელო. თუმც იჭოჭმანა, ვერც წასვლა, ველარც დარჩენა გადაეწყვიტა. შებრუნდა. თქვა: „თავად არც ვუნცი რად, სულს შიში მითრთოლებს. გულს იჭვი მიკანრავს. დიდად გევედრები, გამაცილე. ალაყაფს იქეთ მიმყევი.“ მართლაც ადგა იუი წინგ-ი, ალაყაფს იქეთ გაჰყვა. ქალწულმა თქვა: „აქ შეჩერდი, მიცქირე. გალაგანს გადავალ, მერე კი წადი, გაბრუნდი უკან.“ იუი წინგ-მა მიუგო: „კეთილი!“

ხედავს, გაიარა ქალწულმა გალაგანი. შეუხვია. ბინდბუნდში თვალს მიეფარა, გაჰქრა. ის-ის იყო იზრახა დაბრუნება დასაძინებლად, უეცრივ ესმა ხმა ქალწულისა, გადამარჩინეო, ითხოვს. საშველად უბნობს, ყვირის. იქეთ გაექანა. ირგვლივ, ოთხივ-კუთხივ იცქირება. არავინა სჩანს. ახლა სახლს ზედა ლავგარდანიდან მოისმის ხმა, ერდოდან.

თავი ააღერა, ააყოლა თვალი. აკვირდება. ხედავს, უზარმაზარი, შურდულის სატყორცი ქვის ტოლა ბაბაჭუა.<sup>7</sup> ძიძგნის. ის კიდევ შესაცოდ-შესაბრალისად წივის. წუის გულსაკლავად, ხმაჩანყვეტილი.

იუი წინგ-მა თითით გაგლიჯა ქსელი აბლაბუდისა. ჩამოაშორა ბადე ნაქსოვი. ხედავს, ერთი ფარვანა მწვანე. სულთმობრძავია. საცაა სულს განუტევებს. ხელთ იპყრა ფარვანა. შინ წაარონინა. საწერ მაგიდაზე დასვა. ძევს უსულოდ, ღონემიხდილი. არა ტოკავს. გამოხდა ხანი. თითქო ნელ-ნელა გამოფხიზლდაო. მალეად მიმოვალს კიდევ. ნელი-ნელ ტუშის საკუთვენელ ქვის ბრტყელ სანაყზე აცოცდა. ტუშში ჩაყვინთა. კვლავ მაგიდას დაბრუნდა. პანია მუცლით გაცოცდა-



გამოცოცდა. ასე და ასევეთარად ცოცვა-ცოცვით დანერა იეროგლიფი. გამოსახა სიტყვა „გმადლობ“. ფრთა-ქერეჭი ააფარფატა. სარკმლიდან გაფრინდა.

მას აქეთ ქალწული აღარასოდეს მოსულა.

### განმარტებანი

1. **იტუ** — ქალაქი ს'ჩუანგ-ის პროვინციაში
2. **მაზარა** — შავი ზედნამოსასხამი საბერო. ნიკო ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი
3. **მწვანე კაბა** — მწერალი მიანიშნებს, რომ ეს ქალწული მწვანე ფერის მწერია
4. **წელი ჰქონდა ისე წვრილი** — მწერალი მიანიშნებს, რომ ქალწულს წელი ჰქონდა ისე წვრილი, როგორც მწერს
5. **მაშია** — ფეხსაცმელი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი
6. **ჭიჭნაური** — აბრეშუმი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი
7. **ბაბაჭუა** — ობობა. სულხან-საბა ორბელიანი ქართული ლექსიკონი



## 古瓶

წ'ჩუან-ის სამოურავოში, ქალაქიდან ჩრდილოეთ მხარეს, სოფელია ერთი. იყო სოფელში ჭა, დამშრალი. ცხოვრობდნენ სოფელში ორნი. მოდით, დავარქვათ მათ მავანი ანი და მავანი ჰოე. ორნი იგინი ჭაში ჩაეშენენ თოკით. ამოსანმენდად. ლამის ერთი ჩი-ს<sup>1</sup> სიღრმე ამოიღეს. წააწყდნენ თავის ქალას. არ უფრთხილიათ, გატყდა ქალა. პირიდან კარგა მოზრდილი, მძიმე, ოქროს რამ ზოდი გადმოვარდა. ორთავე მომთხრელმა მიწისა გაიხარა. ოქრო ჯიბე-უბეში ჩაიდეს. განაგრძეს თხრა ხნარცვისა<sup>2</sup>. ექვსი თუ შვიდი ქალა კვალად იპოვეს. სიხარბემ შეიპყრო. მივაგნებთ ოქროს კიდევად — იმედი ჩავსახათ. დაამსხვრიეს თავის ქალები. აღარ იყო ოქრო. ფაიფურის ორი ლარნაკი, ერთიც კიდევ ბრინჯაოთ შეთხზილი ჭურჭელი რამ იპოვეს. არ ყოფილა ჭურჭელი პატარა. იყო ისეთი, ორსავე ხელს ძლივ-ძლივ თუ შემოაჭდობდა კაცი. მძიმეც იყო, რამდენიმე ათეულ ძინ-ს<sup>3</sup> იწონიდა, ალბათ. ორივე გვერდს ყური ება, შიგ გაყრილი რკალით. უცნობი გახლდათ თუ რისათვის იყო ჭურჭელი ესე. ლარნაკებსაც, ჭურჭელსაც ობი მოჰკიდებოდა. სჩანდა, ლარნაკიც ძველთაძველი იყო. არც ყალიბი, სახე-მოყვანილობა ჰქონია ახლებური.

ამოვიდნენ ჭიდან. ორივეს გული მიეზინდა, გრძნობა დაკარგეს. მავანი ჰოე მალევე მოვიდა ცნობას. პირი დაალო თუ რა, მოჰყვა როშვას, ლაყაფს: „მე ხან-ის<sup>4</sup> მეფობის დრო-ჟამსა ვცხოვრობდი. თვითმპყრობელ ვანგ მინგ-ის ხანის მომსწრე ვარ. დიდი შფოთი და არეულობა სუფევდა იმხანად. მთელი ოჯახი ჩემი ჭაში გადაეშვა. დაიღუპა ყოველი. შინა გვექონდა ბაჯაღლო ოქროს ერთი რამ ზოდი. პირში ჩავიდე. ამიტომაც სრულიად არ გახლავთ საგანი ესე, მიცვალებულს ადათისა და წესისაებრ სამარეში რომ ჩაატანენ. მკვდარს ნებისმიერს რომ უღევს პირში<sup>5</sup>. რალატომ დამიმსხვრიეთ თავის ქალა ჩემი? მწყინს მეტად!“

გახდა ამბავი ყბად ასაღებად. ქვეყანამ შეიტყო. გაექანნენ, სურნელოვანი ჩხირები<sup>6</sup> დააკმის. წარსთქვეს ლოცვები. დაწვეს ქალაღდი სამსხვერპლო. სულელებს აღუთქვეს პირობა, ხელახლად დავმარხავთ ჩონჩხებს. გავაკეთებთ ყოველივეს წესისაებრ და ჩვეულებისა.

მავანი ჰოე სიკვდილს გადაურჩა. ხოლო მავანმა ანმა გადარჩენა ველარ შეუძლო, გონს აღარც მოსულა.

ამბავი ესე საოცარი, განსაკვირველი, შეიტყო დაბა იენჭენ-ის მკვიდრმა, სწავლულმა, გვარად სუნ-მა. ბრინჯაოს ჭურჭელი, ვითარცა დიდი რამ განძი, შეიძინა, იყიდა.

სახელგანთქმულ მოხელეს, სიაოლენ-ის ხარისხის მფლობელს, გვარ-სახელად იუან სიუენს<sup>1</sup>-ს ერგო ასევე ლარნაკი ერთი. ლარნაკს, თურმე ნუ იტყვი, ტაროსის, ამინდის წინასწარმეტყველება ხელენიფებოდა. ლარნაკის კედლებს ცვარი რამ დაფარავდა, ბრინჯის მარცვლის სიმსხო. წვეთი ნამისა, ნიჟი<sup>7</sup> ესე, იწყებდა ზრდას. ესე ნიშანი იუნყებოდა, მალე წვიმა რომ იყო მოსალოდნელი. ხოლო თუკი შეცვარული, ნოტიო ადგილი ნელინელ იწყებდა შრობას, ღრუბელიც განიფანტებოდა, გამოიღარებდა.



მეორე ლარნაკი შეიძინა სიუცაი ჭანგ-ის ოჯახმა. ლარნაკი ესე კალენდრის მაგივრობასა სწევდა. კალენდობისას, ყოველ თთვისთავზე<sup>8</sup>, ლარნაკს შავი რამ წერტილი დააჩნდებოდა. დღითიდღე მრავლობდა და მრავლობდა. თვის მეთხუთმეტე რიცხვს მიტანებული, სავსემთვარობის ჟამს, წინწკლები ესე ნელი-ნელ იწყებდა კლებას. თვის მიწურულს, დღეს უკანასკნელს, შავ-შავი დანინწკლული ქრებოდა, მთლადაც გაუჩინარდებოდა. ლარნაკი იბრუნებდა სახეს უწინდებურს.

ლარნაკს რამეთუ მეტად დიდ ხანს მოუწია მინაში გდება, ყელს მისას მიტმასნებოდა, მიჰკროდა კენჭი ერთი მტკიცედ. ვერასგზით, ვერა ხერხითა და ვერა ძალით ვერ მოაცილეს. ვერც ჩამოფხიკეს, ვერც ჩამოთალეს. ამა მცდელობათა გამო ერთ დღესაც კენჭი თავისთავად ჩამოშორდა, ჩამოვარდა. ხოლო ლარნაკს ზადი რამ დააჩნდა. ყელს ხინჯვი შეაჩნდა. დიდად საწუხარი იყო ესე.

უბნობდნენ, წყლით სავსე ამა ლარნაკში რტო ყვავილისა დროს დიდს თუ დაჰყოფდა, ნაყოფს დაისხამდა იმგვარს, ხიდან მონეულს ტოლს რომ არ უდებდა, ვერ განასხვავებდა კაცი.

### გამარტებანი

1. ჩი — სიგრძის ერთეული. ერთი ჩი = 1/3 მეტრს
2. ხნარცვი — ამოთხრილი ორმო. დავით ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი
3. ძინ-ი — წონის ერთეული. 1 ძინ-ი = დაახლ. 500-600 გრ.
4. ხან-ის ეპოქა — ძვ.წ. III ს. — ახ.წ. III ს. ამ ორი ეპოქის მიჯნა თვითმპყობელი ვანგ მინგ-ის მმართველობის ხანას განეკუთვნება
5. პირში უდებენ საგანს — ძველი ჩინური ტრადიციის თანახმად, მიცვალებულს პირში უდებდნენ საგანს. ოჯახის შესაძლებლობის შესაბამისად ეს იყო იემის, ნეფრიტის, სარდიონის, ოქროს, ვერცხლის ნაკეთობა — იმქვეყნიურ ცხოვრებაში მოსახმარად
6. სურნელოვანი ჩხირები — საგანგებოდ დამზადებული ჩხირები კერპთა, წმინდანთა გამოსახულების წინ, წინაპართა სულის მოსახსენიებელი და სხვა ლოცვების აღვლენის დროს დასაკმევად
7. ნიჟი — ცვარის უმცირესი ნაწილი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი
8. კალენდობა, თთვისთავი — ახალი თვის პირველი დღე. დავით ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი



## თვალთმაქცობა ჩამოხრჩობისა

### 戏 缢

იყო წ'ჩუან-ში ერთი ტლუბიჭი<sup>1</sup>, ცუდლუტი, თაღლითი, სალახანა. ერთხელ, შემთხვევით, თავი ამოჰყო სეირნობაზე, ქალაქგარეთ რომ გამართულიყო. ხედავს, ერთი ყმანვილი ქალი რახტით შეკაზმულ ტაიჭს მოაგელვებს. თაღლითი ეგე ირგვლივ ძმაბიჭებს ეუბნება: „გნებავთ, ამას გავაშაყირებ, გავაციინებ!“-ო. გარეშემო ძმა-კაცებმა არ დაიჯერეს. სანაძღოს ჩამოვიდნენ. წამგები ქეიფს იკისრებს, ღვინოსაო.

არამზადა მიეჭრა მოჯირითეს. ზედ ცხენის წინ შედგა, შესძახა: „თავს მოვიკლავ! მოვკვდები!“ თქვა და კედელს ჩამოკიდებულ კონას კაოლიან-სა<sup>2</sup> ღერი ერთი ამოაძრო. აღემატებოდა ჩი-ს<sup>3</sup>, იმ სიგრძე იქნებოდა. სარტყელი, წელს რომ ერტყა, შემოიხსნა. ყულფი გამოსკვნა. კაოლიან-ის ღეროს ზედ ჩამოჰკიდა. შემოიყულფა, გაჰყო თავი ყულფში. თვალთმაქცობს, თავს აჩვენებს-თავს ვიხრობ, ვკვდები, ვიხრჩობო.

ყმანვილქალს, მას რომ ჩაუქროლა, სიცილი აუტყდა. სხვანიც იცინიან. ყმანვილმა ქალმა გააჭენა, მიაგლო ცხენი ცუდლუტს. არც გატოკებულა, არც შერხეულა იგი. ხალხი ხარხარებს. არის ერთი სიცილ-თქართქარი. მიუახლოვდნენ. რას ხედავენ?! ენა გადმოუგდია, თვალი ჩაუხუჭავს. მოშთობილა მართლადაც!

ნუთუ კაოლიან-ის ღეროს შესწვეს ძალა ჩამომხრჩვალ კაცის წონას, სიმძიმეს მისას გაუძლოს?! განა საოცარი, გასაკვირი არ არის ეგე?!

ესე ამბავი, წამხდარი, ტუტუცი, შეხმუხი კაცისათვის ჭკუისასწავლებელია.

### განმარტებანი

1. ტლუბიჭი — გაქნილი კაცი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი
2. კაოლიან-ი — მარცვლოვანი მცენარე, ღომის მსგავსი
3. ჩი — სიგრძის ერთეული. ერთი ჩი = 1/3 მეტრს



## მსხლის რგვა



იყო ერთი გლეხი. ბაზარში მსხალსა ჰყიდდა. ტკბილი იყო ნაყოფი იგი, სურ-ნელება მისი შორსა სწვდებოდა. ფასი ფრიად ძვირი დაადო. იყო ერთი ტაო-ბერი. ტანისამოსი ეცვა ჩამოძენილი. თავს ერქვა საბურავი გაცვეთილი. საბერო სამოსს მისას სათბილობელად ოდენ ლერწმის ბუმბლი<sup>1</sup> ედო. მივიდა გლეხთან. ზედ ურმის წინა დგას. მოწყალებას ითხოვს. მსხალსა მათხოვრობს. გლეხმა ბრაზმორეულმა



ჩაიფრუტუნა: გამეცალე, გასწი, მოშორდი აქაურობასაო. ტაო-ბერი არა, არ მიდის. გლეხი განყრა. ილანძლება მაღალი ხმითა. ტაო-ბერი უბნობს: „პატივცემულო, ურემზე ბევრზე ბევრი გაქვს მსხალი. ტევა არ არის. უპოვარი ერთ ცალს ითხოვს მარტოოდენ. სიკეთე თქვენი განა რა ზარალსა ნახავს. რად მიჯავრდებით?!“ ამბის შემყურეთ ენადათ ნაყოფი ერთი ცალი, თუნდც უვარგისი, მიეპყრათ, ეთქვათ, ნადი, შენს გზას დაადექიო. შესთხოვენ გლეხს, ერთი მაინც მიუგდეო. არა, ჯიუტობს, არაა თანახმა.

ბაზრის რიგებში მოჯამაგირე ერთი ხედავს, ლაყობას არ უჩანს ბოლო. ჯიბეს გაისვა ხელი, გადაიხადა ფული. გაუნოდა ტაო-ბერს მსხალი ერთი ცალი. ტაო-ბერმა ჩამოართვა.

ხელისგულელები შეაერთა, გულს მიიკონა, პატივით, ფაშხანდით<sup>2</sup> მაღლი მოახსენა. გარშემო თავშეყრილ ბრბოს, სეირის შემყურეთ ეუბნება: „განდეგილი ვარ ერთი ეული. ძუნნთა, ხარბთა გულისთქმას ვერა გაფუგე რა. მაქვს კარგი მსხალი. თუ ინებებთ, ავიღებ, გითავაზებთ ყველას, გაგიმასპინძლდებით.“ ჰკითხავენ: „თუკი გქონია, საკუთარი რად არ მიირთვი?“ მიუგო: „მეტად მჭიროდა მეშოვნა თესლი. ნერგი მსურს გამოვზარდო.“

აი ასე და ასევეთარად, ხარბად იწყობა. პირს ანკლაპუნებს. შეჭამა. თესლილა შემორჩა. მხარს ბარი ჰქონდა გადებული, ჩამოიღო. ბარვას შეუდგა. მიწაში ორმო ამოთხარა რამდენიმე ცუნ-ის<sup>3</sup> სიღრმისა. თესლი ჩააგდო. ნააყარა მიწა, ჩაფლა. ბაზრის ხალხსა სთხოვა ცხელ-ცხელი წყალი, მოსარწყავად. ახლომახლო ფარდულეებიდან ცნობისმოყვარენი შემოგროვდნენ. ქულბაქიდან დახლიდარმა მოუტანა მდულარე. მოლაყბეთა ათასი წყვილი თვალი შესცქერის. რას ხედავენ?! მიწიდან მოკაუჭებულმა, წვრილმა ყლორტმა ამოჰყო თავი. იზრდება. ზეით-ზეით მიიწევს. ვარჯებს, ტოტებსა შლის. მალიად ფოთოლი დაისხა. კიდევ აყვავდა. მყის ნაყოფი მოისხა. დიდრონ-დიდრონი, მძიმე-მძიმე, სურნელოვანი, ხვავრიელად. მძივივით დაჰკიდებია ტოტებს ნაყოფი.

ტაო-ბერი ხეზე აძვრა. მოწყვიტა ერთი ცალი, სულ ზემოთ რომ ება, კენწეროში. ყველას უჩვენა. მერე კრიფა და კრიფა. გამვლელ-გამომვლელსა სჩუქნიდა. ჩქარ-ჩქარა დაარიგა მთლად მოსავალი. ახლა ბარით ხესა სჭრის. ბარს ხის ტანზე რახარუხი გააქვს. დიდ ხანსა ჩეხავდა. გადატყდა ხე. მოჭრილი ხე მხარზე გაიღო. ფართო ნაბიჯით გასწია. ვიდოდა ნელ-ნელა, აუჩქარებლად.

ტაო-ბერი თავის ილეთებს რომ უჩვენებდა, გლახმა, მსხლის გამყიდველმა, კი-სერი წაიგრძელა, თვალდაჭყეტილი უცქერს. მიავინყდა ურემი თვისი.

ტაო-ბერი თვალს რომ მიეფარა, გლახმა მიჰხედა ურემს. ერიჰაა! რას ხედავს-მთლად წამოცარიელებულა! მაშინლა მიხვდა-ტაო-ბერი მსხალს მისას არიგებდა. უფრო გულდასმით დაამტერა თვალი ურემს. ცალი ხელნა<sup>4</sup> გადამტყდარა!

გლახს გული მოუვიდა. გამოუდგა ტაო-ბერს. კვალს მისას აჩქარებით მისდია. ხედავს, მოსახვევში, ღობის ძირას, ცალი ხელნა გდია. ბარის ნაჭდევებიც ცხადად აჩნია. მიხვდა, ტანი მსხლის ხისა სწორედ რომ მისი ურემის ხელნა იყო.

ტაო-ბერი რალა იქნა არავინ უწყოდა. მისი კვალიც გამქრალიყო, როგორც რამ კვამლი. მთლად ბაზარი ხირხირებდა, ხარხარებდა. სიცილით დაიხოცნენ.

უცნაურ ესე ამბავთა მიმთხრობელი იტყოდა ასე: თვალდაჭყეტილი, ერთი ტლუ, ხეპრე გლახი სასაცილოა, ქეშმარიტად. ახია, მთლადაც ბაზარმა მასხარად რომ აიგდო, დასცინეს.

ვის არ უნახავს კაცი მდიდარი, კეთილი მეგობარი ბრინჯს ერთ ულუფას თუ შესთხოვს, წამსვე დაიანგარიშებს, ეტყვის: „ბრინჯს ამდენს მე თავად, ხომ რამდენსამე დღეს ვიმყოფინებ.“ ან კიდევ. სთხოვენ, ბეჩავ ღატაკს კერძი, ერთი ფიალა მაინც, უწილადეო. ბოლმით მიუგებს: „ეს ხომ ხუთი, ან სულაც ათი კაცის სამყოფია, შენ რალატომ მოგცე.“ უარესიც ხდება. მამა-შვილს, ძმებს შორის თითო ვერცხლის ანგარიში მოდის.

ხოლო აი ასეც არის ხოლმე. გარყვნილებასა, ფუფუნებაში გული უსუყდებათ. სავსე, აპირთავებულ ტომარა ფულს ისე გაფანტავენ, დაანიავებენ, არცკი დაითვლიან. ასეთებს კისერზე დანა რომ დააჭირო, არ დაიბნევიან, არ დააყოვნებენ, თავდასახსნელად უმალ გაიღებენ გამოსასყიდს. შემთხვევა ამგვარი უთვალავია.

ხოლო გლახი, ერთი უბირი, მლილი და ჭია-ლუაა ოდენ. განა რა მოეთხოვება?!

### განმარტებანი

**1. ლერწმის ბუმბლის სარჩული** — არა ბენვის, არა ბამბის, არა აბრემუმის, არა ბუმბულის, არამედ ლერწმის ბუმბლის სათბილობელი, ესე იგი, სავსებით ღარიბ-ღატაკი, უპოვარი იყო

**2. ფაშხანდი, ფაშხანდიერობა** — ცერემონია, ცერემონიულობა. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**3. ცუნ-ი** — სიგრძის საზომი ერთეული. 1 ცუნ-ი = 2,3-2,5 სმ.

**4. ხელნა** — ურემთ, მარხილთ გასანევი ღატანი. დავით ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი



## ლაოშან-ელი ტაო-ბერი



იყო მაზრაში ერთი სწავლული, გვარად ვანგ-ი. ოჯახში დამათა შორის რიგით მეშვიდე. სწავლულ მოხელეთა, წარჩინებული გვარის შთამომავალი ბრძანდებოდა. ადრეულ ბავშვობიდანვე ტაო-ბერების სასწავლო მოქმედებათა ეთაყვანებოდა. გაეგონა, ლაოშან-ის მთებში მრავლად მყოფობენ სიენჟენ-ებო. ერთხელაც, აიღო, მხარს იტვირთა შულდაკი<sup>1</sup>. მთებისაკენ მიმართა თავისი გზა.

მწვერვალს ერთს მიწვენილი ხედავს, ტაო-ბერთა მონასტერია ამართული. სიმყუდროვეა ირგვლივ. სიჩუმე სუფევს იდუმალი.

მსცოვანი ტაო-ბერი ლოცვისათვის საკუთვნიელ ბალიშზე დაბრძანებულა. სპეტაკი თმა მხრებზე გადმოჰფენია. თვალნი შინაგან ცეცხლს აკვესებს. სწავლული ვანგ-ი მიეახლა. სალამი შესძღვნა. საუბარი გაუბა. იგრძნო გუმანით, ბაასი მისი დახვენილია ფრიად, ღვლარჭნილი. შესთხოვა ტაო-ბერს- დამიმონაფეთო. ტაო-ბერმა თქვა: „ვიშიში, ნებიერიც ხარ, ზარმაციც. ვერ ხარ შემძლებელი აიტანო სიმწარე ესე.“ მიუგო: „შეეუძლებ ყოველივეს.“

ტაო-ბერს მრავლად ჰყავდა მარტვილნი. მიმწუხრის ჟამს ყველამ მოიყარა თავი. სწავლულმა ვანგ-მა სათითაოდ უძღვნა სალამი. მონასტერში დაივანა.

მეორე დღე შეთენდა. მსთვად ტაო-ბერმა მიიხმო. მიუბყრა ცული. სხვა შეგირდებთან ერთად შეშის საჩეხად. სწავლულმა ვანგ-მა დიდის მონივნებით ჩამოართვა.

განვლო დრომ თვეზე მეტმა. სწავლულ ვანგ-ს ხელ-ფეხი დაუკოჭრდა, დაუწყლულდა. ენით უთქმელი იყო ძნელბედობა მისი. დაძაბუნდა, სიმწარე მოერია. აღევსო საწყაული მოთმინებისა. გულის სიღრმისად გაივლო, ხომ არ გავბრუნებულყავი უკანო.

ერთხელ მოსალამოვებულს მონასტერს დაბრუნებული ხედავს, ორნი სტუმარნი მოძღვართან ერთად სერობენ. შეექცევიან ღვინოს. გვიანი იყო, თუმცკი ჭრაქი ჯერხანად არ დაენტოთ. მოძღვარმა ხელთ იპყრა ქალაღდის ერთი რამ ფურცელი. გამოჭრა, მისცა სახე მიჭვრიტანისა<sup>2</sup>. კედელს მიამაგრა. მალიად ქალაღდის ფურცელი სავსე, ბადრ მთვარედ გარდაისახა. გაანათა სენაკი. ციაგი რამ დაჰფენოდა ოთხივ კუთხეს. მიმდევარნი ტაო-ბერისა, მარტვილნი მოძღვარსა და სტუმართ მისას გარს ევლებიან, ემსახურებიან.

სტუმარი ერთი უბნობს: „საამურია ღამე ესე. უსაზღვროა სიხარული. რარიგ შეიძლება სიამტკობილეს, ნეტარებას ამგვარს არ ეზიაროს ყოველი სულდგმული.“ ასე და ამგვარად, მოძღვარმა ხელთ იპყრა კულა. შეგირდს თვისას თითოეულს ჩამოუსხა ღვინო, თან დაურთო, სვით იმდენი, რაოდენსაც ინებებს გული თქვენი. თრობას მიეწივნეთო. სწავლულმა ვანგ-მა გაიფიქრა, შვიდი-რვაა კაცი, კულა ერთია, ნეტავ მოსმურთ ესე რარიგ უნდა ამყოფინოსო? იწყო ფუსფუსი ყველამ. მოჩქარებით დაეძებენ ჭიქას, დოსტაქანსა<sup>3</sup>, ფიალას. დაღევას ერთიმეორეს ასწრებენ. შიშობენ არ გამოილიოს ღვინოო. სვამენ და სვამენ შეგირდნი. ხოლო კულაში ღვინო არა და არ იკლებს, არ იღვევა. სწავლული ვანგ-ის კვირვებას არ აქვს საზღვარი.

მალიად სტუმართაგანი მეორე უბნობს: „ღირს შევიქენით ზეცას ებოძა ჩვენთვის მთოვარის სხივი ნათელი. ხოლო ასევეითარად მივირთმევდეთ ღვინოს, მოსაწყენია

დიდად. ხომ არ მოგვეწვია ლხინზე, ჩვენს ტრაპეზზე ჩანგ-ე<sup>4</sup>“ ამ სიტყვებით აიღო ქუაი ძ<sup>5</sup>, შესტყორცნა მთვარეს. მყისეულად იხილეს მთვარის სხივიდან თუ რა რიგ გადმოფრთხილდა მხიბლავი რამ არსება. მზეთუნახავი ჯერხანად პანანინა იყო, ცეროდენა. სიმაღლით არ იქნებოდა ერთი ჩი<sup>6</sup>. მერე და მერე, მინას ფეხი რომ დაადგა, ჩვეულებრივი ადამიანის ტოლიც შეიქნა. მიმოვალს, ნელს კენარს თვისას არხევს, ყელს იღერებს, პეპელას ფრთებსაებრ ფარფატებს, მსგავსად ცეკვა ნიშანგისა<sup>7</sup> მერე კი იმღერდა: „ჰოი-მე, შეინსენ-ბატონო, შენ კი დაუბრუნდი დედამინას, წუთისოფელს, მაშ მე რაღად გამომამწყვდიე საპყრობილეში, მარად ყინულოვან სასახლეში!“ ხმა მისი იყო ანკარა, ხალასი, ნაზი, ვითარცა სიაო-ს<sup>8</sup> ჟღერა. იმღერა, შეჰკრა კამარა, მაგიდაზე შეფრთხილდა. ყველა შესცქერდა გაოცებული მანამ, სანამ კვლავ გარდაიქმნებოდა ქუაიძ<sup>9</sup>-დ. მოძღვარმა და სტუმარმა ორმა გულიანად გადიხარხარეს.

სტუმარი მეორე კვლავ უბნობს: „რაოდენ საამური სალამო დღეინდელი. სიმართალე რომ ვთქვა, ძალა სასმელისა მოგვრევი, მაგრამ ხომ არ ინებებდით თქვენ, ორთავენი, მთვარის სასახლეს გამომყოლოდით. შეგვესვა სასმისი გამოსათხოვარი?“ სამთავენი დაიძრნენ. ნება-ნება, მდოვრედ, ნარნარად აბრძანდნენ მთვარეზე. შეგირდებმა თვალნი ალაპყრეს. მოსჩანდა, სამივენი მთვარეს დამსხდარან. შეექცევიან ლვინოს. წვერ-ულვაშიც, მოსჩანს ნათლად, ისე ირეკლავდეს.

არ გასულა დიდი ნელი-ნელ დაცხრა, შეიქნა. შეგირდებმა დელი. აანთეს. ხედავლავინდებურად მარძანებულა. სტუმართ თვალთაგან უჩინო ნასუფრალი, ხილის ნამოყრილა. ხოლო მთვასარკის მსგავსი მრგვაქალაღდის ფურცელია დევართ თვისას, მარტვილთ იყო საკმარი?“ მიუგეს: „გვეყო.“



თავითავენი, მთვარის სასახლეს გამომყოლოდით. შეგვესვა სასმისი გამოსათხოვარი?“ სამთავენი დაიძრნენ. ნება-ნება, მდოვრედ, ნარნარად აბრძანდნენ მთვარეზე. შეგირდებმა თვალნი ალაპყრეს. მოსჩანდა, სამივენი მთვარეს დამსხდარან. შეექცევიან ლვინოს. წვერ-ულვაშიც, მოსჩანს ნათლად, ისე ირეკლავდეს. მთვარე გაილია, მქრქალი შემოიტანეს კანენ, ტაო-ბერი კვტოდმარტო დაბრკვალიც გამქრალა, ქმნულან. მაგიდაზე მუსრევი მიყრილრე, კედელს გაკრული, ლი მოყვანილობის ოდენ. ტაო-ბერი მიმშეჰკითხავს: „იჯერეთ გული, ტაო-ბერი უბნობს: „რაკილა იკმარეთ, მაშ ადრიანად დანექ-დაიძინეთ, რათა დილით შეშის საჭრელად არ დავიგვიანდეთ.“ შეგირდნი ზრდილად, თავაზით დაეთანხმნენ. ზურგშეუქცევლად, უკანდახვეით, ფეხაკრეფით გაიკრიფნენ. სწავლულმა ვანგ-მა გულით გაიხარა, შეჰნატრა. და ფიქრი უკან, შინ დაბრუნებისა გაუქარდა.

კიდევ ჩაიარა ერთმა თვემ. სწავლულ ვანგ-ს აღარ შესწევს ძალა და ღონე გაუძლოს სიმწარეს ყოფისა. ხოლო ტაო-ბერი ხერხს ერთსაც, ერთ ილეთსაც ოსტატობისა არ იმეტებს. ქანცი გაუნყდა. ვედარ ძალედვა დათმენა მეტი. გამოთხოვებისას მოძღვარს უთხრა: „მე, მონა-მორჩილი თქვენი, ათასობით ლი-ს შორეთიდან მოგეახლეთ, რათა დამედრიკა თავი დიდი მოძღვარის წინაშე. მეწადა დაგმონაფეზობდით. თუმც კი შემერყა იმედთა საფუძველი მარადიული სიცოცხლის ხერხთა



დაუფლების ღირსმყოფ. ორი-სამიოდე, სულ მცირე ილეთიც დააოკებდა მხურვალე წყურვილს ჩემი გულისა. ან უკვე ორი და სამი თვეც მიილია, დღენიადაგ შეშაზე დავიარები ოდენ. ალიონზე გასული საჩეხად, როს მიილულება დღე მაშინლა ვბრუნდები სენაკს, დასაძინებლად. შინ ყოფნისას აგრერიგ მძიმე შრომაზე არც არა გამეგონა რა.“ ტაო-ბერს პირს ღიმი გადაეფინა, უბნობს: „აკი გითხარ, ვერ შეუძლებ გაუძლო სიმნარეს, ძნელბედობას აქაურ ყოფისა. ჭემმარიტად! ხვალ დილიდანვე გაგისტუმრებ.“

განზილებული სწავლული ვანგ-ი უბნობს: „მე, შეგირდმა თქვენმა, მრავალი დღე გავლიე შრომა-გარჯაში. თუ ინებებთ, თუკი მოიღებთ წყალობას, ერთს მცირე რამ ხერხს მაინც თუ დამასწავლით, გავინაფები, მივიჩნევ, ამაოდ, ტყუილადლა არ მოვსულვარ თქვენთან.“ ტაო-ბერი ჰკითხავს: „მაინც რომელ მცირედ ხერხს ისურვებდი?“ სწავლულმა ვანგ-მა მიუგო: „მიხილავს, იქ, სად მოძღვარი გაივლის, მტკიცედ ნაგები ზღუდეც ვერაა შემაბრკოლებელი მისი. ყოველ ჯერზე გაარღვევს. უკეთუ ამ ილეთს დამაუფლებდით, ვიკმარებდი. მარადჯამ მადლიერი ვიქნებოდი.“ ტაო-ბერმა მცირედ გაიცინა, დაეთანხმა. ასე და ასე ვითარად დაასწავლა ჯადო-თილისმა სიტყვები შელოცვისა. უბრძანა, გაიმეორე, წარსთქვი ესე შესალოცი, გრძნების ლოცვაო. შესძახა: „შედი!“ სწავლული ვანგ-ი სახით კედლისაკენ შეტრიალდა. შიში დაეცა. ვერ გაუბედავს შესვლა. კვლავ მოუწოდა: „ეცადე, შედი!“ სწავლული ვანგ-ი თავდაჯერებით მიადგა კედელს. ვერ კი შევიდა. წინ აღუდგა კედელი, შეაბრკოლა. ტაო-ბერი უბნობს: „დადრიკე თავი. შედი გაბედულად. ნუმც იჭოჭმანებ!“ სწავლული ვანგ-ი, მართლაც, რამდენიმე ნაბიჯით დაშორდა კედელს. გაექანა. და რომ მიეჭრა, კედელი თითქო განიმქვრაო, გაირღვა. უკან მიიხედა. სხეული მისი მართლაც რომ კედელს მიღმაა. სიხარულით ცას ეწია. შებრუნდა. მოძღვარს მადლი მოახსენა. ტაო-ბერმა თქვა: „როს შინ დაბრუნდე, უწყოდე, იყავნ მოსწრაფე მიწყვი სუფთა, კეთილშობილი, ზნექველი იყო. და თუ არა, არა ხერხი, არა ილეთი არ გაგიმართლებს.“ ასე და ასე ვითარად, ფულითაც შეეწია, ხელი გაუმართა, უკან გზას გაუყენა.

დაბრუნდა სწავლული ვანგ-ი. არ გაუშვებდა ხელიდან შემთხვევას ყოველგან ეკვებნა. ყველას წინაშე თავს ინონებდა, ტრაბახობდა. ეს არის და ტაო-სიენჟენს, ჭემმარიტს, შევხვდი. ახლა ვერა მტკიცე კედელიც ვერ შემაბრკოლებს, ვერ აღმიდგება წინ. ცოლმა მისმა არ დაიჯერა. სწავლულმა ვანგ-მა გაიმეორა ის ყოველი, მოძღვართან რომ მოიმოქმედა. დაშორდა კედელს რამდენიმე ჩი-ს მანძილზე. ფიცხლავ გაქანდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა კედელს მიახეთქა თავი. იმავე ნუთს ძირს დაენარცხა. ცოლმა წამოაყენა. ხედავს, შუბლს კოპიჭი წამოსჯდომია. ბარაქიანი, კვერცხის ტოლა იქნება. დასცინის ცოლი, აბუჩად იგდებს. მან კი ინანა, ბრაზიც მოერია. ტაო-ბერს ლანძლავს, აგინებს, აგრერიგ ოსტატურად რომ გააბრიყვა, გააცურა.

## განმარტებანი

**ლაოშან-ი** — მთა შანტუნგ-ის პროვინციაში, ქალაქ ცინტაო-ს მახლობლად. ტრადიციულად მიჩნეულია ტაო-ს სწავლების სამშობლოდ

**1. შულდაკი** — შთასადებელი მხართ სატვირთავი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**2. მიჭვრიტანა** — სარკე. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსკონი. ძველ ჩინეთში სარკე იყო სპილენძისა და ამასთანავე მხოლოდ და მხოლოდ მრგვალი ფორმა ჰქონდა. ამიტომაც ფერისა და ფორმის გამო ხშირად მთვარეს ამსგავსებდნენ

**3. დოსტაქანი** — მეტად დიდი სასმისი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**4. ჩანგ ე** — უძველესი ჩინური მითის მოქმედი პირი, ჯადოსანი მშვილდოსანი ი-ს მეუღლე. ქალღმერთმა სივანგმუ-მ, დასავლეთის მბრძანებელმა, დაავალა მშვილდოსან ი-ს უკვდავების ნექტარის დარაჯობა. მის მზეთუნახავ ცოლს, ჩანგ ე-ს სულმა წასძლია, ნექტარი იგემა. სასჯელად მიესაჯა სამარადისო სიცოცხლე ყინულის სასახლეში, ანუ მთვარეზე, სადაც მყოფობს მხოლოდ ერთი იემის კურდღელი და დარიჩინის ერთი ხე. კურდღელს თათებით უჭირავს სანაყი ქვა და როდინში დარიჩინის ხის ქერქის ჯადო-წამალსა ნაყავს. ჯადო-წამალი უკვდავების მიმნიჭებელია. ჩანგ ე მთვარეზე ყინულის სასახლეში დატუსაღებულ ფერიადაა მიჩნეული. სივანგმუ დასავლეთის, ანუ გარდაცვლილთა სამყოფელის მბრძანებელია

**5. ქუაიძ'** — ჩხირები, რომლითაც ჩინელები კერძს მიირთმევენ

**6. ჩი** — სიგრძის ერთეული. ერთი ჩი = 1/3 მ

**7. ნიშანგ-ი** — უძველესი ცეკვა, სიტყვა-სიტყვით ცისარტყელას ნიშნავს. შესაბამისად, ამ ცეკვის მოცეკვავე ქალების ტანისამოსი ცისარტყელის ფერებისაა

**8. სიპო** — უძველესი ჩინური ჩასაბერი საკრავი. ფლეიტის, სალამურის მსგავსი



## ნითელი ფერის თექა

# 红毛毡

ჟღალწვეროსანთა, ჟრალფაჩვნიერთა<sup>1</sup> ქვეყანა, უბნობენ, უწინდელ დროს ცისქვეთეშის<sup>2</sup> ქვეყანასთან ვაჭრობას მისდევდაო. ერთხელ, მოხარკენი, ხარკთ გამომღებნი საზღვარს მოსულ ხომალდსა ხედავენ. ხომალდზე ვაჭარნი არიან მრავლად. ნაპირს მიდგომის ნება არ დართეს. ჟღალწვეროსანნი ითხოვნენ დაჟინებით: მარტო ერთი, ერთად-ერთი თექის ადგილს ვიმყოფინებთ, ვიკმარებთო. საბაჟოს უფროსმა მოხელემ იფიქრა-მხოლოდ ერთი თექის ალაგი, სულ რამდენიმე კაცს თუ დაიტევსო. რაც არის, არის, ჯანდაბას, აილო და დართო ნება. ნაპირს მიათრიეს თაქნაბადი<sup>3</sup>. ორად-ორნი იყვნენ ოდენ. გაშალეს თექა. ოთხსა და ხუთ კაცსაც დაიტევდა. მეტად და მეტად აფენენ. სრულად შლიან თაქნაბადს. ხალხიც მატულობს და მატულობს. თვალის დახამხამებაში თექამ იმოდენა ფართობი დაიკავა, ას კაცზე მეტსაც დაიტევდა. თითოეული ხანჯლით აღჭურვილიყო. ერთაბამად იშიშვლეს. ასეთს რასმე რარიგ წარმოიდგენდა კაცი. აი ასე, მოთარეშეთა ბრბო რამდენიმე ლი-ზე<sup>4</sup> შეიჭრა. აიკლეს ქვეყანა. გაძარცვეს, დაარბიეს, იავარჰყვეს იქაურობა. მხოლოდ მერელა გაბრუნდნენ უკან.

### განმარტებანი

1. **ჟღალფაჩვნიერი** — შავ-მონითლო ბალნიანი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი
2. **ცისქვეშეთის ქვეყანა** — ჩინელები თავიანთ ქვეყანას ცის ქვეშეთის შუაგულს უწოდებენ
3. **თაქნაბადი** — თექა. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი
4. **ლი, ლიე** — სიგრძის ერთეული. 1 ლი = დაახლ. 0,5 კმ



# 马僧

შანტუნგ-ის მაზრის სატახტო ქალაქ წინან-ში<sup>1</sup> მყოფობდა ერთი ხ'შანგ-ი<sup>2</sup> მსასოებელი. არვინ უწყოდა სახელი, ვინაობა მისი. ფეხშიშველს ტანზედ ეცვა ათას საკერებლით დაკონკილი ფარატინა მაზარა.<sup>3</sup> მარადჟამ Fუჟუნ-ის<sup>4</sup> ქუჩაში, ტამინგ-ის ტბის პირად იყო ჯდომილი. იქ, ღუქან-ქულბაგები რომაა მრავლად. შესანიშნავი ითხოვდა მცირედს. მეტადრე კითხულობდა, გადასწერდა, გულის სიღრმისად წარსთქვამდა ლოცვებს. ხალხი შესანიშნავს არ უჭერდა მას. ხოლო არასოდეს მიიღებდა შეთავაზებულ ღვინოს, საზრდოს, ფულს, ბრინჯსა თუ იფქილს<sup>5</sup>. თუ რომ ჰკითხავდნენ საჭიროებდა რასმე თუ არა, არაოდეს გასცემდა პასუხს. არვის ენახა საზრდოს, ლუკმას, ერთს მაინც თუ ჭამდა, ან თუ სვამდა ოდესმე. ხან-ხან შეეხვეწებოდნენ: „მოდვარო, არაოდეს შეექცევიტ ხორცსა და ღვინოს. მაშ შემონირულობას რაღატომ არ ითხოვტ სოფლად. დღითიდღე დაიარებით ხმაურთან სავაჭრო რიგებსა, დაკლულ საქონლის სუნით გაჟღენთილ ყასაბხანათა შორის?“ ასეთ დროს იგი ხელისგულებს სასოებით შეაერთებდა, გულს მიიკონებდა ამოიტყოდა სუტრებს, დაცინვით მწარით, ქარაგმითა და გადაკრულ სიტყვით უპასუხებდა. აფახულებდა წამნამთ, უფრო ხშირი და უფრო გრძელი რომ ჰქონდა, ვიდრე სიმსხო ხელის თითისა. მორჩა და გათავდა. მითამ არცა სმენია რა.

მცირე ხანს შემდეგ ხალხი კვლავინდებურად შესთხოვდა, შეაგონებდა. ხ'შანგ-ი დააბრიალებდა თვალებს. განრისხდებოდა. იტყოდა: „მინყივ აგრე უნდა ვითხოვდე შესანიშნავს!“ და კვლავ დაუსრულებლივ იბუტბუტებდა ლოცვებს. გაეცლებოდა იქაურობას.

აედევნებიან ცნობისმოყვარენი. ფეხდაფეხ მისდევენ. კვლავ და კვლავ სურთ შეიტყონ რად ითხოვს კეთილჰქმნას ბედ-ილბალი, რად ითხოვს სასიკეთოდ შემოაბრუნოს კარმა. მაინც არას მიუგებს. მრავალგზის, დაჟინებით ჩაეძიებიან და მაშინლა ხმით შეუვალთ უბნობს: „თქვენ ვერას გაიგებთ. მე, ბერი მხცოვანი, აგრე უნდა ვითხოვდე ოდენს!“

დღემ რამდენიმემ განვლო. უეცრივ ხ'შანგ-ი სამხრეთ მხარეს კარიბჭიდან განეშორა ქალაქს. შარაგზის პირას განვა. გაშოტილიყო, გაფშეკილიყო. გეგონებოდათ სული განუტევაო. სამი დღე იწვა. არ განძრეულა. იქაურნი იშიშოდნენ, დაიმშევა, მოკლავს შიმშილიო. აიღეს, ქალაქში, გალავნის შორიახლოს გადმოასვენეს. ერთხმად შესთხოვდნენ, გჭირდება ფული — თუკი ინებებ, შემოგწირავთ. გსურს საზრდო რამ-გინყალობებთ. ხოლო იგი იწვა თვალჩახუჭული, ყურად არ იხვევდა. სიტყვას არ ძრავდა.

უნყეს ნჯღრევა. აჯანჯღარებენ. მაშინ კი განრისხდა. მაზარიდან იშიშვლა ხანჯალი. იგმირა თავგამეტებით. გაიფატრა მუცელი. ხელი ჩაიყო. ნანლევნი ამოიღო. წელეები იქვე, გვერდზევე მიანყ-მოანყო ლაზათიანად. და გაეყარა სული.

ხალხს შიშის ზარი დაეცა. იჩქარეს იამენ-ს<sup>6</sup> მოეხსენებინათ. იამენ-ის წვრილმა მოხელემ დაუდევრად, ჰაიჰარად მიაბარა მინას. ნამჯის სუდარაში გამოახვია.

დამარხა.

შემდგომ გვამი ხ'შანგ-ისა, ნამჯის სუდარაში გამოხვეული, ძალს ამოეთხარა. ხალხმა სუდარას ფეხი დააბიჯა. იგრძნეს გუმანით, გამოცარიელებული რომ იყო. გაუხსნეს პირი. ხედავენ, სადღაა გვამი?! ხოლო სუდარა კვლავინდებურად პირმოკრულია, ხელუხლები, უწინდებურად შეგრაგნილი. ვითარცა პარკი ყაჭისა.

### განმარტებანი

**ლუტი** — კაცი უსახლკარო და უქონელი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

1. **ქალაქი წინან-ი** — ქალაქი ჩინეთის სამხრეთში. შანტუნგ-ის პროვინციის მთავარი ქალაქი

2. **ხ'შანგ-ი** — ბუდას მიმდევარი ბერი

3. **მაზარა** — წამოსასხამი საბერო. ნიკო ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი

4. **ფუჟუნ-ი** — ლოტოსი

5. **იფქლი** — ფქვილი

6. **იამენ-ი** — უზენაესი ადმინისტრაციული სახელმწიფო დაწესებულება, ერთგვარი კანცელარია, სადაც უძველესი დროით დაწყებული განიხილებოდა და წყდებოდა სხვადასხვა საკითხები-გასამართლება, დასჯა და სხვა საჯარო თუ სხვა საქმეები. შეიმუშავებდა ბრძანებულებებს, საბუთებს და ა.შ. დაახლოებით დღევანდელი მერიისა და სასამართლოს გამაერთიანებელი დაწესებულება. იამენ-ი იყო ადგილობრივი, საქალაქო, საგუბერნიო და ა.შ.





## დანინაურებისათვის ბოძებული ნლები

### 指数

იყო ერთი სახელოვანი, პატივდებული მავანი კავოკლარი<sup>1</sup>. არა ბრძანდებოდა ტაო-ს სწავლების მოსწრაფე. მარადჟამ სხვათათვის ბოროტებათა ხარჯზე საკუთარ თავისათვის სასიკეთოს, სარგებელს იქმოდა.

ცოლი მისი დღენიადაგ ჩასჩინებდა-დაგიდგებო შურისგების დღე, მოგებ-ღევება სამაგიეროო. არც ყურად არ იღებდა, არც იჯერებდა.

იყო ერთი **ჩანგშუ**<sup>2</sup>, გრძნეულებათა მოქმედი, მხილველა. ხელენიფებოდა ქაშთაჯის<sup>3</sup> შეხელვა. **სენ-ობას**<sup>4</sup>, ჯადოსნობას მიწვენილიყო. მოსდგამდა უნარი წინასწარმეტყველებისა, ზეცით თუ ვის რაოდენი ჰქონდა ბოძებული ჟამი სასიცოცხლოდ და რაოდენი დრო კუთვნიებული სამსახურში წარმატების, დანინაურების, წინსვლა-აღმასვლისათვის.

ეახლა კაცი ეგე **ჩანგშუ**-ს. **ჩანგშუ**-მ თქვა: „შენ კიდევ შეუძლებ შეჭამო ბრინჯი ოცი ტან-ი<sup>5</sup>, იფქლი ორმოცი ტან-ი. აი მაშინ მოკვდები.“

დაბრუნდა კაცი, შინ გაემართა. მიუთხრო ცოლს ყოველივე. დათვალა, იანგარიშა. კაცადკაცადი, კაცი ყოველი ფქვილს წელიწადში არა უმეტეს ორი დან-ისა სჭამსო. ასე და ასევეთარად სასიცოცხლოდ და სამსახურში დასაწინაურებლად წინ კიდევ მიძს წელიწადი ოცი. ვითარ შესწევთ ძალა ბოროტ საქმეთ გარდამიწყვიტონ რაიმე? ოცი წლის მზღვარში არ მიწერია სიკვდილიო. ამგვარად და ამგვარად, უკეთურ საქმეთ მისდევდა უწინდებურად, ცხოვრობდა ძველი ყადით.

გაიარა წელიწადმა ერთმა. უეცრივ ავად შეიქნა. შეეყარა სენი შაქრისა. მადა მიეცა გამგელებული. ვერა და ვერ იოკებდა სიყმილს. წამისწამ შიოდა. დღე-ღამეში ათჯერ, მეტჯერაც ნაყრიანდებოდა<sup>6</sup>. წელიწადიც არ გასულიყო, გათავდა, მოკვდა!

### განმარტებანი

1. **კავოკლარი** — მეფის მოხელე. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

2. **ჩანგშუ**-სწავლულნი. მაგ. ვარსკვლავთმრიცხველები, ასტროლოგები, ალქიმიკოსები, ასტრონომები, ტაძართა მსახურნი, ტაო-ბერები, რომელნიც წინასწარმეტყველებდნენ, მკითხაობდნენ. იყვნენ აგრეთვე **ჩანგშუ**-ის მკითხავნი, ნათელმხილველნი. ძველ ჩინეთში **ჩანგშუ**-ს ცხოვრებისეული მრავალი საკითხის გამო მიმართავდნენ რჩევა-დარიგებისათვის სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ქვეყნის მხარეთა მცოდნეს. მათ მართლაც ხელენიფებოდათ კომპასის ხმარება, მკურნალობა, ბუნების მოვლენათა ამოცნობა, წინასწარმეტყველება და სხვ. ინგლისელი მეცნიერის, ი. ნიიდლის აზრით, მთელ რიგ მეცნიერებათა დარგების განვითარებაში **ჩანგშუ**-ს თვალსაჩინო წვლილი მიუძღვით

3. **ქაშთაჯი** — აბი, ტაბლეტი

4. **სენ-ობას მიწვენილიყო** — ზეციური უნარი, ჯადოსნობის უნარი მისცემოდა

5. **ტან-ი** — მარცვლეულის წონის ჩინური ერთეული = 80-100 ლიტრს

6. **ნაყრიანება** — უწესო სიმაძღრე. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

## ლუ იაკუან-ი

### 陆抑官



პატივდებული ბატონი ჭაო ხუკუან-ელი<sup>1</sup> იყო. ხუკუან-ის მაზრაში რომაა დაბა ულინ-ი, იქაური ბრძანდებოდა. ერთხანობას ტახტის მემკვიდრის, მეფისნულის სასახლეში მსახურობდა, დიდგვარი ოფიკალი<sup>2</sup> იყო. სიბერეს რომ მიატანა, სამსახურიდან გადადგა, მშობლიურ მხარეს მიაშურა<sup>3</sup>.

ერთხელ ბატონ ჭაო-ს სახლ-კარს ყმანვილკაცი ერთი მიადგა. ალაყაფის კართან შედგა. შესთხოვა წრფელი გულით, მიმსახურეთ, მდივნად, მწერალ-მნიგნობარად დამიყენეთო. საბუთებს, სიგელ-გურჯებს მიგიხედავთო. ბატონმა ჭაო-მ შინ შეინვია. ხედავს, ყმანვილი პირი-სახით ფაქიზია, დახვეწილი. მნიგნო-

ბარსა ჰგავს. გამოჰკითხა გვარ-სახელი. ყმანვილმა მიუგო, ლუ იაკუან-ი მქვიანო. თან დაურთო, მზადა ვარ გასამრჯელოს გარეშეც გემსახუროთო. ბატონმა ჭაო-მ დაიტოვა.

ლუ იაკუან-ი ჭკვიანი, საზრიანი, გამჭრიახი გამოდგა. სხვა მსახურთა მჯობნი იყო, დასჭარბდებოდა კიდევაც. ბატონ ჭაო-ს მიწერ-მონერას, საბუთებს, ლუ იაკუან-ი წერდა. ფრიად იოლად, ძალდაუტანებლად, მსუბუქად. და ამასთან, რასაც ხელს მოჰკიდებდა, აკეთებდა ჩინებულად, ზედმინევენული დახვეწილობით. ხან-ხან, როს ბატონი ჭაო სტუმრებთან შაშით იქცევდა თავს, შაშს რომ ამღერებდა, ლუ იაკუან-ი იქვე იდგა, თვალს ადევნებდა. მზერა ერთი, მინიშნება თვალისა, თუნდც მცირეოდენი, კმაროდა, ბატონს რომ მოეგო თამაში. რა გასაკვირია, შეიყვარა ბატონმა ჭაო-მ. აფასებდა. თანამსახურნი ხედავდნენ, პატრონი თუ რარიგ ანებივრებდა, სწყალობდა, ასე ვთქვათ, პატრონის თვალთა სრული მზერითა სარგებლობდა<sup>4</sup>. ინყეს ხუმრობა. ეჯიბრებოდნენ ერთურთს ქეზებაში, გვიმასპინძლე, იკისრე ტომბახი<sup>5</sup>, გვაქეიფო. ლუ იაკუან-ი აიმედებდა, პირობას აღუთქვამდა. ხოლო დაურთავდა: „სულ რამდენნი ბრძანდებით ამქარნიო?“

სწორედ იმხანად, ბატონ ჭაო-ს მიწათა მეურნენი, ადგილ-მამულთა მოურავნი პატრონს ეახლნენ. ბატონი ჭაო-ს ეზო-კარში მოიყარეს თავი. ოცდაათ კაცზე მეტნი იქნებოდნენ. დააპირეს ხალხი ესე სათვალავს მიემატებინათ, მიეთვალათ. ეწადათ უხერხულობაში ჩაეგდოთ. ლუ იაკუან-ი უბნობს: „იოლია საქმე ესე. ხოლო მეტად ბევრია სტუმარი. წვეულებას ასეთს ნაჩქარევად, სახელდახელოდ ვერ ვიკისრებ. სუფრას ვერ გავშლი ჰაიჰარად. მოდი, დუქანს წავიდეთ.“ ასე და ასე ვითარად, კაცადკაცადი მიიპატიჟა. მახლობელ ქუჩის დუქანში მიიწვია. წავიდნენ.

მივიდნენ დუქანს. დასხდნენ. წამსვე მოართვეს ღვინო, კერძეული. ის-ის იყო ღვინო წრეზე უნდა დატრიალებულიყო<sup>6</sup>, ის-ის იყო სმა უნდა ეწყოთ, რომ წამოდგა თანამეინახე ერთი. სურას ღვინისა დააფარა ხელისგული, თქვა: „ბატონებო, ნუ იჩქარებთ. მოდი, ჯერ ისა ვთქვათ, მასპინძელი დღეს თუ ვინ არის. ფულს ვინ იხდის,

ასე ვთქვათ, ვინა ბრძანდება აღმოსავლეთ გზათა პატრონი? ფული წინდანინ უნდა დაიდოს. აი, მაშინ დავლევთ ლალად, მთელი სულითა და გულით მოვილხენთ. თუ არა და ათასი ციენ-ისას<sup>8</sup> ვიქეიფებთ, ვიმხიარულებთ, დავიშლებით, ხოლო გადახდით ვინ გადაიხდის, ანგარიშს ვინ გაასწორებს?“ ეს რომ ისმინეს, ყველამ ერთბაშად ლუ იაკუან-ს დაასო თვალთა ისარი. ლუ იაკუან-მა გაიცინა, თქვა: „ჰგონებთ ფული არა მქონდეს? საესე მაქვს ჯიბე!“ ესა თქვა, ჩაჰყო ხელი ვარცლში. ამოიღო ერთი მუჭა ცომი. ცომის გუნდას სციცქნის ცოტ-ცოტას, მაგიდაზე დააგდებს. თითო კოშტი ცომისა გარდიქცევა ვირთაგვად. იწყეს ვირთაგვებმა მაგიდაზე გამაგებით სირბილი. დაიჭერს ვირთაგვას. ხელს მოუჭერს. მუცელს გაუხეთქს. მუცლიდან ვერცხლის ზოდს ამოართმევს. ისევ და ისევ დაიჭერს. კვლავ ამოართმევს ვერცხლს. კიდევ და კიდევ ამოყაჭავს. ვირთაგვა ყველა მსწრაფლ დაიჭირა. მალიად მაგიდაზე ვერცხლი მიიფანტ-მოიფანტა. ლუ იაკუან-მა სტუმართ მიმართა: „ბატონებო, განა არ კმარა, რათა გვარიანად დავლიოთ?“ ყველანი, მხილველნი ამისა, გაოცებას იყვნენ. გაოგნდნენ. ამგვარად და ამგვარად ლალად სვეს. ქეიფი რომ დამთავრდა, ანგარიში რომ წარუდგინეს, თურმე ნუ იტყვი, წვეულება დაჯდა სამი ლიან-ი<sup>9</sup> ვერცხლი.

მაგიდაზე რაც რამ ვერცხლი მიმობნეულიყო, ყველამ ერთად იწყო ანონვა. დახე, ზუსტად იმდენია, რამდენსაც საჭიროებდნენ! არც მეტია, არც ნაკლები. მავანმა ვერცხლის მცირე ზოდი ინათხოვრა. უბეში შეინახა. შინ გაბრუნდა. ბატონს მიუთხრო დანრილებით თუ რამ სასწაული ეხილა.

პატრონმა ამბავი შეიტყო. ბრძანა, ვერცხლი მიჩვენეო. საჩქაროდ ჩაიყო ხელი ჯიბე-უბეში. ჩხრეკს, ხელს აფათურებს. სადღაა ვერცხლი?! კაცი დუქანს გაქანდა. დუქნის პატრონთან მიირბინა. მედუქნემ შეხედა. სარეველა ბალახ-ბულახად გარდაქცეულიყო ვერცხლი. მსახური გამობრუნდა უკან. კვლავ მოახსენა ბატონს ამბავი.

ბატონმა ჭაო-მ ლუ იაკუან-ს გამოჰკითხა, რა ხდება, რაშია საქმეო. ლუ იაკუან-მა თქვა: „მეგობრებმა მაიძულეს დასაღვევად, საქეიფოდ დამეპატიჟნა. სწორედ იმ დროს ქისა, ჯიბე გამომცარიელებოდა. ბავშვობაში მქონდა დასწავლილი ილეთი ერთი. ავიღე და გამოვცადე.“

ატყდა ერთი აურზაური, მითქმა-მოთქმა. დუქანში დაღეულის საფასურის გადახდა მოითხოვეს. ლუ იაკუან-მა თქვა: „ის არ გახლავართ, ვიცრუო, ვიკადრო ტყუილი, და თან, ღვინო-არაყის, დაღევის საბაბით. აქვე, მინდვრად ძნა დგას ერთი. გავანიავოთ თავთავნი, შეუძლებთ შევაგროვოთ ხორბალი ორი ტან-ი<sup>10</sup>. დაღეულის საფასურის გარდასახდელად ზუსტად იკმარებს, კიდევაც გარდაამეტებს!“ ასე და ამრიგად, ითხოვა, მსხურთავანი ერთი თან მათხლეთო. იქაურ ადგილთა მოურავი ის-ის იყო გამზადებულიყო უკან გასაბრუნებლად. გაჰყვა კიდევაც ლუ იაკუან-ს. მიადგნენ კალოს. თვალში მოხვდათ გროვა ხორბლისა. იმდენი იყო, ერთ ტოუ-ს<sup>11</sup> აიწონიდა. კვლავ გაიკვირვეს ფრიად.

ერთხელ ბატონი ჭაო მეგობარს ნადიმად ეწვია. მეგობარს ორქიდეა ედგა ყვავილთა სამ ქოთანში. სწორედ იმხანად მთელი ძალითა ჰყვაოდნენ, გაფურჩქნულიყვნენ. ბატონი ჭაო მოიხიბლა. შინ რომ დაბრუნდა ბატონი ჭაო, ქება-დიდებას არ იშურებდა, აღტაცებას იყო, ოხრავდა გულის სიღრმისად. ლუ იაკუან-ი უბნობს: „თქვენო უდიდებულესობავ, რაკილა ორქიდეით ეგზომ მოხიბლულხართ, გული

გითქმით, საძნელო საქმე არ არის მოვიპოვოთ!“ ბატონმა ჭაო-მ დიდად არ ირწმუნა.

მეორედლით, გამთენიისას ბატონი ჭაო თავის სამეცადინო ოთახში შებრძანდა. სუნი იკრა, იყნოსა ნიავექარით მონაბერი ენითუთქმელი სურნელება მსუყე. თვალი მოსწყვიტა ორქიდეამ, ქოთანში მდგარმა. ისრისებური ფოთოლი ესხა ზუსტად იმდენივე, რამდენიც მეგობრის ერთი ქოთნის ორქიდეას. ბატონმა ჭაო-მ ეჭვი აიღო, იქურდა ლუ იაკუან-მა, პარვით იშოვნა ქოთანი ყვავილისაო. მოიხმო დასაკითხად. ლუ იაკუან-მა თქვა: „ჩემს სახლში, ჩემსა ოჯახში ასეთს ქოთნებში ასობით, ათასობით ყვავილი ხარობს. რაღად მჭირია ვიპარო?“ ბატონი ჭაო ვერა და ვერ იჯერებდა.

მოხდა ისე, მეგობარი ეწვია. თვალი ჰკიდა ორქიდეას, ეოცა: „ვაჰმე! რა არის, ვითარ მომხდარა? ორქიდეა ორ წვეთსავითა ჰგავს ორქიდეას, ჩემს მოკრძალებულ სახლში რომ ხარობს.“ ბატონმა ჭაო-მ მიუგო: „ახლახან შევიძინე. არ კი

ვუნცი სადაურია. ერთი ეს მიბრძანეთ, გეთაყვა, ვიდრე ჩემთან მობრძანდებოდით, ხომ არ შეგინიშნავთ, ქოთანი ყვავილისა თავის ადგილას იდგა თუ არა?“ მეგობარმა თქვა: „სიმართლე რომ ვთქვა, წამოსვლამდე სამეცადინო ოთახში არ შემივლია. თავის ადგილს დგას ყვავილი თუ არა, წარმოდგენა არცა მაქვს. ხოლო თუკი ჩემია, აქ რარიგ მოირბენდა?!“

მეგობარს ყურს რომ მიაპყრობდა, ბატონმა ჭაო-მ ლუ იაკუან-ს თვალი თვალში გაუყარა. ლუ იაკუან-ი უბნობს: „ადვილია ამოსაცნობად. ყვავილი თქვენი, ბატონო, ხარობს იმგვარ ქოთანში, უნინ რომ გატეხილა, ხოლო შეუკეთებიათ, ნანიბურიც აჩნია. გარნა ქოთანს ამას ხინჯი არა აქვს.“ შეამონმეს. აგრე იყო ჭეშმარიტად.

ჩამოლამდა. ლუ იაკუან-ი ბატონს ეახლა, ეუბნება: „აკი მოგახსენეთ, ჩემს სახლში ყვავილი უხვადა ხარობს. არ გირწმუნიათ სიტყვები ჩემი. გთხოვთ, ვიდრე ცამონმენდილზე ბადრი მთვარე ამოცურებულა, ვიდრე ღამეა კაკაჩი<sup>12</sup>, ინებეთ წამობრძანება, დაგატკობთ, გაამებთ! ოღონდ თან ნულარავის იახლებთ. მხოლოდ და მხოლოდ აია-ს თუ გამოიყოლებთ!“ აია ბატონი ჭაო-ს პატარა ხელისბიჭი იყო. კუანგ ჭოუ-ელი. ბატონი ჭაო დათანხმდა ხალისით.

ის-ის იყო გაიარეს ჭიშკარი, ტახტრევანდი, მზიდველი ოთხი, ელოდათ უკვე. ჩაბრძანდა. გრძნობს ბატონი ჭაო, ტახტრევანდს მიაქროლებენ ცხენზე უსწრაფესად. მიაჭენებენ თოხარიკით. მალიად ადგილს მთა-გორიანს მიადგნენ. უჩვეულო სურნელს აუვისია იქაურობა. ყვავილთა ფშვენა, სუნნელი იფრქვევა. ათრობს, აბრუებს, პირისახეს ელამუნება, ადუნებს, ძვალ-რბილში ატანს.

კიდევ ცოტა და მიადგნენ მღვიმეს ერთს. ხედავს ბრწ-





ყინვალე სრა-სასახლე აზიდულა. ბაღნარი უბრალო, ჩვეულებრივის სადარი არაა. მსგავსი არაოდეს უხილავს ქვეყნად. ბაღნარი, მტილი<sup>13</sup> ფერად-ფერადი ულამაზესი ქვებით შეუმკიათ. თითოეულ ქოთანში უცხო, ჯერ არნახული ქორფა ნარგავი ხარობს, ჰყვავის. ღამის შუქ-ჩრდილის თამაში მომნუსხავია, ჯადოსნური. იკმევა მუშკი და ამბრი სუნნელოვანი. ყოველი ესე ენით უთქმელ სურნელს აფრქვევს სიუხვით. ჯერ მარტო ორქიდეის ქოთანი ათეულობით იქნება. თითოეული გაფურჩქნულა, ჰყვავის გაგიჟებით.

რომ დაათვალიერეს ყოველი, დატკბნენ, სიამით რომ იჯერეს გული, როგორც მოსულიყვნენ, ისევე ტახტრევანდით გაბრუნდნენ, უკან გაემურნენ.

მას აქეთ ლუ იაკუან-ი კიდევ ათს, იქნებ მეტ წელიწადსაც ემსახურა ბატონ ჭაო-ს. ბატონ ჭაო-ს ისე დაუდგა ცხოვრების აღსასრული, ისე მიიცვალა, ავად არ გამხდარა. ლუ იაკუანი, აია-სთან ერთად, იოტა. არც აღარავინ უწყოდა თუ რა იქნენ, სად გაუჩინარდნენ.

### **განმარტებანი**

**1. ხუკუან-ი** — ადმინისტრაციული რაიონი, რომელიც ახლანდელი ხუპეი-სა და ხუნან-ის პროვინციებს აერთიანებს

**2. ოფიკალი** — მოხელე. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**3. სამსახურიდან გადადგა, მშობლიურ მხარეს მიაშურა** — ძველი ჩინური კანონმდებლობის თანახმად მოხელეს უფლება არ ჰქონდა დიდი მოხელის, მმართველის თუ სხვა სახელმწიფო თანამდებობა დაეკავებინა იმ მხარეში, იმ ქალაქსა, თუ მაზრაში, სადაც ჰქონდა მამული, დაიბადა და მისი ნათესაობა ცხოვრობდა

**4. პატრონის თვალთა სრული მზერითა სარგებლობდა** — ძველებური გამოთქმაა, გულისხმობს, რომ პატრონი მას უმზერდა პირდაპირ, ფართოდ გახელილი თვალთა და არა დამამცირებლად, მოჭუტული თვალთა, ე.ი. პატრონის კეთილგანწყობა, მისი ნდობა ჰქონდა მოპოვებული

**5. ტომბახი** — მალარიჩი

**6. ღვინო წრეზე დატრიალდა** — ჩინური სუფრა იმლებოდა მრგვალ მაგიდაზე. ლიჭუდეს წესის თანახმად, პირველ სასმისს სვამდა სუფრის უფროსი. ქართული გაგებით თამადა. შემდეგ სასმისი ხელიდან ხელში წრიულად გადადიოდა

**7. აღმოსავლეთ გზათა პატრონი ბრძანდებოდა** — ძველებური გამოთქმაა. გულისხმობს წვეულების მასპინძელს

**8. ციენ-ი** — ბრინჯაოს ფულის ერთეული; წვრილი ფული. ერთი ლიანი ფულის ასხმა შეიცავს ათას ციენს

**9. ლიან-ი** — ოქროს, ვერცხლის წონის ერთეული; = 1 ძინს; 1 ძინ-ი = 500 გრ.

**10. ტან-ი** — ძველი ჩინური საწყაო, მარცვლეულის წონის ერთეული. 1 ტან-ი = დაახლ. 100 ლიტრს

**11. ტოუ** — ძველი ჩინური საწყაო, მარცვლეულის წონის ერთეული = 10-ზე მეტ ლიტრს

**12. კაკაჩი ღამე** — მთვარის სხივით გაკაშკაშებული ღამე

**13. მტილი** — ბაღნარი



## მეფე-დიდებული



მავანი ბატონი სიუნჴუ ხუნან-ის მაზრაში მეფეთ-მეფის ნაზირი იყო. ხელქვეითი თვისი, მოლარეთ-უხუცესი წარავლინა, რათა სახელმწიფო ხაზინასა და ჯაბახანიდან ექვსასი ათასი ლიან-ის<sup>1</sup> ვერცხლი დედაქალაქის ხაზინაში გადაეზიდა. გზად გაუნვიმდა. დაულამდა. სავალი ჯვრაც შორი იყო. ხედავს, მახლობლად ძველთაძველი ტაძარი რამ აზიდულა. მოლარეთ-უხუცესი ტახტრევანდის მზიდავთ აჩქარებს: იქ დავილამებო.

მოინია განთიადმა. რას ხედავს, აღარც ოქროა, აღარც კვალი მისი. თავზარი დაეცა. აღარ უწყის რა იღონოს, ბრალი ვის დასდოს.

საჭიროდ სცნო დაბრუნება. სიუნჴუ-ს შეატყობინა. სიუნჴუ-მ გადანყვიტამატყუებსო. დავსჯი კანონისა და წესისაებრო. ტახტრევანდის მზიდავნი დაჰკითხა. ერთ პირზე დადგენ — უარზე არიან. უხმო მაძებართ. ბრძანა სიუნჴუ ბატონმა, ძარცვის ალაც გაბრუნებულიყვნენ ყველანი, რათა, რომ იტყვიან, ცხელ კვალს დასდგომოდნენ, ეწყოთ ძიება საქმისა.



მიადგენენ ტაძარს. ხედავენ, ტაძრის წინ უსინათლო ერთი ჩამომჯდარა. პირისახე ერთობ უცნაური უჩანს. გულზედ ნაწერი ჰკიდია. აწერია: „სულთამხილავი ვარ“. შესთხოვესმისნობა, ნათელმხილაობა ექმნა. თვალდაშრეტილი უბნობს: „იგი ბრძანდებით, ვერცხლი რომ დაგიკარგავთ, არა?“ მოლარეთ-უხუცესმა მიუგო: „დიალ.“ მიუთხროთუ რარიგი უბედურება დაატყდა თავს. თვალისჩინდაკარგულმა ითხოვა ტახტრევანდი, თქვა: „მომყევი. თავადვე შეიტყობ.“ მისდია რჩევას, მოიქცა როგორაც ურჩია. მოხელენი, ბადრაგი, ყველანი გაჰყვნენ. იტყვის — „აღმოსავლეთი!“ მიდიან აღმოსავლეთს. იტყვის — „ნოტია!“<sup>2</sup> დაადგებიან ჩრდილოს გზას.

ასე და ასევეთარად, ხუთ დღეს ვიდოდნენ. მთებში ავიდნენ. უეცრივ, ზედ თვალწინ ქალაქი რამ გადაიშალა. ქუჩაში ბევრად-ბევრი ტახტრევანდი, მოაბა<sup>3</sup> მდინარესაებრ მოედინება. ქალაქში ათასი ჯურის ხალხი მიდ-მოდის, აურიცხველი ირევა. ქალაქის ზედ შუაგულს მიადგენენ, წინ ნავიდნენ. ბრმა უბნობს: „შეჩერდით!“ ტახტრევანდიდან გადმოვიდა.

სამხრეთს მიათითა, თქვა: „მაღალ კარიბჭეს იხილავთ, დასავლეთს მხარეს რომ იღებთ. შეძლებთ დაარაკუნოთ, იკითხოთ.“ ხელები გულს მიიკონა, პატივით გამოთხოვა. წარვიდა.

როგორცა თქვა, მართლადაც, ხედავს მოლარეთ-უხუცესი — ჭიშკარია მაღალი. შევიდა. გამოეგება კაცი. თავსარქველი, სამოსი მისი ძველთა-ძველი დროჟამის მოხელისაა. სახელ-გვარი არ მოუხსენებია. მოლარეთ-უხუცესმა მიუთხრო მიზეზი თვისი მისვლისა. მამაკაცმა თქვა: „დიალ, ბატონო. იყოვნეთ რამდენსამე დღეს. მმართველს მოგიწყობთ შეხვედრა ვისაც მოეკითხება საქმე ესე.“ ასე და ამრიგად, წარუძღვა. ცალკე ოთახში შეინვია. დაივანეო, უბრძანა. დროულად უბოძა საჭმელ-სასმელი.

უქმად ყოფნისას მოხელემ გაიარ-გამოიარა ბაღნარში, სახლს უკან რომ გამენებულიყო. ხედავს თალარია. შევიდა. ასწლოვანი ნაძვი ამართულა. ხშირ ტოტთა ჩეროს ვერა სჭვალავს მცხინვარე სხივი მზისა. მოლი ხარობს, გზას ნაბადსავით ეკვრის, გაფენილა ფიანდაზისებრ. გაიარა დერეფანი რამდენიმე. ხედავს, კიდევცა ტალავერი ერთი. უფრო მაღალი. საფეხურები აიარა. განცვიფრებამ, ზიზღმა, შიშმა დათრგუნა. ხედავს, კედელზე ჰკიდია რამდენმე ტყავი ადამიანისა. პირისახეზე ნაკვთი ყოველი ცხადად აჩნიათ. ჰაერში სიმყრალის, მძორის, ავი, მქისე სუნი ტრიალებს. შიში დაეცა. თმა ყალყზე დაუდგა. სისხლი გაეყინა. მყისვე, რაც ჰქონდა ძალი და ღონე, უკან მოჰკურცხლა. მიკუთვნებულ სადგომს დაბრუნდა. იმაზედღა ფიქრობს, შორეთში, ამ უცხო მხარეს, ამ გადაკარგულში ძვალსა და ტყავს ჩემსას მეც აქ დავარჩენ. დაეშრიტა იმედი გადარჩენისა. წინ ნახვალ — სიკვდილს გადაეყრები. უკან დაიხევ — სიცოცხლე მოგესწრაფება. ისღა დარჩენოდა ბედს მინდობოდა მორჩილად.

მეორე დღეს კაცი იგი, უწინდელი, მოვიდა. თქვა: „დღეს შეიძლება შეხვედრა.“ მოლარეთ-უხუცესმა მორჩილად კვერი დაუკრა: „დიალ! დიალ!“ კაცი იგი ფიცხლავ ზორბა ცხენს მოაჯდა. ცხენი მარდად მიჭენაობს. მოლარეთ-უხუცესი სირბილ-სირბილით ფეხდაფეხ მისდევს. მალე დიდ ალაყაფის კარს მიადგნენ. კარიბჭე ზუსტად იმგვარია, მთავარ იამენ-ს რომ ჰკიდია. ხალხი შემოსილა ტანსაცმლით თალხით, ორრიგად, მარცხნივ და მარჯვნივ ჩამწკრივებულან მწყობრად. ვითარება სუფევს დიდებული, მკაცრ-ზეიმური, შთამბეჭდავი. კაცი იგი ჩამოქვეითდა, შეუძღვა. კიდევ ერთი კარია. ხედავს, საჩენ ალაგას ზის დიდებული, მეფე-ბატონი. თავსარქველი მისი თვალ-მარგალიტით, ბისონით შემკულა, ზონარ-ბაფთებით დამშვენებულია. მეფე-დიდებული, სამეფო სამოსელიანი, სამხრეთ მხარეს<sup>4</sup> დაბრძანებულია. მოლარეთ-უხუცესმა იმავე წამს მის წინ მუხლი მოიყარა. სალამი მიუძღვნა. მეფე-დიდებული ჰკითხავს: „შენ ხუნან-ის მაზრის ნაზირის მოლარეთ-უხუცესი ხარ?“ მოლარეთ-უხუცესმა დაუდასტურა. მეფე-დიდებული უბნობს: „ვერცხლი აქაა, სრულად. აგრერიგ მცირედს, ეგ ზომ უმნიშვნელოს მე თუ მომიძღვნის, რა არს საღელვი?“ მოლარეთ-უხუცესი ცრემლმორეული, შესაბრალისად უბნობს: „ვადა მოწვევულია. როს დავბრუნდები სიკვდილი მომელის. თუკი ინებებთ ვერცხლი თქვენ დაიტოვოთ, რარიგ შევუძლებ ვიმართლო თავი, რარიგ ვამტკიცო უდანაშაულობა ჩემი?“ მეფე-დიდებული უბნობს: „არაა საძნელო.“ ამა სიტყვებით რაყამი<sup>5</sup> დიდი მიუჰყრა: „აი ამით აგე პასუხი სიუნფუ-ს წინაშე. გაძლევ პირობას, არა გემუქრება რა.“ თქვა, ფალავანს უბრძანა — გაჰყევ, გააცილეო. მოლარეთ-

უხუცესმა მორჩილად, სუნთქვაშეკრულმა, სიტყვის შებრუნებას რარიგ გაბედავდა, ჩამოართვა რაყამი. წავიდა.

მიდის. აღარც მთებია, აღარც ბილიკი, გზად აქეთობისას რომ დასდგომოდა. არაფერი სჩანს. გადალახეს მთანი. გაბრუნდა ფალავანი გამცილებელი, უკან გაემართა.

რამდენიმე დღეში ჩანგმა ქალაქ<sup>6</sup> მიაღწია. მიეახლა პატივცემულ ბატონ სიუნჩუ-ს. სიუნჩუ-ბატონი ჯერაცა ფიქრობს – ატყუებენ. მრისხანებს. ხელქვეითთ თვისას უბრძანებს შებორკონ. მოლარეთ-უხუცესმა ძლივ-ძლივ მოასწრო, ბოხჩას საჩქაროდ მოხსნა პირი. ამოიღო რაყამი. მიუპყრა. სიუნჩუ-ბატონმა გაშალა ნანერი. ჯერ არც კი ჩაუკითხავს ბოლომდე, სახეს მისას ფერი მისდ-მოსდის, ნაცრისფერი დაედო. ბრძანა, შეხსენითო. თქვა: „ვერცხლი არარაობაა, ფუჭია, ამო. წადი ჯერხანად.“

მსწრაფლ უხმო მდივანბეგს. იღონე რამ. სახელმწიფო ხაზინა ფულით შეავსეო. არ გასულა ორიოდ დღე, სიუნჩუ-ბატონი ავად შეიქნა. ქვეშაგებიდან აღარც ამდგარა. დღე მოესწრაფა. მოკვდა.

მანამდე კი აი რა და აი რარიგად მომხდარიყო. ბატონ სიუნჩუ-ს საყვარელ ხარჭასთან სძინებოდა. გაღვიძებულია. უნახავს, საყვარელ ხასას მისას უეცრივ თმა არ გასცვენია?! ღერი ერთიჯ აღარ შერჩენია თავის ქალაზე. მთელს იამენ-ში დიდპატარას შიშის ზარი დასცემოდა. ვერავის ამოეცნო მიზეზი საკვირველი ამა ცვლილებისა.

რომ გახსნა რაყამი, ხედავს, შიგა ძევს თმა ქალისა, ხოლო რაყამი აუნყებს: „მას აქეთ, რაც დაოჯახდი, რაც სამსახურში დანიინაურდი, წინ წახველ, მაინც ერთი რამ მოხელე ხარ ოდენ. ერთი რამ მსახური ხარ ხალხისა. ქრთამი, სიხარბე, მომხვეჭელობა, მამონა<sup>7</sup> შენი უსაზღვროა, აურიცხველი. ექვსასი ათასი ლიან-ის ვერცხლი უკვე დამონმებულ არს, ხაზინას ინახება. ხოლო შენ მოხსენ პირი ქისას შენსას. გმართებს თავადვე დაფარო ვალი ხაზინისა. ხელქვეითს შენსას, მოლარეთ-უხუცესს, ბრალი არაფერი აქევს. მთლადაც უდანაშაულოა. სად თქმულა, სად გაგონილა ამისთანა საქმე. შენი ნება-სურვილისაებრ ყოველი, ვინც გეპრიანოს, საჯო სასჯელით დაუნდობელით. თმა ხარჭისა შენისა გამოგიგზავნე, რათა გაგაფრთხილო. ჰსდექი ფხიზლად! თუკი კვლავაც არ შეიგონებ, თუკი არ გერგება ჭკუის სასწავლად, ადრე თუ გვიან წაგაგდებინებ თავს. ამა რაყამსა თმას ვურთავ საყვარელი შენი ხარჭისა, ვითარცა სამხილს!“

ბატონი სიუნჩუ-ს სიკვდილის შემდეგ მემკვიდრენი მისნი რაყამს ამას, უცნაურს, თაობით თაობას გადასცემდნენ.

შემდგომში მოხელე ერთი ამა საქმით დაინტერესდა. წარავლინა ხალხი იმ ადგილთა მისაკვლევად, მოსაძიებლად. მხოლოდ და მხოლოდ ფრიალო, კრიახი ადგილი იხილეს. გაუვალი კლდე-ღრე, ღრანტე-დარანი დაუხვდათ ოდენ. სხვა არაფერი. არცა გზა, არცა ბილიკი.

## განმარტებანი

**სიუნჩუ** — მოხელის წოდება. დღევანდელი განმგებლის ტოლფარდი

**1. ლიან-ი** — ოქროს, ვერცხლის წონის ერთეული. ვერცხლის ფული. = 1/2კგ

**2. ნოტია** — ჩრდილოეთი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი


**3. მოაბა** — ტახტრევანდი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**4. იჯდა სამხრეთ მხარეს** — ტრადიციულად დარელიგიური თვალსაზრისითაც, სამხრეთ მხარეს ჯდომის უფლება მხოლოდ და მხოლოდ მეფეებს, დიდ თავადებსა და მაღალი წოდების პირებს, ზეცაში-მაღალი ხარისხის სულებს ენიჭებოდათ

**5. რაყამი** — ხელისუფალთა ნაწერი, ბრძანება. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**6. ჩანშა** — ხუნან-ის პროვინციის მთავარი ქალაქი

**7. მამონა** — უსამართლოდ მოგებული სიმდიდრე. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი



## ჭ'ჩენგ-ი

### 织成

ტუნგთინგ-ის ტბაზე ხშირია ამბავი ასეთი. წლის სული ნავს ინათხოვებს ხან-დახან. ბაგირი, ნავს ცარიელს ნაპირს რომ ამაგრებს, თავისთავად გაიხსნება და ნავი ნება-ნება იწყებს ტივტივს. აი ამ დროს გაისმის ცით გარდამოსული, ერთ ხმად შერწყმულ-შენაერთი, მწყობრ სიმთა ჟღერა, გალობა ზეციური. მენავენი, ნავის კიჩოსთან მიყუჟულნი, გაიციქნაფებიან, გაყუჩდებიან. თვალმილულულნი სმენად იქცევიან. ვერც გაუბედავთ თავი ააღერონ, აჰხედონ ზეცას. ნავებს თვისას ნებაზე მიუშვებენ, დაე იცურონ ლალად, ზვირთი აშალონ, საითაც სურთ, იქეთკენ გას-ცურონო. ხოლო ცურვის შემდეგ ნავები მუდამაჟამ ნავთსაყუდეღს უბრუნდებიან, თავთავიანთ უწინდელ ალაგს მიადგებიან.

იყო ერთი სწავლული-შეგირდი, გვარად ლიუ. გამოცდებზე მარცხი ეწვნია. შინ ბრუნდებოდა. ღვინით გაბრუებული ნავში წამოწოლილიყო. ანაზდად გაისმა ხმა შენ-ისა.<sup>1</sup> მენავემ შეანჯღრია სწავლული-შეგირდი. აღვიძებს. ვერას გახდა. ამრიგად და ამრიგად თავად იჩქარა. გულამომჯდარი, როგორც მოუხერხდა, ისე გაიღურსა ნავის ფსკერზე, კიჩოსთან. მალიად მავანი სწავლულ-შეგირდს მუჯღუ-გუნსა ჰკრავს. ხოლო იგი, გვარიანად მთვრალი რომ გახლდათ, ვერა და ვერ ამდ-გარა ზეზე, ეცემა, დამბლადაცემულსავით ვარდება. კვლავ ძილს მიეცემა. მავანმა ანება თავი.

გამოხდა ხანი. მძლავრად გაისმა მუსიკობა. ატყდა ჟრიამული ისე ძლიერი, სწავლულ-შეგირდს ძილი შეუკრთა. გამოფხიზლდა ნელი-ნელ, ცნობას მოვიდა. უეცრივ გრძნობს, ნავში იკმევა მუშკი და ამბრა. იქაურობა ორქიდეის ჯერ არ-გაგონილ მშვენიერების სურნელს აუპირთავებია. თვალმიბნედილი უცქერს. რას ხედავს-ტევა აღარ არის ნავში, თვალწარმტაცი მზეთუნახავი აურაცხელი ირევა. ალლო აალო, გუმანით მიხვდა, უჩვეულო რამ სასჭაოლის მხილველი გამხდარიყო. ჩვეულებრივ მოკვდავთათვის გონით ჩაუნვდომელს რომ შესწრებოდა რასმე. კვ-ლავე მილულა თვალები.

არ გასულა დიდი დრო, ესმა ძახილი. ჭ'ჩენგ-ს უხმობენ. გამოჩნდა მოახლე ნორჩი. დგას. ტერფი მისი ლამის ლოყას ეხება სწავლულ-შეგირდისა. ხედავს, წინ-დები აცვია ზურმუხტისფერი. მხრებს მოუგდია მოსასხამი იისფერი, ჭიჭნაურისა. ფერხთსამოსი მისი პანია, მოხდენილია, თითისტოლა. გული უთქმიდა მას ქალწუ-ლისათვის, მძლავრად აუტოკ-აუჩქროლდა. კბილები უკანკანებს. შეჰფრფინვის. სწადია წინდა ჩაკბიჩოს ნაზად. ცოტა ხანში ქალწულმა იწყო მიხრა-მოხრა ნელი, ირხევა, მიმოიძვრის. ის კი აკავებს გულმოდგინებით. ქალწული რყეულ ნაბიჯსა დგამს, ბორძიკობს, იქცევა. სავარძლებიდან ხმა რამ ჩამოისმა. იკითხავდა მავანი, რა ხდება, რა ამბავიაო. ქალწულმა განუმარტა მიზეზი ესე. სავარძელს დაბრძანებ-ული განრისხდა ძლიერ. წამისუმაღ ბრძანა სიკვდილით დაესაჯათ. იმავე წუთს გამოჩნდა ფალავანი. გათოკეს. წამოაყენეს. ფეხზე დააყენეს.


ხედავს მავანს. პირისახით სამხრეთს შებრუნებულა<sup>2</sup>. შარავანდი, სამოსელი მისი სამეფოს დარია. სწავლულ-შეგირდმა თავი წარუდგინა. უბნობს: „მსმენია, ტუნგთინგ-ის ტბის მბრძანებელი გვარად ლიუ<sup>3</sup> ბრძანდება. უწყოდეთ, მეც გვარად



ლიუ გახლავართ. ოდესღაც ტუნგთინგ-ის ტბის მბრძანებელს, ნიუჟენი-ს ნოდებაზე გამოცდებში მარცხი განუცდია. მეც ახლახანს გამოცდებში ხელი მომეცარა. ტუნგთინგ-ის ტბის მბრძანებელი ქალბატონ სიენჟენ-ს<sup>4</sup> შეხვედრია და თავადაც ნმიდა სულად გარდაქმნილა. ახლა მე, ნამთვრალევი, მოახლე-გოგონას რომ გავუარშიყდი, ღირს განა ამა მიზეზით სიცოცხლეს გამომასალმოთ? რალატომაა საჭირო ეგოდენ უკიდურესობა? განა არაა შეუსაბამო ეგოდენ სხვაობა ბედნიერებასა და უბედურებას შორის?“ დედუფალმა რომ ისმინა, მყის უკანვე გაიხმო ფალავანი. ჰკითხავს: „შენ, იგი სიუცაი<sup>5</sup> ხარ, გამოცდებში რომ ჩაიჭერი?“ სწავლულ-შეგირდმა დაუდასტურა. დედუფალმა უბოძა ფუნჯი, ქალაღდი, უბრძანა, დაწერეო ხოტბა მიძღვნილი „ნიავექარის ვარცხნილობისა და დანისლული კულულ-კავები-სადმი.“

სწავლულ-შეგირდს ქალაქ სიანგიანგ-ში მინგშ'-ს<sup>6</sup> სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ნიჭი შეაჩნდა საკმაო. ხოლო თხზულებაზე მეტად ხანგრძლივი ფიქრი და მუშაობა სჩვეოდა. ფუნჯს რომ აღიპყრობდა ხელთ, დიდი დროით მიეცემოდა ნვლილმოგონებას<sup>7</sup>. ხოლო დედუფალი ჰქირდავდა. თქვა: „აგრერიგ ჩლუნგად რად ჩაფიქრებულა მინგშ'-ი?“ სწავლულ-შეგირდმა ფუნჯი დადო, თავი იმართლა: „უნინ, ოდეს მინგშ'-ნუო ს'-ი „სანტუჩუ“-ს<sup>8</sup> ოდებსა თხზავდა, ამა საგმირო საქმეთათვის დროს ათ წელიწადს უბოძებდნენ საფიქრელად. უწყოდნენ უნინ, თხზულებაში ფასეულია შემოქმედება, ხოლო დრო და სიჩქარე — უფასურია სავსებით.“ რომ ისმინა ესე სიტყვანი, დედუფალმა გაიცინა. ასე და ამრიგად, სწავლულ-შეგირდმა დრო სისხამ დილიდან ვიდრე შუადღემდე შეთხზვას მიუძღვნა ოდისა. რომ დაასრულა, დედუფალმა, კილოთი ზეანუელით, გამოთქმითა და ხმითა მალაღლით წაიკითხა. გაიხარა უალრესად. თქვა: „ჭემმარიტად ღირს ყოფილხარ, მინგშ'-ის ნოდებისა!“ ასე და ასევეთარად ნადიმით დააჯილდოვა. წამისყოფაში გაიშალა სუფრა. არა ჰკლებია ჩიტის რძე.

ვიდრე სწავლულ-შეგირდი და დედუფალი საუბრობდნენ, უეცრივ შევიდა მოხელე. განუპყრია ორთავ ხელი. მოაქვს ეტრატე. უბნობს: „წყალში დამხრჩვალთა სულები აღნუსხულ არს.“ იკითხავენ: „რამდენია სული?“ მიუგებს: „სულ ასოცდარვა ადამიანისაა.“ იკითხავენ: „ვინ ემსახურა სულთა აღრიცხვას, ხელს ვინ აწერს ამა საქმეს?“ უპასუხებენ: „ორნი, მათ და ნან-ი.“ ამ დროისათვის სწავლული-შეგირდი ზეზე წამოდგა, რათა გამოთხოვებოდა. დედუფალმა უსაჩუქრა ხალასი ოქრო ათი ძინ-ი<sup>9</sup> და ცალი წინწანგ-ი<sup>10</sup> ბროლისა. თან დაურთო: „ტბაზე მოხდება საბედისწერო მოვლენა. გეპყრას ყოველი ესე, თავს დაიცავ.“



მოულოდნელად ხედავს, ჯარი მოსულა. სპა დგას ცხენოსანთა. საზეიმოდ, ფაშხანდით<sup>11</sup> ჩაცმულ-დახურულნი. ყვავილები, ფრთა-ბუმბული ამკობთ. ცხენოსანნი წყლის ზედაპირზე ჩამომწკრივდნენ ხარისხ-ხარისხად. დედუფალი ნავიდან გარდავიდა. ცხენებზემულ ეტლში ჩაბრძანდა. თვალს მიეფარა. გაუჩინარდა. დაისადგურა სიჩუმემ დიდი ხნით.

მენავე, კიჩოს კუთხეში რომ განაბულიყო, გამოძვრა. ნიჩბებს მოუსვა. ჩრდილო მხარეს გასცურა. ქარი ზურგისა არ იყო. არ იძროდა ნავი. ანაზდად ხედავს, წყლის ზედაპირზე ღუზა რამ ამოიზიდა. მენავემ, ელდანაკრავმა, შეჰყვირა: „სარდალი მათ მობრძანებულა!“ ვაჭართა ხომალდებზე სოვდაგარნი, სულდგმული ყოველი, მუხლებზე დაეცნენ. კიდევ ცოტა და ტბის შუაგულში მორი რამ ამოისვეტა. ირწევა აქეთ და იქეთ, ქანაობს. შიშის ზარი დაეცა ყველას. უბნობენ: „მხედართმთავარი ნან-ი გამოგვეცხადა!“

ცოტა ხანში ატყდა ქარიშხალი საშინელი. ტალღათა ზვირთი ზეცასა სწვდება. მზეს სხივს უბნელებს. წალეკვით იმუქრება. კიდევ ცოტაც და ხედავენ, ოთხივ მხარეს ნავები ერთიანად ამოყირავებულა. ხოლო სწავლულ-შეგირდ ლიუ-ს ხელთ აღუპყრია წინწანგ-ი. ზის ნავში, არც გატოკდება. ირგვლივ ათი ათასი ჭანგ-ის<sup>12</sup> სიმაღლის ტალღები ბობოქრობენ. მიუახლოვდებიან თუ არა ნავს, მყის დაცხრებიან, განიმქრევიან, უჩინო ხდებიან. ასე და ამგვარად, სწავლული-შეგირდი ლიუ სალსალამათი, უვნებლად გადარჩენილიყო.

რომ დაბრუნდა, არ გაუშვებდა ხელიდან შემთხვევას, ხალხისათვის არ მიეთხრო: „დაჭეშმარიტებით შემიძლია ვთქვა, მოახლე-ქალს, ნავში რომ ბრძანდებოდა, მართალია, პირისახე მისი რიგიანად ვერც დავინახე, მაგრამ კალთის ქვეშ ნამდვილ მოუჩანდა ორივ ტერფი პანანა, იმნაირი, მთელს დუნიაზე რომ ვერ იხილავს კაცი.“

ერთხელ, მიზეზთა და მიზეზთა გამო, ქალაქ უჩანგ-ს მოუწია გამგზავრება. იქაური ერთი ბებერი დედაკაცი, გვარად ცუი, ქალიშვილსა ჰყიდდა. ათას ოქროზე ნაკლებს არამც და არამც არა სჯერდებოდა. მზითვად ატანდა ბროლის წინწანგ-ს, ცალს. იტყოდა: „მავანი, წერისათვის საკუთვენელ ამგვარ ნივთთა საწყვილოს მფლობელი თუკი გამოჩნდება, ქალს მივათხოვებ.“

სწავლულ-შეგირდ ლიუ-ს ამბავი ესე უცნაურად ეჩვენა ფრიად. ხელთ იპყრა ნივთი თვისი, ჯიბე-უბეში შეინახა. მივიდა. დედაბერმა მყისვე შეიცნო ნივთი. უხმო ქალწულს, საპატარძლოს, გასასინჯად. შესახედად თხუთმეტ-თექვსმეტიოდე წლისა თუ იქნებოდა. სილამაზით იყო მხიბლავი, ნიაქარსავით ჰაეროვანი, საოცნებო, შეუდარებელი. თავი რიდით დახარა. მაშინვე კრეტსაბმელს<sup>13</sup> მიეფარა.

სწავლულ-შეგირდმა ლიუ-მ თვალი ჰკიდა თუ არა, სული მისი სხეულიდან ამოფრთხილდა. შესძახა: „მე, ჭაბუკი, მფლობელი ვარ ამა ნივთთა. არკი ვუწყი, დიდად პატივცემულო მსცოვანო ქალბატონო, თუ მოერგება ამა საწყვილოს.“ მაშინ ყოველმა მათგანმა წარადგინა ნივთი ეგე თითოეული. ერთურთს შეუდარეს. მისხალიც არ იყო სხვაობა. დედაბერი იხაროდა. გამოჰკითხა თუ სად იყო სადგომი მისი, სადა მყოფობდა. სთხოვა სწავლულ-შეგირდ ლიუ-ს, სასწრაფოდ გაბრუნდი, იქირავე ეტლიო, მოტრიალდი უკანვეო. წინწანგ-ი შეინახა, ვითარცა ბელგა, წინდი ნდობისა. სწავლული-შეგირდი ლიუ ყაბულს არ იყო დაეტოვებინა ნივთი. ბებერი დედაკაცი იცინის. თქვა: „თქვენ, პატივცემულო ჩინოსანო, ნამეტნავად ფრთხილი ბრძანებულხართ! ნუთუ გულს ფიქრად გაივლეთ, მე, ხანდაზმული ესე, ერთი წინწანგ-ის გულისათვის გადავიკარგები?“ შერცხვა ჩინოსანს. რაღა გზა ჰქონდა, დაუტოვა. გამოვიდა. გაეშურა საქირავებლად ეტლისა. საჩქაროდ დაბრუნდა. დედაბერის კვალიც გამქრალიყო. სწავლული-შეგირდი ლიუ ვითარებამ ესე შეაშფოთა მეტად. აქეთურ-იქეთურ მეზობლობაში გაიკითხ-გამოიკითხა. არც

არავინ არაფერი უწყობდა, არც არა გაეგონათ რა.

დღე სასამხროდ იხრებოდა. სწავლულ-შეგირდ ლიუ-ს კაეშანი მორეოდა იმგვარი, მწუხრის ჟამს რომ იცის. სული ჩაჰკვლოდა, განადგურებულყო სავესებით. გაბრუნდა, უკან გზას გაუდგა. მიმავალს შუა გზად ეტლმა ერთმა ჩაუარა. უეცრად ეტლის სარკმელს ფარდა ახადეს, უბნობენ: „ჭაბუკო ლიუ, აგრერიგ რად იგვიანებთ?“ შეხედა. ისევ ის დედაბერი ცუტი ბრძანდება. გაიხარა სწავლულ-შეგირდმა ლიუ-მ. თქვა: „რა ბრძანებაა!“ დედაბერი იცინის, უბნობს: „უთუოდ ეჭვი შეიტანეთ, მე, ცრუპენტელა ბებრუხანა, გაგაბრიყვებდით, მოგატყუებდით? ხოლო როს ერთურთს დავმორდით, უეცრივ ფიქრად გამიელვა თქვენ ხომ გზას ადგახართ. ვინ უწყის, თავს სად აფარებთ, თავი ვითარ გაგაქვთ. ვინძლო ძნელბედობაც განუხებთ. ამაღ იყო რომ გარდავწყვიტე, გოგონა კვლავ ხომალდს გამებრუნებინა.“

სწავლულ-შეგირდმა მეეტლეს უბრძანა ეტლი უკან დაებრუნებინა. ხოლო დედაბერი არასგზით არა თანხმდებოდა. სწავლული-შეგირდი ლიუ დაიბნა. აღარ უწყის რა ქნას, დაუჯეროს თუ არა. მეტადრე აზრს საკუთარს ადგას ჯიუტად. ბოლოს და ბოლოს ცოფიანივით ეკვეთა ხომალდს. ქალიშვილი, მოახლესთან ერთად, მართლაც, იქა ყოფილა. სწავლულ-შეგირდ ლიუ-ს თვალი რომ მოჰკრა, ღიმილი შეაგება. სალამი უძღვნა. სწავლული-შეგირდი ლიუ ზურმუხტისფერ წინდებსა და ხასხასა წითელ მაშის<sup>14</sup> უცქერს. ნავში რომ იხილა, იმ მოახლე გოგონასთან სხვაობა არ გააჩნია მისხალი ერთი. იკვირვა მეტად, დაიბნა. უმზერს გონდაკარგული. თვალს არ ახამხამებს. ქალიშვილმა გაიკისკისა, თქვა: „რად შემომცქერი აგრერიგ გაოგნებული? რა იყო, რა მოხდა, ნუთუ არაოდეს შენს სიცოცხლეში არ გიხილავს ქალი?“ სწავლული-შეგირდი ლიუ დაიზნიქა, ხედავს, ცალ წინდას მისას, მართლაც, ქუსლზე ცხადად აჩნია ნაკბილარი მისი. გაოცებულმა, შიშნაკრავმა შეჰყვირა: „ჭ'ჩინგ-ი ხარ, ნუთუ?“ ქალიშვილი, ბაგეს ხელმიფარებული, კისკისებს. სწავლულ-შეგირდმა ლიუ-მ შეერთებული ხელები გულს მიიკონა, თავი მდაბლა დაუკრა. თქვა: „თურმე ნუ იტყვი, ქალმერთა ბრძანებულხარ, ჭეშმარიტად. ნეტამც ადრე გეუწყებინა. გამათავისუფლებდი სულიერ შფოთვა-მღელვარებისაგან.“ ქალიშვილი უბნობს: „დარწმუნებით გეტყვით სიმართლეს. იმჟამად, ნავში, ტუნგთინგ-ის ტბათა დედოფალთან გქონდათ შეხვედრა. აღგვაფრთოვანა ნიჭიერებამ თქვენმა. გარდაწყვიტეს, თავი ჩემი ძღვნად მოერთმიათ თქვენთვის. ხოლო რადგან დედოფალს ჩვენსას ვუყვარდი ძლიერ, ამიტომ გამოიგონა ასევეთარი თავგადასავალი. თქვენთან მოსვლა ჩემი, ვითარცა ხარჭისა, მეუღლისა, ნიშანია ბრძანებისა მისის მორჩილებისა. ასეთია ხვედრი ჩემი.“ სწავლული-შეგირდი ლიუ უადრესად ბედნიერი შეიქნა. გადაიბანა ხელი, რათა სურნელოვანი სანთლები დაეკმია. ტბას მდაბლა დაუხარა თავი. უკან გატრიალდა.

ხოლო შემდგომ ქალაქ უჩანგ-ს სამსახურის საქმეთა აღსასრულებლად მივლინებულს ცოლმა შესთხოვა, თან წამიყოლეო. ენადა მშობლიური სახლის მონახულება. ტუნგთინგ-ის ტბის ყურეს რომ მიატანეს, თმის ვარცხნილობას სარჭი ამოარიდა, წყალში ჩააგდო. იმავე წამს ტბის ზედაპირზე ამოტივტივდა ერთი რამ ნუშა<sup>15</sup>. თითქო ზედ ტბის შუაგულიდან აღმოცენდაო. ქალიშვილმა მსუბუქად, ვითარცა ჩიტუნამ, ისკუპა ნუშში. თვალის დახამხამებაში ყოველივე გაქრა, უჩინარ იქმნა.

დიდხანს იჯდა სწავლული-შეგირდი ლიუ ნავის კიჩოზე. შორეთს გასცქერდა

თვალგაშტერებით. გაუჩინარების ალაგს დაესო თვალთა ისარი. ანაზდად ხედავს, ხომალდი, სართულებად აზიდული, მოცურავს. სწავლულ-შეგირდი ლიუ-ს ნავს გაუსწორდა თუ არა, მყის გაფრიალდა დარაბა სარკმლისა. გამოფრთხილდა ფართოფრთებიანი ქროლა რამ ფრინველი. ჭ'ჩენგ-ი ყოფილა. ღია საკმლიდან მავანმა ნავში მუჭა-მუჭა ოქრო ჩამობერტყა, თვალ-მარგალიტი, ბისონი, ჭიჭნაური. ესე ყოველი ძღვენი იყო დედუფლისა.

ამგვარად და ამგვარად, ამბავი ესე, წელიწადში ერთხელ, ხან ორჯერაც, როგორც წესი, ხდებოდა. ამად იყო, სწავლული-მოხელე ლიუ-ს ოჯახი იყო მდიდარი, თვალ-მარგალიტით, სამკაულით პირთამდინ სავსე. თუკი ნივთს, თუნდც ერთს მაინც, მავანი და მავანი იხილავდა, დიდგვაროვან ოჯახსაც კი არ შესწევდა უნარი ამოეცნო ფასი განძეულისა.

ძველებურ გადმოცემით, ლიუ ი, სამსახურის საქმეთა დასრულების შემდეგ მშობლიურ მხარეს ბრუნდებოდა. ტუნგთინგ-ის ტბის შორიანხლოს რომ მდებარეობდა. ხედავს, ტბის პირას ქალი აძოვებს ფარას ცხვრისას. ლიუ ი-ს აღეძრა ცნობისწადილი. იწყო გამოკითხვა. ქალმა მიუგო: „მე, მონა-მორჩილი, მამაჩემის, ტუნგთინგ-ის ტბის მეფე-დრაკონის უმცროსი ქალიშვილი გახლავართ. წინიანის თავადის უმცროს ვაჟიშვილს ცოლად მიმათხოვეს. ქმარი ჩემი მრუში უძღები, მოლაღატე, თან ჭკუათხელი იყო. ხოლო მე მიწყებოდნენ ბიძები დედის მხრივ და მამიდებიც მტუქსავდნენ. მათ ჩამაგდეს ამ ბედუკუღმართ დღეში, ესოდენ უღმობელ ყოფაში. რაკი შევიტყე, რომ თქვენ, კეთილშობილო ბატონო, მშობლიურ უ-ს<sup>16</sup> მხარეს მიმავალი ბრძანებულხართ, კადნიერ ვიქნები გაგატანოთ ბარათი ერთი მცირე, შემოგთხოვოთ სამსახურით ამგვარით შემენიოთ. ნოტიას<sup>17</sup>, ტუნგთინგ-ის ტბის ჩრდილოვან მხარეს, ამართულ არს მანდარინის ხე უზარმაზარი. ხის ტანსა და ვარჯს თუკი სამიოდეჯერ შემოჰკრავთ-იქნება პასუხი.

ლიუ ი ტუნგთინგ-ს ჩავიდა. ხეს მანდარინისა სამჯერ შემოჰკრა მძლავრად. უეცრივ ზვირთს ტალღისა ამოჰყვა ფალავანი. თავი მრავალგზის მდაბლა დაუკრა.



სალამი უძღვნა. ჰკითხავს: „ძვირფასო სტუმარო, რაისათვის მობრძანებულხართ?“ ლიუ ი უბნობს: „მმართველსალამი ვუძღვნა, ვესაუბრო დიდ ვანგ-ს-მეფეს.“ ფალავანმა გასწიგამოსწია წყალი. შეჰქმნა ბილიკი. მიუთითა, ნარუძღვა. მივიდნენ სასახლეს. ფალავანმა თქვა: „ესე გახლავთ სასახლე ლინგსიუი.“<sup>18</sup> მალიად გამოჩნდა მამაკაცი. მენამულ<sup>19</sup> მოსასხამიანი. ხელთ ეყრა კვერთხი მწვანე იემისა. ფალავანმა თქვა: „ეგე ბატონი გახლავთ მბრძანებელი ჩემი.“ ლიუ-მ თქვა: „ვიხილე ვანგ-ის საყვარელი ქალიშვილი. ტრამალში აძოვებს ფარას ცხვრისა. ქარი უწენს უმშვენიერეს კულულ-კავებს ორსავე მხრიდან. წვიმა ულტობს ნაწნავებს. ესე რამ ჯერ მარტო საცქერლად არს გაუსადღისი.“ ამოიღო ბარათი, მიუპყრა. ტუნგთინგ-ის ტბის მეფემ თვალი გადაავლო ნაწერს. პირისახეზე ხელები აიფარა, აქვითინდა. ყველანი, მარცხნივ და მარჯვნივ მდგომნი, ცრემლად დაიღვარნენ. სასახლეში ამბავი შეუთვალა. მეფემ მსახურთ

მალში აძოვებს ფარას ცხვრისა. ქარი უწენს უმშვენიერეს კულულ-კავებს ორსავე მხრიდან. წვიმა ულტობს ნაწნავებს. ესე რამ ჯერ მარტო საცქერლად არს გაუსადღისი.“ ამოიღო ბარათი, მიუპყრა. ტუნგთინგ-ის ტბის მეფემ თვალი გადაავლო ნაწერს. პირისახეზე ხელები აიფარა, აქვითინდა. ყველანი, მარცხნივ და მარჯვნივ მდგომნი, ცრემლად დაიღვარნენ. სასახლეში ამბავი შეუთვალა. მეფემ მსახურთ



უბრძანა: „ესე ამბავი არამც და არამც არ შეატყობინოთ მბრძანებელს, ციენტანგ-ს.“ ი შეჰკითხავს: „ციენტანგ-ი ვინაა?“ მიუგო: „ძმა გახლავს ჩემი, საყვარელი.“ უეცრივ შემოესმათ ხმა საუბრისა, სიცილისა. გამოჩნდა ამაღლა. მოდიან ხმაურითა და აურზაურით. საშუაღ მათსა განირჩევა არსება. გულმკერდს უმშვენებს ძვირფას ქვათა გულქანდები, ძენკვებსა და ჯაჭვებზე ასხმული. სხეულს უმოსავს ქსოვილი ფარჩისა, ყვავილებით მოჩითულ-ამოქარგული. სამკაულებს ტოლს არ უდებს სამოსელი. უცქერს ი, გაკვირვებასაა. თურმე იგი არს, ვინც რომ შესთხოვა, უსტარი გადაეციო. ტუნგთინგ-ელი მეფე უბნობს სიცილით: „აი, მდინარე ძინ-ის ტყვეც გვეახლა.“

და მიაბრძანეს ნინგკუანგ-ის<sup>20</sup> სასახლეში, მოსასვენებლად. მეორე დღეს სუფრა დიდი გაიშალა, ახლა ნინგპინგ-ის<sup>21</sup> სასახლეში. ნინგკუანგ-ის ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები იწვიეს. დასხეს მემუსიკენი. თავდაპირველად მხოლოდ ჩასაბერსა სტვენდნენ, დასარტყამს დაჰკრეს, საზეიმოდ. მერე გამოჩნდა აღმები, დროშები, იარაღი სამხედრო. სტუმრის მარჯვნივ ათიათას მხედარ-მოცეკვავეთა დასი როკავდა. მწკრივს გამოეყო მამაკაცი ერთი, იტყოდა: „მუსიკა ესე მოგვითხრობს ციენტანგ-მა თუ რარივ გააპო ჯარი დუშმანისა.“ ამას მოჰყვა მუსიკობა სიმებიან საკრავთა. გამოჩნდნენ ქალნი მოცეკვავენი დას-დასად. ყველასა ტანსა ემოსა ჭიჭნაური და ფარჩა, ხატაური და ტაფტა, ნეფრიტითა და თვალმარგალიტით გამშვენებული. სტუმრის მარცხნივ<sup>22</sup> იწყეს ცეკვა-თამაში. მათ გამოეყო მოთამაშე ერთი. წინ წარსდგა, თქვა: „მუსიკობა ესე არს მეფის ასულის შინ, სასახლეში დაბრუნებისა.“

შემდგომ ყოველი ამისა ნავიდნენ. გაბრუნდნენ ტუნგთინგის ტბაზე. ხოლო კვალი მათი აღარც არასოდეს არვის უნახავს.

**მთარგმნელებისგან: ამ მცირე მონათხრობს თვით ფუ სუნლინგ-მა წაუმიძღვარა სიტყვა „დანართი“. უთუოდ თავისი მოთხრობის დანართს გულისხმობდა. ეს მოთხრობა შთაგონებული იყო ლი ჩენვეი-ს<sup>23</sup> მოკლე ჩანაწერით. თვითონ ლი ჩენვეი-ს ჩანაწერი არც თუ დანვრილებითი და არც თუ მთლად გასაგები, ხალხში გავრცელებულ ლეგენდას წარმოადგენს. ტუნგთინგ-ის შესახებ მითები და ლეგენდები დაკავშირებული დრაკონებსა და სულებთან უამრავია. მრავალმა ჩვენს დრომდე მოაღწია.**

### განმარტებანი

**ჭ'ჩენგ-ი** — ამ შემთხვევაში ქალის საკუთარი სახელია. სხვამხრივ კი გობელენის ქსოვილის აღმნიშვნელი ტერმინია. ჩინურ საკუთარ სახელებს აზრობრივი დატვირთვა აქვთ. ამიტომ ამ ქალის სახელი ჟღერს, როგორც ძვირფასი ქსოვილი, გობელენი

**1. შენგ-ი** — მუსიკალური საკრავი, მრავალღერძიანი. შედგება ფიალისდაგვარი ნაწილისაგან, რომლის სარქველში ჩადგმულია ათი და მეტი მილაკი. ჩამოჰგავს ჩვენებურ ლარჭემს

**2. პირისახით სამხრეთისაკენ მიბრუნებული იჯდა** — ჩინურ რელიგიაში, ლეგენდებში, კერპების, ღმერთების, წმინდანთა ქანდაკებანი და სხვა მსგავსი გამოსახულებები სახით სამხრეთისკენაა მიბრუნებული

**3. გვარი ლიუ** — ნიშნავს ტირიფს და უკავშირდება წყლის სტიქიას

**4. სენჟენ-ი** — წმინდანი, ზეცის მკვიდრი. ტაო-ური სწავლების თანახმად, ეს



არის სრულქმნილი ადამიანი, ვინც დედამიწაზე ცხოვრებისას ზნესრული, ქველი, ღირსებით სავსე ცხოვრების წყალობით ზეცაში მარადიული ნეტარი სიცოცხლე დაიმსახურა

**5. სიუცაი** — სწავლული, განათლებული, ნაკითხი ადამიანი, პირველი საფეხურის სამეცნიერო ხარისხის მფლობელი, ვინც ამ ღისებათა გამო პატივისცემით სარგებლობდა. სახელმწიფო, ქენიუ-ს პირველი ეტაპის გამოცდებში გამარჯვებული აბიტურიენტის წოდება, ვისაც დედაქალაქის გამოცდებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა. ცენზით თანამედროვე სტუდენტს უახლოვდება

**6. მინგშ'** — ტერმინი, აღმნიშვნელი რაინდის, პატივსაცემი სწავლულისა, განათლებული, კეთილშობილი წარმოშობის ადამიანისა, სახელმწიფო, სასულიერო მოღვაწისა, სახელმწიფო მაღალი თანამდებობის მოხელე, ამასთანავე რომანტიკული სულისკვეთების პიროვნება

**7. წვლილმოგონება** — ფიქრი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**8. სანტუჩუ** — სამი დედაქალაქისადმი მიძღვნილი ოდა. უძველესი დროიდან სადიდებელი ოდების სახეობა

**9. ძინ-ი** — ჩინური წონის ერთეული = 500 გრ, 1/2 ფუნტს

**10. წინანგ-ი** — ბროლის ნივთი, წერისათვის განკუთვნილი საგანი, სამელნის მაგვარი. უსათუოდ წყვილ-წყვილი იყო

**11. ფაშხანდი** — ცერემონია, ცერემონიული. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**12. ჭანგ-ი** — სიგრძის უძველესი ერთეული = დაახლ. 2,3 მ.

**13. კრეტსაბმელი** — ფარდა. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**14. მაშია** — ფეხსაცმელი

**15. ნუშა** — მცირე ნავი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**16. უ-ს მხარე. უ** — უძველესი სახელწოდება სახელმწიფოსი, რომელიც მდებარეობდა ახლანდელი ჭეძიან-ისა და წიანგსუ-ს პროვინციათა, მათ შორის შანხაი-ს, ტერიტორიაზე

**17. ნოტია** — ჩრდილოეთი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**18. ლინსიუი** — ლინ გარდაცვლილის სული, სიუი — გარდაცვლილი სულის ზმანება

**19. მენამულ მოსასხამიანი** — წითელი ფერი ზეიმის, დღესასწაულის, სიხარულის ფერია, ამასთანავე, წითელი სამოსის ტარების უფლება ჰქონდათ მხოლოდ მეფეებს, თავადებს, მაღალჩინოსნებს


**20. ნინკუანგ-ი** — სხივის კრისტალი

**21. ნინგპინგ-ი** — ნეფრიტის კრისტალი

**22. სტუმრის მარცხნივ** — უძველესი ჩინური წარმოდგენით მარცხენა ხელთან, ზოგადად მარცხენა მხარესთან, დაკავშირებული იყო მაგიური ძალები. აქედან მომდინარეობს უპირატესობა, რომელიც იმპერატორის, ხელმწიფის, თავადის მარცხენა მხარეს დგომას ენიჭებოდა. ამ მხარეს დგომის უფლება საზოგადოდ ეძლეოდა წარჩინებულ, საპატიო ადამიანებს, თავადებს, დიდმოხელეებს, სწავლულებს და სხვ. მარცხენა მხარეს უკაშირდებოდა, მზისა და მამაკაცური სანყისი, ხოლო მარჯვენას-მთვარისა და ქალური სანყისი

**23. ლი ჩენვი** — ძველი დროის ცნობილი სწავლული

# 画馬



შანტუნგ-ის მაზრის ქალაქ ლინცინგ-ში იყო ერთი კაცი, სწავლული, გვარად ცუი. ღარიბ-ღატაკი იყო. ზღუდე, კარმიდამოს რომ შემოვლებოდა, მთლადაც მონგრეოდა. შენიშნა, დილ-დილაობით ცხენი ერთი ეზოს წინ ბალახზე დანოლილა. სისვი<sup>1</sup> იყო. ხალეები თეთრი იმგვარად გადაჰპენტოდა, მოხატულსა ჰგავდა. ზადი რამ ისლა შეაჩნდა, ძუა ნაჰკვეცოდა უცნაურად, თითქო შეტრუსვიაო. ცუი აძვევებდა, ხოლო ცხენი ღამით კვლავ ბრუნდებოდა. ვერ გაეგო თუ საიდან მოსულყო.

ჰყავდა ცუი-ს მეგობარი ერთი, ჩინოსანი. შანსი-ს მაზრაში მსახურობდა. ცუი-ს ეწადა, მივეკედლებიო. ხოლო ვერა და ვერ იყო ამსრულებელი ზრახვისა. არ გააჩნდა ცხენი. ჰოდა იფიქრა, მოდი ერთი, ამ ცხენს დავიჭერ, აღვკაზმავ, ლაგამს ამოვდებ. გავემგზავრებო.

ვიდრე გზას გაუდგებოდა, ჯალაბობას დაუბარა: „მავანმა თუ მოიკითხა ცხენი, უთხარით, შანსი-ს გაემგზავრაო.“

ის იყო შარაგზაზე გავიდნენ, ცხენი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჭენდა. მიჰქერის ულაცი შეუდრკომლად, ქარსავით. წამისყოფაში ასი ლი<sup>2</sup> განვლეს. ღამით ბალახი ცოტაოდენი გაცოხნა, საზრდო მცირედი. ცუი-მ ფიქრად გაივლო, უთუოდ სნეულიაო. მეორე დღეს აღვირი მოუჭირა იმგვარად, არ ყოფილიყო გუშინდელსავით ჩაუქი.

ხოლო ცხენი ტლინკებსა ჰყრის. ჭიხვინებს, მიმობტის. ჩლიქს მიწასა სცემს. დუყი მოსდგომია. ჯანი კი უწინდებურად ერჩის. კობტადა რბის. ცუი-ს რაღა დარჩენოდა, მიუშვა აღვირი, გასაქანი მისცა. ცხენიც ფეხმარდად მიჭენაობს. შუადღე მოტანებულიყო, რომ უკვე შანსი-ს ჩავიდა. მას აქეთ ცუი, ცხენზე შემჯდარი, ბაზარს სტუმრობდა. აღტაცებას იყო ყოველი მხილველი. ბოლო არ უჩანდა ქებას ჰუნესი<sup>3</sup>.

ესე ამბავი ცხენისა შანსი-ს კუთხის წინგ-ელი თავადის, წინვანგ-ის<sup>4</sup> ყურამდე მივიდა. ცხენში დიდი თანხა შეაძლია. ხოლო ცუი-მ ვერ გაბედა. იშიშოდა, მოიკითხავს ნამდვილი პატრონიო.

გავიდა ნახევარი წელიწადი. ცხენის მომკითხავი არავინ გამოჩენილა. ცუი-მ ცხენი რვაას ლიან-ის ვერცხლად<sup>5</sup> წინ-ის თავადის ადგილ-მამულში მიჰყიდა. თვითონ ბაზარში შეისყიდა ერთი გვარიანი ჯორი. გაბრუნდა, უკან გაემართა.


მოხდა ისე, წინვანგ-ს საჩქარო საქმე რამ გამოუჩნდა ქალაქ ლინცინგ-ში. წარავლინა ლაშქრის მეთაური თვისი, ამა ცხენით. ლინცინგ-ს როგორც კი მივიდა, ცხენი არ გაექცა!?! გამოუდგა ეგე ლაშქრის მეთაური. მდევარმა თავი ამოჰყო ოჯახ-

ში, ცუი-ს აღმოსავლეთ მხრივ რომ მეზობლობდა. გაიარა ალაყაფის კარი. ეზოში ცხენი არა ჩანს. სახლის პატრონს მოსთხოვა. პატრონმა სახლისა, გვარად ძ'ნგ-მა, თქვა, დაჭეშმარიტებით გეტყვი, არც არასოდეს მინახავს ცხენიო. შინ შევიდნენ. ხედავს, ზედ კედელს ჰკიდია სურათი. ჩენ წ'ანგ-ის ნაყალმევი. გამოყვანილია სურათზე რემა ცხენისა. რემას საშუალ ურევია ერთი, მეტად მსგავსია დაკარგულ ცხენისა, თითქოსდა საგანგებოდ სურათიდან გადმოსულა. ძუა შეუტრუსავს ალს საკმეველისა. ახლალა მიხვდა, ცხენი, სურათზე ნახატი, მაქცია-ეშმაკეულად გარდასახულიყო.

ლაშქრის მეთაურმა აღარ უწყოდა, თავადთან პასუხი რარიგ ეგო, რარიგად ემართლებინა თავი. ადგა და ძ'ნგ-ს უჩივლა. ამასობაში ცუი გასყიდული ცხენის მეოხებით გამდიდრებულიყო. შეიტყო ესე ამბავი. ნებით თვისით მოინახულა ეგე ძ'ნგ-ი. გულუხვად გარდუხადა ჯარიმა ცხენისა, რათა ლაშქრის მეთაური დაბრუნებოდა სამსახურს თვისას, ამბავი ესე მოეხსენებინა თავადისათვის. კაცი, გვარად წ'ნგ-ი, დიდად მადლობელი დარჩა ცუი-ს სიკეთისა. ხოლო ველარც ველარავინ ველარასოდეს შეიტყო, ცუი სწორედ ის კაცი რომ ბრძანდებოდა, თავის დროზე ცხენი რომ გაჰყიდა.

### განმარტებანი

1. **სისვი** — შავ-თეთრნარევი, თეთრ-შავ-არეული ბალანის ცხენი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი
2. **ლი, ან ლიე** — ჩინური სიგრძის ერთეული = დაახლ. C1/2 კმ
3. **ჰუნე** — გვარიანი და კეთილად ნურთილი ცხენი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი
4. **წინ-ელი თავადი, იგივე წინვანგ-ი. წინგ** — სახელწოდებაა უძველესი სახელმწიფოსი, ახლანდელი შანსი-ს ტერიტორიაზე რომ მდებარეობდა. **ვანგ-ი**-იმ ადგილის, იმ სახელმწიფოს მეფეს, თავადს ნიშნავს
5. **ლიან-ის ვერცხლი** — ოქროს, ვერცხლის წონის ერთეული. 1 ლიან-ი = გირვანქის მეათედს, გირვანქა = C1/2 კგ
6. **ჩენ წ'ანგ-ი** — XVII ს. ცნობილი მხატვარი



## ხუანგ ნიოულანგ-ი



ხ'შ'ცან-ს, ზედსახელად ნ'სიაო-ს, დაბა თიაოსი-ს აღმოსავლეთ მხარეს ჰქონდა ერთი განმარტოებული სამეცადინო ოთახი. კარი ოთახისა ტრიალ, თვალუნვდენ მინდორში გადიოდა. ერთხელ, მოსალამოვებული იყო, კარში გავიდა. ხედავს, უახლოვდება ქალი, ვირზე ამჯდარი. ფეხდაფეხ მოსდევს ყმანვილი. ქალი ასე ორმოცდაათს გადაცილებული იქნებოდა. იყო მის იერში ნმინდა, ზეაღმტაცო რამ. ქალის შემდეგ ყმანვილისაკენ მიმართა თვალთა მზერა. თხუთმეტ-თექვსმეტი წლისა თუ იქნებოდა. მშვენიერებით თვისით ქალწულს ნორჩსა, სრულს, ფერხორციანს, თვალისა და გულის ნარმტაცს უკან მოიტოვებდა, აჯობებდა.

სწავლულ-შეგირდ ხ' ნ'სიაო-ს მუდამ შეაჩნდა მიდრეკილება მოგლეჯილ სახელოთა<sup>1</sup>. ყმანვილებზე გონებასა ჰკარგავდა. და აი, როგორც კი დაჰკრა თვალი ყმანვილს ეგე, ჭყიტა თვალეზი, სული მისი, რომ იტყვიან, ამოფრთხილდა თვისი ბუდიდან. წინ გადადგმული ფეხი ჰაერში გაუშეშდა. ასე და ამგვარად, მზერით თვისით მიაცილებდა ყმანვილს მანამდე, ვიდრე ჩრდილი მისი თვალს არ მიეფარებოდა. მხოლოდ ამას მერე შებრუნდა შინ.

მეორე დღეს სისხამ დილიდან იწყო ლოდინი. მზის სხივი ჩაესვენა. ბინდბუნდი ჩამონვა. მაშინლა ჩამოიარა ყმანვილმა. სწავლული-შეგირდი თავს იმტვრევდა თუ რა საბაბი გამოეგონა, რათა შეეჩერებინა ყმანვილი იგი. გულანთებული შესახვედრად გაექანა. ღიმილი შეაგება. ჰკითხავს: „ამ მხარეს საიდამ მოეშურები?“ მიუგო: „დედის მხრით ჰაპის სახლიდან ვბრუნდები.“ სწავლულ-შეგირდმა თავაზიანად შეიპატიჟა სამეცადინო ოთახში, დაისვენეო. ყმანვილმა იუარა. თქვა, მოცლით რომ არ იყო, იჩქაროდა. სწავლული-შეგირდი დაჟინებით, დაბეჯითებითა სთხოვს, კალთაზე ეწევა, ოთახისაკენ მიჰყავს. ისიც ბოლოს და ბოლოს იძულებულ შეიქნა შეჰყოლოდა. ჩამოჯდა მცირე ხანს. ზეზე ნამოდგა, გამოეთხოვა. თქვა ფრიად მტკიცედ, შეყოვნება რომ არ ძალუძდა. სწავლულ-შეგირდმა ხელი ჩაჰკიდა. კარში გაჰყვა, გააცილა. თან დაჟინებითა სთხოვდა, გზად მიმავალმა შემომიარე ხოლმეო. ყმანვილმა ზრდილად, ხოლო გულგრილად თანხმობა მისცა. წავიდა.

მას აქეთ სწავლული-შეგირდი ხ' ყმანვილის წყურვილმა, მასზე ფიქრმა და კაეშანმა შეიპყრო. მოსვენება დაჰკარგოდა. ღელვილი წინ და უკან მიდ-მოდიოდა. ერთთავად მომლოდინე თვალჩაშტერებით გასცქეროდა შორით მომავალ გზას. ფეხებს მისას არ მისცემოდა შვება და მოსვენება.

ერთხელაც, მზე მთის მწვერვალს გადაღმა რომ ჩაესვენა, დისკო მისი სანახევროდლა რომ მოსჩანდა, უეცრივ გამოჩნდა ყმანვილი. სწავლული-შეგირდი ხ' სიხარულით ცას ეწია. შინ შევიდნენ. სასწრაფოდ უბრძანა მსახურ-ბიჭუნას, მოერთმია ღვინო, სუფრა გაეშალა. ყმანვილს გამოჰკითხა გვარ-სახელი. მიუგო: „გვარად გახლავართ ხუანგ-ი, ძმებს შორის რიგითუ ვარ მეცხრე<sup>2</sup>, ხოლო თიკუნი, ასაკის სიმცირისა გამო, ჯერაც არ მაქვს შერქმეული.“<sup>3</sup>



სწავლული-შეგირდი ხ' კვლავ შეჰკითხავდა, თუ რატომ იყო აგრერიგ ხშირად რომ იწყო ჩამოვლა ამ მხარეს. ყმანვილმა თქვა: „ნია'ც<sup>4</sup>, თავის მშობლებთან, პა-პაჩემთანა ცხოვრობს. ავადმყოფობს დრო და დრო. ამადაა ხშირად მიწვევს მონახ-ულეზა.“

ღვინის რამდენიმე წრე დატრიალდა<sup>5</sup>. ყმანვილს ეწადა გამოთხოვება. ხოლო სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ ხელი სტაცა, სხეულით თვისით გზას უღობავს, არ უშ-ვებს. აიღო, კარიც ჩაკეტა. ნიოულანგ-მა აღარ უწყის, რა იღონოს. წამოჭარხლდა.



კვლავ დაჯდა.

სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ ლამპრის პატრუქს ცეცხლი დაუშრიტა. გაიბა მუსაიფი. წიოულანგ-ი იყო ისე სათუთი, ისე ნაზი, ქალწული უბინო ტოლს ვერ დაუდებდა. როგორც კი სწავლული-შეგირდი ხ' არშიყს უწყებდა, მასლაათი როგორც კი ქარაფშუტა ხუმრობა-ლაზლანდარობას მიადგებოდა, მყისვე დაირცხვენდა, დაიბნეოდა, კედლისაკენ შეაბრუნებდა სახეს თვისას.

არ გასულიყო წუთი რამდენიმე და სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ საბანქევშ შეითრია. ყმანვილი მეცხრე წინააღმდეგია. არა თანხმდება იმა მიზეზით, გვერდიგვერდ ძილი უძილობად გვექცევა, თავს ვერ მივცემთ ძილსაო. ხოლო სწავლული-შეგირდი ხ' მაინც ატანს ძალას, რომ იტყვიან, ერთხელ კი რა, ორჯერ-სამჯერაც. ბოლოს და ბოლოს წიოულანგ-მა ტანთ გაიხადა ზედა სამოსი, კაბა-ხალათი. დარჩა ნიფხავ-პერანგის ამარა. წამონვა.

სწავლულ-შეგირდმა ცეცხლს შეუბერა, ჩააქრო. საჩქაროდ მიიჭრა სარეცელთან, გვერდით მიუწვა. მის ბალიშს დადო თავი. მკლავი თეძოზე დაადო. ვნებამორეულმა ხვევნა-აღერსი, ლომნა-ტლომნა უწყო. აშკარად ითხოვდა არშიყს. წიოულანგ-ი განრისხდა სასტიკად. თქვა: „გცანით განათლებულ, მგრძნობიარე, დახვეწილ სწავლულად. აი რად იყო დაგყევით, აქ გამეთია ღამე. ხოლო საქციელი თქვენი პირუტყვეულია, ვითარცა ხურაობა ველურ ნადირთა, ან კიდევ პეპლვა ფრინველთა.“

არ გასულიყო დიდი დრო. ცაზე ცისკრის ვარსკვლავი აკიაფდა. წიოულანგ-ი ზეზე ადგა, მტკიცე ნაბიჯით წავიდა.

სწავლული-შეგირდი ხ' შიშობდა, აღარასოდეს გამოჩნდებო, განყვეტს კავშირსაო. და მაინც კვლავ დაიჭირა მოლოდინი. დღენიადაგ ფეხმოუცვლელად იდგა გარეთ. ფიქრნაღებული, გაშეშებული, თვალგაშტერებით გზას გასცქეროდა. მზერა მისი, გეგონებოდათ, განმსჭვალავდა პეიტოუ-ს<sup>6</sup>.

კვლავ ჩაიარა დღემ რამდენიმემ. როგორც იქნა გამოჩნდა წიოულანგ-ი. სწავლული-შეგირდი ხ', გახარებული, გაქანდა შესაგებებლად. მყისვე ითხოვა პატიება ჩადენილი საქციელის გამო. კვლავ ძალით შეიყვანა სამეცადინო ოთახში. საჩქაროდ დასვა. გაუბა მხიარული ბაასი. სულის სიღრმეში ფრიად ბედნიერი იყო რაკილა ყმანვილს გულში არ ჩაედო წყენა. გამოხდა ხანი, წაიძრო ფერხთსაცმელი. აბრძანდა სარეცელსა ზედა. უწყო მუდარა აღერსისა, არშიყობისა. თავს აბეზრებდა.

წიოულანგ-მა თქვა: „გრძნობით ფაქიზით მე განმსჭვალულვარ უკვე. გულღვიძლში გამჯდომია. ხოლო სიახლოვე და სიყვარული განა უეჭველად უხამსობასა ამგვარსა ნიშნავს?!“

სწავლული-შეგირდი ტკბილ, დათაფლულ სიტყვებს ჩასჩურჩულებს, ეტმასნება, ეხვევა. შესთხოვს, ნება მომეც მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ ხელით შევეხო შენს უბინო იეშმის, კრიალა კანსაო. იმდენი ქნა, დაჰყვა წიოულანგ-ი, თუმც კი უგულოდ. სწავლულ-შეგირდმა ადროვა, ვიდრე ჩაეძინებოდა და ჩუმჩუმად იწყო უგვანო, გარყვნილი ქცევა. წიოულანგ-ს გამოეღვიძა. განყრა, გაჯავრდა, მოიქუშა. დაავლო ხელი ტანისამოსს თვისას, და თუმც ჯერაც ღამე იყო ბნელი, ადგა, წავიდა.

სწავლული-შეგირდი დაღონდა, წუხდა იმგვარად, თითქო დაჰკარგოდა განძი

რამ ძვირფასი. არც დღით, არც ღამით არასა სჭამდა, არცა არასა სვამდა. დღითი-დღე დნებოდა, უძლურებამ დარია ხელი. ერთი რამ საქმე ისლა დარჩენოდა, ქვეყნის ოთხივე კუთხით მსახური-ბიჭუნა გაეგზავნა ნორჩი მიჯნურის საძებრად.

ერთხელაც გათენდა დილა, წიოულანგ-მა კვლავ სწავლული-შეგირდი ხ'-ს კარიბჭესთან რომ ჩამოიარა. სრულიადაც არ ენადა შევლა. ხოლო მსახურმა-ბიჭუნამ სახელოში ჩაავლო ხელი, აუტყდა-შემოდიო. თვალი რომ ჰკიდა სწავლულ-შეგირდ ხ'-ს, იხილა რარიგ ჩამომჭენარიყო, წიოულანგ-ი გაოცდა ფრიად. გაკვირვებულმა იჩქარა გამოეძიებინა, რაშიაო საქმე. სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ გულახდილად აღიარა ყოველი, თვალს ცრემლიც გადმოსდგომოდა ნვიმისებრ. წიოულანგ-ი დანელე-ბული ხმითა უბნობს: „დაჭემმარიტებით გეტყვით. ამგვარად მოვიქეცე იმად, რომ სიყვარული მსგავსი, პირველ ყოვლისა, მარგებელი არაა ჩემთვის, თქვენი უმცროსი ძამიკოსათვის. ხოლო მეორეც ერთი იმიტომ, საზიანო, დამლუბველი რომაა თქვენთვის, უფროსო ძმაო ჩემო! აი, ამიტომ მოვიქეცე აგრე. ხოლო რაკილა თქვენ ეგ ზომ ძლიერი სურვილი გაგჩენიათ, რალად იძუნწოს, რად დაინანოს ერთგულმა მონამ თქვენმა?“

სწავლული-შეგირდი ხ' ფრიად მოხარული შეიქნა. წიოულანგ-ი ნავიდა თუ არა, ხელად უკეთ იგრძნო თავი. მალე გამოჯანმრთელდა კიდევ. დახე, წიოულანგ-მა მართლაც აასრულა დანაპირები თვისი! მოვიდა. ჩაიხუტა, სააშიკოდ მოეხვია. მიესურვილნენ ერთურთს, იწყეს ყვარობა. წიოულანგ-მა თქვა: „ხალისით არ დაგყოლილვართ ამ საღამო ხანს. ვძლიე ჩემს თავს. რაკილა ეგ ზომ ძლიერი გქონიათ სურვილი, მზად ვარ გემსახუროთ.“ ისაუბრეს. თქვა: „ხოლო მოიღეთ წყალობა, უწყოდეთ, არა და არ გემართებს ეგე საქმე ჩვევად ვიქციოთ, ხშირ-ხშირად ვიქმოდეთ.“ თან დაურთო: „ერთი მაქვს პირობა. ძალგიდთ კია ასრულება?“ სწავლული-შეგირდი ხ' იკითხავდა თუ რას ითხოვდა. წიოულანგ-მა თქვა: „დედას ჩემსას აწუხებს გული, მან კი რამ სჭირს. მხოლოდ და მხოლოდ სასახლის კარის მკურნალის, განმარინებელის სენთაგან სამკურნალოთა მიერ წამალთა, თავადი ცი იევანგის ნამზადი ქაშთაჯი<sup>7</sup>, სიენთიენ-ი, გაჰკურნავს სნებას მისას. თქვენ მეგობარი ბრძანდებით მისი, უარს არ გეტყვით, შეუძლებთ სთხოვოთ წამალი ეგე.“ არც დაფიქრებულა, სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ მყისიერად აღუთქვა პირობა. წასვლისას წიოულანგ-მა კიდევ მრავალგზის გაუმეორა სათხოვარი თვისი.

სწავლულ-შეგირდი ხ' ქალაქს გაემურა. ითხოვა წამალი. იმავე საღამოს მიართვა წიოულანგ-ს. მან გაიხარა ფრიად. ნიშნად მადლიერებისა მხარს ხელი დაადო. სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ დრო იხელთა, კვლავ ითხოვდა-სასიყვარულოდ დარჩიო. ხოლო წიოულანგ-მა თქვა: „მეტად ნურლა გარდამეკიდებით. ნება მიბოძეთ გაგაცნოთ ლამაზმანი ერთი, ათას, ათიათასწილ უკეთესია ჩემზე, თქვენს ძამიკოზე უმცროსზე.“ სწავლული-შეგირდი ხ' ჰკითხავდა ცნობისმოყვარედ, ვინაა, სადაურიაო. წიოულანგ-ი უბნობს: „უწყოდეთ, მყავს დეიდაშვილი ერთი, უმცროსი. შეუდარებელია მშვენიერება მისი, არ ჰყავს ბადალი. თუ კეთილინებებთ, გახდით ღირსს ყურადღებისა, მე, რომ იტყვიან „ცულსა და ნაჯახს თავად ვიკისრებ.“<sup>8</sup>. სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ პირს მცირე ღიმი გადაიფინა, არ კი მიუგო რა. წიოულანგ-მა ჩამოართვა ქაშთაჯი. ნავიდა.

დღემ სამმა განვლო. კვლავ მოვიდა. ითხოვდა ქაშთაჯს. რადგან აგრერიგ დიდხანს არ მოსულიყო, სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ საუბრისას შეჰკადრა საყვედური.

ნიოულანგ-მა თქვა: „არა და არ მსურდა უბედურება რამ თავს დაგტეხოდათ. ამაღ იყო, ვცდილობდი განგშორებოდით. თქვენ რაკი არ ძალგიდს გაიგოთ გულისთქმა ჩემი, იყოს ნება თქვენი, მერმისში არა ინანოთ რა!“ მას აქეთ ყოველდღე ეწვეოდა ხოლმე პაემანზე, საღამო ერთი ც არ გამოუტოვებია. ერთობოდნენ, ლაციცობდნენ, თავს იტკობდნენ. ხოლო სამ დღეში ერთხელ უეჭველად მოითხოვდა წამალს.

მკურნალს სასახლის კარისა, ცი იევანგ-ს არაფრად ეჭაშნიკებოდა, უკვირდა კიდევ, სწავლული-შეგირდი ხ' მოხშირებით რომ ითხოვდა წამალს. თქვა: „სამი ულუფა უცილობლადა ჰკურნავს სნეულს კაცად კაცადსა. მაშ ეგოდენ დიდმა ულუფამ რად არ მიჰმადლა კურნება, რად არ ცუშველა?“ ამჯერად მაინც შეუმზადა, უბოძა ერთბაშად ულუფა სამი. თან გულისგულ ჩააკვირდა სწავლულ-შეგირდი ხ'ს. უთხრა: „ჯანსაღი არაა პირისახე თქვენი, ბატონო ჩემო. ფერი დაგკარგვიათ. ავად ხომ არ ხართ?“ მიუგო: „არა.“ აქიმმა ცი იევანგ-მა გაუსინჯა მაჯისცემა, შეშფოთდა, თქვა: „გაქვთ მაჯისცემა კუი-სა? სნეულება თქვენი შაოინ-ში<sup>10</sup> ჩაბუდებულია. სჩანს, არ ხართ არც ფრთხილი, არც ფასი უწყით ჯანმრთელი სხეულისა. არც არად გიღირთ სიცოცხლე!“ სწავლული-შეგირდი ხ' შინ რომ დაბრუნდა, სიტყვები აქიმისა წვრილად მიუთხრა ნიოულანგ-ს. მან გულს ოხვრა ამოაყოლა, თქვა: „ჭემმარიტად ნათელმხილველია, გულთმისანია აქიმი იგი! ხოლო მე მეღის ჯიშისა, მეღი-მაქციას მოდემისა გახლავართ. ან დიდი ხანია რაც დავახლოვებულვართ ერთურთს, ვშიშობ, არ მოგიტანს ეგე ყოველი სიკეთეს!“ სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ ფიქრად გაივლო-მატყუებსო. აღარ მიუპყრა სამივე ულუფა ქაშთაჯისა, გადამალა ნანილი. ვაი თუ აღარ მოვიდესო.

არ გასულიყო დიდი დრო და სწავლული-შეგირდი ხ' მართლაც დაავადდა. მოინვიეს ცი იევანგ-ი, აქიმი სასახლის კარისა, გასასინჯად. თქვა: „იმ დღით არ გამომიტყდით, არ აღიარეთ სიმართლე. ან სული თქვენი ატოვებს საყუდარს თვისას, უდაბურ ადგილს დახეტილობს. თუნდ სახელგანთქმული ცინ ხუან-ი ინვიოთ, ვერას ვერავინ გიშველით! არა არს კაცი ძალედვას კურნება თქვენი!“

ნიოულანგ-ი ყოველ ცისმარე დღეს მოდიოდა სწავლული-შეგირდი ხ'-ს მოსანახულებლად. ერთხელაც უბნობს: „ყურად არ იღეთ შეგონება ჩემი. აი დღეს მონვენულა შედეგი ეგე!“ სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ წამისყოფაში განუტევა სული. ნიოულანგ-მა დაიტირა მდულარი ცრემლით, მოთქვამდა მწარედ. ნავიდა.

ვიდრე ამბავი ეგე მოხდებოდა, დაბაში, სადაც მიიცვალა სწავლული-შეგირდი ხ', იყო დიდმოხელე ერთი, თაიშ<sup>12</sup> ნოდების მქონებელი. სწავლული-შეგირდი ხ'-ს ტუშისა და ფუნჯის მეგობარი<sup>13</sup> იყო. ჯერ კიდევ 17 წლისა მიინვიეს, ხანლინ-ის წევრი<sup>14</sup> შეიქნა.

იმხანად შენსი-ს მაზრაში ბოგინობდა მავანი მოხელე, ფანთაი<sup>15</sup>. იყო ხარბი მექრთამე, მოძალადე. სახელი ჰქონდა გავარდნილი კაცის ულმოხელის, სასტიკის. ვერვის გაებედა მხილება მისი, ვერცა ჩივილი, რამეთუ მეფეთმეფის სასახლის კარის ვეზირნი მოსყიდულ ჰყავდა. ხოლო თაიში-მ მიიღო გადაწყვეტილება მტკიცე, ამხილა ვერაგობა, დანაშაულნი მისნი. ხოლო მოხდა ისე, ამა მიზეზით მას გამოუტანეს განაჩენი-„სამსხვერპლო თასთა ნაპირებს გარდასვლა“<sup>16</sup>. ჩამოართვეს თანამდებობა. ხოლო ფანთაი იგი დაანინაურეს. უბოძეს ჭუნგჩენობა<sup>17</sup>. ყოველ ღონესა ხმარობდა, რათა ყოფილ თაიში-ს გამოსდავებოდა. იწყო თვალთვალი, ვინძლო ახალგაზრდა სწავლულ-შეგირდმა ცოდვა რამ ჩაიდინოსო, შეცდესო.

თაიში სიჭაბუკიდანვე ფრიად განთქმული პიროვნება იყო. თავის დროზე, ასე ვთქვათ, „შავ თვალთა მზერის“<sup>18</sup> პატივიც ჰქონდა დამსახურებული. თავადის ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებულთ სთხოვა-მიმსახურეთო. ჭუნგჩენ-მა უწყოდა ესე ყოველი. ბლომა ფულიც დახარჯა, რათა ხელში ჩაეგდო თავადისა და თაიში-ს უწინდელი მიწერ-მონწერა. ამა წერილებით უტევდა, მუქარით იკლებდა თაიში-ს. ბოლოს და ბოლოს შიშმა მთლადაც მოუღო ბოლო, თავი მოიკლა. ცოლიც მისი შემოიყულფა, ჩამოიხრჩო თავი.

სულ ერთადერთი ღამის მკვდარი იყო თაიში, ანაზდად რომ გამოიღვიძა. თქვა: „მე ხ' წ'სიაო ვარ!“ ვინც შეჰკითხავდა რასმე, მიუგებდა დანვრილებით პასუხს. ხოლო რასაც იტყოდა, ყოველი შეეხებოდა სწავლული-შეგირდი ხ'-ს ოჯახს. მაშინდა მიხვდა ყველა — ხ' წ'სიაო-ს სული გარდაცვლილ თაიში-ს სხეულში ჩასახლებულიყო და აღმდგარიყო მკვდრეთით. შინა სტოვებდნენ, სთხოვდნენ, აქ იცხოვრეო. არ ისურვა. გაიარა ალაყაფის კარი, პირდაპირ სწავლული-შეგირდი ხ'-ს სახლ-კარისაკენ გაექანა.

ფანთაი-მ ეჭვი აიღო. საიდუმლო რამ იფარვის ამა ყოველში, მაცდური რამ ძალო. გადანყვიტა მტკიცედ, დავლუპავ, ბოლოს მოვუღებო. ხალხი მიუგზავნა, მოსთხოვა ვერცხლი ათასი ლან-ი<sup>19</sup>. არ ძაღედვა ეგოდენი თანხის გადახდა. სხვა გზა კი არა გააჩნდა რა. მისცა პირობა, გადავიხდიო. ფიქრი ეგე ანუხებდა ძლიერ, მჭმუნვარე, დარდიანი შეიქნა, ღამის სიცოცხლე მოსწრაფებოდა.

სწორედ ამ დროს მოახსენეს, ნიოულანგ-ი გეახლათო. რა გასაკვირია, სწავლული-შეგირდი ხ' სიხარულმა მოიცვა. იწყეს საუბარი. სიხარული შეხვედრისა და მწუხარება განშორებისა გარდაჭდობოდა ერთიმეორეს. ბოლოს და ბოლოს კი სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ მაინც ისურვა ნიოულანგ-ის მოსიყვარულება. ნიოულანგ-მა თქვა: „როგორ, რა ამბავია, ბატონო-ჩემო, სიცოცხლე სამი ხომ არ მოგნიჭებიათ?“ სწავლული-შეგირდი ხ' ჩაფიქრდა, იფიქრა, თქვა: „სევდა-ნალველს შევუპყრივარ. გამბეზრებია ეგე სიცოცხლე. ნეტამც მოვკვდებოდე. ეგება სჯობდეს კიდევაც, მოვისვენებდი.“ ამგვარად და ამგვარად შესჩიოდა ნიოულანგ-ს, ამუნათებდა ბედ-იღბალს თვისას. ნიოულანგ-ი საგონებელში ჩავარდა. ბევრი იფიქრა, თქვა: „საბედნიეროდ, საშუალება მოგვეცა კვლავ მეხილეთ ცოცხალი, ერთხელ კიდევ შევრწყმულიყავით. ან უკვე დაგიკარგავთ ცოლი, დაქვრივებულხართ. ხომ გახსოვთ, მითქვამს, დეიდაშვილს ჩემსას უმცროსს გაგირიგებთ-მეთქი, შევიქნები მაჭანკალი თქვენი. ჭკვიანია, ბრძენიცაა და სილამაზითაც მზეთუნახავსა ჰგავს. საფერი და ყაღარია თქვენი. შეიძლებოდა გაეყო თქვენთან ცხოვრების ტვირთი.“ სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ ისურვა, ერთხელ მაინც ვიხილოო სახე მისი. ნიოულანგ-მა თქვა: „ეგე არ არის საძნელო საქმე. ხვალვე მოგვვრით. მოხუცი დედის მოსაწახულებლად რომ გავემუშრები, გზად თან გამოვიყყოლებ. თავს მოაჩვენებთ, ვითამც ძმა ხართ ჩემი უფროსი. ვისარგებლებ წუთით, წყურვილის მიზეზით წყალსა გთხოვთ. თქვენ კი, ვთქვათ, აი ასე იტყვიო: „ვირი გაგქცევიათო!“ ეგე სიტყვა იყოს ნიშანი, თანახმა რომ ბრძანდებით. შეთანხმდნენ. წავიდ-წამოვიდნენ.

მეორე დღეს, მზე საშუადღეოზედ იყო მისული, ნიოულანგ-მა, მართლაც ჩამოიარა სწავლული-შეგირდი ხ'-ს ალაყაფთან. უკან მოჰყვებოდა ქალიშვილი. სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ ხელები გულს მიიკონა, დიდის პატივით მოიდრიკა, ნიოულანგ-ს რაღაცას ეჩურჩულება, თან ცალი თვალით ქალიშვილს უცქერს.



რას ხედავს?! პეპელას ნაზ უღვაშს მიუგავს მოქნილი წარბები, თვალები სხივს აშუქებს, იერით მთლადაც ფერიას ნამდვილი. ნიოულანგ-მა ჩაი ითხოვა. სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ ბინაში შეინვია. ნიოულანგ-ი ქალიშვილს მიუბრუნდა: „მესამე დაიკოვ, ნუ შიშობ, ჩემი ძმადნაფიცია უფროსი. არ იქნება ურიგო თუკი მცირე ხანს მოვისვენებთ, სულს მოვითქვამთ, მერმე კი ნავალთ!“ მერე შეაშველა ხელი, დაეხმარა ვირიდან ჩამოქვეითებულიყო. ვირი იქვე ალაყაფთან დააბა. შინ შევიდნენ. სწავლული-შეგირდი ხ' თან ჩაის აყენებს, თან ნიოულანგ-ს ეუბნება: „რასაც ამასწინათ დამპირებიხარ, თუკი არ უწერია საქმეს ამას აღსრულება, დღესვე დამდგარა ჟამი ჩემის აღსასრულისა!“ ქალიშვილს, ჩანს, გულმა უგრძნო, საუბარი მას პირადად შეეხებოდა. ამად იყო რომ ზეზე ნამოდგა, ხმით უნაზესით, დაიჭიკჭიკა: „ნავიდეთ!“

სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიღრიალა: „დახე, ვირი გაქცეულა!“ ნიოულანგ-ი მოსწყდა ადგილს, გაქანდა ვირის დასაწევად. სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ ხელი შემოხვია ქალიშვილს, იმავ წამს აღინთო ვნებით. ქალიშვილი დაფრთხა, სახე მთლადაც აელანძა, მოიბუზა, თავს გრძნობდა ისე, თითქო ჩიტი ყოფილიყო, გალიაში ჩამწყვდეული. იწყო ყვირილი, უხმობდა მეცხრე ძამიკოს. ნიოულანგ-ის ჩამიჩუმიც არ ისმოდა. მაშინ საყვედურითა თქვა: „თქვენ, ბატონო-ჩემო, ხომ გყავთ ცოლი. მაშ რაღად გინებებიათ დაღუპვა ჩემი, ნამუსის ახდა?“ სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ მიუგო, რომ არა ჰყავდა ცოლი. ქალიშვილი კვლავ უბნობს: „შეუძლებთ კია დადოთ ფიცი მთათა და მდინარეთა წინაშე<sup>20</sup>? ნებას ნუ მისცემთ შემოდგომის ქარს<sup>21</sup> დამამციროს, დამჩაგროს. მხოლოდ ამას შემდეგ, როგორც მიბრძანებთ, ვიქნები მორჩილი!“ სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ ზეცას აღუთქვა პირობა, მზეს შეჰფიცა. და ქალიშვილმაც აღარ იუარა.

ესე ყოველი რომ მოხდა, მხოლოდ მას შემდეგ დაბრუნდა ნიოულანგ-ი. ქალიშვილი გამწყრალი, გაბუტული შეხვდა. ნიოულანგ-მა თქვა: „ეს, ძვირფასო ჩემო, ხ' წ'სიაო ბრძანდება. უნინ ჰქუხდა სახელი მისი, მინგმ<sup>22</sup> ბრძანდებოდა. ხოლო ახლა წოდება აქვს თაიში-სა. უახლოესი მეგობარია ჩემი, საიმედო კაცია. თუნდაც მიუთხრა ყოველივე მომხდარი დედას შენსას, ბრალს არას დაგდებს.“

მზე გადახრილი იყო. სწავლული-შეგირდი ხ' ქალიშვილს ღამის გასათევად სტოვებს. აქ დაიღამეო. არ უშვებს. ქალიშვილს კი შიში ჰქონდა გულში ჩავარდნილი. დედა გამიწყრებო. რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა ნავიდეო. ნიოულანგ-მა აღუთქვა, პასუხს მე ვაგებო, ყოველივეს ჩემს თავზე ვიღებო. დატოვა ქალიშვილი. შეჯდა ვირზე. ნავიდა.

დღე რამდენიმე ერთადა ცხოვრობდნენ სწავლული-შეგირდი ხ' და ქალიშვილი იგი. ერთხელაც მავანმა ქალბატონმა მონა-გოგონათა, შიმუნვართა<sup>23</sup> თანხლებით სახლის მახლობლად ჩამოიარა. ორმოციოდე წლის ასაკს მისცემდა კაცი. ხოლო პირისახითა და ქცევით მეტად ჰგავდა სანნიანს-მესამეს. სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ უხმო სანნიან-ს, მოდი, ერთი შეხედეო. იცნო, მართლაც დედამშობელი იყო მისი. დედამაც შენიშნა სანნიან-ი, ეოცა მეტად. ჰკითხავდა: „რა ამბავია. აქ რასა იქმ?“ ქალიშვილი დაიბნა, დაიმორცხვა მეტად. არა მიუგო რა. სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ დედა შინ შეინვია. დიდის პატივით დაუკრა თავი, უამბო, როგორც იყო ეგე ამბავი, მიუთხრო დანვრილებით ყოველი. დედამ გაიცინა, თქვა: „ჯერ ასაკმცირეა, ნორჩია ნიოულანგ-ი. რომ იტყვიან, ორივეჯერ რად არ დაეკითხა<sup>24</sup> რჩევას ჩემსას?“ ქალ-



იშვილი ადგა, თავად გაემართა სამზარეულოში, კერძეული გაამზადა გასამასპინ-  
ძლებლად. სადილთუკან დედა წავიდა.

სწავლული-შეგირდი ხ', ამგვარი თავგადასავლებით რომ ჩაიგდო ხელში მზე-  
თუნახავი სანნიან-ი, იყო მეტად ბედნიერი, კმაყოფილი. ხოლო ათასი ლიან-ი ვერ-  
ცხლის საქმე უკარგავდ სულის სიმშვიდეს. კაეშანი, დარდი მაინც უტრიალებდა  
გულში, სევდა-ნაღველი წარამარა დარევდა ხოლმე ხელს. სანნიან-ი ჰკითხავდა  
მიზეზს შეჭირვებისა. ბოლოს და ბოლოს გამოუტყდა. მიუთხრო ყოველი, რაც რამ  
მომხდარიყო. სანნიან-ს აუტყდა სიცილი. თქვა: „ნუ გეფიქრება. მარტოდმარტო  
წიოულანგ-ი იკმარებს, რათა მოაგვაროს ყოველივე. ნურღა იღელვებ!“ სწავლუ-  
ლი-შეგირდი ხ' ჩაეკითხა, სადაა გამოსავალი, რას ჰგულისხმობო. სანნიან-ი უბ-  
ნობს: „გამიგონია, დიდმოხელე, პატივდებული ფუნთაი<sup>25</sup> მოყვარულია სიმღერა-  
თა სმენისა, მიამიტ ბიჭუნებსაცა ჰყვარობს დიდად. ხომ ცნობილია, ყოველი ეგე  
ემარჯვება წიოულანგ-ს, მოსდგამს ნიჭი ამაებისა მეტადრე. და თუ ყურადღება მი-  
აპყრო ფუნთაი-მ, მიუბოძებ მეცხრე ძამიკოს. ძველი დავიდარაბის კვალი გაქრება  
უმაღლ, ხოლო ახალ მძულვარებისა გამო შურისძიებასაც შეეუძლებთ.“ სწავლული-  
შეგირდი ხ' იშიშოდა, წიოულანგ-ი მსგავს საქციელს არ დაყაბულდებაო. სანნიან-  
მა თქვა: „დაბეჯითებით შესთხოვე, მთელი სულითა და გულით შეევედრე.“ მეორე  
დღესვე მოინახულა წიოულანგ-ი. მის წინ მუხლი მოიხარა, პატივით მიუძღვნა  
სალამი. წიოულანგ-მა იკვირვა საქციელი ეგე. გაოცებითა ჰკითხავდა: „ან უკვე  
ორი სიცოცხლისას დავმეგობრებულვართ. თუკი რამ მომეთხოვებოდა, თხემით  
ტერფამდე გიერთგულეთ, გემსახურეთ. არ დამიხვეია უკან. მამ რალადაა საჭირო  
ეგოდენ დიდი ფაშხანდიერობა?“<sup>26</sup>. გაუზიარა სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ სურვილი  
და გეგმა თვისი. წიოულანგ-ი ყოყმანში ჩავარდა მცირე ხნით. სახეს დასჩენოდა,  
საჭოჭმანო რომ იყო საქმე ეგე. სანნიან-ი ჩაერია, თქვა: „ვინ იყო ხელშემწყობი ამ-  
ბისა, ქალწულობა ჩემი რომ დამლუპვოდა? ბრალი ვის აძევს ამა ყოველში? თუკი  
სული ქმრისა ჩემისა ჩაჭკნება, თუკი მომიკლავენ შუაგზად ჩვენი ცხოვრებისა,  
თუკი გამომეცლება ხელიდან, რალა ვქნა მერე?“ წიოულანგ-ს რა ეთქმოდა. და-  
თანხმდა.

იბჭეს. გეგმა დაანყეს. სასწრაფოდ მისწერეს უსტარი თაიშ'-ს ძველ მეგობარს  
ერთს. მოხელე იგი გვარად იყო ვანგ-ი. გაატანეს ბარათი წიოულანგ-ს. თაიშ'-ს  
მეგობარმა ვანგ-მა ხელად აუღო ალლო არსს წერილისა. გამართა ნადიმი დიდი.  
მიიწვია ფუნთაი. სუფრაზე, ღვინოს რომ სვამდნენ, წიოულანგ-ი, ქალიშვილის  
ტანისამოსში გამოწყობილი, დიდის ხელოვნებითა როკავდა თიენმო-ს ცეკვას<sup>27</sup>.  
იყო უებროდ მოხდენილი, გულ და თვალ წარმტაცი, მხიბლავი, ვითარცა ქალწული  
უბინო. ფუნთაი-მ მთლადაც დაკარგა გონი, სურვილმორეული შეეხვეწა ვანგ-ს,  
დიდ ფულს მოგართმევ, ოლონდ დამითმე მოცეკვავე ეგე წიოულანგ-იო. ვანგ-მა  
თავი მოაჩვენა, ვითამც ვფიქრობ, ვჭოჭმანობო. პასუხი დიდხანს არ მიუცია. მი-  
ჭირს ეგოდენ საყვარელი რამ არსება დავთმოო. ბოლოს და ბოლოს, ფუნთაი-მ  
მოიპოვა წიოულანგ-ი, ხოლო ძღვენი ეგე სწავლულ-შეგირდ ხ'-ს ხელით მიართვეს.  
ფუნთაი სიხარულით ცას ენია. შულლი და მტრობა რომ მძვინვარებდა, მყის გაქრა,  
ქიშპის არ დარჩენილა კვალიც.

ფუნთაი-მ, ხელში რომ ჩაიგდო წიოულანგ-ი, დღითა და ღამით არ იცილებდა  
გვერდიდან, ვითარცა სხეულს და ჩრდილს თვისას. ნუთით არ აცილებდა თვალს.

ცოლს, ათობით ხარჭასა და ხასას, გეგონებოდათ ფერხთა მტვერიაო, არარაობა, სიახლოვესაც არ იკარებდა. სასმელ-საჭმელი, ჩასაცმელ-დასახური, ნივთეულობა წიოულანგ-ისა მხოლოდ და მხოლოდ თავადთა საკადრისი იყო. კიდევ ათი ათასი და მეტი ლიან-ის ვერცხლიც უსაჩუქრა.

არ გასულა ნახევარი წელიწადი და ფუნთაი-ს სნება რამ შეეყარა. ხელად მიხვდა წიოულანგ-ი, ფუნთაი გზას უკანსკნელს რომ დასდგომოდა. საზიდარი დატვირთა ოქრო-ვერცხლით, ფარჩეულით, ზინეთით, ითვალთმაქცა, თავი მოაჩვენა, ფუნთაი-ს შორეულ მამულში მიმაქვს დასაბინავებლად. ფუნთაი ცოტა ხანში მიიცვალა.

წიოულანგ-მა აიშენა სრა-სასახლეები, ბინა გაავსო ავეჯეულობით, ჯამ-ჭურჭლითა და ავლადიდებით. დაიყენა მოჯამაგირენი და მონა-ქალნი, მოახლენი. დედა, დეიდები თავისთან დაასახლა.

შინიდან რომ გადიოდა მიწყვიტანს ბენვეული ემოსა, იყო ძვირფასად ჩაცმულ-დახურული. საუცხოო ბედაურს ჯდა. არვინ კი უწყოდა მაქცია-ქრცვინი რომ ბრძანდებოდა.

მე, ლიოჭაი-ს, ამის თაობზე მაქვს შეხედულება რამ პანია28. ნება მიბოძეთ აქვე მივანერო ...

## განმარტებანი

**ხუნგ წიოულანგ-ი** — ყმანვილი ხუნგ მეცხრე. — ხუნგ ყვითელ ფერსაც ნიშნავს და გვარიც არის, ამასთანავე, ამ იეროგლიფით (სხვა იეროგლიფთან შეწყვილებსას) გაერთიანებულია ისეთი გარეული მტაცებელი და მღრღნელი ცხოველები: როგორებიცაა გუჯანი, ქრცვინი, მაჩვი, სინდიოფალა, თრითინა. **ლანგ-ი** — ყმანვილი, **წიოუ** — მეცხრე. ყმანვილი ხუნგ მეცხრესათვის გვარის შერჩევით მწერალი მიანიშნებს, რომ ყმანვილი ხუნგ მეცხრე არა მრავლისშემძლე მელი-მაქციაა, არამედ ერთი პატარა რამ გუჯანი-მაქცია ბრძანდება

**1. „მოგლეჯილი სახელო“** — ესაა ძველი გამოთქმა, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთი ისტორიული ამბავი. მაგანმა ტუნგ სიანგ-მა მამის დამსახურებათა და პროტექციის მეშვეობით შეძლო საიმპერატორო სასახლეში ყოფილიყო მიღებული. ხელმწიფის განსაკუთრებული ყურადღებისა და კეთილგანწყობის ღირსი შეიქნა. ხელმწიფე ყველასგან გამოარჩევდა, აწინაურებდა, გვერდიდან არ იშორებდა არც დღისით და არც ღამით. ერთხელაც ერთად რომ ეძინათ, ტუნგ სიანგ-ი ლოგინში გადაბრუნდ-გადმობრუნდა და ამასობაში ხელმწიფის ტანისამოსის სახელო ქვეშ მოიყოლა. ხელმწიფეს დასჭირდა ადგომა, მაგრამ ტუნგ სიანგ-ს ღრმად ეძინა. მაშინ ხელმწიფემ, რათა საყვარელი მიჯნური არ შეენუხებინა, სახელო მოიგლიჯა და ისე ადგა ქვემაგებიდან. მას აქეთ ჩინურ ლიტერატურასა და მეტყველებაში დამკვიდრდა გამოთქმა „მოგლეჯილი სახელო“, რომელიც მამაკაცების ერთმანეთისადმი სამარცხვინო სიყვარულსა ნიშნავს

**2. რიგითუ მეცხრე** — ჩინურ ოჯახებში შვილებს უმრავლეს შემთხვევაში არქმევდნენ რიგით, რიცხვით სახელებს-პირველი ვაჟი, მესამე ქალიშვილი, მეხუთე ვაჟი, მეათე ქალიშვილი და ა.შ. გარეშენი მიმართვისას ამ რიგითს სახელს ამატებდნენ გვარს. მაგ: სინგ მეთოთხმეტე, ხუნგ მეცხრე, ლიუ მეხუთე, ნიანგ მეათე და ა.შ.

**3. თიკუნი ასაკის სიმცირის გამო ჯერაც არ მაქვს შერქმეული** — ძველი ჩინური ადათ-წესის თანახმად, ვაჟებს სახელი რამდენჯერმე ერქმეოდათ. თავადაპირველად დაბადებისთანავე. ამ დაბადების, ანუ სარძევე სახელით მას მიმართავდნენ მხოლოდ ოჯახის წევრები- მშობლები, და-ძმანი, ცოლი. სრულწლოვანებას მიღწეულთ სკოლაში სწავლის დროს შეურჩევდნენ ხოლმე ზედსახელს, თიკუნს. იყო აგრეთვე საალერსო, სასკოლო სახელები, ფსევდონიმი და სხვ. იხ. აგრ. განმარტება<sup>3</sup> „ცუი მენგ“-ში

**4. ნია'ც** — სიტყვა-სიტყვით კეთილისმყოფელი ოჯახისა. ძველად უცხოებთან საუბრისას ასე მოიხსენიებდნენ დედას, ვინაიდან უფროსებისადმი მიმართვა და მათი მოხსენიება ზოგადი სახელით უზრდელობად იყო მიჩნეული

**5. ღვინის რამდენიმე წრე დატრიალდა** — ჩინურ სუფრაზე დამკვიდრებული იყო ასეთი ტრადიცია: საზეიმო სუფრა იშლებოდა მრგვალ მაგიდაზე. პირველ სასმისს სვამდა მასპინძელი, ან სუფრის მმართველი. შემდეგ სასმისი წრეზე ბრუნავდა. ამ წესს ეწოდებოდა ლიჭუდე. იხ. აგრ. განმარტება<sup>27</sup> „სინგ მეთოთხმეტე“

**6. პეიტოუ** — დიდი დათვის თანავარსკვლავედის ჩინური სახელწოდება. სიტყვა-სიტყვით ჩრდილოეთის ჩამჩა

**7 ქაშთაჯი** — სამკურნალო აბი, ტაბლეტი

**8. ცულსა და ნაჯახს თავად ვიკისრებ** — ეს ძველებური ჩინური გამოთქმა შუამავლობას, მაჭანკლობას ნიშნავს

**9. კუი-ს მაჯისცემას რომ უწოდებენ** — კუი გარდაცვილ სულსა ნიშნავს. გარდაცვილი სული კი შეიძლება როგორც კეთილი, ისე ბოროტიც, ემმაკი-სეულიცა ყოფილიყო. ხოლო კუი-ს მაჯისცემა გულისხმობს ადამიანის სულში ემ-მაკი რომ ჩასახლებულა

**10. შაოინ-ი** — მამაკაცის სასქესო ასო

**11. ცინ ხუან-ი** — უძველესი დროის სახელგანთქმული მკურნალი

**12. თაიში-ს წოდება** — მემატიანე, ჟამთაღმწერი, ვინც ისტორიას წერს. ჩინეთში მეტად საპატიო წოდება და ხელობა იყო

**13. ტუშისა და ფუნჯის მეგობარი** — სკოლისდროინდელ მეგობარსა ნიშნავს

**14. ხანლინ-ის წევრთა რიგებში მიღებულ იყო** — ხანლინ-ი სიტყვა-სიტყვით ფუნჯების ტყესა ნიშნავს. ეს იყო განათლებული, უმაღლესი სამეცნიერო წოდების მფლობელთა გაერთიანება, კავშირი, დღევანდელი გაგებით დაახლოებით მეცნიერებათა აკადემიას რომ უდრის, ოღონდ გაცილებით მეტი სახელისუფლებო უფლებები ჰქონდა. საიმპერატორო სასახლის კარზე მოქმედებდა. განაგებდა სახელმწიფო საბუთებს, აწარმოებდა საქმეებს, წერდა ისტორიას და ა.შ.

**15. ცინგ-ის ფანთაი** — ძველ ჩინეთში, რეფორმებამდე, ეს იყო ჩვენი დროის ფინანსთა მინისტრის ტოლი თანამდებობა. ამ თანამდებობაზე მაზრაში ადამიანს ნიშნავდა უზენაესი ხელისუფლება. მაზრის საზღვრებში უზარმაზარ, ლამის შეუზღუდავ ძალაუფლებას ფლობდა

**16. სამსხვერპლო თასის ნაპირებს გადასვლა** — ეს გამოთქმა ძვ.წ. IVს. ფილოსოფოსის, ჭუან'ძ-ს იგავიდან მომდინარეობს. გულისხმობს ძალაუფლებათა გადამეტებას, დღევანდელი ენით — სამსახურებრივი მოვალეების ბოროტად გამოყენებას

**17. ჭუნგჩენ-ი** — სასახლის კარის ვეზირი. მაზრის ჭუნგჩენობა დღევანდელი

გაგებით მხარის გამგებელის ტოლი თანამდებობა იყო

**18. შავ თვალთა მზერის პატივი ჰქონდა დამსახურებული** — ხელისუფლების წყალობით სარგებლობდა

**19. ლან-ი, ლიან-ი** — ჩინური ფულის ერთეული. 1 ლან-ი = 50 გრ. ვერცხლს

**20. ფიცი მათა და მდინარეთა წინაშე** — ძველ დროს ჩინეთში ასე დებდნენ ფიცს საზეიმო ვითარებაში. ფიცი იწყებოდა სიტყვებით: „ვიდრე ყვითელი მდინარე (იგულისხმება ხუანხე) არ დაშრება ისე, ჩემს წელს რომ წვდებოდეს, ვიდრე თაიშან-ი (იგულისხმება მთა თაიშანი) არ განილევა“ და ა.შ.

**21. „შემოდგომაზე მარაოს ნუ . . .“** — მინიშნებაა ძვ. წ. I ს. პოეტი ქალის პანეიუი-ს ერთ ლექსზე, რომელშიც ფავორიტი ქალი გამოთქვამს შიშს იმპერატორის კეთილგანწყობის, ტრფობის დაკარგვის გამო, ვინაიდან უახლოვდება ასაკს, მცხუნვარე ზაფხულს კი აღარ, არამედ შემოდგომის სითბოს უფრო ჰგავს. აი ლექსის ეს კუბლეტი:

**„ესესაა შექმნილა ცინ-ის წმინდა ჭიჭნაურისგან,**

**თეთრია იგი, სპეტაკი, ვითარცა თრთვილი, ან კიდევ თოვლი,**

**თარგი მისი გამოჭრილია, მსგავსად მარაოსი, სიხარულით რომაა აღვსილი, მრგვალია, მრგვალი, ვითარცა ბადრი და სხივნათელი მთოვარე.**

**ხან ამოვა იგი და ხანაც მიიძალევა ხელმწიფის საკინძქესა ან ფართო სახელოში,**

**მოჰბერავს და მოგელამუნება, ვითარცა სიო უნაზესი.**

**მარად მეშინის, საშემოდგომო დროის დადგომის,**

**ქარიშხალი ცივი რომ გაანელებს მცხუნვარებას ...**

**მიაგდებს მანდილს, ჩააგდებს სკივრსა ან კალათში...**

**თვისსა გზაზედ მიმავალი შეწყდება გრძნობა კეთილშობილი. . .“**

**22. მინგში** — ნოდება, რომელიც ენიჭებოდა სახელმწიფო, ქენიუ-ს გამოცდებში გამარჯვებულ აბიტურიენტს. ეს ნოდება უზრუნველყოფდა სახელმწიფო მაღალ სამოხელეო თანამდებობას, მაღალ ხელფასს. მეტად საპატიო ნოდება იყო და საზოგადოების დიდი პატივისცემით სარგებლობდა. რაინდული და რომანტიკული სულის ადამიანსაც გულისხმობდა

**23. შიმუნვარი** — მოახლე ქალი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**24. „ორივეჯერ არ დაეკითხა“** — აქ ქალი საუბრობს სიტყვებით, ნასესხები რომაა კონფუციუსის მატთანის განმარტებიდან, რომელშიც მოთხრობილია ამბავი ორი გმირისა. მათმა მებაჯრემ ბრძოლის არც დასაწყისში, არც შუაგულში მათ არაფერი ჰკითხა. საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედებდა. ხოლო ლიოაოჭაი-ს მოთხრობაში დედა ყმანვილ ხუან მეცხრეს გადაკრულად მიანიშნებს ხ' -სთან საექვო ურთიერთობაზე

**25. ფუნთაი** — მოხელის ნოდება, უფრო მაღალი, ვიდრე ფანთაი. ამით მწერალი მიანიშნებს, რომ ეს ბოროტმოქმედი მოხელე კიდევ უფრო დაანინაურეს.

**26. ფაშხანდიერობა** — ცერემონიულობა

**27. თიენმო-ს ცეკვა** — ეშმაკის ცეკვას ნიშნავს. მო — სანსკრიტული მარას ჩინური სახელია. სახელია ბუდისტური მგრძნობელობითი მეექვსე ცის მბრძანებლისა, რომელიც ყველა ბუდათა უმცროსი ძმია და მათი უბოროტესი მტერი. რე-

ლიგის თანახმად, ციური მო ესწრაფის, ბუდისტურ მოძღვრებას რაც შეიძლება მეტი ავნოს, შეარყიოს. იგი ზემოქმედებს ადამიანზე მისივე გრძნობების საშუალებით, გონებასა და აზრებს უბნელებს, ცდუნებაში შეჰყავს. ამ მიზნის მისაღწევად იღებს სხვადასხვა სახეს, ხან მომხიბლავი ქალისა, ხან, შესაძლოა დედის ან მამის, ან რომელიმე წმინდანის სახეც კი მიიღოს. ცნება მო-ს ცეკვა სავარაუდოდ წარმოიშვა დაახლ. VIII ს. შესაძლოა, უფრო ადრეც. ამ დროის ცნობილი პოეტის, ვანგ წენ-ის ლექსში „სასახლის კარის ასი სიმღერა“ ეს თემა არ გვხვდება, ხოლო ლიტერატურაში გავრცელებას იწყებს მონგოლთა ბატონობის, ანუ ჩინეთში ბუდიზმის მფარველობის ხანაში. მონგოლთა იუან-ის დინასტიის უკანასკნელ იმპერატორს დიდად ჰყვარებია უხამსი გართობანი. დღე და ღამ ქეიფობდა, თავისი ცოლებისა და ხარჭებისგან ამოირჩია 16 ულამაზესი ხარჭა, მოართვევინა საუკეთესო ტანისამოსითა და სამკაულებით და ამ ხერხით ბოდისატვას იერი მიანიჭა. ხარჭები თავიანთი მშვენიერებით აცდუნებდნენ ბუდას მიმდევრებს. ამრიგად მო-ს ცეკვას თავისებური სატანური მნიშვნელობა აქვს

**28. მაქვს ერთი აზრი პანია** — აქ გამოტოვებულია ფუ სუნგლინ-ის ბოლოსიტყვაობა, რომელიც დაწერილია მდიდარი და მეტად რთული ენით. ტექსტის უაღრესი სირთულის გამო თარგმანზე ხელი ავიღეთ. მოკლედ კი ვიტყვით, ბოლოსიტყვაობაში მწერალი ბრძანებს, ამგვარი ადამიანები იყვნენ და კვლავაც იქნებიან, ცოდვა ამგვარი ვერც ვერასოდეს აღმოიფხვრებაო. ხოლო მაინც დაუნდობრად კიცხავს ცოდვასა და ცოდვილებს





## 胡四娘



შეგირდი შანგ-ი თაიშანელი<sup>2</sup> იყო, შანტუნგ-ის<sup>3</sup> მაზრაში რომაა, იქაური. ჩვეულებრივ თავის სამეცადინო ოთახში განმარტოებით მეცადინეობდა, კითხულობდა, სწავლობდა. შემოდგომის ერთ ღამით, რომ იტყვიან, ცის ტატნობი თვალშეუდგამი რომაა, კეთილშეზავებული ჰაერი საამოდ სუფთაა და გრილი, მასზედ ვერცხლის მდინარე<sup>4</sup>, ვარსკვლავნი სხვანი რომ ციმციმებენ, მთოვარე კაბადონის შუაგულს რომ დაბრძანებულა, ნათელს ჰფენს, შეგირდი შანგ-ი მარტოდმარტო, ეულად მიმოდოდა მთოვარის სხივში, ყვავილთა ჩეროში. ათასგვარ საოცარ ფიქრთათვის მიეცა თავი. უეცრივ თვალი მოჰკრა ზღუდეს თუ როგორ გადმოეველო სხეული ქალისა. ბაღნარში შემოფრთხილდა. შეგირდ შანგ-ს შეჰღიმი, ეუბნება: „სიუცაი<sup>5</sup>, აგრერიგ ღრმად რად ჩაფიქრებულხართ?“ შეგირდმა შანგ-მა აალო თავი. ხედავს, ქალია ენითუთქმელი სილამაზისა, მზეთუნახავი. ზეცის მკვიდრია, ჭეშმარიტად! ეოცა, ეამა. იჩქარა მოხვეოდა.

ხელში აიტაცა. მსწრაფლ ოთახში წაარონინა. ორივენი

ალერსიანნი იყვნენ მეტად. სასიყვარულო შეხვედრის სიამტკბილე ორთავეს ნეტარებასა ჰგვრიდა. ქალმა ამბავი თვისი მიუთხრო: „გვარად ხუ გახლავარ. მესამე დას მიხმობენ.“ შეგირდმა შანგ-მა ჰკითხა, თუ სად ედო ბინა. ქალმა ჩაიღიმა, არკი უპასუხა. აღარც შეგირდი შანგ-ი ჩასძიებია. იმედოვნებდა, მარად განუყრელნი რომ იქნებოდნენ. და აი, მას აქეთ მესამე და ყოველდამ პაემნის ჟამს ეწვეოდა ხოლმე. შეხვედრა ერთიც არ გამოეცოვებინა. შეგირდს დღე ერთიც არ დარჩენოდა თავისუფალი.

ერთ ღამით შეგირდი შანგ-ი და მესამე და ლიფლიფს<sup>6</sup> შემოსხდომოდნენ, პირისპირ ერთმანეთისა, მუხლი მუხლს რომ ეხებოდა. შეგირდი შანგ-ი თვალს არ აცილებს, მეტად და მეტად იხიბლება მესამე დის მშვენიერებით. მესამე დამ გაიღიმა, თქვა: „აგრერიგ ხარბად ნეტავ რად შემომცქერი მე, სატროფოს შენსასა?“ შეგირდმა შანგ-მა მიუგო: „ასე მგონია, შენ დაიბადე მსგავსად მწვანე ნეფრიტისფერი ნაყოფისა, შემოდგომის წითელ ფოთოლთა შორის რომ კიაფობს. მთელს ღამეს რომ არ მოგწყვიტო თვალი, მაინც ვერ გავძლები შენი ცქერით“. მესამე დამ თქვა: „მე გონჯად მოვევლინე ქვეყნიერებას. ხოლო შენ მაინც ვერ იჯერე გული ჩემი ჭვრეტი? აი, ჩემი უმცროსი, მეოთხე დაიკო რომ იხილო, ძნელია ითქვას, სული შენი თუ რარიგ აფორიაქდება. მთლადაც შეიძვრები“. ამა სიტყვებმა შეგირდ შანგ-ს გული კიდევ მეტად აუღელვა, ძალუმად აუტოკა. ინდომა იმავე წამს ეხილა მეოთხე დაიკო. მყისვე დაუჩოქა, მუხლმოდრეკით შეევედრა, მეოთხე დაიკოს

შემახვედრე, გამაცან, მომიწყევ პაემანო.

მომდევნო საღამოსვე მოჰგვარა მესამე დამ მეოთხე და. მეოთხე და ზუსტად იმდენი წლისა იქნებოდა, თმის ვარცხნილობის შეცვლის<sup>7</sup> დრო რომ დასდგომოდა. თვალწარმტაცი იყო, ვითარცა ყვავილი ლოტოსისა, შეცვარული, ცვარშეუმშრალი, ან კიდევ ატმის ყვავილი, ნამშენაბკურები, ნისლით შებურული. ნარნარი, მორცხვი, მომწუსხავი. ამარწყებელი ღიმილი გულს აჩქროლებდა. თვალი ჰკიდა თუ არა, შეგირდი შანგ-ი სიხარულით, მღელვარებით გაშმაგდა, მყის შესთავაზა დაბრძანდითო. იცინოდა, მუსაიფი გაუბა. მესამე და ემასლაათება შეგირდ შანგ-ს, ხოლო მეოთხე და მორცხვად, კრძალვით წინკნის კაბის ნაქარგ ზონარს. სიტყვას არა ძრავს, პირ-უჩუმარ ზის.

გამოსდა მცირე ხანი. მესამე და ზეზე ნამოდგა. გამოეთხოვა შეგირდ შანგ-ს. მეოთხე დამაც დააპირა თან გაჰყოლოდა. შეგირდმა შანგ-მა ხელი სტაცა მეოთხე დის კაბის სახელოს. ხოლო თვლებით მესამე დას შეემუდრა: „შემენიე! მიშველე რამ!“-ო. მესამე დამ თქვა: „უგუნურო მიჯნურო! თავად შესთხოვე უმცროს დაიკოს შეყოვნდეს ცოტა ხნით!“ მეოთხე და გაყუჩებულა.

მესამე დამ გაიცინა, თქვა: „ჰოი, უგუნურო! დახე, რარიგ გაშმაგებულხარ! დაიკო, დარჩი ცოტა ხანს!“ მარტო გაერიდა იქაურობას.

შეგირდი შანგ-ი და მეოთხე და იმავე წამს დიდის სინაზით მიესიყვარულნენ ერთურთს. ნეტარება დასრულდა თუ არა, იწყეს თავთავიანთი ამბების თხრობა. რაც მეტს ბაასობენ, მით მეტად უახლოვდებიან, უმეგობრდებიან ერთმანეთს, გეგონებათ მთელი სიცოცხლე განუყრელად უმეგობრიათ, არც არასოდეს განშორებულან. მეოთხე დამ თავად უთხრა, ქალწული მელი-მაქცია რომ ყოფილა, მცბიერი, ლალუკი<sup>8</sup>. შეგირდმა შანგ-მა, მისი ღვთაებრივი მშვენიერებით მოჯადოებულმა, უცნაური ვერაფერი შენიშნა, ვერა იგრძნო რა. მეოთხე დამ თქვა: „მესამე დაც ქალწული მელი-მაქცია ბრძანდება. ხოლო ბოროტი, მზაკვარი, ვერაგია მეტად. უკვე სამი კაცი ჰყავს მოკლული. ვინც ანკესს მისას ნამოეგება, არ უნერია გადარჩენა. ბედი გქონია, რაკილა მცან ღირსად შენი სიყვარულისა, რაკილა თვითონაც მთლად ვარ მოხიბლული, მე სიკვდილს შენსას ვერ შევეგუები. ვიდრე გვიანი არ არის, სჯობს, განეშორე მესამე დას.“ ხედავს შეგირდი შანგ-ი, საქმე სახუმროდ არაა. შიშმა აიტანა. შესთხოვა მეოთხე დას, მოიფიქრე, იღონე რამო. მეოთხე დამ თქვა: „ქალწული მელი-მაქცია მართალია ვარ, ხოლო სენჟენ-ებისგან<sup>9</sup> რჩევა-დარიგება მაქვს გადმოცემული. შელოცვას ერთს, სიტყვებს გრძნეულს დაგინერ, შენი საძინებლის კარს გააკარი. ამ გზით დაიხსნი თავს.“ ამ სიტყვებით დაჯდა, დაწერა შელოცვა, ჯადო-სიტყვები. მიუჰყრა. კარს გააკარიო.

განთიადისას მესამე და მოვიდა კვლავ. კარს გაკრული შელოცვა დაინახა. გაავებულმა, უკან-უკან დაიხია, თქვა: „ჰაი, შე წარწყმედილო, შე უსინდისო გოგოვ! ყმანვილი საყვარელი, არშიყი, ხელთ იგდე და იმავე წამს გადაივინყე, ძაფები თუ ვინ გაგება, ხიდი თუ ვინ გაგიდო. თქვენ ერთავეს ბედისწერა ერთი განერიათ, ერთურთისათვის შექმნილხართ, ასეა ეს. თქვენი არცა მშურს. ხოლო ასე რად მექცევით?!“ თქვა, გაეცალა იქაურობას.

ჩაიარა რამდენიმე დღემ. მეოთხე და საქმეთა გამო სხვა ადგილს უნდა წასულიყო. შეგირდ შანგ-ს დაუბარა, მხოლოდ ერთი ღამით რომ მიდიოდა, მსწრაფლ დაბრუნდებოდა. იმ დღით შეგირდი შანგ-ი უქმად ბრძანდებოდა. გარეთუბანში გაი-

სეირნა. ფერდობი მთისა ტყეს შეებურა. ანაზღადა უსიერ ტყიდან ყმანვილი ქალი აჩქარებით გამოიჭრა. ფრიად მოხდენილი, კენარი, კეთილსანახავი იყო ქალი ეგე. მიუახლოვდა შეგირდ შანგ-ს, თქვა: „დები ეგე აგრერიგ თავდავინყებით, ქარაფ-შუტულად რამ შეგაყვარა? იგინი ხომ ერთ ვენ-საც<sup>10</sup> ვერ გინყალობებენ.“ ამა სიტყვებით გაუწოდა ასხმა ფულისა<sup>11</sup>, თქვა: „ჯერხანად ეს აიღე. იყიდე კარგი ღვინო ცოტაოდენი. შინ გაეშურე. ხოლო მე მოვბრუნდები. ხელს კერძებს გამოვყავოლებ გემრიელს. ამ ღამ მე და შენ ერთი გვარიანად მოვილხინოთ, გავერთოთ.“

შეგირდმა შანგ-მა ჩამოართვაფული. ყმანვილ-ქალის დავალებისამებრ იყიდა ღვინო. არ დასჭირებია ლოდინი დიდი. ყმანვილი ქალი მართლაც მობრძანდა. თან წამოელო შებოლილი ქათამი, ლორი. დაალაგა ტაბლაზე. ამოიღო კოხტად მოყვანილი დანაკი, ხელთ რომ ჰქონიყო. სანოვაგე წვრილ-წვრილ ნაჭრებად, ლაზათიანად დაჭრა-დაახაცაცა. გაიმართა ქეიფი. დალიეს, მიირთვეს, შეექცნენ, ლხინით გული იჯერეს, ერთურთით იხარეს. ნავახშმევს ჩააქრეს ლამპარი. ინებეს აღსვლა სარეცელსა ზედა. ქალი გვარიანად გარყვნილი აღმოჩნდა. თავდავინყებით მიეცნენ სიყვარულს, აღვირახსნილად. როს იცისკრა, ქალი ის-ის იყო ლოგინიდან წამოდგა, ფერხთსაცმელში ფეხსა ჰყოფდა, კარს უკან ხმაური რამ შემოესმა. მანამ, სანამ მი-აყურადა, უკვე სანოლს ჩამოფარებული ფარდის შიგნით მავანი შემოსულიყო. ერთიც ვნახოთ, დები-ხუ არ ყოფილან?! ყმანვილმა ქალმა რომ დაინახა, მეტად აიძვრა, აირ-დაირია. უმაღ გაქცევა დააპირა. სიჩქარეში ცალი ფერხთსამოსი სარეცელზე დარჩა. დები-ხუ დაედევნენ, უკან გამოუდგნენ. ლანძღვა-გინებით იკლებენ: „შე მყრალო მელიავ! ადამიანის ნაშიერთან დანოლა რარიგ გაბედე?!“ განაძევეს. მალევე უკან დაბრუნდნენ. მეოთხე დამ შეგირდ შანგ-ს საყვედურები დააყარა: „შე უთავმოყვარეო, შე ღირსებადაკარგულო! რარიგ იკადრე, მყრალ, ბილწ მელიასთან თავი რარიგ დაიმდაბლე. რარიგ გაუყადრე თავი! რაკილა ეგოდენ წარწყმედილთან დანოლილხარ, ველარც ველარასოდეს შევუძლებ შენს გაკარებას!“ გულისწყრომით, რისხვით განიმსჭვალა. განემზადა გასცლოდა იქაურობას. შეგირდი შანგ-ი სინდისის ქენჯნამ შეანუხა. შერცხვა, დაიბნა. მუხლებში ჩაუვარდა. დამნაშავე ვარ, შევცოდეო, ბუტბუტებდა სანყალობლად. წრფელი გულით შეინანა ცოდვა. მესამე და იქვე რომ იდგა, ესწრაფოდა მათ შერიგებას, მიუტევეო, ურჩევდა. მეოთხე და ნელინელ დამშვიდდა. ასე და ამგვარად ყოველივე აღდგა ძველებურად. ურთიერთ-გაგება უწინდებური შეიქნა. მიესიყვარულნენ ერთიმეორეს კვლავინდებურად

ერთ დღეს ერთი შანსი-ელი კაცი, ვირზე შემჯდარი, შანგ-ის ოჯახს ესტუმრა. შეგირდი შანგ-ის მამამ, კარი გაუღო თუ არა, სტუმარმა თქვა: „მე ის ადამიანი ვარ, რახანია ეშმაკეულთ რომ დავსდევ. ეს-ესაა შევიტყე, შენთან ყოფილან.“ შანგ-ის მამამ ისმინა უცნაური ესე ამბავი, იწყო დაწვრილებით გამოკითხვა. მოსულმა თქვა: „მე ბეჩავი დღენიდაც ცხოვრებისეულ ნისლ-ბურანსა თუ ტალღებში დავეხეტები. ნელინადის რვა-ცხრა თვეს შინ არა ვარ. უმცროსი ძამიკო ჩემი ბოროტმა, ეშმაკეულმა სულმა აცდუნა. სიკვდილის პირს მიიყვანა. გამოსალმა სიცოცხლეს. შინ რომ დავბრუნდი, მისი დაღუპვის ამბავი შევიტყე, რისხვით აღვივსე. ფიცი დავდე, უწმინდურობის ნასახი მოვსრა და გავანადგურო! ათიათასობით ლი<sup>12</sup> უკან მოვიტოვე, განვვლე გზა ვრცელი, ხოლო კვალს ვერა და ვერ იქნა, ვერ მივაგენი. ახლა ამოვიცან საიდუმლო-შენ ოჯახში ბუდობენ, თურმე! მე თუ არ მოვაშთე და გავაქრე, შენი ოჯახიც ემსხვერპლება ოინებს მათსას. ვინმე უეჭველად დაიღუპება

ისევე, ჩემი უმცროსი ძამიკო როგორც შეენირა!“

იმჟამად ამბისათვის, შეგირდი შანგ-ი მელა-მაქციებს რომ აყოლილიყო, მამასაც მოეკრა ყური. შეგირდი შანგ-ი სწორედ ამ დროს შინ ბრძანდებოდა. ინვა ქალწულის მკერდს მიკონებულს. შანსი-ელი კაცის ნამბობი რომ ისმინა, შიში მიეცა. შიშმა დაისადგურა გულში. შეგირდი შანგ-ის მამამ შანსი-ელი კაცი შინ შეიპატიჟა. შესთხოვა, საჩქაროდ განწმინდე აქაურობაო. შანსი-ელმა ამოიღო ბოთლი ორი ცალი. იატაკზე დადგა. დიდხანს იკითხა შესალოცი. გამოჩნდა შავი კვამლის ოთხი პანია სვეტი ბოთლებში თუ როგორ ჩაინავლა. შანსი-ელმა სიხარულითა თქვა: „აი, მთელს ოჯახს თავი მოვუყარე!“ ამოიღო ღორის შარდის ბუშტი. ბოთლებს საგულდაგულოდ, მტკიცედ შემოაკრა, დალუქა. შეგირდი შანგ-ის მამა სიხარულით ცას ენია. დაბეჯითებით სთხოვა შანსი-ელს, დარჩით, სადილად მენვიეთო.

შეგირდმა შანგ-მა ამბავი ესე შეიტყო. შეწუხდა ძლიერ. სიბრალულით აღევსო გული. მიუახლოვდა ბოთლებს. პარვით, მალულად უმზერს. ხმა შემოესმა ბოთლიდან მეოთხე დისა: „ჰოიმე! გულხელდაკრეფილი უმზერს უბედურებას ამას. ხედავს, რა დღეში ჩავვარდნილვარ. გაჭირებას შესცქერს გულგრილად, ეს უსულგულო, ეს წარწყმედილი, ეს უმადური, ესა!“ შეგირდი შანგ-ი კიდევ მეტად გულმტკივნეული შეიქნა. იჩქარა გაეხსნა ბოთლი. შემოჭერილი კანაფი განასკვლიყო იმგვარად, ბოთლს ვერასგზით ვერ გახსნიდა კაცი. მაშინ მეოთხე დამ თქვა: „ნუ, ნუ ირჯები ამაოდ. თუ გარჭობილ ალამს პირისპირ სწორად დააყენებ, თუკი ბუშტს ღორისას ალმის წვეტით გაჩვრეტ, მე გამოვძვრები, დავალწევ თავს.“ შეგირდი შანგ-ი ასეც მოიქცა. ხედავს, ბოთლის ყელიდან ამოისვეტა ნაკადი თეთრი კვამლისა, პირდაპირ ზეცაში აიჭრა, განქარდა.

შანსი-ელმა კაცმა მიირთვა სადილი. გამოვიდა. ხედავს-ალამი პირისპირ სწორად აღარ დგას, ჩამოვარდნილა. გონება დაუბნელდა. შეძრწუნებულმა შეჰყვირა: „ვახმე! გაქცეულა! უეჭველად ბატონიშვილის ნახელავია ეგე!“ აიღო ბოთლი. შეანჯღრია. ყურს მიიღო, მიაყურადა, თქვა: „საბედნიეროდ, მარტო ერთი გაპარულა! სჩანს, ჩაძალღება ბედად არ ეწერა. ღირს არს შევუნდოთ!“ ესა სთქვა, აიღო ბოთლები, გამოეთხოვა. ნავიდა.

გამოხდა ხანი. შეგირდი შანგ-ი თვალყურს ადევნებს, მინდვრად ყმები მონეულ ხორბალს თუ როგორ მკიან. შორით მოჩანს, ხის ძირას ჩამომჯდარა მეოთხე და. შეგირდი შანგ-ი აჩქარებით მიუახლოვდა. ხელი მოჰკიდა. დაუყვავა, გულითადად გამოჰკითხავდა ამბავს. მეოთხე დამ თქვა: „გაზაფხული გაზაფხულს და შემოდგომა შემოდგომას ერთურთს შეენაცვლა უკვე ათჯერ მას აქეთ, რაც ჩვენ ერთმანეთს დავშორებულვართ. დიადი წითელი ქაშთაჯი<sup>3</sup> უკვე განმზადებულ არს. დრომ მოინია. ხოლო მე ჯერაც არ ძალმიძს დავინყებას მიცვე ბატონიშვილი კეთილშობილი. აქ მიტომ მოველ, რათა ერთხელ კიდევ დაგიკრა, დაგიხარო თავი, მოგიკითხო.“ შეგირდმა შანგ-მა ინდომა შინ წაეყვანა. ეტყოდა მას ქალი: „დრო იგი, შეუდარებელი, უწინდელი, გარდასულია, წარსულს ჩაბარდა. ან მეკრძალება მტვერით წითელით<sup>4</sup> ნავიბილწო. ოდესმე შევხვდებით კვლავ!“ თქვა და იოტა, უჩინო იქმნა.

კიდევ ოცზე მეტმა წელიწადმა განვლო. ერთხელ შეგირდი შანგ-ი შემთხვევით ჯდა მარტოდმარტო. ხედავს, მეოთხე და არ ეახლა! შეგირდი შანგ-ი სიხარულით მიეგება. ქალმა შეგირდ შანგ-ს უთხრა: „მე უკვე გრძნეულთა დასში ვარ მიღებ-



ული, უკვდავთა წიგნში ჩანერილ არს სახელი ჩემი. სენჟენ-ი გახლავარ. არსები-თად მტვერი დედამინისა, მტვერი ამაოთა ამაოებისა აღარასოდეს უნდა მეტკეპნა. ხოლო საგანგებოდ იმად მოვსულვარ, ჩემი არსებით მთელით მსურს იმ სიკეთისა, იმ გრძნობისა, იმ მაღლისათვის, შენგან რომ მებოძა, მაღლიერება მოგახსენო. მოგაგო მაღლი. ამქვეყნად იმად ვარ წარმოვლენილი, გაუნყო, ვადა მომდგარა „ლუტნის სიმთა განყვეტისა“<sup>15</sup>. შეგიძლია მერმის სოფლისათვის, საიქიოსათვის, განემზადო მშვიდად. არა იდარდო რა. კეთილი გეყოს! გაძღვე პირობას, არ დავი-შურებ ძალსა და ღონეს, რათა სულმა შენმა ზესკნელს ააღნიოს და შეიქნე კუთსენ-ი<sup>16</sup>. და არა რა სიმძიმეილი, არა რა სატანჯველი აღარასოდეს შეგიპყრობს“. თქვა, გამოეთხოვა, იოტა.

მოდგა დათქმული დღე. შეგირდი შანგ-ი მართლადაც მიიცვალა, აღმოხდა სული. შეგირდი შანგ-ი ნათესავად ერგებოდა მეგობარს ჩემსას, ლი ვენიუი-ს. ამ-ბავი ესე საკუთარი თვალით იხილა. და მე, თავადაც ვიხილე ერთხელ.

### **განმარტებანი**

**1. ხუ** — მელი-მაქცია. ამავედროულად ხუ გვარიცაა. მართალია, გვარი ხუ და ცხოველი მელი (ხუ) განსხვავებული იეროგლიფებით იწერება, მაგრამ გამოითქმის ერთნაირად, ამიტომ მელი-მაქციებზე საუბრისას პიროვნება მოიხსენიება ხოლმე გვარით ხუ. **მელი, მელა** — ოთხფეხი, ცხოველი. **მელია** — კნინობითია. დავით რუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი

**2. თაიშან-ი, თაიშან-ელი** — თაიშან-ელი, ანუ თაიშან-ის მკვიდრი. თაიშან-ი ჩინეთის ხუთ უმთავრეს და წმინდა მთებად შერაცხულ მთას შორის ერთ-ერთი უმ-თავრესია. მდებარეობს შანდუნგ-ის ნახევარკუნძულზე. ეს ხუთი მთაა: სუნგშან-ი-ქვეყნის შუაგულში, თაიშან-ი-აღმოსავლეთში, ხუაშან-ი-დასავლეთში, ხოშან-ი-სამხრეთში, ხენგშან-ი-ჩრდილოეთში. სიტყვა შან ნიშნავს მთას. უძველესი წარ-მოდგენით, თაიშან-ის მთაზე იმქვეყნიური სამყაროს მბრძანებელი ბინადრობდა. ყოველი იმპერატორი ტახტზე კურთხევის შემდეგ ამ მთაზე მსხვერპლსა სწირავდა ზეცას. მთებზე და ირგვლივ უამრავი ტაძარია აგებული. ადგილი მომლოცველთა სიმრავლით გამოირჩევა. თაიშან-ი შანდუნგ-ის ერთ-ერთი რეგიონი, პროვინციაა, ჩინეთის აღმოსავლეთით, კონფუცის სამშობლოს მახლობლად

**3. შანტუნგ-ი** — ჩინეთის ერთ-ერთი პროვინცია

**4. ვერცხლის მდინარე** — ჩინურად ასე ეწოდება ირმის ნახტომის თანავარ-სკვლავედს. ღრუბელთა მდინარესაც უწოდებენ

**5. სიუცაი** — განათლების ცენტრი. ჩინეთში არსებული საგანმანათლებლო სისტემის, ქენიუ-ს თანახმად (მოქმედებდა თან-ის ეპოქით, ანუ VII-VIII საუკუნით დაწყებული, ვიდრე 1911 წლამდე) სახელმწიფო მოხელის თანამდებობის დასაკავებ-ლად გამოცდები იმართებოდა 3 წელიწადში ერთხელ, რამდენიმე ეტაპად. ასეთი ეტაპი 6-7 იყო. პირველი ეტაპის გამოცდებში (დაბის, დასახლების ფარგლებში რომ იმართებოდა) წარმატების შემთხვევაში აბიტურიენტს ენიჭებოდა სწავლულის დაბალი ხარისხი და ეძლეოდა უფლება შემდეგი ეტაპის, დედაქალაქის გამოცდებ-ში მონაწილეობისა. დედაქალაქში სახელმწიფო გამოცდების ძირითადი მოთხოვნა იყო კონფუცური კლასიკური წიგნების ცოდნა და თხზულების დაწერა (პროზაული-სა და პოეტურის) მოცემულ თემაზე. სიუცაი საპატიო ცენტრი იყო, რადგან სახელმ-



ნიფო მოხელის, ანუ სახელმწიფო დანესებულებაში ხელფასით უზრუნველყოფილი თანამდებობის დაკავების გარანტიას იძლეოდა. გამოცდებში მონაწილეობა ადამიანს სიცოცხლის ბოლომდე შეეძლო. სიუცაის წოდება დღევანდელ სტუდენტს ან მაგისტრს შეიძლება გავუტოლოთ. ევროპულსა და რუსულ თარგმანებში ცნებას სიუცაი სწორედ სტუდენტს უსადაგებენ. ჩვენ, პერსონაჟთა ასაკის გამო, ვამჯობინეთ შევირდი. უფრო მეტად კი ლიანოჭაი-ს ეპოქის შესაბამისი ქართული მეტყველებისათვის სიტყვა სტუდენტი სტილურად ნაკლებ შესატყვისად გვეჩვენა

**6. ლიფლიფი** — ფანარი ფრანგულია, ქართულად ლიფლიფი ჰქვია. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**7. თმის ვარცხნილობის შეცვლის დრო** — ე. ი. თხუთმეტი წლის ასაკი

**8. ლალუკი** — მცბიერი, ვითარცა მელი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**9. სენჟენ-ი** — ზეცის მკვიდრი, წმინდა სული. ტაო-ური სწავლების თანახმად ეს არის სრულქმნილი ადამიანი, ვინც ზეცაში უზრუნველი, ნეტარი, სამარადისო არსებობა დაიმსახურა

**10. ვენ-ი** — ჩინეთში ყველაზე წვრილი ფულის ერთეული

**11. ფულის ასხმა** — ჩინეთში სპილენძის წვრილ ფულს შუაგულში ჰქონდა ოთხკუთხა ფორმის ნახვრეტი. ფული ასხმული იყო აბრეშუმის ძაფის მსხვილად ნაქსოვ ზონარზე. ჩვეულებრივ ერთი ასხმა ათასი ცალი ფულის ერთეულის ოდენობისა იყო. ზონარი უპირატესად ქამარზე იყო ჩამოკიდებული

**12. ლი, ლიე** — ჩინური სიგრძის საზომი ერთეული. ერთი ლი = დაახლ. 500 მეტრს

**13. ქაშთაჯი** — აბი, ტაბლეტი. წითელი დიდი ქაშთაჯი განმზადებულია -საუკუნეთა მანძილზე ტაო-ბერი ალქიმიკოსები ამზადებდნენ აბებს, რომელთა მიღების შედეგად გარდაცვლილი ადამიანი ზეცის მკვიდრი, სენჟენ-ის ხარისხის მფლობელი ანუ უკვდავი ხდებოდა. ფაქტობრივ, ეს აბი ნარკოტიკულ ზემოქმედებას ახდენდა, აბრუებდა, წამლავდა ადამიანს და საბოლოოდ კლავდა. ზეპირსიტყვიერებაში ამქვეყნიური სამყოფელის მიტოვებას, გარდაცვალებას, ნიშნავს.

**14. მტვერი წითელი** — ცოდვილი, ამაო, ფუჭი სამყაროს ბუდისტური სახელწოდება

**15. ვადა მომდგარა „ლუტნის სიმთა განყვეტისა“** — ე. ი. სიკვდილის დრო დამდგარა

**16. კუისენ-ი** — გარდაცვლილი სული, რომელიც მართალია უკვე მოხვდა ზეცაში, მაგრამ ჯერ კიდევ მართებს საკუთარი თავის სრულყოფაზე ზრუნვა. ამ მართულებით თუკი მთელი თავისი არსებით არ იღვანებს, შესაძლოა სამარადისოდ დარჩეს კუისენ-ად, ანდა შეიქნეს დაცემული ანგელოზი. ხოლო თუკი ძალ-ღონეს არ დაიშურებს, მაშინ სენჟენ-ის, ან შენსენ-ის, ანუ ზეცის მკვიდრის, წმინდა სულის ხარისხს მოიპოვებს

**შენსენ-ი** — სიტყვა-სიტყვით „ღვთაებრივი წმინდანი“, ადამიანი, ვინც უკვდავების აბი დალია, სენჟენის სული, ე.ი. კიდევ უფრო მაღალი ხარისხის წმინდანი, ვიდრე სენჟენ-ია

## ნარჩინებული სწავლული ბატონი ჭანგ სიანგკუნგ-ი

იყო ერთი ხანდაზმული ბატონი, ნარჩინებული სწავლული, ნარ-  
მოშობით შანსი-ელი გახლდათ.

ქალიშვილს გასათხოვრად განამზადებდა. ამად იყო, რომ მთელი  
თავისი ჯალაბობით ჩანგ ნიან-ის<sup>1</sup> სამხრეთ მხარისკენ მგზავრობის  
მნებებელი შეიქნა. ენადა ქალიშვილის მზითვის სარისტა<sup>2</sup> დაეჭირა,  
თადარიგს თვითონ გაძლოლოდა. ხომალდი წინშან-ის<sup>3</sup> მთას მიად-  
გა. ბატონმა ჭანგ-მა ისურვა ნაპირს პირველი თავად გადასულიყო.  
ოჯახობას უბრძანა, ხომალდზე არაფერი შენვანთ, კერძი არაფერი  
მოამზადოთო. რათა თევზისა და ხორცეულის სუნი არ დატრიალე-  
ბულიყო. ვეშაპი, საზარელი მტაცებელი, გვარობს მდინარეში. სუნს  
იკრავს თუ არა, იმავ წუთს დაამსხვრევს ხომალდს, გადასანსლავს  
ადამიანის ნაშეიერსაო. ვეშაპი რახანია ამ ადგილებში თარეშობს,  
უბედურებას ატრიალებსო.

განეშორდა თუ არა იქაურობას ბატონი ჭანგ-ი, ოჯახობამ ბრ-  
ძანება მისი გადაივინა. ხელი მიჰყო ხომალდზე ხორცეულის მზადებას, შენვას.  
უეცრად, სად იყო, სად არა, მდინარეზე ლელვა ატყდა. უშველებელი ტალღები  
აბორგდნენ. ლამის ზეცას უწვდნენ ზვირთს. ხომალდი, რა გასაკვირია, ამოყირავ-  
და. ცოლი, ქალიშვილი და სხვანიც ფსკერზე დაინთქნენ, წყალთაგან დაილუნენ.

ბატონი ჭანგ-ი ჯონკით<sup>4</sup> დაუბრუნდა ადგილს, იქ, ხომალდი მდინარის კიდეც  
სადაც მიადგა. რას ხედავს, აღარც ცოლია მისი, აღარც ქალიშვილი. თავს იკლავ-  
და უბედური. სიცოცხლე გაუმწარდა, წუხდა, იურვოდა. განრისხდა, წამისყოფაში  
შურისძიების გრძნობით აღივსო. ავიდა წინშან-ზე. წინშან-ის მონასტრის ხ'შანგ-ს<sup>5</sup>  
სალამი უძღვნა, თაყვანი სცა. იწყო გამოკითხვა, ვეშაპის ბოროტებათა თაობაზე.  
შურისძიება ჩავიდო გულში. ბერი შეძრწუნდა. გაოგნებულმა თქვა: „წლითი წლო-  
ბით, თვიდან თვემდე ახლომახლო ვზინადრობთ, ვეშაპის გვერდიგვერდ ვცხოვ-  
რობთ. მისი ჟინიანი ნებასურვილის, მისი თარეშის შიში გვზარავს. ლოცვებს აღვავ-  
ლენთ, მსხვერპლსა ვწირავთ, რათა არ გვირისხდებოდეს აგრერიგ. ხშირ-ხშირად  
ღორსაც ვუკლავთ, ცხვარსაც. ნაკლავთ ფეშხს<sup>6</sup>, მდინარეში გადავუშვებთ თუ არა,  
ვეშაპი, პირაშკმული<sup>7</sup> უმალ ამოყვინთავს წყლიდან, მსხვერპლს ელვისსისწრაფითა  
შთანთქმავს. გაბედავს კი ვინმე, ეურჩოს?!“

ისმინა ბატონმა ჭანგ-მა ამბავი ესე. დაიქადა. უმალ იზრახა გეგმა შურისგებისა.  
მიაკვლია საქმის მცოდნე რკინეულის რამდენსამე ოსტატს. ძიშან-ის მწვერვალ-  
ისკენ მიმავალ შუა გზად აღაშენა ლუმელი, ლითონის სადნობი. გამოადნეს ასი  
წინ-ი<sup>8</sup> სიმძიმის ზოდი რამ რკინისა. გამოიძიეს თუ სად ამოყვინთავდა-ჩაყვინთავდა  
ვეშაპი მოხშირებით. იქირავეს ძალოვანი მამაკაცი. კაცებმა დიდი მაშებითა და  
ბერკეტებით მძიმეზე უმძიმეს გამოდნობილ რკინის ზოდს მდინარეში გადაუძახეს,  
ზღართანი უყვეს. არ დააყოვნა ვეშაპმა. ამოყვინთა, გადასანსლა.

გამოხდა ხანი. მდინარე აზვირთდა. ტალღები მთასავით წამოიმართა. ხოლო  
ყოველივე მალე ჩანყნარდა. ლეში ვეშაპისა, უშველებელი, იანძი-ს ზედაპირზე  
ამოტივტივდა.

მიმსვლელ-მომსვლელმა, ვაჭრებმა, ხ'შანგ-ებმა წიშან-ის მონასტრისა, ერმა და

ბერმა სიხარულის ყიფინა დასცა. აღაშენეს სამლოცველო, ნიშნად ბატონი ჭანგ-ის პატივისცემისა. და სახელედვა<sup>9</sup> ტაძარსა ამას „ჭანგ სიანგკუნგც-ი“<sup>10</sup>. ტაძარში ბატონი ჭანგ-ის სურათი გამოიყვანეს. მას აქეთ იწყეს მისი, ვითარცა წყლის სულის, თაყვანისცემა. მსხვერპლსა სწირავდნენ. ხალხი, შესთხოვდა თუკი რასმე, თუკი შეევედრებოდა-აღსრულდებოდა.

### განმარტებანი

1. **ჩანგ წიან-ი** — ჩინეთის სამხრეთ მხარეს, მსოფლიოში სიდიდით მესამე მდინარე, იანძიძიან-ი. ჩინურად ჩანგ წიან-ი -გრძელ მდინარესა ნიშნავს
2. **სარისტა** — თადარიგი
3. **წინშან-ი** — ოქროს მთა, მდინარე იანძიძიანის ნაპირებზე, ახლანდელი ხენანის პროვინციაში
4. **ჯონკა** — პატარა ბრტყელფსკერიანი ნავი
5. **ხ'შანგ-ი** — ბუდას მიმდევარი ბერი
6. **ფეშხი** — საკლავთ ცალ გვერდს ჩანასხეპი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი
7. **პირაშკმული** — ხახადაღებული, ხახადაბჩენილი
8. **წინ-ი** — ჩინური წონის უძველესი ერთეული, 1 ძინ-ი = დაახლ. 500-600 გრამს
9. **სახელდვა** — ეწოდა. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი
10. **ჭანგ სიანგ კუნგც-ი** — ჭანგ-ი — გვარი, სიანგ კუნგ-ი — პატივისცემა, სწავლული ბატონი, ც-ი — კეთილ სულთა სამლოცველო



## ვეიშუ-ელი მელი-მაქცია

魏志狐



ვეიშუ-ს მაზრაში მავან ლი-ს ჰქონდა ერთი სახლი. ცარიელი იყო. ენადა გაქირავება. გამოჩნდა უცებ ბერიკაცი ერთი. სურდა დაქირავება. შესთავაზა, ქირად წელიწადში ორმოცდაათ ლიან<sup>1</sup> ვერცხლს მოგართმევო. მავანი ლი დაყაბულდა. მოხუცი წავიდა. უგზოუკვლოდ არ გადაიკარგა! აღარაფერი ისმის მისი! მავანმა ლი-მ მსახურთ უბრძანა, სახლი ვისმე სხვას მიაქირავეთო. გავიხედოთ, მეორე დღესვე მოვევლინა მხცოვანი. თქვა: „აკი შევთანხმდით, აკი პირობა შევკარით, სახლს მე მომაქირავებდი. მაშ რალატომ გატეხე პირი, სხვაზედ რალატომ აქირავებ?“ მავანმა ლი-მ უთხრა, იმედი რომ გადასწუროდა, რომ აღარ იმედოვნებდა გამოჩენას მისას. ბერიკაცმა თქვა: „გადმოვალ, დავბინავდები. მუდმივ ვიცხოვრებ. დიდი დროით. გადმოსვლა შემიგვიანდა, რამეთუ ველოდი ახალსახლობისათვის საბედნიერო დღეს<sup>2</sup>. ათ დღეში მოხდება ესე.“ მოხუცებულმა ერთი წლის წინდი, საფასური წინასწარ გადაიხადა, თქვა: „სახლი ესე, თუნდც ერთ წელიწადს ცარიელი იყოს, ტყუილუბრალოდ ნურღა იდარდებ.“ მავანმა ლი-მ გააცილა მოხუცი. თან იძიებდა, მაინც როდის და მაინც როდის ჩამოსახლდებო. დრო ზუსტი მწადია მცოდნოდაო. ხანდაზმულმა უთხრა.

დათქმული ვადაც მიიწურა. დღე რამდენიმე გადასცა და კიდევ. ბერიკაცი კვლავაც არ გამოჩენილა. კვალიც არა ჩანდა მისი. მავანმა ლი-მ გადაწყვიტა, მოდი ერთი,

შევალ ცარიელ სახლში, მივათვალიერ-მოვათვალიერებ იქაურობას, შევამონმებო. რას ხედავს — ჭიშკარი ჩარაზულია შიგნიდან. ეზოში კვამლი დგას. კერძის სუნი ტრიალებს. ბოლი ბოლქვებად იჭრება ცაში. ხალხი ირევა. ერთი ჩოჩქოლი და აურზაური დგას. მავან ლი-ს ყოველი ესე მეტად ეოცა. სადარბაზო ბარათი აფრინა. გთხოვთ მიახლეთ, პატივს მოგაგებთ, თავს დაგიკრავთო. ხანმრავლიანი გულამომჯდარი მსწრაფლ მოფართქალდა. მავანი ლი პალატებში შეიწვია. უღიმის. გულითადად ესაუბრება, კეთილგანწყობით.

შინ დაბრუნებულმა მავანმა ლი-მ მსახურთ უბრძანა, ძღვენი მიართვით მხცოვანის ოჯახსაო. მოხუცმა მსახურნი, ვინც მიეახლნენ, პატივით მიიღო, მავანი ლი საპასუხოდ ხელგაშლით დაასაჩუქრა.

გამოხდა დღე რამდენიმე. მავანმა ლი-მ სუფრა გაშალა, სერი რამ გამართა. იწვია ბერიკაცი. საერთო მრავლად აღმოაჩნდათ. საუბარი ორთავესათვის ფრიად მაამებელი იყო. ჰპოვეს სიამე.

მავანმა ლი-მ მოხუცს მშობლიურ მხარის ამბები გამოჰკითხა. ხნიერმა

მიუთხრო, შანსი-ს მაზრიდან რომ იყო. მავანმა ლი-მ იკვირვა, შორი რომ იყო ძალზე. ხანდაზმული კაცი უბნობს: „აქ, თქვენსკენ, სვე-ბედნიერი მხარეა. შანსი-ში მეტად აღარ დაიდგომება. უბედურება დიდი კარს მომდგარია.“

იმხანად ცისქვეშეთში<sup>3</sup> სწორედ რომ მშვიდობა სუფევდა. სინყნარე მკვიდრობდა ყველგან და ყოველგან. ამრიგად და ამრიგად, მავანმა ლი-მ ნაუბარს ყურიც არ ათხოვა, აინუშში არც ჩააგდო სიტყვები ბერიკაცისა. კითხვებით მეტად აღარ ჩასძიებია.

კიდევ გავიდა დღე. ხანდაზმულმა მონვევა შეუთვალა. სამადლობელი მსურს მოგახსენო, გეპატიჟები ნადიმზეო. წვეულებაზე სუფრა ფუფუნებით იყო გაშლილი, კერძეული, ღვინო გულუხვად. ჯამ-ჭურჭელი ისე ძვირფასი, ისე ლამაზი, ისე მშვენიერი იყო, მავანი ლი-ს განცვიფრებას არა ჰქონდა საზღვარი. თავში გაუელვა, ბერიკაცი ეგე, ჩანს, ფორთომინი<sup>4</sup>, ბრძანდებაო.

რაკილა მავან ლი-ს თანისთანაობით გულითადად დაემეგობრა, მოხუცმა გაანდო, სრულყოფილებისაკენ მიმავალ გზას ვადექ, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ხუსენ-ობას<sup>5</sup> ვენიეო. მავან ლი-ს შიშით გული საგულედან ამოუვარდა. გამვლელ-გამომვლელს, ყველა შემხვდურს, მიუთხრობდა სასჭაოლს ამას. ამბავმა მაზრის მოხელეთა ყურს მიაღწია. ყოველ ცისმარე დღეს ცხენზე ამსხდანი მავანნი ეახლებოდნენ ხოლმე ბერიკაცს. ერთურთს ეჯობებოდნენ თუ ვინ დაასწრებდა მის გაცნობას. მოხუცი განურჩევლად ყველას თავაზით, ზრდილად, გულისხმიერად იღებდა. ბოლოს და ბოლოს მაზრის მოხელეებსაც დაუმეგობრდა.

ხოლო იყო მაზრაში ერთი ზედამდეგი. ბერიკაცის მონახულება მოინადინა. სიბერემონვენულმა იუარა. არა და არაო. ხან რა მოიმიზეზა, ხან რა. არც ზედამდეგი იხევდა უკან. მავან ლი-ს შეუჩნდა – გამაცან, გამაცანიო.

ხანდაზმული უწინდებურად უარზე იდგა. ერთ წვეულებაზე მავან ლი-ს მიუცუცქდა. ყურში ძლივს გასაგონად უჩურჩულა: „არც კი უწყით, ზედამდეგი ეგე უწინ, წინარე ცხოვრებაში, ვირი იყო. ახლალა მიიღო სახე ადამიანისა. სულით ძალღია, ავი. ხოლო ხალხს კი განაგებს, მბრძანებლობს. არსებითად, ფულის გულისათვის რაგინდა რა უსჯულოებას არ ჩაიდენს, რა გინდა რას არ იკადრებს, ეგ შეჩვენებული, ეგ არამზადა, ეგა! ხოლო მე, დალაცათუნ ადამიანის მოდგმისა არ გახლავარ, მის ამფსონობას ვერიდები, თავს ვარიდებ მის აყოლას!“

ადგა მავანი ლი და ზედამდეგის თავიდან მოშორების, უარის, საბაბი მოიაზრა. ზედამდეგს უთხრა, ბებერი ეგე მელა თქვენი უზენაესი სიბრძნის შიშს შეუბყრიაო. ამა მიზეზთა გამოა თქვენთან შეხვედრას რომ გაურბის, უფროთხის, თავს არიდებსო. ზედამდეგმა ირწმუნა, დაიჯერა. აღარ დაუტანებია ძალა.

ამბავი ესე იყო მეთერთმეტე წელს. კანგსი-ს მეფეთმეფობის ყამს. ცინგ-ის მმართველობის ხანაში. შანსი-ს მხარეში, მართლაც, აირია მონასტერი. უბედურება ათასგვარი დატრიალდა. ამბობმა იფეთქა.

მელი-მაქციებს წინასწარმეტყველების უნარი მოსდგამთ, წინათგრძნობის ნიჭი, ჩანს, ბოძებული აქვთ, ჭემმარიტად.



## განმარტებანი

1. **ლიან-ი** — ოქროს, ვერცხლის წონის ერთეული = გირვანქის მეათედს, გირვანქა = 1/2 კგ

2. **ახალსახლობისათვის საბედნიერო დღე** — ჩინურ მთვარის კალენდარში ყოველ დღეს მითითებული აქვს თუ რისთვის, რა სახის საქმიანობისათვის არის ბედნიერი, ხელსაყრელი, ან კიდევ-თუ რას სჯობს არ მოეკიდოს კაცი. რომელი დღეა უიბლო, წარუმატებელი. ასე განსაჯეთ, დალაქთან მისვლის ბედნიერი დღეც კია მითითებული

3. **ცისქვეშეთი** — ჩინეთის ერთ-ერთი სახოვანი სახელწოდება. უწინ ჩინელები თავიანთ ქვეყანას ასე უწოდებდნენ

4. **ფორთომინი** — დიდებული, წარჩინებული გვარისა. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

5. **ხუსენ-ობას ვენიე** — ხუ ჩინურად მელი. მელი, რომელიც თვითსრულყოფის გზით, მრავალ გარდასახვა-გარდაქმნათა შედეგად ზეცის მკვიდრის, ხუსენ-ის საპატიო ხარისხსა და წოდებას მოიპოვებს

6. **დალაცათუ** — თუმცა. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი



## ატმის პარვა

### 偷桃

ყმანვილკაცობისას შანტუნგ-ის მაზრის მთავარ ქალაქს ჩავედი. გამოცდების ჩასაბარებლად წაველ. სწორედ ამ დროს გაზაფხულის დღესასწაული იდგა.<sup>1</sup> ძველ ადათისა და წესისაებრ წინდლით სხვადასხვა რიგის ვაჭარნი ფერად-ფერადი აბრე-შუმის ქსოვილითა რთავდნენ სართულებად აზიდულ ტახტრევანდთა მოაჯირებს. ბუკ-ნალარასა, ებანსა ჰბერავდნენ, დოლსა და დაფსა სცემდნენ. ეშურებოდნენ ქალაქის მთავარ იამენ-ისკენ<sup>2</sup>, გაზაფხულის დღესასწაულის მისალოცად. ამას იენ ჩუნ-ი<sup>3</sup> ერქვა. მეც მეგობრებთან ერთად მოდღესასწაულეთ, ხალხს უამრავს ავე-დევენე, ხალისით რომ მიედინებოდა.

იმ დღით მოსეირნე ურიცხვი იყო. ისე მიჯრით, ისე მიტმასნულნი იდგნენ, გე-გონებოდათ კედელი აშენებულაო. შანიშინზე<sup>4</sup> სუქურს<sup>5</sup> ქვეშ ოთხი მოხელე დაბ-რძანებულიყო. ოთხივენი მენამულ კაბა-ხალათებში გამოწყობილიყვნენ. ერთურ-თის საპირდაპიროდ, აღმოსავლეთსა და სამხრეთ მხარეს ისხდნენ. მაშინ ჯერ კიდევ ასაკმცირე ვიყავ, ვერ ვასხვავებდი, ვინ რომელი ხარისხის მოხელე ბრძან-დებოდა. გარემემო მხოლოდ ბრბოს ყურიაშული, დოლის ცემა, ბუკ-ნალარის ხმა გა-ისმოდა. აურზაური იდგა ისეთი, ყურთასმენა მიჰქონდა. უეცრივ გამოჩნდა ერთი ბერიკაცი. უკან ფეხდაფეხ მოსდევდა ბიჭი. ჩამოშლილი ჯალჯივით თმა თითქმის მხრებამდე უცემდა. ქედზე უღელი გაედო. პირდაპირ შანიშინს მიადგნენ. თითქო უბნობდნენ რალაცას, ხოლო გნიასი იდგა იმისთანა, ვერას გაიგონებდა კაცი. ისე კი მოჩანდა, შანიშინზე მსხდომთ სიცილი აუტყდათ. მერმე წვრილ მოხელემ ერთმა, თალხსამოსიანმა, მაღალი ხმითა ბრძანა — თამაშა, სანახაობა რამ გაგვიმართეთ. განკარგულების თანახმად ბებერი საქმეს შეუდგა. ხოლო უმაღ იკითხა: „რომელ თამაშას, თვალთმაქცობას რომელს ინებებთ?“ შანიშინს დაბრძანებულებმა ერთ-მანეთს ორიოდ სიტყვა გადაულაპარაკეს, ითათბირეს. იამენის წვრილ მოხელემ იკითხა, რომელი თავშესაქცევი, რომელი თამაშობა, რომელი სანახაობანი ხელ-გენიფებო. ბერიკაცმა მიუგო: „ძალმიძს წელიწადის ოთხივე დრო შემოვაბრუნო, ცოცხალ ბუნების ჩარხი უკულმა დავატრიალო, რომელი გინდა არსება გარდავქმ-ნა-გარდავსახო.“ წვრილ მოხელემ ნათქვამი უფროსობას მოახსენა. ცოტა ხანში ჩამობრუნდა, ბრძანა: „ატმის კრეფა გაითამაშე, წარმოგვიდგინეთ!“

შემაქცევარმა, გრძნეულობის მოქმედმა, თავი დაუკრა, დაეთანხმა. სამოსი გაიხადა. თავის გიდელს<sup>7</sup> გადააფინა. გამწყრალ-ნაწყენი სახე გაითამაშა, თქვა: „უკეთილშობილეს დიდებულთ არ გაეგებათ არსი ვითარებისა. ყინულს დნობა ჯერ არც კი შეჰპარვია. რარიგ შეიძლება ატამს მიაკვლიო? არ მოვიძიო-ვაი რომ დარ-ბაისელნი განვარისხო. რა ვქნა, რა ვიღონო!“ ვაჟიშვილი ეუბნება: „მამავ, რაკილა მიგიცია პირობა, გატეხა სიტყვისა რა საკადრისია?“ შემაქცევარს, მიმოსს<sup>8</sup> თავში ფიქრნი მოუგროვდა, ჩაფიქრდა. იფიქრა, იფიქრა. უბნობს: „კარგად მოვიაზრე. ჯერ კიდევ გაზაფხულის პირია. თოვლი ჯერ კიდევ ძევს. ატამს ამქვეყნად სად მოიძიებ? მხოლოდ ვანგმუ-ს<sup>9</sup> ბაღნარში თუ იპოება ახლა ატამი, იქ, სადაც მარად, წელიწადის ოთხივე დროს, არაფერი ქცნება. იქ, მხოლოდ იქ, ცაში თუ იპოვება ატა-მი ახლა. ვაგლახ, ზეციდან ატამს მხოლოდ პარვით წამოღება სჭირია.“

ვაჟიშვილი ეუბნება: „ჰოი! ზეცაში ასვლა რარისა! საფეხურებით ახვალ თუ როგორ?“ მამამ მიუგო: „მე მაქვს ხერხი ამისა.“ ესა თქვა, გახსნა გიდელი. ამოიღო დაგორგლებული თოკი, რამდენიმე ჭან-ის<sup>10</sup> სიგრძისა იქნებოდა. გორგალს თაური წვერი გამოარიდა. გორგალი ზეცაში ასტყორცნა. თოკი ჰაერში გაშეშდა, თითქო ჩამოეკიდაო. კაცი იფიქრებდა, იქ, მალლა, ზეცაში, უხილავ ხელს ჩაუჭერიაო. გორგალი სულ ზევით- ზევით მიიწევს. ბერიკაცი უყვირის: „შვილო, მოდი! დავბერებულვარ, დაბუნნი, უძლური, წელთა სიმრავლით უღონო შევიქენ. ზეცას აღსვლა აღარ ძალმიძს. ამ ერთხელ ჩემს ნაცვლად შენ ადი.“ თოკის წვერი ბიჭს მიუპყრა, თან დაურთო: „მაგრა დაიჭი, ჩაებლაუჭე თოკს. ჰე, ადი!“

ვაჟიშვილმა გამოართვა თოკი. თავგზააბნეულია, გაოგნებული. გამწყრალი უბნობს: „მამა სიბერით გამოჩერჩეტებულა. თოკი დაფსავით წვრილია, ხოლო მას ნებაავს ათი ათასი ჭან-ის სიმაღლეზე, ზეცაში ავცოცდე. ვაი თუ შუა გზად თოკი ჩამოწყდეს. ძირს თუ დავენარცხე, ძვლებსაც ვეღარ აკრეფს კაცი!“ ხოლო მამა ძალას ატანს, რისხვით მოითხოვს: „მე ხომ სიტყვა მიმიცია. ახლა გვიანლაა სინანული. შვილი უნდა შევანუხო, გავსარჯო. ნუ შიშობ, შვილო, ერთიც ვნახოთ მოიძიო ატამი. ას ოქროს გვინყალობებენ. აი, მაშინ კი შეგრთავ ქალს ლამაზს.“

რალა გზა იყო მეტი. ჩაეჭიდა ვაჟიშვილი თოკს. ზევით-ზევით მიძვრება. ფეხი ხელს მისდევს, ნამდვილ ობობასა ჰგავს, აბლაბუდის ქსელზე მცოცავს. მალლა და მალლა მიიწევს. გაჰქრა თვალთაგან. ღრუბლებში გაუჩინარდა.

გავიდა საკმაო დრო. ერთიც ვნახოთ ციდან მიწაზე ფიალისოდენა ერთი ტამი არ დაეცა! გაიხარა მოთამაშე კაცმა, მარიკელმა<sup>11</sup>. ორთავ ხელით უპყრია ატამი. მიართვა შანიშინზე დაბრძანებულთ. უფროსობა გულმოდგინედ აკვირდება, ათვალიერებს, მსჯელობს. ვერ გაუგიათ, ნამდვილია ატამი, იქნებ ყალბია.

უეცრად ციდან მიწაზე თოკი ჩამოვარდა. შემაქცევარმა, საკვირველებათა მოქმედმა კაცმა თავზარდაცემულმა შეჰყვირა: „ვაჰმე! მალლა, ზეცაში მავანს თოკი გადაუჭრია! რა ეშველება შვილს ჩემსას?“

გამოხდა ხანი. ციდან კვლავ რალაც დაეცა. რას ხედავენ, შემაქცევარის ვაჟიშვილის თავი არ ყოფილა! სათუთად აიტატა თავი შვილისა, მოსთქვამს: „როს მოჰქონდა ატამი პარვით, დარაჯს შეუნიშნავს. დამეღუპა შვილი!“

კვლავ გავიდა ხანი. ციდან მიწას ფეხი დაეხეთქა. კიდეც ცოტა და კიდურები, ასო-ასო სხეულისა, ერთიმეორეს ენარცხება.

სასონარკვეთილმა შემაქცევარმა, მიმოსმა, თავი მოუყარა ნანილებს გვამისა. სათითაოდ ჩაანყო გიდელში. დაახურა სარქველი. უბნობს: „ვაგლახმე! მოხუცს მარტოკა ეს ერთადერთი ვაჟიშვილი მყავდა. დღენიადაგ ხან ონოტოს<sup>12</sup> გავწევდით, ხან ნოტიას<sup>13</sup> მხარეს ვეშურებოდით. მთა-ბარად დავეხეტებოდით, ელი ვიყავით, ქოჩადმავალნი<sup>14</sup>. დღეს ბატონების ნებასურვილს მორჩილად დავყევ, ბრძანებას მივდიე მათსას. რას ვიფიქრებდი, ეგოდენი უბედურება დამატყდებოდა თავს! ზურგს უნდა მოვიკიდო, ნავილო, მიწას მივებარო, საფლავად დავდო.“

ესა თქვა, ავიდა შანიშინზე. დაემხო, მუხლმოდრეკით შეევედრა. უბნობს: „ატმის გულისათვის აგრერიგ უმონყალოდ მომიკლეს შვილი! ბატონებო, შემობრალეთ მე, უზადრუკი. მოიღეთ წყალობა. დასამარხი ფულით შემეწიეთ. გავა დრო და გარდაცვლილთა სულელები გარდაიხდიან დიდებულთა გულკეთილობის საფასურს.“

შანიშინზე დაბრძანებული მოხელენი დაიზაფრნენ, შიშმა შეიპყროთ. ყველამ

ინება ფული გაედო. საკვირველებათა მოქმედი, შემაქცევარი აგროვებს ფულს, ქამარში იტენის. გიდელს ხელსა სცემს, რაც ძალი და ღონე აქვს გაჰყვირის: „შვილო, პა-პარ!<sup>15</sup> რას უდგეხარ. გამო, გამოდი, დიდებულთ გასამრჯელოსათვის მადლი მოახსენე. ნუ ჰყოვნი! რაღას უდგეხარ?“

ანაზღად ერთმა თმაგანენილმა, თმააბურდულმა ყმანვილმა გიდელს სახურავი თავით აჰხადა, ამოძვრა. მოჰყვა ლივას მხარეს თაყვანისცემას. შეხედავ-შემაქცევარის ვაჟიშვილია, ჭეშმარიტად.

რაკილა თვალთმაქცობის ესე ილეთი უჩვეულოდ, დიდის იღუმალებით გათამაშდა, ფრიად უცნაურად, ამად იყო, მეხსიერებამ რომ შემომინახა, ხსოვნაში ღრმად ჩამებეჭდა. მერე და მერე გამეგონა, თეთრი ლოტოსის მწვალებელთ<sup>16</sup> ამგვარ თვალთმაქცობის გათამაშება ხელენიფებოდათ. ნუთუ ესეც შთამომავალი იყო მათი?

### **განმარტებანი**

**1. გაზაფხულის დღესასწაული** — სუნგ-ის ეპოქით (960-1279) დანყებული დედაქალაქში გამოცდები იმართებოდა გაზაფხულზე, ანუ ახალ წელს. ადგილობრივი გამოცდები ტარდებოდა შემოდგომით

**2. იამენ-ი** — სახელმწიფო დანესებულება, სადაც უძველესი დროით დანყებული გასამართლება, დასჯა და სხვა ღონისძიებანი იმართებოდა. დაახლოებით დღევანდელი სასამართლოსა და მერიის მსგავსი დანესებულება

**3. იენჩუნ-ი** — საგაზაფხულო წარმოდგენა. იმართებოდა საახალწლოდ. ახალი წელი ჩინეთში გაზაფხულზე დგებოდა

**4. შანიშინი** — მაღალი საჯდომი მეფეთა, დიდებულთა. დავით ჩუბინაშვილი ქართულ-რუსული ლექსიკონი

**5. სუქური** — საჩრდილობელი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**6. ჯალჯი** — მოკრეფილი ეკლის კონა. დავით ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი

**7. გიდელი** — სკივრი დაწნული. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**8. მიმოსი** — მოთამაშე კაცი, რომელი იქმს საკვირველებათა და ძნელებათა, არა გრძნებითა, არამედ ხელოვნებითა. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**9. ვანგმუ** — იგივე სივანგმუ, კაცობრიობის დედათა დედა, ზეცის დასავლეთ მხარეს რომ მარმარილოსა და ნეფრიტის სასახლეში, ულამაზესი ტბის პირად მყოფობს, სმენას უტკობს არამქვეყნიური გალობა, მარადიულ სიცოცხლეს ათასწლოვანი ატმის ნაყოფი უკვებავს

**10. ჭანგ-ი** — სიგრძის უძველესი ერთეული. ერთი ჭან-ი = დაახლოებით 2-3 მეტრს

**11. მარიკელი** — მისნობათა მოქმედი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**12. ონოტო** — სამხრეთი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**13. ნოტია, ლივია** — ორივე ჩრდილოეთია. სულხან-საბა ორბელიანი. ქართუ-

ლი ლექსიკონი

**14. ელი, ქოჩადმავალნი** — მომთაბარენი

**15. პა-პარ-** შემაქცევარის ვაჟიშვილის სახელი, სიტყვა-სიტყვით რიგით მერვე შვილსა ნიშნავს

**16. თეთრი ლოტოსის მწვალებელნი** — ბუდისტური რელიგიის დამკვიდრებასთან (არა უგვიანეს ჩვ. წ. I ს.) ერთად ჩინეთში გავრცელება დაიწყო სექტანტურმა მოძრაობამ. მათ XIII-XIV ს. მიჯნაზე მანჭურიელთა, მონღოლთა ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად, ანუ ცინ-ის დინასტიის ეპოქაში, ჩამოყალიბდა თეთრი ლოტოსის საიდუმლო სექტა, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა და ძლიერი გავლენითაც სარგებლობდა. სექტა ეყრდნობოდა ბუდისტურ მოძღვრებას. „თეთრი ლოტოსის“ მიმდევრები იბრძოდნენ მონღოლთა, მანჭურიელთა ბატონობის წინააღმდეგ, იყვნენ გლეხთა აჯანყებების სულისჩამდგმელნი. ამიტომ ხელისუფალთა მიერ სასტიკად იდევნებოდნენ, სიკვდილით ისჯებოდნენ





## ქალბატონი თუტი

# 土地夫人

წ'ჩუან-ის მახრამი სოფელია, ციანო ცუნ-ი. ერთმა იქაურმა კაცმა, სახელად ვან პინგ-მა, სოფლის გზას რომ ადგა, თვალთ თვისით იხილა, დედამინის ნაყოფიერების სულის თუტიე-ს ტაძრიდან რომ გამოვიდა მზეთუნახავი. ვან პინგ-ს დარბაის-ლური, ხოლო ვნებით აღვსილი მზერითა თან აედევნა. შეუძლებელიყო ცდუნებას ამას გამკლავებოდა კაცი. არც ვან პინგ-ი დაბნეულა. შეუნდა იგი ქალი. გარყვნილი სიტყვები დააყარა. გაეარშიყა. ჩანდა ქალს უამა, ესამოვნა. მყისიერად იფეთქა მათ შორის გზნებით შერწყმის ლირნმა წადილმა<sup>1</sup>, დაუცადებელმა გულისთქმამ. ხოლო ადგილი არ იყო შესაფერი. დათქვეს ღამის პაემანი. ვან პინგ-მა აუნყა თუ სადა ბინადრობდა.

ღამემ მოაწია. დახეთ, მზეთუნახავი მართლადაც ეწვია. შეხვედრამ დაჰბადა სიხარული ძლიერი. ვნებას, სიამეს არ უჩანდა ბოლო. ვან პინგ-მა გამოჰკითხა სახელი, გვარ-ტომობა. მზეთუნახავმა არა უპასუხა რა. შეხვედრებს მათსას არა ჰქონდა ბოლო. იყო შემთხვევები, ვან პინგ-ი თავის ცოლთან იყოფდა სარეცელს, მზეთუნახავი კი მაინც უცილობლად მოვიდოდა, დაჟინებით მოითხოვდა დავიურვოთო სიამტკბილე ვნებისა. ცოლმა მისმა კი ვერა რა შენიშნა, არც არა იგრძნო რა. ვან პინგ-ს ეს ყოველივე ეოცა. ჰკითხა მზეთუნახავს მიზეზი ყოველივე ამისა. მზეთუნახავმა მიუგო: „მე თუტიე-ს მეუღლე-ქალბატონი გახლავარ.“ ვან პინგ-ს გულში შიში ჩაუვარდა. მრავალგზის ეცადა ოინებისგან თავი დაეხსნა, ხოლო ქალბატონი ახირებული, დაჟინებული ბრძანდებოდა.

ასე და ამგვარად, ჩაიარა ნახევარმა წელიწადმა. ვან პინგ-ი დაძაბუნდა, შემძიმებული, სნეული შეიქნა. ქვეშაგებიდან ველარცა დგებოდა. მზეთუნახავმა კი მოსვლას მოუხშირა, ისე, უკვე ჯალაბობაც კი ხედავდა ხოლმე.

კვლავ გაიარა დრომ. ვან პინგ-ს ძალ-ლონე მთლადაც გამოეცალა, მოესწრაფა კიდევაც დღე. ხოლო მზეთუნახავი დღენიადაგ მოდიოდა და მოდიოდა. ვან პინგ-ის ცოლმა შეაჩვენა, გამოლანძლა, უთხრა: „ჰაი, შე გარყვნილო, ეშმაკის ნაშიერო, ურცხვო, ცოდვილო! კაცი მომკვდარა, შენ კი კვლავინდებურად მოეთრევი!“ მზეთუნახავმა ყურად ილო ნათქვამი, აღარ მოსულა მეტად.

მართალია, დედამინის სული-ერთი პანია სულია, მაგრამ მაინც ხომ წმინდანი ბრძანდება. მაშ რარიგ დართო ცოლს თვისას ნება გარყვნილებისა, დრანჯობისა<sup>2</sup>, უცხო მამაკაცს ადევნებისა? და თუკი სულელია, ნუთუ ეგ ზომ ძალიან?! გაუგებარია, ეგოდენ გახრწნილმა არსებამ რარიგად შეძლო, რომ გარყვნილებითა, ცოდვით დაცემითა თვისით, ათასობით წლების მერმეც დედამინის სულის წინდაუხედაობის ამბავი ხალხში თაობით თაობას სალაზღანდაროდ, სალაყბოდ გადასცემოდა. დასანანია, ქეშმარიტად!

## განმარტებანი

**თუტი** — დედამინის ნაყოფიერების ღმერთის, თუტიიე-ს მეუღლე. **თუ** – დედამინა, **ტი** — ნიადაგი

1. **ლირნი ნადილი** — დედათა მიმართ დაუცადებელი გულისთქმა, ხორცთა ბოროტება. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

2. **დრანჯობა** — ურცხვი არშიყობა, სიძვის მოყვრობა. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი



## ვაჭრის ვაჟიშვილი

賈儿



ხუპეი-ს მაზრაში იყო ერთი ბერიკაცი. უცხო ადგილებში ვაჭრობას მისდევდა. ცოლს მისას შინ მარტო ყოფნა უნევდა. ერთხელაც ცოლს ესიზმრა, ვითომც უცხო მამაკაცთან წევს, ნებივრობს, ესიყვარულებიან ერთურთს. ხელი გაინოდა, შეეხო, დააცქერდა. ერთი ჩია, პატარა მამაკაცი, კაცუნა რამ ყოფილა. თითქო არც იყო ადამიანი. ფიქრად გაივლო, იმგვარი

აქვს ნაკვთი ყოველი, ადამიანებს რომ არ მოსდგამთ. მელი-მაქცია იქნება, უეჭველიაო. ერთიც ვნახოთ, მელი-მაქცია სარეცელიდან გადმობრძანდა, ნავიდა. არც გაულია კარი, ისე გაქრა, გაუჩინარდა.

სალამო ჟამს ქალმა მზარეულ ქალს უხმო. მოდი, ჩემთან ერთად, ჩემს ახლოს დანექ-დაიძინეო. ჰყავდა ქალს ვაჟიშვილი. ის-ის იყო ათი წლის ასაკისა შესრულებულიყო. ჩვეულებისაებრ ცალკე საწოლში ეძინა ხოლმე. იმ დღით მასაც მოუხმო.

მოშუაღამებული იყო. ბიჭმა და მზარეულმა ღრმა ძილით დაიძინეს. დახე, მელი-მაქცია კვლავ მობრძანდა. ქალბატონი ძილში გაუგებრდა ლაშ-ლაშებს<sup>1</sup>, ბუტბუტებს. მოახლეს გამოელვოდა, ქალს შეუძახა. მელი იმავ წამს გაეცალა იქაურობას.

მას აქეთ ქალს გონება აერია, ჭკუანაკლი შეიქნა. მთელ დღეს ბორიალებდა, უაზროდ მიმოიძვროდა, თითქო რალაც დაკარგაო. ღამით, ღამპარი თუკი ჩაქრებოდა-დაძინებას იშიშოდა. ვაჟიშვილიცა და მოახლეც მჯდომარენი თვლემდნენ, კედელს მიყრდნობილნი.

ერთხელაც გამოილიძეს. ხედავენ, ქალი არსადა ჩანს. იფიქრეს, საჭიროების ადგილს გავიდოდა, მოსაშარდადო. დაბრუნებას ვერ იქნა, ვერ ეღირსნენ. ბოლოს და ბოლოს შეეჭვდნენ. მოახლე შეშინდა, გარეთ, ეზოში საძებრად გასვლა შიშით იუარა. ბიჭმა ხელთ იპყრა ღამპარი, მარტოდმარტომ გაიარა კარი. აქეთ მიანათა, იქეთ. სხვა ოთახს შევიდა. რას ხედავს მისი თვალები-დედა შიშველ-ტიტველი ნამოდლარძულა, ბრიყვულად წამოგორებულა. ბიჭი მიუახლოვდა. წამოსაყენებლად გაუნოდა დედას ხელი. დედა, ურცხვად გაშხლართული, უარზეა, უკან-უკან იხევს. აზრადაც არ მოსდის დაიმორცხვოს. მერე და მერე მთლადაც ჭკუიდან შეირყა. წიოდა-კიოდა, ტიროდა-მოთქვამდა. ხან იმღერდა, ხან ყვიროდა, იგინებოდა, ილანძლებოდა. ღამლამობით ჯალაბობასთან, არც ვინმესთან ერთად ძილი, ჩანდა, მოიძაგა. ვაჟიშვილს უბრძანა სხვა საწოლში დანექ-დაიძინეო. მოახლეც განაძევა.

ყმანვილს ღამლამობით მოესმოდა დედის მხიარული მუსაიფი, სიცილი-კისკისი. ზე წამოხტებოდა, ხელთ აღიპყრობდა ღამპარს. მიდიოდა, ვნახო ერთი, რა ამბავია, რა ხდებაო. დედა წყრებოდა. შვილსა ღანძლავდა, თათხავდა. ყმანვილი არად აგდებდა, ყურად არ იხვევდა. ყველას საქებელი შეიქნა. უბნობდნენ, პატარა ბიჭი

ეგე რარიგ გულადი, შეუპოვარი, გაბედულიაო.

ამა ამბის მერმე ბიჭი მთლადაც ხელიდან წავიდა. დღენიადაც თამაშს უნდებოდა. კალატოზთა ბაძვით ქვითა თუ აგურით კარ-ფანჯრის ამოშენება იწყო. შენიშვნებზე ყურსაც არ იბერტყავდა, არავის უჯერებდა. ვინმე თუნდ ერთ აგურს ხელს ახლებდა, წუთი-ერთ ძირს დაეცემოდა, მინაზე გაგორდებოდა, ჭირვეულ ტირილს გააბამდა, ღრიანცელს მორთავდა. კაციშვილს ვერ გაებედა წყენა მისი, თითსაც ვერ აკარებდნენ.

დახეთ, რამდენიმე დღეში ბიჭმა ორი სარკმელი მკვიდრად ამოქოლა. სხივი სინათლისა ერთი ციდა ვერ შეაღწევდა ოთახში. ჩარჩო ფანჯრისა, ჭუჭრუტანები, თიხით შელესა. მთელ დღეს ფუსფუსებდა თავჩალუნული. არა შრომას, არა დაღლას არ ეპუებოდა.

საქმე ესე რომ დაასრულა, აღარ უწყოდა, კიდეც რას მოჰკიდებოდა. ახლა სამზარეულოს დიდი დანის<sup>2</sup> ლესვას შეუდგა. ლესა და ლესა. ამის შემყურე ყველამ მოიძულა ბიჭი. არც აღარაფრად აგდებდნენ. ხელი ჩაიქნიეს, ლამის ადამიანად აღარცა სცნობდნენ.

ერთხელ, შუალამით ბიჭმა დანა უბეში ჩამალა. ხელთ იპყრა ლამპარი. ჩამოაცვა ზედ ხაპი გოგრისა. მოლოდინი დაიჭირა. როგორც კი დედამ ძილში ლულლული წამოიწყო, ბიჭმა მყისიერად მოაშორა ლამპარს გოგრა. იქაურობას შუქი მოჰფინა, გაანათა. ჩადგა კარში. რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიყვირა. უცნაური დიდხანს არაფერი გამოჩენილა. სიჩუმე სუფევდა. მაშინ ბიჭი დაშორდა კარს. მაღალი, როყიო ხმით დაიქადა, ყოველ ადგილს დავძებნი, თითოეულ კუთხე-კუნჭულს გავჩხრეკ, მივათვალიერ-მოვათვალიერებო. თავი მოაჩვენა, ითვალთმაქცა, ვითამც ვეძებ, ვათვალიერებ აქაურობასაო. გავალ მოსაშარდადო.

ანაზღად უცნაურმა არსებამ, კატუნის<sup>3</sup> მსგავსმა, კარისაკენ ისკუპა, გაიელვა. ბიჭმა მყისეულად იშიშვლა დანა ბასრი. თავგამეტებით, ღონივრად მოიქნია. დანამ გაიპრიალა ჰაერში. ხოლო კუდს მისას წასწვდა ოდენ. ხელში შერჩა კუდის წანაკვეთი. იქნებოდა ორი-სამი ცუნ-ის<sup>4</sup> სიგრძისა. ალისფერი სისხლი ჩამონვეთდა.

თავდაპირველად, ბიჭმა ლამპარი რომ აანთო, დედა მაშინვე განყრა, ლანძღვა დაუნყო. ბიჭმა არად ჩააგდო. გეგონება არცა სმენოდა რა. მიხვდა, ვერ მოსპო და გააქრო ნასახი ბილწის მელი-მაქციისა. დაღონდა მეტად. ხოლო რაღას გაანყობდა. დანვა, დაიძინა. გულს იკეთებდა, თუმცკი საძულველი არსება ესე ვერ მოვკალ, ხოლო ჭკუა ხომ მაინც ვასწავლე, ვინძლო თავი გვანებოს, აქ აღარ გამოჩნდესო.

იცისკრა. ხედავს ბიჭი, სისხლის კვალი კედელს აღწევს. კედელშიაც გაუჟონავს. დაადგა კვალს სისხლისა. კვალი ხ'-ს ოჯახის მტილისაკენ<sup>5</sup> მიდის.

დაღამდა. მელი-მაქცია მართლაც აღარ მობრძანებულა. ბიჭმა გულით გაიხარა. ხოლო დედა კვლავინდებურად ურცხვად გამოტილა, მკვდარსავით გაფშეკილა.

ადრე და მალე ოჯახის მამა შინ დაბრუნდა. ცოლის სარეცელს მიეახლა. გულითადად მიესალმა. გამოიკითხა ამბავი. ქალი გონდაკარგულია, არა ეყურება რა. ლანძღვა-გინებით იკლებს იქაურობას, გეგონებათ, თვალწინ არათუ ქმარი, მტერი მოსისხლე უდგასო. ვაჟიშვილმა მამილოს მიუთხრა ყოველი წვრილ-წვრილად. აღუწერა რაც მოხდა, როგორც მოხდა. ბერიკაცს ელდა ეცა, გულში შიში ჩაუდგა. მოიწვია მკურნალი, აქიმი. წამალი მიართვა. ქალს წამალი არ ეპრიანა, გადაანთხია, იფურთხება. კვლავინდებურად აყალმაყალი ატეხა, ილანძღება უშვერი სიტყვე-

ბით. ბერიკაცმა თხიერი წამალი წყალს მდუღარეს შეუნელა, დიდის გაჭირვებით შეასვა.

ქალი თანდისთანაობით, ვაი-ვაგლახით ჩანყნარდა, დაყურდა. მამამაც და შვილმაც, ორთავემ გაიხარა.

ერთ ღამით მამამ და ვაჟმა გამოიღვიძეს. ქალი არა ჩანს. ეძებეს. კვლავ სხვა ოთახში მიაგნეს. ამ ღამის მერე კვლავ შეიშალა ჭკუიდან. ქმარი მოიძაგა. დანახვაც არ სურს. მასთან დაწოლა ხომ რაღა სათქმელია. ღამე მოაწევს თუ არა, სხვა ალაგას გარბის. უკან მიათრევენ. იგი ილანძღება. მეტად და მეტად ჩხუბობს, გაანჩხლებულა. ბერიკაცმა სხვა ველარა იღონა, აიღო და ყველა ოთახის კარს ბოქლომი დაადო, ჩაკეტა. ხოლო ქალი, როგორც კი მიუახლოვდება — კარი თავისთავად იღება.

დაღონდა მოხუცი, მჭმუნვარეა, აზრშეხუთვილი. უმჯობესადა სცნო ჯადოს ნინააღმდეგ წამლის ძეხნას შესდგომოდა. მელის განსადევნად შესალოცსაც მიმართა, ჯადო-მისანსაც. იღონა ყველა ხერხი, რაც რამ შესაძლო იყო. ვერაფერმა გაჭრა.

ერთ დღეს, მწუხრის ბინდბუნდი რომ ჩამოწვა, ბიჭი, უჩუმრად შეიპარა ხ'-ს ოჯახის ბაღნარში. ბუჩქნარში, ბალახ-ბულახში დაინაბა, გაიტრუნა. მელი-მაქციას დაუდარაჯდა. ვნახო ერთი თუ სად ბინადრობს. ვინძლო კვალს მისას მივაგნო. ცამონმენდილზე რომ ამოცურდა მთვარე, უეცრივ ხმები რამ შემოესმა, საუბარი. ბიჭმა გასწი-გამოსწია რტოები, მიმოავლო დაკვირვებული თვალი იქაურობას. ხედავს: ორნი მინაზე ინახითა სხედან. ღვინოს მიირთმევენ. თანა აძთ გრძელწვეროსანი თანამხლებელი, მსახური ერთი. სურა აღუპყრია, ღვინოს უსხამს. ტანს მუქი, დარიჩინისფერი სამოსი აცვიათ. საუბარია ჩუმი, ჩურჩულებენ. სიტყვას ვერას გაიგონებს კაცი.

დაყოვნდა ხანი. ესმა, მათგან ერთი უბნობს: „ხვალ შეიძლებოდა წასვლა, ერთი ბოთლი თეთრი სასმელის მოტანა!“ ორთავენი მაშინვე გაიკრიფნენ იქიდან. ერთი გრძელწვერონი მსახურიღა დარჩა მარტოდმარტო. მსახურმა ტანთ გაიხადა. იქვე, ბაღნარში, ქვებზე მიწვა. ბიჭი ყურადღებით აკვირდება. გულმოდგინებით უტყერს. ხედავს, კიდური ოთხივე ადამიანისებური აქვს. ხელ-ფეხი კაცისა ასხია. ხოლო უკან კუდი დაჰკიდებია. ბიჭმა შინ დაბრუნება იზრახა. თუმცკი შეშინდა. ფიქრად გაივლო, უცაბედად გამოვალვიძებ მსახურს, შემნიშნავსო. ასე და ასე ვითარად მთელს ღამეს ბალახოვანში ყოყდა, მუხლაშვერით იყო მჯდომარე, ჩაცუცქულმა გაათენა. ჯერ არც ეცისკრა, ბიჭს კვლავ შემოესმა, ორნი რომ ბრუნდებიან. ერთიმეორეს მოსდევენ. საუბრობენ ბუტბუტით. ბამბუკის კორომში<sup>6</sup> შევიდნენ. თვალს მიეფარნენ, უჩინო იქმნენ.

ბიჭი შინ დაბრუნდა. მოხუცი მამა ჰკითხავს: „ჰოიმე! მთელს ღამეს სად იყავ და კარგული?“ მიუგო: „უფროსი ბიძის სახლში მეძინა.“

ერთხელ ბიჭი მამასთან ერთად ბაზარში მიდის. ხედავს, მეჭონის ქულბაქში<sup>7</sup> მელიის კუდი გამოუფენიათ გასასყიდად. აუტყდა ბიჭი მამას, მინდა და მინდა კუდი მელიისა. მიყიდე და მიყიდეო. მამა არაა თანახმა. ბიჭი კაბა-ხალათის კალთებს ეჯავჯგურება, ჟინიანობს, ტირის, ჯიუტობს. აღარ ინდომა მამამ განზილება შვილისა, ინათრა უარი. ბოლოს და ბოლოს უყიდა მელიას კუდი ესე.

ვიდრე მამა ბაზარში ვაჭრობდა, ბიჭი იქვე, შორიხლო, თამაშით იქცევდა თავს.



ითამაშა, ითამაშა, დრო იხელთა, მამა რომ ვერა ხედავდა და ჩუმჩუმად ასნაპნა ფული. გაიქცა. ჯერ იყო და ერთი ბოთლი თეთრი სასმელი იყიდა. ფარდულის ლავ-გარდანს ქვეშ დააბინავა.

ბიძია ჰყავდა ერთი, დედის ძმა. იქვე, ქალაქში ცხოვრობდა. მონადირეობით ირჩენდა თავს. ბიჭმა ბიძიას მიაშურა. ბიძია იმხანად წასულიყო, შინ არ დაუხვდა. ძალუამ<sup>8</sup>, ბიჭის დედა მოიკითხა. ბიჭმა მიუგო: „ამ დღეებში თავს უკედა გრძნობს. ხოლო ვაი რომ უბედურება დაგვატყდა. ვირთხებმა დაუგლიჯეს ტანისამოსი. გააბრაზეს. ტირილით იკლავს თავს. ამადაც იყო გამომგზავნა. შემოგიტვალათ თხოვნა, ცხოველთ სანამლავი გამატანოთ.“

ძალუამ სკივრს ახადა სახურავი. აუნონა სანამლავი ერთი ცენ-ი<sup>9</sup>. შეუფუთა, მიუპყრა. ბიჭს ეცოტავა მეტად. ბიცოლა გავიდა. ნიაოდ'-ის<sup>10</sup> შეხვევას მიჰყო ხელი. ბიჭმა დრო იხელთა, ოთახში რომ არავინ დაიგულა. პარკს, გარეულ ცხოველთ სანამლავი რომ ინახებოდა, პირი მოხსნა, ამოიღო ერთი მუჭა, ჯიბე-უბეში შეინახა. მიირბინა ძალუასთან. შეეხვეწა, ნუ შეწუხდებით, ნუ ინებებთ სადილი მომიმზადოთო. თქვა: „მამა ბაზარში მელოდება. ველარ მოვანრებ სადილობას.“ ესა თქვა, ნავიდა.

მივიდა. აილო ფარდულის ლავგარდანსქვეშ შენახული ღვინო. ნაპარავი სანამლავი, რაც ჰქონდა, მთლიანად, ნამალავად შეურია ნაყიდ სასმელს. ბაზრის რიგებს, დახლებს შორის აქეთ და იქეთ აიარ-ჩაიარა, ჩაისეირნ-ჩამოისეირნა, რომ იტყვიან, აღმოსავლეთს წარონინდა, დასავლეთს ნაეხეცა. ოდენ მოსალამოვებულს დაბრუნდა შინ. ჰკითხა მშობელმა, სად იყავი მთელ დღესო. იცრუა — ბიძიას ოჯახში გახლდითო.

მას აქეთ ბიჭი დღენიადაგ ქულბაქებსა, დუქნებში, ბაზრის რიგებში ტრიალებდა, მიდ-მოდიოდა. ერთხელაც გაიარა შუა ბაზარი, თვალი მოჰკრა, გრძელწვეროსანი მსახური ხალხში დაიარება. ბრბოს შეერია. ბიჭმა დაარჭო თვალის ისარი. დაჟინებით დააკვირდა. ჩუმჩუმად აედევნა. დაიგულა ხელსაყრელი ნუთი, გამოესაუბრა. გამოჰკითხა თუ სად ბინადრობდა წვეროსანი. მსახურმა მიუგო: „ნოტია<sup>11</sup> მხარეს დაბაში.“ იქვე შეუბრუნა კითხვა. ბიჭის სადაურობა გამოიძია. ბიჭმა იცრუა: „მღვიმეში ვცხოვრობ, მთის გამოქვაბულში.“ მსახურმა, გრძელწვეროსანმა, იკვირვა, მღვიმეში რარიგადაო. ბიჭმა სიცილით მიუგო: „წინაპრებს ჩემსას, თაობით თაობაში, გამოქვაბულში ედოთ ბინა. განა თქვენც კი არა?“ მსახურმა კიდევ მეტად იოცა. ბიჭს სახელ-გვარს ჩაეძია. ბავშვი უბნობს: „მავანი ხუ-ს<sup>12</sup> გვარის შთამომავალი გახლავართ. ხოლო, ვგონებ, უწინ მინახიხართ კიდევაც სადღაც. ორ ახალგაზრდა ბატონს თან ახლდით. დაგავინყდათ ნუთუ?“ მსახურმა ბავშვს დაჟინებული მზერა დაასო. სიტყვათა მისთა სარწმუნოობა კიდევ ირწმუნა, კიდევაც იეჭვა. ბავშვმა კაბა-ხალათის კალთა ფრთხილად გადასწია. ყალბი მელიის კუდის წვერი ძლივ-ძლივ გამოაჩინა, თან დაურთო: „ნაშიერი ჩვენი ჯურისა შეერია ადამიანთა მოდგმას. ან ამ ფარაში ვცხოვრობთ. ხოლო აი ამას რაღა ვუყვით, ესოდენ საძულველი, ესოდენ წყეული, ვერ იქნა, ვერ მოვიშორეთ. რაოდენ სანუხარია!“ მსახურმა კვლავა ჰკითხა: „აქ, ბაზრობაზე რაღასა იქმ?“ ბიჭმა მიუგო: „მამამ დამავალა სასმელის სყიდვა.“ მსახურმა უამბო, მასაც თუ რომ ევალეობდა სასმელის სყიდვა. ბავშვმა ჰკითხა: „იყიდეთ უკვე?“ მსახურმა უპასუხა: „ჩვენ, ძმანი ლარიბ-ლატაკნი გახლავართ მეტად. უფრო მოხშირებით პარვითა ვშოულობთ, ვქურდობთ“. ბიჭი

დაემონმა, თანაუგრძნო: „საქმიანობა ერთობ ძნელი გაძევთ კისრად. რაოდენ სამძიმოა დღენიადაგ გიპყრობდეთ შიში.“ მსახურმა კვერი დაუკრა: „პატრონნი ჩემნი მიბრძანებენ, სხვა რაღა გზა დამრჩენია.“ ბიჭმა იხელთა დრო, ჰკითხავს: „პატრონნი ვინლა ბრძანდებიან?“ მსახურმა მიუგო: „ისინი, შენც რომ გინახავს ამას წინათ. ორნი ყმანვილკაცნი, ძმანი. ერთს მათგანს გონება დაჰბნელებია. ქალაქის ნოტია მხარეს ბინადარის, მავანი ვან-ის ოჯახის სძლის ვნებით იქნა წარტაცებული, თავი მთლადაც დაუკარგავს. მეორე ძმას ქალაქის აღმოსავლეთ დაბაში სძინავს ხოლმე, მავანი ბერიკაცის სახლში. ჰყავს ბერიკაცს იმას ერთი ანცი რამ, ონავარი ვაჟიშვილი. ბატონს ჩემსას კუდი ნაჰკვეთა. ათი დღე გაილია, ვიდრე ჭრილობა შეუხორცდებოდა. ახლა კვლავ იწყო იმ სახლში მიმოსვლა.“ ესა თქვა, წასვლა დააპირა. ბიჭს გამოეთხოვა, თან სიტყვა დაუგდო: „მეტად ველარ შევყოვნდები. საქმენი მაქვს მოსასწრები დროულად!“ ბიჭი ეუბნება: „სასმელის პარვა როდია იოლი. ყიდვა უფრო ადვილი არაა განა? მე უკვე ვიყიდე ბოთლი ერთი, სირაჯხანაში მაქვს გადამალული. მოდი, გიბოძებ, გაჩუქებ. ჯიბეში დამრჩენია კიდევ ფული ცოტაოდენი. არ მიჭირს ხელახლა მოვივაჭრო, კიდევ ვიყიდო ერთი ბოთლი.“ მსახური შენუხდა, არაფერი რომ არ გააჩნდა, მაღლის მისაგებად, სამადლობელად. ბიჭი უბნობს: „რა ბრძანებაა! ჩვენ ხომ ერთი მოდგმისანი, ერთი ჯიშისა და ჯილაგისანი ვართ. დანვრილმანება ესე გვიღირს განა? უკეთუ დრო გექნათ თავისუფალი, მიგინვევდით კიდევაც, ერთს გვარიანად დავლევდით!“ მსახური გაჰყვა. მივიდნენ სირაჯხანას. ბიჭმა უბოძა ბოთლი სასმელისა. თვითონ შინ გაბრუნდა.

გატყდა ღამე. ბიჭის დედას მოულოდნელად მშვიდად ეძინა. არსაით გარბოდა. ბიჭი გუმანით მიხვდა მიზეზს ვითარებისა ამის. მშობელს უამბო როგორც იყო ეგე ამბავი. ორივემ ხ'-ს ოჯახის მტილს მიაშურეს, მივხედ-მოვხედოთ ერთი იქაურობას. ხედავენ, ფანჩატურში ორი მკვდარი მელა მიგდებულა! მესამეც იქვეა, შორიახლოს, ბალახ-ბულახში ჩაძალღებულა. დინგი მწვეტიანიდან წვრილ ნაკადად სისხლი სდის. იქვე ბოთლიცა გდია. აიღო, შეანჯღრია. ფსკერზე დარჩენილიყო სითხე ცოტაოდენი. მშობელმა დიდად გაიკვირვა, ბიჭსა ჰკითხავს: „ყოველივე უფრო ადრე რად არ მიაბე?“ ბიჭმა მიუგო: „მელა ყველაზედ მგრძნობიარე არსება გახლავს. თუნდც ერთი ბენო ამბავმა გაჟონოს, მყის მიგხვდებიან, ალღოს ააღებენ უმალ.“ ძლიერ გაიხარა ბერიკაცმა, უბნობს: „შვილო ჩემო, მელის წინააღმდეგ ბრძოლაში, მელი-მაქციებზე ალყის შემორტყემაში სარდალი ყოფილხარ წმინდა წყლის. ჩენ ფინგ-ი<sup>13</sup> ბრძანდები, ჭეშმარიტად!“

ასე და ესე ვითარად მამა-შვილმა მელი-მაქციათა მძორი კეტს გადაჰკიდეს, შინ წაიღეს. გულდაგულ დაათვალიერეს, გასინჯეს ლეში. ხედავენ, ერთს კუდი მოკვეცილი აქვს. ნაწიბურიც, ახალშეხორცებული ნაჭრილობევი, ატყვია აშკარად. ამა ამბის შემდეგ ბერიკაცის ოჯახში მშვიდობა დაემკვიდრა. ხოლო ცოლი სნეულებამ ჩამოაჭვნო, მოტყდა. თუმცკი მოვიდა ცნობას, გამოერკვა, გონება საღი შეექნა, ხოლო შემორჩა ხველა. ხველა აღრჩობდა. თასით შენგ-ობით<sup>14</sup> გაჰქონდათ, ნახველს იმდენს ამოანთხევდა. მალე სულიც განუტევა.

ქალაქის ჩრდილო უბანში, ვანგ-ის ოჯახის სძალი დიდხანს იყო ახალგაზრდა მელი-მაქციას ხიბლით შებორკილი. რომ გაიკითხ-გამოიკითხეს, შეიტყეს, მელი-მაქციას კვალიც გამქრალიყო თვალთაგან. ქალი მალე გამომჯობინდა, განიხიბლა.

ბერიკაცმა ვაჟიშვილი მეტად დააფასა, ვითარცა განძი უძვირფასესი. ცხენით ჯირითი დაასწავლა, მშვილდოსნობაც. ბიჭი გაიზარდა. დადგა საჩინო კაცი. სახელ- განთქმული მოხელეც შეიქნა. სპასპეტობას<sup>15</sup> ენია.

### განმარტებანი

1. **ლაშ-ლაში** — ცუდად საუბარი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

2. **სამზარეულოს დანა** — ჩინური სამზარეულოს დანა ოთხკუთხი მოყვანილობისაა, მძიმეა, ბასრი, მოკლეთარიანი

3. **კატუნი** — ველური კატა. ნიკო ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი

4. **ცუნ-ი** — ჩინური უძველესი სიგრძის საზომი ერთეული = 2,3-2,5 სმ.

5. **მტილი** — ბალი. დავით ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი

6. **კორომი** — ხენი ჯგუფად მდგარნი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

7. **მეჭონის ქულბაქი** — ქუდების მაღაზია

8. **ძალუა** — ბიძის ცოლი

9. **ცენ-ი** — ჩინური წონის ერთეული=დაახლ. 400 გრ.

10. **ნიაო'ძ** — ცომში გახვეული დაკეპილი ხორცი. ხინკალზე უფრო მცირე ზომის, პელმენის მსგავსი

11. **ნოტია** — ჩრდილოეთი

12. **ხუ** — ეს სიტყვა მელი-მაქციასაც ნიშნავს და ამავდროულად გვარიც არის. ეს ორი სიტყვა, მართალია, გამოითქმის ერთნირად, მაგრამ ინერება სხვადასხვა იეროგლიფით. ხოლო მელი-მაქციებს მოიხსენიებენ გვარით ხუ. **მელი, მელა**, ოთხფეხი, ცხოველი. მელა კნინობითია. დავით ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი


13. **ჩენ ფინგ-ი** — უძველესი ჩინური ეპოსის გმირი. ხან-ის დინასტიის (ძვ.წ. III ს. ახ.წ. III ს.) პირველი ხელმწიფის მრჩეველი და მხედართმთავარი. სახელი გაითქვა სიბრძნით, ეშმაკობითა და მზაკვრული საქმეებით. ხოტბა ესხმება ჩინურ ლეგენდებსა და მითებში

14. **შენგ-ი, შენგ-ობით გაჰქონდათ** — ჩინური თხიერი წონის, მოცულობის ერთეული. ერთ ლიტრს აღემატება

15. **სპასპეტი** — მხედართმთავარი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი



# 夜叉国



კუანსი-ს მაზრის ქალაქ წიაოჭოუ-ში იყო ერთი კაცი, გვარად სიუი.

ზღვებზე მიდ-მოდიოდა. ვაჭრობას მისდევდა. ერთხელ, უეცრად, ხომალდი მისი ქარიშხალმა გაიტაცა. ცნობას რომ მოვიდა, თვალი რომ აახილა, ხედავს, ამოუყვია თავი ადგილს, გარეშემო მწვანით შემოსილი მთები რომ მოსჯროდნენ. იმედოვნებდა, ხალხით იქნებოდა არემარე დასახლებული. ნავი ნაპირს მიაბა. ხმელეთს გადავიდა. საგზალი, გზის საზრდო რამ ხმელი წაიყოლა. ის-ის იყო მიადგა მთის კალთას, ხედავს, სამხრეთ მხარეს, ნაპირზე, კლდეებია, მღვიმეებით გავსილი. მღვიმეა ისე მრავალი, გეგონება ფიჭააო. შორით ხმები რამ გაისმის. გამოქვაბულთა წინ შედგა. ხედავს-ქაჯებს გაუესიათ იქაურობა, ბევრად-ბევრნი არიან. წყვილ-წყვილ ეშვს აღრჭენენ. თვალეები უელავთ, ვითარცა ანთებული ფარნები. კლანჭებით უმ ხორცსა გლეჯენ ირმისას. შთანთქავენ. შიშით ლამის იყო სული განუტევა, გული გაეპარა. თავს ვუშველო, გავეცალო აქაურობას, გავიქცე საჩქაროდო, გაურბინა თავში. ხოლო ქაჯებს უკვე მოეკრათ თვალი, შეუნიშნავთ. დააპირეს წაეთრიათ, შეესანსლათ. ორი ქაჯი ერთიმეორესთან რალაცას უბნობს, ლაპარაკობენ. ფრინველთ სტვენას, ნადირთ ღრენასა ჰგავს საუბარი მათი. მიათრევენ, ეწვეიან სიუი-ს ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. ლამისაა გაგლიჯონ. ვერ გაუყვიათ სათქვლეფი. სიუი-მ, შიშნაჭამმა, ტოპრაკიდან ამოიღო პური ხმელი, ნაჭერი შებოლილი ძროხის ხორცისა, გაუნოდა, მიართვა. გაიყვეს, გადაყლაპეს. ჩანდა, მოენონათ. იწყეს ტოპრაკში ფათური. სიუი ხელებს იქნევს, ანიშნებს -ალარაფერიაო. ქაჯებს გული მოუვიდათ. გაბრაზდნენ. კვლავ უმოწყალოდ ეძიძგილავებიან. სიუი ევედრება, სანყალობლად უბნობს: „გამიშვით, ნავში კარდალა<sup>2</sup> მაქვს ერთი, შევუძლებ კერძი რამ მოგიმზადოთ.“ ქაჯებს მისი არ ეყურებათ, არც არა გაეგებათ რა. მრისხანებენ. სიუი ახლა ხელებით, რაც რამ უნარი შესწევს, ანიშნებს. თითქო შეაგონა კიდეც. ერთად გასწიეს ნავისაკენ. წამოილეს ჭურჭელი. გამოქვაბულს გამობრუნდნენ. სი-

უი-მ შეაგროვა ფიჩხი. ცეცხლი გააჩალა. მოხარშა მონარჩენი ხორცი ირმისა. კერძი მზა რომ შეიქნა, მიართვა. არსებამ ორმა გაიხარა.

დალამდა. მღვიმის შესასვლელი ლოდით უზარმაზარით დაქოლეს. თითქო შიშობდნენ, სიუი არ გაგვეპაროსო. სიუი მიგდებულა კუთხე-კუნჭულში. გალურსულა. გაყურებულა. მოკუნტულა. აუნერელ შიშს შეუპყრია. შვება არა აქვს ნუთით.

როს იცისკრა, ორივე არსებამ დატოვა მღვიმე. შესასვლელს კვლავაც ლოდი ვეებერთელა ააყუდეს. გამოხდა ხანი. ნანადირევი ირმით დაბრუნდნენ. სიუი-ს მიუპყრეს დავლა. გაატყავა. მღვიმეში წყალი მოჟონავდა. მოაგროვა. კერძი რამდენიმე ქვაბუკაში მოხარშა. არ გასულა დიდი დრო, იქაურობას მოაწყდა ქაჯთა ხროვა. ჩახეთქეს. ერთთავად ქვაბუკას მიუთითებენ. მეტად პატარააო. ჰყვედრიან.

გავიდა დღე სამი თუ ოთხი. ქაჯმა ზურგმოკიდებული უშველებელი ქვაბი მოათრია. ადამიანი რომ ხმარობს, იმის გვარი. ქვაბში ქაჯმა თითოეულმა ირმის ხორცი ჩააგდო. მზა რომ შეიქნა, სიუი-ს უხმეს, მოდი, ჩვენთან ერთად შენცა ჭამეო.

ასე და ასევეთარად, ერთობლივ ცხოვრებაში განვლო რამდენიმე დღემ. იეჩა-ს ქაჯნი თითქო შეეჩვივნენ სიუი-ს, იგუეს. წასვლისას აღარ ჰქოლავდნენ მღვიმეს. შინაურსავით ეპყრობოდნენ. სიუი-ც თანდისთანაობით ალლოს უღებდა მიზნებს მათსას, მიუხვდებოდა ხოლმე ზრახვას. მერე და მერე მათ ზნე-ჩვეულებათა ბაძვა იწყო. ეცადა ენაც მათი დაესწავლა. ხარობდნენ ქაჯნი.

ერთხელაც მოათრიეს ქაჯი ერთი. ძუ იყო. ძუ სიუი-ს ცოლობას დაყაბულებულიყო. თავდაპირველად სიუი იშიშოდა, მიკარებას, სიახლოვეს ვერცა ბედავდა. ხოლო ძუ მიესიყვარულა და მიუდგა. მეტად იამა, იხარა. სიუი-ს ხორცს უთავაზებდა. ულუფას თვისას იმეტებდა, უნაწილებდა. ეპყრობოდა ისე, ადამიანებს რომ სჩვევიათ. მოსიყვარულე, განუყრელ მეუღლეთ შორის როგორცა ხდება.

ერთხელ ქაჯები დილაადრიან, გამთენიისას ადგნენ. თითოეულს ყელს თვალმარგალიტის ფარღული<sup>3</sup>, სამკაული ძვირფასი აესხა. დამწკრივდნენ. ერთიმეორის მიყოლებით, ზარ-ზეიმით გაიკრიფნენ გამოქვაბულიდან. გეგონებოდათ, ძვირფას სტუმრებს ელიანო. სიუი-ს უბრძანეს - კერძი რამ, ხორციეული ბლომად შეამზადეო. სიუი-მ ძუ-ს ჰკითხა, რა ხდება, რა ამბავიაო. მიუგო, ზეცით ბოძებული დღეგრძელობის დღესასწაოლი რომ დამდგარიყო. ძუ წავიდა. წასვლისას დარჩენილთ უთხრა: „ყმანვილკაცს კუთუნ<sup>4</sup> არ გააჩნიაო!“ ქაჯებმა, თითოეულმა სათითაოდ, ყელსაბამს თვისას სხვილ-სხვილი მარგალიტისა ხუთ-ხუთი თვალი გამოარიდეს. ძუ-ს მიუპყრეს. ძუმ თავადაც ჩამოიხსნა მარცვალის ათი. ამგვარად და ამგვარად ორმოცდაათი მარგალიტი შეუგროვდა. სელის კანაფი დაგრიხა, აუსხა. სიუი-ს ყელზედ ჩამოჰკიდა. დახედა სიუი-მ, მიხვდა, თვალი ცალი ამგვარი მარგალიტისა ას, იქნებ ათას ოქროდა ღირებულიყო.

არ გასულა დიდი დრო. წავიდ-წამოვიდნენ ყველანი. სიუი-მ შეამზადა ხორციეული. ძუ რომ დაბრუნდა, უთხრა, მიწვეული რომ იყო ზეციურ მეფესთან. უზარმაზარ მღვიმეს შევიდნენ. მღვიმე ისე ფართო იყო, ერთ მუ-ს<sup>5</sup> არ ჩამოუვარდებოდა. ხედავს სიუი, მღვიმის შუაგულს ძევს დიდი რამ ლოდი, სალი, გლუვი, სიპი. მაგიდასა ჰგავს. გარეშემო ქვებია შემონყობილი, სკამების მსგავსად. დალიჭს<sup>6</sup>, საჯდომს საპატიოს, მავანი არსება დაბრძანებულა. ვეფხვის ტყავით შემოსილა. დანარჩენთ ტყავი ირმისა მოსავთ. დევ-ურჩხული ამგვარი ოცი, ოცდაათი იქნებოდა. ყველანი მღვიმეს დამსხდარიყვნენ.



უეცრად ამოიჭრა დიდი ქარი. აფორიაქდა ყველა. შეიქნა ჩოჩქოლი. გარეთ გაცვივდნენ. ხედავს სიუი, მოემართება ზორზოხი რამ არსება. იეჩა-ს მსგავსი გულშემზარავი დევ-ურჩხული. შევარდა მღვიმეს. ძერისაებრ ბოროტად გამჭვრეტელ თვალებს აფეთებს აქეთ-იქეთ. ხროვა უკან მოჰყვება მორჩილად. დგანან, სმენად ქცეულან, გარინდებულ-გაყურებულან. აქეთ და იქეთ, აღმოსავლეთსა და დასავლეთ მხარეებს გამწკრივებულან. ყველამ თვალნი ზეცას აღაპყრო. ხელები გულს დაუკრეფიათ ჯვარედინ. არსება თავს აქნევს. თითოეულს თვალს ააყოლჩააყოლებს. ჰკითხავს: „ხროვა, ვომეი მთის ბინადარნი, სუყველანი სახეზედა ხართ?“ ხროვამ ერთხმად დასტური დაჰყმუვლა. ახლა სიუი-ს დაასო თვალის ისარი. თქვა: „ეგე საიდანლაა?“ ძუმ მიუგო, სიძეა აქაური, ქმარია ჩემიო. ხოლო ხროვა მოჰყვა სიუი-ს დიდებას. მზარეულის ოსტატობას ქებას შესძღვნის. იმავე წამს ორისამი ქაჯი ქვაბს მივარდა. ამოათრიეს ხორცის ნაჭერი. მაგიდაზე დააგდეს. დევარსება დაეძგერა. გაშმაგებით იწყა ჭამა. გამალებითა გლეჯს ხორცს, თქვლევს. გაძღა-გამოტყვრა. შეაქო. გემრიელია მეტადო. ბრძანა ხშირ-ხშირად მიერთმიათ მისთვის დიდებული კერძი ესე. თვალის ისარი კვლავ სიუი-ს მიაპყრო, თქვა: „გუთუნ რადა აქვს აგრე მოკლე?“ ხროვამ მიუგო: „ცარიელ-ტარიელი მოვიდა. ხელცარიელი. მოულოდნელად. მზა არა გაგვანდა რა.“ არსებამ ყელს ჩამოიგლიჯა ობოლ მარგალიტთაგან შეთხზილი მანიაკი<sup>7</sup> ამოარიდა ათი მარცვალი საუცხოო მარგალიტისა, დიდრონ-დიდრონი, თითოეული ცერისოდენა, მოყვანილობით უზადოდ მრგვალი, ვითარცა შურდულის ქვა სატყორცნი. ძუმ იჩქარა ჩამოერთმია ესე ძღვენი ფასდაუდებელი. სიუი-ს კანაფზე აუსხა, ყელს დაჰკიდა. სიუი-მაც იეჩა-ს მიჰბაძა, გულს ხელები გადაიჯვარედინა, იეჩა-ს ენაზე მადლობა მოახსენა. არსება წარვიდა. ვიდოდა, ვითარცა ქარი. მიბრძანდებოდა უსწრაფეს, ვითარცა ფრენა.

ხროვა დიდის სიამოვნებით შეექცა ნასუფრალს, კერძს მონარჩენს. სადილთუკან წავიდ-წამოვიდნენ.

ოთხი წელიწადი გავიდა. მეტიც, რაც სიუი-მ იეჩა-თა შორის იცხოვრა. ძუმ მუცლად ილო. ერთ ჯერზე ერთბაშად წყვილი ხვადი და ერთი ძუ შვა. გარეგნულად ყველანი ადამიანთ მსგავსნი იყვნენ. არ იყვნენ დედის ჯიშისანი. ხროვამ მთელმა შეიყვარა სიუი-ს შვილები. ერთადა ზრდიდნენ, შეიქცევდნენ, ზრუნვით სდევდნენ მათ განუყრელად.

ერთხელ ყველამ სანადიროდ გასწია. დარჩა სიუი გამოქვაბულში მარტოდ-მარტო. მოულოდნელად, სად იყო, სად არა, სადგომში ერთი ძუ, უცხო, შევარდა. ისურვა სიუი-ს მისდგომოდა, შეჰყოფოდა. სიუი-მ იუარა. ქაჯი განყრა, გაჯავრდა. ეცა, ეძგერა, მიწას დაანარცხა, პირქვე წაანვინა. ამასობაში სიუი-ს ცოლი მოვიდა. საზარელი იყო რისხვა მისი. განძვინებულნი სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთნენ ერთურთს. ცოლმა მეტოქეს ყური წააჭამა. მალე მომხვდური ძუს ხვადიც მობრუნდა ნადირობიდან. ცოლს თავისას შეეშველა. უბრძანა ნასვლა.

მას აქეთ სიუი-ს ძუ სიუი-ს დღედაღამ დარაჯად ედგა, ყარაულობდა. მისვლამოსვლისას განუშორებელ იყო. არც უქმად ყოფნისას სცილდებოდა გვერდიდან. შეჰყურებდა წუთდაწუთ თვალაუშორებლივ.

კიდევ სამმა წელიწადმა განვლო. ვაჟებს და გოგონასაც უყვე აედგათ ფეხი. სიუი ცდილობდა ადამიანთა ენაზე ლაპარაკი ესწავლებინა. ნელ-ნელა, თანდათანობით,

თითო-თითო ბგერის გამოთქმას ეუფლებოდნენ. მათს ტიტინში შეინიშნებოდა ადამიანთა ჯიში და ნიშატი. თუმცა ჯერ კიდევ პანიები იყვნენ, ხოლო მთა-ბორცვზე, კლდე-ღრანტეებზე ისე იოლად გარბი-გამორბოდნენ, ვითარცა ადამიანი მიმოდის გლუვ, ვაკე ზედაპირზე დედამიწისა. გეგონებათ ადამიანსავით ფეხი მოსილი ჰქონოდათ. სიუი-ს ალერსით, სათნოდ ეპყრობოდნენ, მამა-შვილურად.

ერთხელ დედა ერთ ვაჟიშვილსა და გოგონასთან ერთად მღვიმიდან გავიდა. დიდხანს არ დაბრუნებულან. დაუბერა ბორიასის<sup>8</sup> ქარმა, ცივმა, მძაფრმა. სიუი-ს ნალველი შემოანვა. შეექნა გული უსიხარულო. მოენატრა მამული, სამშობლო თვისი. ხელი ჩაჰკიდა შინ დარჩენილ ვაჟიშვილს. ზღვის ყურეს მიაშურა. ხედავს, ნავი მისი უწინდებურად რიგზეა. შინ დაბრუნება გაივლო გულში. შვილს გაენდო. მან ისურვა დედისათვის ეცნობებინა. სიუი-მ აუკრძალა.

მამა-შვილი ჩასხდნენ ნავში. მთელ დღეს მიცურავდნენ ქარს მინდობილნი. ნი-აუჭოუ-ს მიაღწიეს. მივიდა თავის სახლში. ცოლი ხელმეორედ გათხოვილიყო.

აილო მარგალიტის მარცვალი ორი. გაყიდა ათი ათას ციენ-ად<sup>9</sup>. ოჯახი გვარი-ანად შეძლებული შეიქნა. ვაჟიშვილს სახელად უწოდა პიაო.<sup>10</sup> თოთხმეტ-თხუთმეტი წლისას უკვე ძაღვადვა ასი წიუნ-ის<sup>11</sup> სიმძიმე აეზიდა. უხეში იყო, ტლანქი, მოჩხუბარი. უყვარდა ბრძოლა, ჭიდაობა. მხედართმთავარმა რომ ნახა, იკვირვა მეტად. მყის ციენწუნგ-ის<sup>12</sup> წოდება მიანიჭა. მიავლინა საზღვრებზე, ამბოხებათა ჩასახშობად. სადაც კი მივიდოდა პიაო, ბადალი არა ჰყავდა. დამსახურებანი დიდი დაიგროვა. თვრამეტი წლისა სარდალი შეიქნა.

იყო იმხანად ერთი სოვდაგარი. სიუი-ს მსგავსად ერთხელ ქარიშხალს გაეტაცნა. ტივტივ-ტივტივით ზღვამ ვომეი-ს ნაპირს გარიყა. ზეზე რომ წამოდგა, ხედავს, ზედ თვალწინ ერთი ყმანვილი უდგას. ეოცა, რამეთუ თვალი როგორც კი შეავლო, გუმანით მიხვდა, ჭაბუკი ხატაელი იქნებოდა. ჭაბუკმა გამოჰკითხა სადაურობა. სოვდაგარმა პასუხი მიუგო. ჭაბუკმა ძალისძალით ერთ ლაუკას, მცირე მღვიმეს წაიყვანა. მღვიმის გარემემო ნარ-ეკალი, ჯაგნარი გაბარდნულიყო. რჩევა მისცა, აქ დაივანეო. ნურსად გამოჩნდებო. ნავიდა. მალე დაბრუნდა. ილღიაში ამოუჩრია ნანადირევი ირმისა, დასანაყრებლად. უთხრა, მამაც ნი-აუჭოუ-ელი სოვდაგარი რომ ჰყოლოდა. სოვდაგარმა ისმინა ამბავი ესე. გუმანით მიხვდა, სიუი რომ იქნებოდა. სოვდაგარს უწინ სცნობებოდა სიუი. თქვა: „მე მეგობარი გახლავარ მისი. ან ვაჟიშვილი მისი მთავარსარდალი ბრძანდება.“ ყმანვილმა არ უწყოდა თუ რას ნიშნავდა ესე. სოვდაგარმა განუმარტა: „წოდებაა ხატაველი მოხელისა.“ კვლავ ჰკითხა, მოხელე რაღასა ნიშნავსო. უთხრა: „ესე ნიშნავს, შინიდან გამობრძანებისას რახტით შეკაზმულ ცხენის მექონი იყო. ეტლის მქონებელი იყო. ესე ნიშნავს, შანიშინზე<sup>13</sup>, სითიკანზე<sup>14</sup> ჯდომას. რომ ბრძანებს სიტყვას, ტაშს რომ შემოჰკრავს, წამის უმალ ასი მსახური მიემსახურება. ვინც იხილავს, ვერცკი გაბედავს თვალი უსწოროს. მიახლოებას, გვერდს დადგომას განერიდება ყოველი. მის სიახლოვეს ზურგამართული ვერვინ გაბედავს დგომას. ესე რამ არის მოხელე.“

ჭაბუკს ძლიერ აუჩუყდა გული. სოვდაგარმა ჰკითხა: „უკეთუ მამა თქვენი ნი-აუჭოუ-ს იმყოფება, თქვენ ამ მიყრუებულ, მივარდნილ ადგილს რაღად იჭკნობთ თავს?“ ჭაბუკმა გულახდილად მიუთხრო ყოველივე. სოვდაგარი ურჩევდა, არწმუნებდა, წადი მამასთანო. ყმანვილმა თქვა: „მეც ხშირად მიფიქრია ამაზედ. ხოლო დედა ჩემი არაა ხატაველი. საუბრითაც, პირისახითაც, ნიშატი თვისით, სხვაო-

ბს მათგან. ხოლო თანამოძმენი მისნი თუკი შეიტყობენ, იჭვს აიღებენ, მოკლავენ უეჭველად. არ ეგების პატიება. მტანჯავს მე ფიქრები ესე.“ კვლავ დაფიქრდა მცირედ ხანს. თქვა: „ნოტია<sup>15</sup> ქარი როს დაჰბერავს, წელიწადის იმ დროს მოვალ გასაცილებლად. ხოლო კადნიერ ვიქნები შეგანუხით, შეგთხოვით. თუკი ინებებთ, მიდით ჩემს მამასთან და უფროს ძმასთან. ეგებ მოკითხვა ჩემი მიუთხრათ.“

თითქმის ნახევარ წელიწადს აფარებდა თავს მღვიმეს სოვდაგარი. იმაღვიდა. დროთიდრო ეკალ-ბარდს შორის იჭვრიტებოდა, რათა ენახა გამოქაბულის მიღმა თუ რა ხდებოდა. ხედავდა, მთა-ფერდობებზე აქეთ-იქეთ რომ მიდ-მოდიოდნენ ქაჯ-ეშმაკები. ზარავდა იეჩა ხალხი. ცხვირის გაყოფას ვერცა ბედავდა. განძრევას, გატოკებასაც უფრთხოდა.

ერთხელაც სტვენა-ზუზუნით ამოიჭრა ჩრდილო ქარი. ანაზდად ჭაბუკმაც პარვით, ფარულად მოიბრინა. ურჩია, რაც ძალი და ღონე გაქვთ იჩქარეთ, მომყევით, გავიქცეთო. „ჰე, წარვედით!“ თან გააფრთხილა: „სიტყვას მოცემულს ნუ დაივიწყებთ! ნუ იქნებით პირისმტეხელი!“ სოვდაგარი დაეთანხმა ყოველივეს.

ნიაუჭოუ-ს რომ დაბრუნდა, მაშინვე სამხედრო უწყებას მიაშურა. სარდლის ადგილსამყოფელს მივიდა. რაც ენახა, რაც იყო და როგორც იყო, ყოველივე დაწვრილებით, სრულად უამბო.

პიაო-მ ისმინა ამბავი ესე. გული აუჩუყდა. მჭმუნვარე შეიქნა. სევდა-კაემანი მოეძალა. ენადა იმავ წამს ადგილს მონყვეტილიყო, თავისიანები მოეძებნა. ხოლო მამა იშიშოდა. ვერაგია ზღვა. წინასწარ ნირს მისას კაცი ვერ ამოიცნობსო. აუკრძალა. ძლივ-ძლივ დაიყოლია. პიაო, დოინჯი შემოეყარა, მალალი ხმით, კურცხალი ცრემლითა ტიროდა. ვერ აწყნარებდა მამა. ვერა და ვერ ამშვიდებდა. ბოლო ვერ დაუდო მოთქმა-ლრიალს მისას. აილო და მოახსენა ნიაოჭოუ-ს სპასპეტს. მან ჯარისკაცთ აასხა იარაღი. ზღვაზე პიაო-ს თანხლება უბრძანა.

არ უბერავდა ზურგის ქარი. ზღვა-ზღვა იცურეს უაზროდ. ტალღები ზარბუნას<sup>16</sup> იქეთ-აქეთ მიმოაგდებდნენ. ამ ყოფაში გავიდა ნახევარი თვე. ოთხივ კუთხივ ნისლი ჩამონოლილიყო, ბურუსი განუჭვრეტელი. წინ განვდილი ხელის ხუთ თითს ვერც დაინახავდა კაცი. უგზო-უკვლოდ დაეხეტებონენ გაშლილ ზღვაში. არ უწყოდნენ, საითკენ მიცურავდნენ. ვერ გაერკვიათ, სად ონოტო<sup>17</sup> იყო, საით ნოტია. ზვირთი ტალღისა ხან იყო და ისე აზვირდებოდა, წვერი ცასა სწვდებოდა. ხან კი ზარბუნა უფსკრულში ჩაინთქმებოდა. ბოლოს ამოყირავდა.

აი ასე და ამგვარად, პიაო ზღვაში ჩავარდა. ტალღები დიდხანს ათამაშებდნენ თავის ნებაზე. შორს წარიტაცეს. ამ ყოფაში დრომ დიდმა გასტანა. ანაზდეულად იგრძნო, ძალა იდუმალი ეწევა. მიათრევს. ბოლოს ხმელეთს მიაგდო კიდეც. ხედავს, ქოხი დგას. დააკვირდა. ხედავს, თითქო ქაჯია, იეჩა. მიმოიძვრის. დაბორიალებს. იეჩას ენაზე მიმართა. იეჩა-მ იკვირვა საუბარი მისი. მაშინ პიაო-მ თავგადასავალი თვისი მიუთხრო. უამბო, თუ საით მიცურავდა. იეჩა-მ განიხარა, თქვა: „ვომეი სამშობლოა ჩემი. დანაშაულთა, ძვირთა ცოდვათა სიმრავლის გამო ვიმყოფები აქ. ხოლო შენს სამშობლოს გაშორებს ლი<sup>18</sup> რვა ათასი. ტალღამ რომ წარმოგიტაცა, ესე ტულუნგოა, შხამიან დრაკონთა ქვეყანა. გზა აქედან ვომეი-მდე არ არსებობს. მოკვეთილია.“ მერე იშოვა ნავი პიაო-ს გასასტუმრებლად. იეჩა თავად შევიდა ზღვაში, ნავს უბიძგებდა. ნავი არკი მიცურავდა, მიჰქროდა, ვითარცა ისარი გატყორცნილი. უაღრესი იყო სისწრაფე მისი. წამის უმაღლესად ათასი ლი.

კიდევ ერთი ლამე და ჩრდილო სანაპიროებს მიადგა. ხედავს, დგას ნაპირზე ჭაბუკი ერთი. გაცქერის ზღვის სივრცეს, გაუშტერებია თვალნი. პიაო-მ უწყოდა, ამ ადგილებში ადამიანები არ ბინადრობდნენ. იჭვი აილო, ჭაბუკი ძმა იქნებოდა მისი. მიცურდა. მართლაც ძმა იყო მისი უმცროსი. ხელი ჩაჰკიდეს ერთურთს. აღევსოთ თვალნი ცრემლითა. მერე მოიკითხა დედა, დაიკო. მათი ჯანმრთელობის ამბავი ჰკითხა. ველარ ითმენდა, მყისვე სურდა მათკენ წასვლა. ხოლო უმცროსმა ძმამ შეაჩერა. აი ახლა კი შუბლზე იკრა ხელი პიაო-მ. გაბრუნდა, იეჩას მადლობას მოვახსენებო. კვალი მისი თვალთაგან გამქრალიყო.

მალიად დედა და დაიკო მოვიდნენ. პიაო-ს თვალი როგორც ჰკიდეს, ორივენი აცრემლდნენ. პიაო-ს გაუზიარეს გძნობები. თქვეს: „თუ წამოგყვეთ, ადამიანებმა ვინძლო გვანყენინონ, კიდევაც აბუჩად აგვიგდონ.“ ხოლო პიაო-მ მიუგო: „ვაჟიმ-ვილი თქვენი ხატაეთში დიდად პატივდებული, წარჩინებული, სახელდიდი კაცი გახლავართ. ვერვინ გაბედავს ქირდვას.“

ასე და ამგვარად, გადწყვიტეს მტკიცედ. დაღაცათუ ქარი მძაფრი ქროდა, გადაკვეთა ზღვისა საძნელო, სახიფათო იყო მეტად. ვიდრე ყოყმანობდნენ, უეცრივ გამოჩნდა ნავი იალქნიანი. ონოტოს მხარეს აულია გეზი. ქარი შხუის. ზუზუნებს ისე, ისე სისინებს, იალქნებს გააქვთ სსს... სსს... პიაო ცას ენია, შეჰყვირა: „ზეცა შემენია!“ ერთიმეორის მიდევნებით ჩასხდნენ ნავში. იალქნიანი ნავი მიაპობს ტალღებს, ვითარცა ისარი, მშვილდიდან გატყორცნილი.

სამ დღეში გადასერეს ზღვა. ნაპირს მიადგნენ. ვინც დაინახა, ყოველი მორბოდა შესახვედრად, შესაგებებლად. პიაო-მ სამივეს უბრძანა: ჯუბა, ნიფხავ-პერანგი ჩაიცვით, ტანშემოსილნი მიდითო. შინ მივიდნენ.

იეჩა-ქალი მყისვე ქმარს დაეძგერა. უწყო ლანძღვა. იკლებდა იქაურობას. მძულხარო. მე არა მკითხე რა. რჩევა ჩემი არ ინდომეო. ხოლო სიუე-მ, დამნაშავე ვარო, აღიარა. პატივებს ითხოვდა საქციელისა გამო. თუმც კი გაგრძელება უსიამოვნებისა არ უსურვია. ჯალაბობამ, შინაყმებმა დედილოს, დიასახლისს სალამი მიუძღვნეს. დაღაცათუ მხილველი მისი ყოველი შიშითა თრთოდა, ცახცახებდნენ.

პიაო-მ დაიყოლია დედა, ენა ხატაელთა დაესწავლა. ჭიჭნაურით შემოსილიყო. უმ ხორცეულის ჭამაზე ეთქვა უარი. მარცვლეულ-ბურღულეული მიერთვა. ყველანი კმაყოფილნი იყვნენ. დედაც, ქალიშვილიც მამაკაცთა ტანისამოსსა ხმარობდნენ. რამდენიმე თვეში აქაურ ენას ალღო აუღეს. პიაო-ს და-ძმას კანი ხენეში ნელი-ნელ, თანდისთანაობით ნაზი, თეთრი შეექნათ, დაენმინდათ. უმცროს ძმას სახელად უწოდა პაუ<sup>19</sup>, დაიკოს — იეერ<sup>20</sup>. ჯმუხნი, ჯანმრთელნი, ჯანსაღნი, ხელლონიერნი, ძალგულოვანნი იყვნენ ყველანი.

პიაო-ს რცხვენოდა, თავად უბირი, წერა-კითხვის უცოდინარი რომ იყო. სურდა უმცროსი ძმა განესწავლა, ცოდნას დაუფლებოდა. პაუ და-ძმათა შორის ყველაზე ნიჭიერი გამოდგა. გინდ ნიგნთა, გინდ სუტრების ერთ წაკითხვას იკმაროდა, ყველაფერი ერთბაშად რომ გაეგო, ალღოს მყისიერად უღებდა. ესმოდა ყველაფერი. თუმცალა კონფუცის სწავლების მიმდევრობა არ ისურვა. მეტადრე სამხედრო საქმე იზიდავდა, მშვილდის ძალები, ისრები, გაუხედნავი, ქედფიცხელი ცხენები. ასე და ასე ვითარად ქენიუ-ს სამხედრო გამოცდებში წინშ<sup>21</sup>-ს<sup>21</sup> ნოდების პატრონი შეიქნა. დაქორწინდა ქალიშვილზე, თანამოსაგრეთა ომის<sup>22</sup> ოჯახიშვილი რომ იყო, გვარად ა.

იეერ-ი ვერ იქნა ვერა თხოვდებოდა. უცხო ჯიშისა და ჯილაგისა გახლდათ. არავინ სჩანდა მთხოვნელი. მოხდა ისე, რომ იმ ოლქის კოჭნაპანს<sup>23</sup>, გვარად იუენ-ს, მოჰკდომოდა მეუღლე. იეერ-ს ეძალებოდა ცოლობას. იეერ თავისუფალი იყო, მისთხოვდა. იეერ-ს ძალა მოსდგამდა იმგვარი, ჯანი და ღონე იმგვარი ერჩოდა, ისე ძალოვანი იყო, ხელენიფებოდა ასი ტან-ის<sup>24</sup> სიმძიმის მშვილდის ძალი მოეზიდა. ჰქონდა უნარი, ასი ნაბიჯით დაშორებულს გაფრენილ ჩიტისათვის ისარი ეგმირა, არ აეცდინა არასოდეს. იუენ-ს, ქმარს, ყოველ ლაშქრობაში თან ახლდა, მასთან წყვილ-წყვილად მიმოვიდოდა. საომარ ეტლით მხლებელი იყო ქმრისა თვისისა. მთელი სიცოცხლის მანძილზე თუნჯი-ს<sup>25</sup> მაღალი ნოდების პატრონი გახლდათ. ქმრის იშვიათ ნარმატება-დამსახურებაში, ჯილდოებში, წილის ნახევარი მაინც, დამსახურება, ქალისა იყო.

პიაო-ს ოცდათოთხმეტი წლისას მხედართმთავრის, სპასპეტის ხარისხი მოეპოვებინა. ბეჭდის მფლობელის პატივიც ერგო. ონოტოს რომ უტევდნენ, დედილო თან ახლდა, ძლიერი მტრის წინაშე შეჭურვილი. გვერდს ედგა აბჯარასხმული, ბასრი იარაღით ხელში, შვილთან შეწყვილებული. ვაჟიშვილის მხარდამხარ იბრძოდა მიწყევ. მხილველი დედა-შვილისა შიშნაკრავი იხევდა უკან.

მეფეთ-მეფემ თავადიშვილობა უბოძა. პიაო-მ, დედის ნაცვლად, მეფეთ-მეფის წინაშე სამადლობელო სიტყვა წარმოსთქვა. უარი განუცხადა დედის ესოდენ პატივსადებ ნოდებაზე. მაშინ მას სეფე-ქალის პატივი არგუნეს.

ამ ნამდვილ ამბავს თუკი შეიტყობს მავანი და მავანი, გაიკვირვებს. ქალბატონი-ქაჯი?! იშვიათად თუ გაიგონებთ ამბავს ასეთს. ხოლო თუ კაცი გვარიანად დაფიქრდება, გასაკვირი აქ არაფერია. თითოეულ ოჯახში, ცოლ-ქმრულ სარეცელზე ერთი ქალბატონი-ქაჯი მაინც წევს. ავი, ვითარცა ალქაჯი, ვითარცა ემ-მაკი მაზრზინებელი.

## **განმარტებანი**

1. **იეჩა** — ქაჯი

2. **კარდალა** — მომცრო ქვაბი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

3. **ფარლული** — მარგალიტის ყელსაბამი, ძვირფასი ყელსაკიდი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

4. **კუთუნ** — უჩვეულო სიტყვაა, ალბათ, იეჩა-თა ენაზე მარგალიტს უნდა ნიშნავდეს

5. **მუ** — ჩინური ფართობის საზომი ერთეული = დაახლ. 0,06 ჰექტარს, ანუ 100კვ. მ.

6. **დალიჭი** — ტახტი დასაჯდომელი დიდებულთა. ნიკო ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი

7. **მანიაკი** — ფარლული, გულის ჩამოსავლები მოოჭვილი. ნიკო ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი

8. **ბორეასი** — ჩრდილოეთის ცივი ქარი. ნიკო ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი

9. **ციენ-ი** — წონის ერთეული, ძინ-ის მეასედი ნან. ძინ-ი = 500 გრ.

10. **პიაო** — ჯიქი



11. **წიუნ-ი** — ჩინური ძველი წონის ერთეული = 15 კგ
12. **ციენწუნგ-ი** — დაბალი რანგის კაპიტანი
13. **შანიშინი** — მაღალი, საჯდომი მეფეთა. დავით ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი
14. **სითიკანი** — მამამთავართა საჯდომი ადგილი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი
15. **ნოტია** — ჩრდილოეთი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი
16. **ზარბუნა** — მოდიდო ნავი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი
17. **ონოტო** — სამხრეთი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი
18. **ლი, ლიე** — ჩინური სიგრძის საზომი ერთეული = 1/2 კმ
19. **პაუ** — პანტერა
20. **იეერ** — ღამეული
21. **წინშ'** — ქენიუს საგანმანათლებლო სისტემის თანახმად, სამ წელიწადში ერთხელ გაზაფხულობით დედაქალაქში გამართულ, უკანასკნელი საფეხურის გამოცდებში გამარჯვებულის წოდება, ყველაზე მაღალი, უკანასკნელი საფეხურის პირველი ადგილის მფლობელის, სწავლულის, წინშ'-ს უმაღლესი ხარისხი. ჰქონდა სამი კატეგორია. 1. ჭუანიუენ-ი, იმპერატორის, პრემიერ მინისტრისა და ამგვარი რანგის პიროვნების სიძეობის უფლებას ანიჭებდა. მეორე და მესამე დაახლოებით დღევანდელ აკადემიკოსს უტოლდებოდა
22. **თანამოსაგრეთა ომი** — თანამედროვე გაგებით პარტიზანული ბრძოლა
23. **კოჰნაპანი** — ლაშქართ მეთაური
24. **ტან-ი** — სიმძიმის, მოცულობის, წონის ერთეული = 103-547 ლიტრს
25. **თუნჯი** — მხედართმთავრის წოდება



## ჟუი'იუნ-ი



ჟუი'იუნ-ი იყო ქალაქ ხანჭოუ-ს სახელგანთქმული როსკიპი. უბნობდნენ-სილამაზითა და ნიჭით არა ჰყავსო ტოლი. თოთხმეტი წლისა რომ შესრულდა, დედილო ცაი-მ<sup>1</sup> დართო ნება მიღება მუშტართა, მომხმარებელთა. ჟუი'იუნ-მა თქვა: „ეგე დასაწყისია უბადრუკი ცხოვრებისა ჩემისა, შესაბრალისი სარბიელისა ჩემისა. არ ძალმიძს ამას გულგრილად, დაუდევრად მოვეპყრო. მუშტართ ფასი დაუდგინეთ თქვენ, დედილოვ ჩემო, ხოლო არჩევანი სტუმართა, მომხმარებელთა მე, ქალიშვილს თქვენსას, მომანდეთ, გამინიეთ ანგარიში.“ ბებერი დათანხმდა. დაანესეს თხუთმეტი ოქრო მუშტართა ყოველდღიური მომსახურებისა. ევალე-ბოდა სტუმარს მოსულიყო საჩუქრით ხელდამშვენებული. ძღვენს უნდა გარდაენ-ყვიტა ღირებულება პაემანისა. საჩუქარი ძვირფასი — უზრუნველჰყოფდა სადღე-ღამისო მომსახურებას ნი-როსკიპისა<sup>2</sup>. ძღვენი იაფფასიანი ნი-როსკიპთან ერთად მყუდრო, განმარტოებულ გარემოში მხოლოდ და მხოლოდ ჩაის დალევის უფლებას იძლეოდა.

ჟუი'იუნ-ს დიდი ხანი იყო განეთქვა სახელი თვისი. ამად იყო, რომ დღენიადაგ უწყვეტად ენაცვლებოდა ერთიმეორეს მდიდარ ვაჭართა, დიდგვაროვანთა, დარ-ბაისელთა, თავადთა რიგი. არასდროს ჩამოვარდნილა მის ალაყაფთან სიჩუმე.

იყო ქალაქ ხანჭოუ-ში სწავლული-შეგირდი ერთი, გვარად ხ'. ნიჭი და სახელი მისი ცნობილი იყო. ხოლო ოჯახი მისი მაინც შუახელის შეძლებისა გახლდათ. მარადჟამ ეთაყვანებოდა, ხოლო ვერც ვერასოდეს იოცნებებდა ჟუი'იუნ-ს შეწყვილებოდა. ვერც ვერასოდეს მოინატრიდა, საამო სუნნელი მისი მოპყურებო-და. ვერც სიზმრად წარმოიდგენდა ეჟღურტულა მასთან, ვითარცა იხვთა წყვილს განუშორებელს<sup>3</sup>. ბოლოს და ბოლოს გაბედა მაინც. ხელთ იპყრა ძღვენი მოკრძა-ლებული. ოღონდ კი თვალი მაინც შეეველო კეთილსურნელოვანი, სხივმოსილი მისი პირისახისათვის. იმედოვნებდა, მრავალსა და მრავალს გაუვლია მის ხელში, ვინ-ძლო არც იუკადრისოს ძღვენი ეგოდენ ღარიბული, არ დაძრახოს ხელმოკლეობა ჩემო. და აი ასე, ეახლა ერთ საუბრისათვის ოდენ.

მართლაც, შეხვდნენ თუ არა ერთმანეთს, ქალმა მიიღო გულითადად. მაშ-ინვე გაიბა ძაფი მუსაიფისა. დიდხანს ისხდნენ გვერდიგვერდ. მასლაათობდნენ. თვალ-წარბით, მზერით ოდენ ეარშიყებოდნენ ერთურთს. ქალმა შეთხზა ლექსი. სწავლულ-შეგირდს მიუძღვნა:

**„ვინაა იგი მავანი, ვინც ნექტარს დაეძებს,  
ლან-ციაო-ს<sup>4</sup> საგუშაგოს კარს აკაკუნებს.  
მთელი სულითა და გულით ინატრის,  
იპოვნოს კვერთხი იეშმისა,  
ხალხში, წუთისოფელის ამაოებაში რომ გაჩენილა.“**

სწავლულ-შეგირდმა სიხარულით გონი დაკარგა, მთლადაც გახელდა. ენა-და ეთქვა ორიოდ სიტყვა. ხოლო უეცრივ შემოვიდა ნორჩი მოახლე-გოგონა,

ჟუი'იუნ-ს მოახსენა-სტუმარი გენვიაო. სწავლულ-შეგირდ ხ'-ს რაღა დარჩენო-და, გამოეთხოვა ნაჩქარევად. წავიდა.

შინ დაბრუნდა. იმღერდა ამ ლექსს ნაირგვარ კილოზედ. სული მისი სიზმრადაც ამას სჩადიოდა. გავიდა დღე ორიოდე. ვერა და ვერ იოკებდა გრძნობას. ადგა, ტანთ ჩაიცვა. კვლავ გაეშურა მასთან. ჟუი'იუნ-ი გამოეგება სიხარულით. ახლო მიუჯ-და, გვერდიგვერდ. ნაზი ხმით, უჩუმრად იკითხავდა: „შეგწევს კია ძალა აღმითქვა პირობა სიყვარულისა, თუნდც მხოლოდ და მხოლოდ ერთი ღამით?“ სწავლულ-შეგირდმა მიუგო: „ღატაკსა, ბეჩავს, ხოლო რაინდს კეთილშობილს, ძალმიძს მო-გიძღვნა მარტოოდენ მიჯნურობა უერთგულესი. მხოლოდ და მხოლოდ ის შეეძელ, უმცირეს ფასად მოვახლებოდი და მეხილა არამინიერი მშვენება. ამით სავსებით ვარ კმაყოფილი. ხოლო თუ ვიტყვით ტრფიალს ხორციელს-ფიქრს ასეთს სიზმრ-დაც ვერ შემოგბედავდი!“

ეს რომ ისმინა, ჟუი'იუნ-ს თითქო არც ეამაო, მოიწყინა, სევდა-ნალღველი მო-ერია. არ დაუძრავს სიტყვა. სწავლულ-შეგირდი იჯდა დიდხანს, ჯერაც არ ეწადა განშორება. ხოლო დედილო დაჟინებით უხმობდა ჟუი'იუნ-ს, აჩქარებდა. მეტი რაღა გზა დარჩენოდა სწავლულ-შეგირდს, გაბრუნდა.

გულში კაეშანმა დაისადგურა. ფიქრად ისღა ჰქონდა, თუნდც მთლად დაექცია ოჯახი, თუნდც დაჰკარგოდა ყოველი, რაც რამ ებადა, ოღონდ ერთხელ მაინც დამტკპარიყო მისი მოსიყვარულებით. ეგე გრძნობა უკარგავდა მოსვენებას. გულს უკლავდა, სწვავდა, სდაგავდა. ხოლო სურვილი ნება-უნებურად დაიოკა. განყდა კავშირი. აღარც ბარათი. აღარც მოკითხვა.

მოდგა დრო ჟუი'იუნ-ს რომ დაესრულა ვადა საროსკიპოში მსახურებისა. ახლა უნდა შეერჩია ქმარი. თვე რამდენიმე გავიდა, ვიდრე ირჩევდნენ სასიძოს მისთვის. ერთიც არ სჩანდა მისი გულის სანდომი. ღელვილი იყო დედილო, ძალას ატანდა. ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა-იძულებით გავათხოვებო. ხოლო ჯერაც ვერ გაეებდა ხმამაღლა განეცხადებინა, ვერ დაითხოვა.

ერთხელ მავანი სწავლულ-შეგირდი ეახლათ, გვარად იყო ჰე. ხელი თვისი შესთავაზა. არ დაუყვია დრო დიდი. გაესაუბრა მცირედ. ნასვლისას თითი საჩვენ-ებელი ქალს ზედ შუბლზედ მიაჭირა, თქვა: „აფსუს, დასანანია, დასანანი.“ წავიდა. ჟუი'იუნ-მა გააცილა სტუმარი. დაბრუნდა. ხედავენ, ზედ ფიქალ შუბლზედ აღბე-ჭდვია შავად-შავი ანაბეჭდი თითისა. ვერ იქნა, ვერ ჩამოირეცხა.

დღე რამდენიმე გავიდა. დამლა ეგე შავი კიდევ მეტად გაიზარდა. ნელინადი რომ მიიღია, ლოყით ცხვირამდე სახე მთლადაც შავი შეექნა. ვინცა ნახავდა -დას-ცინოდა. აი მაშინ მის კარიბჭესთან ხმაური ცხენთა და ეტლთა მიიღია, მიჩუმდა, კვალიც გაქრა. დედილო წყრებოდა, ჯავრობდა. უბრძანა, ტანთ გაეხადა სამოსი ძვირფასი. მდაბიოთ, მსახურ-გოგოებს გაუტოლა. ხოლო ჟუი'იუნ-ი იყო ფაქიზი, ნანარი, მსახურად არა ვარგოდა. ამაღ იყო, რომ ნელინელ, დღითი დღე ჭკნებოდა, იღვენთებოდა.

შეიტყო ესე ამბავი სწავლულ-შეგირდმა ხ'-მ. მივიდა. ხედავს, ქალს ვარცხნი-ლობა გასწენია. დამსგავსებია ეშმაკს. სამზარეულოში ტრიალებს, იქა საქმიანობს. ააღო ქალმა თავი. იცნო სწავლული-შეგირდი. კედლისაკენ შებრუნდა. ეფარვის. არა სურს ეჩვენოს. შეებრალა ხ'-ს. გაესაუბრა დედილოს. მნადია გამოვისყიდოო. დედილო თანახმა შეიქნა.

ბ'-მ გაყიდა მინები, მთლადაც ადგილ-მამული თვისი. გამოისყიდა ქალი. მასთან ერთად შინ დაბრუნდა. შევიდნენ სახლში. ხელი ჩაავლო ქალის კაბას. ატირდა. ხოლო არ გაუბედავს საკუთარ თავისათვის ენოდებინა ქმარი მისი. ფიქრად გაივლო, ხარჭას ვისმე მოვიყვან, რათა არ დავამდაბლო ჟუი'იუნენ-ის ღირსება ქალურით. ბ'-მ თქვა: „კაცის ბედ-იღბალსა და ცხოვრებაში მეგობარია უმთავრესი რამ. მეგობარი ერთგული, ვინაც გაუგებს, თანაუგრძნობს. შენ შემიცან და გულისხმაჰყავ მაშინ, ოდეს ჰყვაოდი, გაფურჩქნულ იყავ. განა შევუძლებ მე ახლა, როს ჩავარდნილხარ უბედურ დღეში, გადაგივიწყო?!“ ამაღ იყო, რომ არ დაისვა ცოლად. ვინც კი შეიტყო ამბავი ესე, დასცინოდა ყოველი. ხოლო სწავლული-შეგირდი ბ' იყო ურყევი.

გაიარა წელიწადზე მეტმა. ბ'-ს შემთხვევით დასჭირდა ქალაქ სუჭოუ-ს გამგზავრებულნიყო. იქ მდგმური, მასთან ერთად მქირავებელი ბინისა, უეცრივ ჰკითხავს: „იყო ხანჭოუ-ში სახელგანთქმული როსკიპი ერთი. ერქვა სახელად ჟუი'იუნენ-ი. ნეტავ როგორა ბრძანდება?“ ბ'-მ უამბო, რომ უკვე გათხოვილიყო. იგი კვლავ ცნობისმოყვარეობს-ვის მიათხოვეს, ნეტავ? მაშინ თქვა: „კაცი იგი მონა-მორჩილის თქვენის ტოლი და სწორია.“ იგი კვლავ იკითხავს: „თუკი კეთილშობილია იმგვარი, ვითარცა თქვენ ბრძანდებით, მაშ მოუპოვებია ადამიანი ღირსეული. ერთი ვიცოდე, რა ფასად შეძლო ხელში ჩაეგდო?“ ბ'-მ თქვა: „მარმენიოჲ ჭირვეული რამაა მეტად. ამაღ იყო, რომ ფასი იაფი ედო. ასე რომ არა, მაშ ღარიბ-ღატაკი ეგოდენ კაცი, მე რომ გახლავართ, რარიგ შეძლებდა საროსკიპოდან გამოესყიდა მზეთუნახავი ეგე?“ იგი კვლავ უბნობს: „იგი კაცი დანამდვილებით ტოლი და სწორია თქვენი?“ შეიგრძნო ბ'-მ, კითხვები სულ უფრო და უფრო უცნაური რომ შეიქნა. თავად შეუბრუნა კითხვა. მამაკაცმა ჩაიცინა, თქვა: „დაჭეშმარიტებით გეტყვით, არ მსურს ვიცრუო. ერთხელ მიხილავს სილამაზე ზეციური მისი, ფრიად დავაფასე ქცევა მისი განუმეორებელი. შემებრალა, ეგოდენ მშვენიერი არსება რომ დაცემულა ცოდვით. ამაღ იყო ვიხმარე ხერხი მდაბალი. მოვიმოქმედე ის, რომ ბრწყინვალეობას მისას დანელებოდა სხივი, აღს მცხუნვარება მოჰკლებოდა, იმ დრომდე, ვიდრე ჭეშმარიტ ღირსებათა, ნიჭთა მისთა, არ გამოჩნდებოდა დამფასებელი ღირსეული.“ ბ' მღელვარებითა, აჩქარებითა ჰკითხავს: „კეთილშობილო ბატონო-ჩემო, რაკილა თქვენ დაგისვამთ დამლა ეგე, შეგწევთ კია ძალა ან ეგე ლაქები ჩამოურეცხოთ?“ სიცილით მიუგო: „რალატომ არა. მხოლოდ ჯერ არს კაცმა იმან შემომთხოვოს წრფელი სულითა და გულით.“ ადგა ზეზე ბ', თავაზითა თქვა: „მავანი ეგე გახლავართ საქმრო ჟუი'იუნენ-ისა.“ ჰე-მ გაიხარა, თქვა: „ამქვეყნად მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტად ნიჭით ცხებულთ შესწევთ უნარი შეიქნენ ნამდვილი მიჯნურნი. ასეთნი არ განსჯიან არცა სილამაზის, არცა სიმახინჯის საზომით. ნება მიბოძეთ, თქვენთან ერთად დავბრუნდე შინ. მე გითავაზებთ იმ უმშვენიერეს არსებას.“

და დაბრუნდნენ, გამოემართნენ შინისაკენ. როგორც კი მივიდნენ, ბ'-მ ბრძანაღვინო მოგვართვითო. ხოლო იმა კაცმა, ჰე-მ შეაჩერა: „ჯერხანად მე აღვასრულებ ხერხს ჩემსას, რათა ვინც სუფრას გაშლის, ეგე საქმე ხალისით მოიმოქმედოს. აი მერე კი შეიძლება ვისიამოვნოთ სუფრით.“ მოითხოვა თასი, წყლით სავსე ტოლჩა. ჩაანო თითი, დაწერა. თქვა: „ჯერ არს განბანილ იქნეს, ჯერ არს განიკურნოს, ჯერ არს გამობრძანდეს, მკურნალს მაღლი მოახსენოს.“ ბ'-მ გაიცინა. აიღო თასი,

წავიდა. დგას, ელოდება, რათა ჟუი'იუნ-მა თავად განიბანოს პირისახე. სადაც კი შეიხო ხელი-წამისუმალ ნაკვთი იგი გაბრწყინდა, მშვენება მისი უწინდელისაებრ გაკაშკაშდა. ბედნიერი შეიქნა მეუღლეთა წყვილი. ერთად გამოვიდნენ, რათა სტუმრისათვის მოეხსენებინათ მადლი გარდამოსული სიკეთისათვის. ხოლო სტუმარი იგი გამქრალიყო. კვალი მისი აღარსადა სჩანდა. ეძებეს ყოველგან, ამაოდ. მიხვდნენ - იქნებოდაო სენჟენ-ი<sup>6</sup>!

### განმარტებანი

1. **დედილო** — საროსკიპოთა მეპატრონეებს ჩინეთში დედილოს უწოდებდნენ

2. **ნი-როსკიპი** — თანამედროვე გაგებით გეიშა, ანუ განათლებული, ნაკითხი, ცეკვა-სიმღერის და სხვა ნიჭის მქონე ქალი, რომელსაც შეიძლება სხეულით ევაჭრა და შეიძლება არც ყოფილიყო როსკიპი, ქალწულობა შეენარჩუნებინა

3. **განუშორებელ იხვთა წყვილი** — ცოლ-ქმრული ერთგული სიყვარულის სიმბოლო. ამ ლამაზ ფრინველთა წყვილი უერთმანეთოდ ვერ ცოცხლობს, ერთმანეთის გარეშე იხოცებიან.

4. **ლანციაო** — **ლან** — ლურჯი, **ციაო** — ხიდი. უძველესი ლეგენდის თანახმად, ლანციაო-ს ხიდის ქვეშ მღვიმეში ბინადრობდა წმინდანი, ერთი შეხედვით შეყვარებული სენჟენ-ი ქალი. ამ ლეგენდიდან გამომდინარე, ლანციაო-ს ხიდზე შეხვედრა ერთი შეხედვით შეყვარებასა ნიშნავს

5. **მარმენიო** — ბედისწერა, ბედი, სვე. იგივეა, რაც აღმოსავლური რწმენის თანახმად-კარმა

6. **სენჟენ-ი** — წმინდანი, ზეცის მკვიდრი, სრულქმნილი არსება, ქრისტიანული ანგელოზის მსგავსი





## ჭრიჭინათა ბრძოლა

### 促织



მინგ-ის თაობის<sup>1</sup> მეფობის ჟამს, სიუენ ტ<sup>1</sup>-ს<sup>2</sup> წლებში, მეფეთ-მეფის სასახლის კარზე დიდად შემოღებული იყო, ხელშეწყობაცა ჰქონდა გასართობს, სახელად ჭრიჭინათა ბრძოლა. ამ თამაშისათვის წლითი წლამდის ხალხისგან ხარკად კრეფდნენ აუარებელ ჭრიჭინას.

დასავლეთში, შანსი-ს კუთხეს ჭრიჭინები არასოდეს სჩვეოდა. ხოლო იყო ხუანინ-ის მაზრის ერთი უფროსი, ზედამდებთა კეთილგანწყობის მოპოვებას რომ ესწრაფოდა. აილო და თავის უფროსს პირმოთნეობით ჭრიჭინა ერთი მიართვა. მოუსინჯეს ძალები. ავი, ღონიერი, ძალოვანი გამოდგა. აი ასე შეიქნა საბაბი, რათა უფროსობას ხუანინ-ის მაზრისათვის ყოველ წლიურად ჭრიჭინების ბეგარა დაეკისრებინა. მაზრის უფროსი იძულებული შეიქნა საქმე ესე თავისი ხელქვეითისათვის, ასისთავისათვის დაევალებინა. ბაზრებსა და ბაზრობებში ყალთაბანდები, სადმე ღონიერ ჭრიჭინას რომ მოიხელთებდნენ, უმაღლესი ბაშუკის წკნელით მოწნულ გალიაკში ამწყვედევდნენ, ფასსაც კარგს ადებდნენ, აძვირებდნენ. შეიქნა ჭრიჭინა სავაჭრო საქონელი ძვირფასი.

სოფლად, სახელმწიფო წვრილ-წვრილი მოხელენი გაიძვერებიც ბრძანდებიან, გამომძალველებიც, მომხვეჭელებიც. საქმე ისე წავიდა, ერთ სულ მოსახლეს საურავის საკუთარი წილი დაედო კისრად. იყო შემთხვევები, ერთი მეზობელი ჭრიჭინას საფასური რამდენსამე ღარიბ-ღატაკ ოჯახს დააქცევდა, მთლადაც გააპარტახებდა.

იყო მაზრაში ერთი ყმანვილკაცი, სახელად ჩენგმინგ-ი. შეგირდი გახლდათ, მონაფე. სიუცაი-ს<sup>3</sup> ხარისხის მოსაპოვებლად გამოცდები ვერ იქნა, ვერ ჩაებარებინა. ჩენგმინგ-ი პატიოსანი კაცი იყო, მიმნდობი, ბეჩავი, გულჩვილი. ენაც დიდად არ უჭრიდა. ენამძიმე გახლდათ. მაზრის ერთმა წვრილფეხა მოხელემ, ეშმაკმა, თავის უფროსობას ურჩია — ჩენგმინგ-ი მეხარკედ, გარდამხდევინებლად დანიშნეთო. რა ღონე არ იხმარა ჩენგმინგ-მა, ამ საძულველი თანამდებობიდან ვერასგზით ვერ დაიხსნა თავი. ერთი წელიც არ გასულიყო, მისი ოჯახი, ჯერ ისედაც შეძლებული რომ არ გახლდათ, გადატაკდა.

სწორედ ის წელიწადი იდგა, მეფეთ-მეფის სასახლისათვის ჭრიჭინების ხარკს რომ კრეფდნენ. ჩენგმინგ-ს ებრალებოდა ღარიბ-ღატაკი ხალხი, ერიდებოდა ბეგარის ამოღება, ვერ აიძულებდა საურავის გადახდას. თვითონაც ისე გაღარიბებულიყო, არ გააჩნდა ფული ჭრიჭინების საფასური თავად დაეფარა, აენაზლაურებინა. ცოლმა თქვა: „სიკვდილი რა ბედენაა? ეგებ სჯობდეს თავად წახვიდე, ჭრიჭინების მოძიებას, დაჭერას შეეცადო. ვინძლო ათასში ერთხელ მაინც გაგიმართლოსო. დაფიქრდა ჩენგმინგ-ი, ჭკუაში დაუჯდა, მართალს ამბობს ცოლიო. ასე და ამგვარად, ყოველ ცისმარე დღეს, დილაუთენიდან, გვიან დაღამებამდე ნადირობდა. უჭირავს ბამბუკის მათარა, ბამბუკის წკნელით ნაქსოვი გალიაკი, დაეხეტება ჩამოშლილ კედლებთან, ბალახოვანში. გადააგორ-გადმოაგორებს

ქვებს, ჩიჩქნის ხვრელებს, ორმოებს. ყველა ხერხი ამაოდ იღონა, სასახლის კარზე მისართმევად ღირებულ ერთ ჭრიჭინასაც ვერსად მიაკვლია. ორ-სამს თუ სადმე წააწყდებოდა, ისე პანია, ისე ღონემიხდილი, ისე დამჭლევებული იყო, სასახლის კარის საზომებს არ ესადაგებოდა. მაზრის უფროსი კი აიძულებდა, ძალას ატანდა და ატანდა. ვადას ათი დღით რომ გადაამეტა, დაგვიანებისა გამო ჩენგმინგ-ს ასზე მეტი ჯოხი მიუსაჯეს, გაჯოხეს. ორივე ფეხიდან სისხლი სდიოდა, დაუნყლულდა, ჩაუჩირქდა. ისეთ დღეში ჩავარდა, ჭრიჭინების საძებრად რაღას ივარგებდა. ეგდო ლოგინად, ვაი-ვიშით აქეთ-იქეთ გადაგორდებოდა, გადმოგორდებოდა, სიკვდილს ინატრია.

სწორედ იმხანად სოფელში ერთი კუზიანი მისანი დედაბერი შემოეხეტა. ხელენიფებოდა ხან კერპს, ხან ეშმაკს დასესხებოდა სულს. ამ ხერხით მისნობდა, მკითხაობდა. ერთობ ზუსტად ნათელმხილაობდა. ჩენგმინგ-ის ცოლმა აიღო ფული, სამკითხაოდ გასწია. მივიდა. ხედავს, ალაყაფთან უამრავი მორთულ-მოკა-ზმული ქალიშვილი და ქალარა დედაკაცი ირევა. შევიდა ბინაში. კუდიანი დედაბრის სადგომში ერთ იღუმალ საკანზე ფარდაა ჩამოფარებული. ფარდის წინ ტაბლა დგას. ვინც სამკითხაოდ მისულა, ჯერ სურნელოვან ჩხირებს სასაკმევლეში დააკმევს. შეერთებულ ხელისგულებს მკერდზე მიიკრავს, ზედიზედ ორჯერ თავს მორჩილად დახრის. მჩხიბავს თვალები ზეცაში აღუპყრია. ლოცულობს. ბაგეს გახსნის-მოკუმავს, გააღებს-მომუნავს. ვინ უწყის, რასა ბუტბუტებს. მისულთ კრძალვით ყური მიუპყრიათ. გამოხდა ხანი. უეცრად ფარდის უკან, საკნიდან ფურცელი რამ გამოფრინდა. ფურცელზე მოსულთა კითხვებია ჩამონერილი. ზუსტად ის კითხვებია, რისთვისაც გარჯილან, მოსულან. შეცდომა ერთიც არაა.

ჩენგმინგ-ის ცოლმა იმათ მიბაძა, ვინც უკვე მისულიყო. ფული ტაბლაზე დადო. სურნელოვან ჩხირებს ცეცხლი მოუკიდა. აკმია. მუხლი მოიყარა. დრო იმდენი გავიდა, ისადილებდა კაცი. ანაზდად ფარდა შეიხრა. იქედან, გეგონებათ, უხილავმა ხელმა გამოსტყორცნაო, ქალაღდის ფურცელი რამ გამოფრინდა. საჩქაროდ დასტაცა ხელი. ხედავს, იეროგლიფები კი არაა გამოყვანილი, სურათია დახატული. ხატია მაღალი სრა-სასახლე. ქორედიანი, ზედასართულებიანი<sup>4</sup>. ბუდას მონასტრის მსგავსია. მონასტრის უკან გორაკი რამ მოჩანს. გარეშემო უცნაური ქვები მიმოფანტულა. ირგვლივ ხშირი ნარ-ეკალი გაბარდნულა. ერთი მწვანე ჩოფურა ჭრიჭინა იქვე, ბუჩქნარში მიყუყულა. მახლობლად ერთი ბაყაყია, განზე გასახტომად გამზადებული. ჩენგმინგ-ის ცოლი ისეც აკვირდება, ასეც ამტერდება სურათს, ნახატის შინაარსს გულისგულ ვერა და ვერ ჩასწვდომია. რაკილა ჭრიჭინას მოჰკრა თვალი, ეს იყო სანუკვარი ოცნება, იმედი. აიღო, დაკეცა ფურცელი. შეინახა. თან წაიღო, ჩენგმინგ-ს რომ უჩვენოს.

ჩენგმინგ-ი დაკვირვებით აცქერდება, დაფიქრებით, გამოწვლილვით განიხილავს ნახატს. ნუთუ ადგილს მითითებს, სადაც ჭრიჭინას მოვიპოვებ? მეტი და მეტი გულმოდგინებით ჩაჰკირკიტებს ხედს, თითოეულ საგანს სათითაოდ სინჯავს, ჩხრეკს. ეს ბუდას დიდ მონასტერს ჩამოჰგავს, სოფლის აღმოსავლეთ მხარეს რომ აღმართულა. ამრიგად და ამრიგად წელი ძლივ-ძლივ აითრია, ხელჯოხი მოიმარჯვა, ხელში ნახატი დაიჭირა, აღმოსავლეთით, ბუდას დიდი მონასტრისაკენ გზას დაადგა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ხედავს, მონასტრის უკან ნარეკლიანში, ხშირ

სარეველაში ერთი რამ კორტოხია, ძველთაძველი სამარხია. ჩენგმინგ-მა საფლავისაკენ გასწია. ვაი-ვაგლახით წინ მილასლასებს. ხედავს, ურიცხვი ქვა ფენა-ფენა მიმოზნეულა, როგორც გინახავს თევზის ფარფლი, იმასა ჰგავს, სურათზე რომაა დახატული. მიდის, მიდის, მიიკვლევს გზას ჩენგმინგ-ი ეკალ-ბარდებში. ფხიზლადაა მიყურადებულ. ნელ-ნელა, გაფაციცებით მიინევს წინ, გეგონებათ, ჩაკარგულ ნემსსა თუ პანანკინტელა წკირს დაეძებსო. ბოლოს და ბოლოს ქანცი გამოელია, თვალი აუჭრელდა, ყურთასმენა დაეხშო, ჭრიჭინასი კი კვალიც არა ჩანს. მაინც მთელი სულიერი ძალები მოიკრიბა. უეცრივ ჩირგვებიდან გომბეშო ერთი ამოხტა. ჩენგმინგ-ი დაფრთხა ძალზე, ენადა საჩქაროდ ხელი დაეწყო, მაგრამ გომბეშო კვლავ ბალახ-ბულახში გაუჩინარდა. სარეველაში ხელის ფათური იწყო. დაბეჯითებით დაეძებს. რას ხედავს მისი თვალები-ერთი ჭრიჭინა ეკალნარში, ჯაგნარში განაბულა. ის-ის იყო ხელი უნდა ეტაცნა, რომ ჭრიჭინა ქვის ნაპრალში, ჩურჩუტანაში ჩაძვრა. ჩენგმინგ-მა ბალახის ღერო რამ მოგლიჯა, ღრუს ჩიჩნას შეუდგა. ვერ იქნა, ვერ გამოიტყუა ჭრიჭინა. მაშინ აიღო და ბამბუკის მათარიდან ხვრელში წყალი ჩაათხია. აი ახლა კი გამობრძანდა ჭრიჭინა. ხედავს ჩენგმინგ-ი, კარგა ზორბა ჭრიჭინაა, კარგა მოსული, ბარაქიანი, დიდებული, მშვენიერი. დაიჭირა ჩენგმინგ-მა ჭრიჭინა. უწყო დაკვირვებით თვალიერება — რა დიდრონია, გრძელკუდა, კოხტა-ლამაზი, კისერი აქვს მწვანე, ფრთა-ქერეჭი ოქროსფერი ყომრალი<sup>5</sup>. სიხარულით აღივსო ჩენგმინგ-ი. ჭრიჭინა საჩქაროდ გალიაკში მოათავსა. შინისაკენ მოუსვა.

მთელი ოჯახი ულოცავს ერთმანეთს, თითქო დღესასწაოლიაო. ჭრიჭინას დიდი პატივით ეპყრობიან, კიდევ მეტი, ვიდრე უძვირფასეს იეშმის ქვას, მთელი ქალაქის ფასი რომ ღირს. მომცრო ქოთანში დააბინავენ. საუკეთესო კერძი მიართვენ. ელოლიავენბიან. შეიყვარეს. მოუთმენლად ელოდებიან დღეს, მაზრის დედაქალაქში როცა უნდა წააბრძანონ.

ჩენგმინგ-ს ერთადერთი ვაჟიშვილი ჰყავდა. საცაა ცხრა წელი უსრულდებოდა. ერთიც ვნახოთ ხედავს, მამა შინ არა არის. ჩუმჩუმად, ფეხაკრეფით, მიეპარა, ქოთანს ფრთხილად ახადა ხუფი. დააცქერდა. ჭრიჭინამ ისკუპა, ისე ელვისებურად, ვერაფრისდიდებით ვერ დაიჭერდა კაცი. ბიჭმა ხელი რომ დააფარა, ფეხი მოტყდა, მუცელი გაუსქდა, ცოტაც და განუტევა სული. ბიჭუნა დაფეთდა. სლუკუნ-სლუკუნით გამოუტყდა დედას. დედამ ამბავი რომ შეიტყო, ისე შეშინდა, სახეზე მიტკლის ფერი დაედო. დაიღრიალა: „ვაი შე უბედურო! შე სასიკვდილევ, შენა! აი, მოვა მამაშენი, გაგისწორდება!“ ატირდა ბიჭი. ზლუქუნ-ზლუქუნით გარეთ გავარდა.

მალე ჩენგმინგ-ი შინ დაბრუნდა. ცოლისგან შეიტყო მომხდარი. გაგულისებული გაიჭრა კარში. შვილს ძებნა დაუნყო. ბიჭის კვალიც გამქრალიყო. როგორც იყო ბავშვის გვამი ჭიდან ამოხაპეს. ცოლ-ქმრის რისხვა მყისიერად გლოვად გარდაიქცა. ცას შეჰლაღადებდნენ, მინას თავს ახლიდნენ, ცრემლად იღვრებოდნენ. ურვა-ვაებით ლამის დაიხოცნენ. გამეშებულ-გახევებულნი, დათრგუნულნი ერთმანეთს შესცქერიან. პირში ლუკმას არ იდებენ. დაზაფრულნი, გაყურებულნი, უხმოდა სხედან. ცხოვრებამ მთლადაც დაჰკარგა გემო.

ჩამოლამდა. მაშინლა მოეგნენ გონს. აიღეს ჭილოფი, რათა შეესუდრათ. გვამს მიუახლოვდნენ. ალერსით გადაუსვეს ხელი. იგრძნო ორივემ, თითქო შემთბარაო. თითქო სუნთქვაც აღმოხდა. ცოლ-ქმარი შვებითა და სიხარულით ცას ეწია. სარე-

ცელს დაასვენეს. ცოლ-ქმარს გულზე მოეშვა. ხოლო ჭრიჭინას გალიაკს როგორც კი თვალი ჰკიდეს, გამოცარიელებული რომ იხილეს, გული მოუვიდათ. სიბრაზით აქოშინდნენ. შვილის საყვედურს კი მაინც ვერა ბედავენ. მწუხრიდან ცისკრამდე, მთელ ღამეს, მღვიძარებდნენ, თვალი არ მოუხუჭავთ.

გამოკრთა აღმოსავლეთით სხივი მზისა. ირიჟრაჟა. ჩენგმინგ-ი წევს ლოგინში. მკვდარსავით გაშოტილა. დაჭმუნებულა, დამწუხრებულა. ანაზდად მოესმა, კარს უკან ჭრიჭინა ჭრიჭინებს. გაცეცხლებული ზეზე წამოიჭრა. ხედავს, ისევ ის ჭრიჭინაა. თითქო გაცოცხლებულაო. გახარებულმა ჩენგმინგ-მა სცადა დაეჭირა. ჭრიჭინამ ერთი დაიჭრიჭინა, მარჯვედ ახტა, თან კარგა სწრაფადაც. ჩენგმინგ-ი ის-ის არის ხელს დააფარებს, ხოლო გრძნობს, ხელისგულს ქვეშ არაფერია, სიცარიელეა. ის-ის არის აიღებს ხელს, ჭრიჭინა კვლავ შორს გადამხტარა. მისდევს ჩენგმინგ-ი აჩქარებით. კედელს გარეშემო შემოურბინა. ჭრიჭინა გაუჩინარებულა.

ჩენგმინგ-მა ირგვლივ ყველაფერი მიათვალ-მოათვალა. უეცრივ ხედავს, ერთი ჭრიჭინა კედელს მიტმასნებულა. ყურადღებით დააცქერდა. პანია სხეული, შავ-ნითელი, ყომრალი. მთელი არსებით, რაც ძალი აქვს და ღონე აკვირდება-არა, ის არაა! მეტად პანანინა ეჩვენა ჩენგმინგ-ს ეს ჭრიჭინა. დაჭერაზე ხელი აიღო, გადაიფიქრა. ჯერაც იმას დაეძებს, უწინდელს. ხოლო პანია ჭრიჭინა, კედელზე რომ შემოსკუპებულიყო, ახტა-დახტა და ჩენგმინგ-ს ზედ გულისპირზე, საკინძეზე დაუცუცქდა. კვლავ დაჟინებით დააცქერდა ჩენგმინგ-ი. ხედავს, ტანად წარმოსადეგია, აგებულებით ბოცომკალსა<sup>6</sup> ჰგავს, ფრთა-ქერეჭი კი ტყემლის ყვავილის ფურცელს მიუგავს. თავი ოთხკუთხა აბია, გრძელკისერაა. ჯიშინი ჩანს. აი ახლა კი გახალისებულმა წაატანა ხელი. მანამ, სანამ მოხელეთა უწყებაში ჩააბარებდა, ღელავდა, ვაი თუ უფროსობის მიზანს ვერ მოერგოს-ო. გადანყვიტა ბრძოლაში მოესინჯა.

იყო სოფელში ერთი ოინბაზი ყმანვილი. ნაირ-ნაირ გართობა-თამაშას მოყვარული. გამოეზარდა ჭრიჭინა ერთი, სახელად სიეციხოცინგ-ი. ეგე ყმანვილი ბიჭბუჭობაში დღენიადაგ ჭრიჭინათა ბრძოლით იქცევდა თავს. შემთხვევა არ ყოფილა, ჭრიჭინას მისას არ გაემარჯვა. გადანყვიტა ყმანვილმა თავისი ჭრიჭინის მეოხებით გამდიდრება. ფასს ადებდა, უმატებდა, აძვირებდა. მყიდველი არსადა ჩანდა.

ერთ დღესაც ყმანვილი ეგე ჩენგმინგ-ის სახლს მიადგა. თვალი რომ შეავლო პატარა ჭრიჭინას, თავი ვერ შეიკავა, პირზე ხელი აიფარა, სიცილით იხრჩობოდა. ამოაძვრინა თავისი ჭრიჭინა. დაუპირა გალიაკში ჩასმა, შესატოლებლად. ჩენგმინგ-ი შეფიქრიანდა. ამ უნდილის გამოკვებაც არ ღირს. დაე იბრძოლოს, თუ დაიღუპა, მაყურებელს მაინც გააცინებს, შეაქცევს-ო. ჩასვეს ორივე ჭრიჭინა ერთ ქოთანში. აბა ჰე, იბრძოლეთო! ჩენგმინგ-ის პანია ჭრიჭინა მუცლით ფსკერს მიეკრა, გდია გაბრტყელებული, არ იძვრის. ანდაზა რომ იტყვის: „არც ცოცხალია, არც მკვდარი“, „არც ფლავია, არც ჩლავი“. ყმანვილი სიცილმა აიტანა. აიღო ერთი ღერი ღორის ჯაგარი, შეუხიციანა, უღვაშს მიუცაცუნ-მოუცაცუნა. ანაზდეულად პანია ჭრიჭინა გაბრაზდა, გაშმაგდა. მოწინააღმდეგეს ეძგერა.

გაჩაღდა ბრძოლა. ერთი უნდა გენახათ, რარიგ დახტოდა, ფრთას რარიგ შლიდა, რარიგ შლიდა და ჰკეცავდა, ფრთა-ქერეჭს ზუზუნი გაჰქონდა. ერთიც ვნახოთ პანია ჭრიჭინა ახტა-დახტა, აფრინდა, დაახტა მოწინააღმდეგეს. კისერში კბილი ჩაასო. კბენა უწყო. ყმანვილი შეკრთა. ხედავს საქმე სახუმროდ არაა, შემფოთდა.



სურს გააშველოს. პანია ქრინინამ ფრთა გაშალა, გამარჯვებულს რომ შვენის, ისე დაიზუზუნა, ისე აქრიჭინდა. ამაყად ამღერდა. თითქო სურს პატრონს გამარჯვება აუნყოსო. გაიხარა ჩენგმინგ-მა. ამასობაში, ვიდრე ერთობონენ, ხარობდნენ, სად იყო, სად არა, გამოჩნდა მამალი. პირდაპირ პანია ქრიჭინას დაემიზნა. გულგახეთქილი ჩენგმინგ-ი ზეზე წამოიჭრა. შეჰყვირა. საბედნიეროდ, მამალმა მიზანში ვერ მოახვედრა. პანია ქრიჭინამ ლამის იყო ერთ-ორ ჩი-ზე<sup>7</sup> ისკუპა. მამალი არა და არ ცხრება. ბიჯს ფართოდა დგამს. მიინევს, მისდევს. სურს დაენიოს. ლამის-აა კლანჭებში მოიმწყვდიოს. სწადია ჩაუნისკარტოს, აკენკოს. ჩენგმინგ-ი დაიბნა. აღარ იცის, როგორ გადაარჩინოს ქრიჭინა. ფეხებს აბაკუნებს. სახე შეეშალა, ფერიფური მისდის. თვალის დახამხამებაში მიიჭრა. რას ხედავს?! მამლაყინნას კისერი ჭაოგრძელება, ფართხალებს. თავს რომ წაადგა, ხედავს: თურმე პანია ქრიჭინა მამლის ბიბილოს ჩაჰფრენია, ისე ჩაუსვია კბილი, ვერ გამოგლეჯს კაცი. მეტად ეამა ჩენგმინგ-ს. გაოცდა. პანია ქრიჭინა საჩქაროდ ხელის გულზე დაისვა. გალიაკში მოათავსა.

მეორე დღეს ჩენგმინგ-მა პანია ქრიჭინა მაზრის უფროსს მიჰგვარა. უფროსმა ამრეზით აჰხედ-დაჰხედა. მიიჩნია, მომცროა მეტად, გაკნაჭულიაო. განყრა. ჩენგმინგ-ს საყვედურები დააყარა. ჩენგმინგ-ი ლამობდა თავისი ქრიჭინას საარაკო, უჩვეულო თვისებებზე ეამბნა. უფროსი ეჭვობდა. მაინც ნება იბოძა, სხვებს შეებას ბრძოლაშიო, მისცა უფლება. საბოლოოდ ყველა ქრიჭინა, როგორც ერთი, მარცხდებოდა. ნება დართეს მამალსაც შერკინებოდა. შედეგი იგივე გამოდგა, ჩენგმინგ-ს რომ ჰქონდა ნაამბობი.

მაზრის უფროსმა ჩენგმინგ-ი დააჯილდოვა. ქრიჭინა სიუენჩუ-ს, ქალაქის მოურავს, მიაართვა. სიუენჩუ-მ გულით გაიხარა. ოქროს გალიაკით მეფეთმეფეს მიუძღვნა. გალიაკს განმარტებითი ბარათი აახლა. წვრილად აღწერა პანია ქრიჭინას იშვიათი ნიჭი და უნარი.

მას აქეთ, რაც პანია ქრიჭინა სასახლის კარზე მიღებულ იქნა, დღენიადაგ ებრძოდა მთელს ცისქვეშეთის<sup>8</sup> სახელგანთქმულ ქრიჭინებს. ქვეყნიერების ყოველ კუთხიდან მეფეთმეფისათვის რომ მოეზიდებოდნენ. პანია ქრიჭინამ ყველას აჯობა. ერთიანად მოსრა და დახოცა ხუტიე, თანგლანგ-ი, ცინ ცუნგ-იე, სიე ციაოცინგ-ი<sup>9</sup>. სხვა რჩეული ქრიჭინებიც დაჯაბნა. ვერვინ გამოინახა პანია ქრიჭინას მჯობნელი. როგორც კი ცინ-ისა თუ სე-ს<sup>10</sup> ჟღერას მოჰკრავდა ყურს, იმავე წამს აცეკვდებოდა, მუსიკას ზუსტად უბამდა ფეხს. ხალხმა კიდევ მეტად ირწმუნა პანია ქრიჭინას უჩვეულობა.

მეფეთმეფეს პანია ქრიჭინაზე მზე და მთვარე ამოსდიოდა. ბრძანა, სიუენჩუ საუკეთესო ბედაურით დაესაჩუქრებინათ. ფარჩის კაბა-ხალათიც უბოძა. არც სიუენჩუ-ს დავინყნია თუ რა გზით ენია ასეთ დიდებას. მალე მაზრის უფროსი სახელმწიფო საქმეებში განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაანინაურა. მაზრის უფროსი სიხარულით ფეხზე აღარა დგას. ჩემგმინგ-ი დაიხსნა საძულველი სამსახურისგან, მახარკეობისგან გაათავისუფლა. განათლების საკითხთა მოხელეს უბრძანა ჩენგმინგ-ი მაზრის უმაღლეს სასწავლებელში ჩაერიცხათ. წელიწადზე მეტმა დრომ ჩაიარა. ჩენგ, ანუ ვაჟიშვილი გამოჯანმრთელდა, აღიდგინა ძალ-ღონე. ამბად მოჰყვა: ქრიჭინად როს გარდავიქეცი, მკვირცხლი, ღონიერი, მებრძოლი შევიქენი. ახლა გონს მოვდივარო.



სიუენჩუ-მაც ჩენგმინგ-ი ძვირფასი ძღვენით დაასაჩუქრა. არ გასულა რამდენიმე წელი, ჩენგმინგ-მა ასეულობით ცინგ-ი<sup>11</sup> საუკეთესო სახნავ-სათესი მიწა, სართულებად აზიდული სახლები შეიძინა. ფარეხი, ბოსელი, ცხვარ-ძროხით გაავსო. შინიდან გამოსვლისას ბენვეულით იმოსებოდა, მერანზე ამხედრებული მიდი-მოდოდა. სიმდიდრით, განსწავლულობით სახელმძღვანელო ოჯახთა შთამომავლებს წინ გაუსწრო, აჯობა, გადააჭარბა კიდევ.

### განმარტებანი

**ჩენგმინგ-ი** — სიტყვა-სიტყვით ჩენგ-ი მიღწევას, წარმატებას, მოპოვებას, დაუფლებას, ხოლო მინგ-ი-ნათელს, ბრწყინვალეს, გაბრწყინებას ნიშნავს

**1. მინგ-ის თაობის მეფობის ჟამი** — მინგ-ის დინასტია ჩინეთში მეფობდა XIVს. დამდეგიდან XVIIIს. I ნახევრამდე, ანუ 1368-1644 წწ.

**2. სიუენ ტ'-ს წლები** — მინგ-ის დინასტიის ერთ-ერთი იმპერატორის მეფობის სახელწოდება, მისი დევიზი

**3. სიუცაი** — ჩინეთში არსებული საგანმანათლებლო სისტემის, ქეძიუი-ს თანახმად, ეს იყო ცენზი, რომელიც ენიჭებოდა აბიტურიენტს პირველი ეტაპის, ანუ დაბის, დასახლების საზღვრებში გამართულ გამოცდების დამთავრებისას. ამასთანავე, შემდგომ ეტაპზე, ქალაქის გამოცდებში მონაწილეობის უფლებას ანიჭებდა. სიუცაი-ს ცენზი სახელმწიფო დანესებულებაში თანამდებობის უფლებას იძლეოდა, ხელფასით უზრუნველჰყოფდა

**4. ქორედიანი** — სართულებიანი

**5. ყომრალი** — მუქი, ლეგა ფერის

**6. ბოცომკალი** — დიდი, მოზრდილი კალია

**7. ჩი** — სიგრძის საზომი ერთეული. დაახლ. ათი გოჯი. 1 ჩი = 1/3 მ. 10 ჩი = 3 მ.

**8. ცისქვეშეთი** — ასე უწოდებდნენ ჩინელები თავიანთ ქვეყანას

**9. ხუტიე, თანგლანგ-ი, ცინცუნგიე, სიე ციაოცინგ-ი** — სახელოვან ჭრიჭინებს შერქმეული ზედსახელები. ხუტიე-პეპელა; თანგლანგ-ი-ბოცომკალი; ცინცუნგიე-მწვანეშუბლა; სიე ციაოცინგ-ი-კიბორჩხალას მწვანე ჯავშნოსანი

**10. ცინ-ი და ს'** — უძველესი საკრავები. ცინ-ი-ქვის დასარტყამი საკრავია; ს'-სიმებიანი, ჩამოსაკრავი საკრავი

**11. ცინგ-ი** — ფართობის საზომი ერთეული. 1 ცინგ-ი = 100 მუ-ს, ანუ 6,66 ჰექტარს



## ლიენჩენგ-ი



სწავლული-შეგირდი გვარად ციაო, წინინგ-ის მაზრიდან იყო. სიჭაბუკიდანვე ნიჭი შეაჩნდა საკმაო. ოცი წელი შესრულებოდა, თუმცა ჯერაც ღარიბი, წარუმატებელი გახლდათ. იყო კაცი სამართლიანი, პატიოსანიც და, რომ იტყვიან, ჯიგრიანი. მავან სწავლულს, გვარად კუ-ს, ადრიდანვე მეგობრობდა. მეტად ერთგულედა. მაზრის მოხელეთა ზედამდგომელი მწერლურ ნიჭს მისას აფასებდა. სწავლული კუ ნაადრევად გარდაიცვალა. ქვრივსა და ქალიშვილს მისას ნივთიერად ხელს აშველებდა ხშირ-ხშირად. მაზრის ზედამდგომელი თანამდებობაზე მყოფობისას რომ გარდიცვალა, ოჯახობას მისას მშობლიურ მხარეს დაბრუნების არ შესწევდა სახსარი. ციაო-მ გაყიდა ავლადიდება, ზინეთი თვისი. კუბო უყიდა. ლამის ორი ათასი ლი-ს<sup>1</sup> სიმორეზე ცხედარი ზედამდგომელისა და ოჯახი მისი მშობლიურ მხარეს გაისტუმრა. ამად იყო, რომ სწავლულნი იმ დრო-ჟამისა მისადმი კიდევ მეტი პატივისცემით განიმსჭვალნენ. ხოლო თავად სწავლული-შეგირდი ციაო უფრო მეტ სილატაკეში ჩავარდა.

იყო იმჟამად ერთი დიდი ნიუჟენ-ი<sup>2</sup>, გვარად შ'-ი. ჰყავდა ქალიშვილი ერთი. სახელად ლიენ ჩენგ-ს უხმობდნენ. საუცხოოდა ჰქარგავდა. წერა-კითხვის მცოდნეც იყო, ნაკითხიც. მამას გაგიჟებით უყვარდა. გამოჰფინა ერთხელ ქალიშვილის ხელით ნაქარგი სურათი, სახელად „მქარგველი“. გამოაცხადა შეჯიბრი. ამა ნახელავს ვინ მიუსადაგებს ლექსს საუკეთესოსაო. ფიქრი მისი ის იყო, ამ გზით ქალიშვილისათვის შეერჩია ჩინებული საქმრო.<sup>3</sup>

სწავლულ-შეგირდმა ციაო-მაც წარადგინა ლექსი თვისი:

**„თმის მალალ ვარცხნილობას,  
დალალეხსა და ნანწავთ,  
თმას კუპრივით შავსა,  
ქარი უწენს, ვითარცა ნიავ-ქარი აბიბინებს მდელოს.  
ციმციმ დილას, ორქიდეით შებურულ სარკმელს მისჯდომია,  
ჰქარგავს ლოტოსის ზურმუხტოვან ფოთლებს.  
ახლა ქარგვა იწყო განუყრელ იხვთა წყვილისა,<sup>4</sup>  
სული მისი შეყოვნდა სიყვარულის სიმბოლოს წინაშე.  
იდუმალეებით შეანელა ხელსაქმე თვისი,  
ფარვანას ულვაშისებრ ნაზი წარბი მისი შეჭმუხნულა.“**

და დაწერა კიდევ ერთი ლექსი, სწორედ რომ ამ ნაქარგ ტილოს შეჰმღეროდა:

**„არჩევს იგი ფერად-ფერად ძაფს.  
როგორც რომ ფუნჯით ხატავს ნატურმორტს.  
დაფრთხილებენ ტილოზე ჩიტუნები,  
ჰყვავიან ყვავილნი, შექმნილნი ბუნების ძალით.  
აკი იყო დრო-ჟამი, ოდეს ქარგვა და ფეიქრობა**

**არ იყო ხელოვნება საიშვიათო.**

**ხომ მომწესხველია ჩუქურთმა „დაბრუნებისა“<sup>5</sup>,  
ბატონს რომ აუჩუყა გული.“**

ლიენჩენგ-მა რომ იხილა ლექსები ესე, გაიხარა ფრიად. მამის წინაშე ხოტბა შესძღვნა ნიჭს ციაო-სი. ხოლო მამა იტყოდა, ღარიბ-ღატაკიაო. არა მნებავს სასიძოდოდაო. ქალიშვილი მაინც ყველა შემხვედრს უქებდა. მერე კი წარგზავნა მოხუცი გადია ყმანვილთან. თავისი მამის სახელით ვერცხლი რამდენიმე ლიან-ი<sup>6</sup> გაატანა, სწავლა-განათლებას შენსას მოახმარეო. სწავლულ-შეგირდმა ციაო-მ გულს ოხვრა ამოაყოლა, თქვა: „ლიენჩენგ-ი მეგობარია ჩემი, ჭეშმარიტად.“ შეუყვარდა მთელი სულითა და გულით. სიყვარული იყო ეგოდენ ძლიერი, ვითარცა ნყურვილი, ვითარცა სიყმილი<sup>7</sup> კაცთა“.

ადრე და მალე შეიქმნა პირობა, რათა ქალიშვილი გაეთხოვებინათ მარილით მოვაჭრე მდიდარ სოვდაგრის, სახელად ვანგ ხუაჩენგ-ის ვაჟიშვილზე. და მაშინ სწავლული-შეგირდი ციაო უსასო შეიქნა. ყოველდამ წრფელი პატივისცემით, თრთოლვითა ხედავდა სიზმრად ქალიშვილს, წუთი არ გავიდოდა, მასზე ფიქრი არ მიეპყრო. არ გასულა დიდი ხანი და ქალიშვილს ჭლექმა დარია ხელი. ლოგინად ჩავარდა სნეული.

იყო ერთი ბერი ხ'შანგ-ი<sup>8</sup>. დასავლეთის სიიუი-ს ქვეყნების სამზღვრებიდან მოსული. ქალიშვილს კურნებას მივმადლიო, შესთავაზა. მოითხოვა ცოცხალ მამაკაცის გულ-მკერდის ჩამონათალი, ერთი ცენ-ი ხორცი<sup>9</sup>, რათა დაებეგვა, სამკურნალო ბალახეულთან შეეზავებინა. ნიუჟენ შ'-ის ოჯახმა ვანგ-ის ოჯახს კაცი წარგზავნა, რათა ამბავი ესე ვანგ ხუაჩენგ-ისთვის შეეტყობინებინათ. ვანგ ხუაჩენგ-მა გაიცინა, თქვა: „ბრიყვია, შეშლილია ეგ თქვენი ბებერი! რაო, როგორ თუ მოსდომებია გულ-მკერდი ჩემი თავადვე დავჭრა-დავიხაციცო?!“ შუამავალი უკან გატრიალდა ხელცარიელი. ნიუჟენმა შ'-იმ განაცხადა: „მავანი და მავანი, თუკი გულ-მკერდის ხორცს თვისას მსხვერპლად გაიღებს, ქალიშვილს ჩემსას თუკი გადამირჩენს, ცოლად მას გავატან!“ სწავლულ-შეგირდმა ციაო-მ რომ შეიტყო ამბავი ესე, წამის უმალ იქ გაჩნდა. იშიშვლა ხანჯალი, ბასრპირიანი, გულ-მკერდზე დაისვა, ხორცის ნაჭერი ჩამოითალა. ბერს ხეშანგ-ს მიუბყრა. სხეულიცა და სამოსელიც სისხლმა შეუღება. ბერმა ხ'შანგ-მა საჩქაროდ დაადო სალბუნი, შეუჩერა სისხლდენა. შემდგომ მოზილა ბერმა ხ'შანგ-მა ქაშთაჯი<sup>10</sup>, მრგვალ-მრგვალ აბებად შეუმზადა წამალი ესე. სამ დღესა სვასო. მართლაცდა სენი, ავადობა თითქო არც შეჰყროდაო, გაქრა. ხოლო ნიუჟენმა შ'-მ ფიქრად გაივლო, აღესრულებინა პირობა, ლიენჩენგ-ი სწავლული-შეგირდი ციაო-სათვის ცოლად მიეთხოვებინა. მაგრამ ჯერხანად გადანყვიტა, კვლავ ვანგ ხუაჩენგ-ისათვის ამბავი ესე ეცნობებინა. ვანგ-ი სასტიკად განრისხდა. სასამრთლოში ჩივილი იზრახა. მაშინ ნიუჟენ-ი შ' შეშინდა. აილო და გამართა დიდებული ნადიმი, მიიწვია სწავლული-შეგირდი ციაო. მოიტანა ვერცხლი ათასი ლიანი, მაგიდაზე დადო, თქვა: „მსურს მოგაგოთ ნიშნად იმ უსაზომო მსხვერპლისა, იმ ზარალისა, სანაცვლოდ იმისა, რაც თქვენ, ქველმა, უაღრესი ზნეობის ადამიანმა, ჩვენდა სარგებელად გაიღეთ.“ თქვა და დაურთო: „ვერცხლით ამით მსურს მადლობა გადაგიხადოთ!“ და თან მიუთხრა მიზეზი პირობის დარღვევისა.

სწავლული-შეგირდი ციაო შეიქნა შეურაცხყოფილი. გულში კიდევცა სწყრებოდა. თქვა: „მონა-მორჩილი თქვენი, განა არ ჰყვარობს, განა არ ებრაღვის სხეული

თვისი. ხოლო მხოლოდ და მხოლოდ მენადა ამა მცირედი საქციელით ჩემით უძვირფასესი მეგობრისათვის მსხვერპლი შემეწირა, სამადლობელად იმ ყოვლისა გამო, მან ჩემთვის რომ მოიმოქმედა. გიფიქრიათ განა ამის თაობაზე?! იქნებ გეგონათ, საკუთარ ძვალ-რბილს ჩემსას ყასაბსავით ვსყიდდე?!“ მოიქცია განიერი და გრძელი სახელო კაბა-ხალათისა<sup>11</sup>, გაეცალა იქაურობას.

ლიენჩენგ-მა ესე ყოველი შეიტყო. ველარ უძლებდა ნუხილს, ოხრავდა ერთ-თავად. ნარავლინა მოხუცი გადია სწავლული-შეგირდი ციაო-ს გრძნობათა ხვა-შიადის განსაქარვებლად. და შეუთვალა: „ნიჭით თვისი არ ჩამოუვარდება სხვას. დიდხანს არ იქნება სხვებზე დაბლა მდგომელი. ცის ქვეშეთში<sup>12</sup> განა არ მოიძიება მზეთუნახავი კიდევ? ყველა სიზმარი ჩემი ბოლო დროისა უბედურებას მიქადდა. სამ ნელინადში, უეჭველია, მოვკვდები. დაე, არ იბრძოდეს მომაკვდავის გულისათვის, ცალი ფეხი საიქიოში რომ უდგას.“ ჭაბუკი სწავლული-შეგირდი ციაო გადიას ხნიერს ეტყოდა: „ამაოდ ხომ არა თქმულა ბრძენთაგან: „კეთილშობილი ადამიანი ჭეშმარიტ მეგობრისათვის არც სიკვდილს არ დაერიდება.“ ხოლო მე მადლი მივაგე იმად კი არა, რომ ლამაზია. მე ჭეშმარიტად ვიშიშოდი, ლიენჩენგ-ი არ იცნობს ჩემს სულსა და გულს. ჭეშმარიტად რომ მიცნობდეს, რომც არ შევიქნეთ ცოლ-ქმარნი, რომც არ გვექონიყოს სე<sup>13</sup>, გრძნობებს ჩემსას მაინც ვერაფერი შეცვლიდა. თქმული ასეა: მეგობრის გულისთვისაო და არა სე-ს მიზეზითაო. მე ვიშიშოდი ფრიად, თავად ლიენჩენგ-ი, მეგობარი ჩემი, გულისნადებს ჩემსას მართებულად ვერ გამიგებდა. უკეთუ ესმა ჩემი, უკეთუ გამიგო, მაშ ხელს რალა უშლის, რალა აბრკოლებს, რათა ბედნიერი სანყვილო შეიქნას ჩემი?“ გადიამ ხანდაზმულმა ქალიშვილის მაგიერ მეტად წრფელი, ალალი სიტყვებით აუხსნა ქალიშვილის გულისნადები. სწავლულ-შეგირდმა ციაო-მ თქვა: „უკეთუ ასეა, მაშ შეხვედრისას თუშემომღიმებს, ბედნიერებით სიკვდილსაც არ ვინანებ, არ შევეუშინდები!“

ხანდაზმული გადია ნავიდა. გავიდა დღე რამდენიმე. სწავლული-შეგირდი ციაო შემთხვევით შინიდან გასულიყო. ქალიშვილი შემოხვდა უცაბედად. მამის უმცროსი ძმის ოჯახიდან გამობრუნებულიყო. სწავლულ-შეგირდმა ციაო-მ თვალი თვალს გაუყარა. ქალიშვილმაც შემოხედა. ხედავს, სტყორცნა მზერა მომნუსხავი, იმგვარი, შემოდგომის ტალღას<sup>14</sup> რომ უხმობენ. ოდნავ გააპო ბაგე თვისი, პირს ღიმი გადაიფინა. სწავლული-შეგირდი ციაო სიხარულით ცას ენია. თქვა: „ლიენჩენგ-ი გულის მესაიდუმლეა ჩემი, ჭეშმარიტად!“

დიდი დრო არ გასულა. მარილით მოვაჭრე სოვდაგარი ვანგ-ი კვლავ ეწვია შ'-ს ოჯახს, რათა განეახლებინა მოლაპარაკება საქორწინო ვადებზე. ხოლო ლიენჩენგ-მა შეიტყო თუ არა ამბავი ესე, სენმა უწინდელმა მყის გაუხსენა. არ გასულიყო თვე რამდენიმე, მიიცვალა, აღმოხდა სული.

სწავლული-შეგირდი ციაო დასატირებლად გაემართა. უსაზღვრო იყო გულისტკივილი მისი. ატირდა. ტიროდა იმგვარი ძალით, რომ თვითონაც იქვე განუტევა სული. შ'-ს ოჯახობამ ცხედარი მისი შინ წაასვენა.

სწავლულ-შეგირდმა ციაო-მ შეიგრძნო, სული რომ განეტევებინა, რომ მომკვდარიყო. არც არაფერი სიმძიმისი განუცდია ამა ამბისა გამო. ადგა, მიატოვა სოფელი თვისი. იმედოვნებდა, ერთხელ კიდევ შევავლებ თვალს ლიენჩენგ-საო. გზად, ვორიოდან ნოტიას<sup>15</sup> მიმავალმა, შენიშნა, შორით მოედინებოდა ნაკადი ხალხის. უთვალავი იყო რიცხვი მათი. გრძლად წამოსულიყვნენ, გაძაბულიყვნენ,

ვითარცა ჭიანჭველების მცოცავი მწკრივი. თავადაც შეუერთდა ამ რიგს.

მოკლე ხანში ერთ იამენ-ს<sup>16</sup> მიადგნენ. სწორედ ამ დროს შემოხვდა სწავლული კუ. კუ სახტად დარჩა, ეოცა მეტად, ჰკითხავს: „აქ როგორ გაჩნდი?“ ხელი ჩაჰკიდა. სურს კაცი ეგე უკან გააბრუნოს. სწავლულ-შეგირდმა ციაო-მ გულს ოხვრა ამოაყოლა, თქვა: „საქმენი ჩემი გულისანი ჯერაც არაა მოგვარებული“. მაშინ ეტყოდა კუ: „მე განმგებელი გახლავარ გარდაცვლილ სულთა დავთრისა. ნდობა საკმარი მაქვს დამსახურებული. უკეთუ შევუძლებ სამსახური რამ გაგინოთ, ძალასა და ღონეს არ დავიშურებ!“ სწავლულ-შეგირდმა ციაო-მ შეჰკითხა თუ სად მყოფობს ლიენჩენგ-იო. კუ-მ მასთან ერთად გაიარა იქაურობა კიდითი-კიდე. კუთხე-კუნჭული ყოველი მიათვალაიერ-მოათვალაიერეს. ბოლოს, როგორც იქნა, დაინახეს ლიენჩენგ-ი. მავან, თეთრებით შემოსილ ნორჩ ქალიშვილთან ერთად გარინდებულიყო. დერეფნის კუთხეში მიყუჟულიყვნენ, ისხდნენ ნამჯის ჭილოფზე. ცრემლთა ნაკადი გადმოსქდა თვალთაგან. რომ დაინახა სწავლული-შეგირდი ციაო, მყის ზეზე ნამოიჭრა. თითქო გაიხარაო კიდევაც. მოკლედ აჰკითხა, თუ საიდან, როგორ მობრძანებულიყო. სწავლულ-შეგირდმა ციაო-მ მიუგო: „შენ მომკვდარხარ. ერთგული მონა შენი განა რარიგლა შეუძლებდა სიცოცხლე განეგრძო უწინდებურად?!“

ლიენჩენგ-მა კრთოლვა-ტირილითა თქვა: „მე, ეგოდენ მოღალატე, ეგოდენ უმადური გახლავართ. თქვენ კი განა მარტო დამიტირეთ, განა მხოლოდ მიგლოვეთ, სიცოცხლეს გაგინირავთ ჩემ გულისათვის. ხოლო მე, უკეთილშობილესო ბატონო ჩემო, ან ველარ ვარ შემძლებელი ამ ცხოვრებაში სამაგიერო მოგაგოთ. ხოლო ვისურვებდი მტკიცედ, შემდგომ ჩემს ცხოვრებაში სურვილს ჩვენსას ვწეოდი, გავთხოვილიყავ შენზე.“ სწავლულ-შეგირდმა ციაო-მ კუ-ს მიმართა: „უკეთუ საქმენი თქვენი გიხმობენ, ნაბრძანდით. ხოლო მე მიხარის გარდაცვალება ჩემი, სიცოცხლე აღარ მწადია. თუმცკი კადნიერ ვიქნები შეგანუხზო, ჩემთვის დიდმნიშვნელოვან საკითხის გამო მოგმართო. გთხოვ მორჩილად, შეიტყე თუ რომელ ალაგს გარდაისახება ლიენჩენგ-ი, ხელმეორედ თუ სად დაიბადება. მსურს მას თან ვახლდე“. კუ-მ პირობა აღუთქვა. ნავიდა.

თეთრსამოსიანი ქალიშვილი იკითხავს, ახალგაზრდა მამაკაცი ესე ვინ არისო. ლიენჩენგ-მა გარდასული ამბავი, ყოველივე დანვრილებით მიუთხრა. ქალიშვილი უზომოდ მწუხარე შეიქნა, ვერ ფარავდა გულმტკიცვნიულ თანაგრძნობას. ლიენჩენგ-მა სწავლულ-შეგირდ ციაო-ს უთხრა: „ჩემი მოგვარე გახლავთ, სახელად პინნიანგ-ს უხმობენ. ქალაქ ჩანშა-ს ქალაქისთავის ასული ბრძანდება. გზის მთელს მანძილზე თანამგზავრნი, თანამავალნი ვიყავით. დავახლოვდით ძლიერ.“ სწავლულ-შეგირდმა ციაო-მ თვალი მიაპყრო. საამო იყო ქალიშვილი, მსალბუნებელი. ის-ის იყო უნდა შეჰკითხოდა, რომ კუ დაბრუნდა. ულოცავს სწავლულ-შეგირდ ციაო-ს, უბნობს: „მოვაგვარე შენთვის ყოველი. შენი და შენი გულის დარდის, სატრფოს შენის სულეები ცოცხალთა სოფელს უკანვე დაუბრუნდებით. კარგია, ხომ კი?“ ორივემ გაიხარა.

დრო გამოთხოვებისა, საფაშხანდიერო<sup>17</sup> ჟამი რომ მოდგა, თავის დასაკრავად რომ განემზადნენ, უეცრივ პინნიანგ-მა მორთო ტირილი ხმითა მაღალით, სლუკუნ-სლუკუნით უბნობს: „ახლა წავა უფროსი დაიკო ჩემი. მე როდისლა დავბრუნდები? გვედრებით, გენუკვით, მოილეთ წყალობა, გადამარჩინეთ. ვითარცა მონა თქვენი, მოგემსახურებით!“ ლიენჩენგ-ი დამწუხრდა, მჭმუნარე შეიქნა, ხოლო



რალას კი გააწყობდა. სწავლულ-შეგირდ ციაო-ს რჩევასა ჰკითხავს. სწავლულ-შეგირდმა ციაო-მ კვლავ კუ-ს მიმართა თხოვნით. კუ-ს გაუჭირდა პასუხი. მკაცრი კილოთი თქვა, ძნელად განსახორციელებელია საქმე ესეო. სწავლული-შეგირდი ციაო წრფელი გულითა სთხოვდა. მაშინ კუ-ს სხვა რალა გზა დარჩენოდა, თქვა: „წავალ, ვეცდები, ვნახოთ!“

დრო იმდენი გავიდა, ისადილებდა კაცი. კუ დაბრუნდა. ხელი გაასავსავა, თქვა: „აკი მოგახსენეთ, ჭეშმარიტად, მთელი სულითა და გულით რომც ვინდომო, არ ძალმიძს დახმარება!“ ისმინა ეს პინ'ნიანგ-მა. გულამაჩუყებლად ატირდა. ზღუქუნებდა სანყალობლად, ბავშვს პატარას რომ სჩვევია, ისე. ლიენჩენგ-ის მკლავს ჩაბლაუჭებია, გეგონებათ შიშობს, უეცრივ არ გაქრეს, არ გაუჩინარდესო. მჭმუნვარენი, შეურევებულნი შესცქერიან ერთმანეთს. უბედურებით გათანგულ სახეთა შემეყურეთ სამთავეს გული ჩასწყდა, გულ-ღვიძლი ჩაეთუთქათ.

კუ-მ ჩაიქნია ხელი, თქვა: „თან გაიყოლეთ პინ'ნიანგ-ი, წადით. ხოლო უკეთუ დანაშაულად ჩაითვლება ამბავი ესე, დაე მე დამეკისროს, ჩემს თავზე ავიღებ ამა ცოდვას!“ პინ'ნიანგ-ი სიხარულით ცას ენია, გაედევნა სწავლულ-შეგირდ ციაო-ს.

სწუხდა სწავლული-შეგირდი ციაო, ქალაქ ჩანგმა-სკენ მიმავალი გზა შორი რომ იყო, ტვირთული. თანამგზავრთა გარეშე, ქალიშვილი ეული, მარტოდმარტო, ვითარ მიაღწევდა? პინ'ნიანგ-მა თქვა: „ვისურვებდი თქვენ გამოგყოლოდით. შინ დაბრუნება არა მნადია.“ სწავლულ-შეგირდმა ციაო-მ იუარა: „ჰოი, უგუნურო პატარავ, რაოდენ სულელი ყოფილხარ. თუკი შინ არ დაბრუნდი, თუკი არ მოიხილე სხეული შენი, ვითარ შეუძლებ დაუბრუნდე ცოცხალთა სოფელს? მერმისში, როს ხუნან-ში აღმოვჩნდებით, თუკი გვიკადრებ, დიდი პატივი, ბედნიერება იქნება ჩვენთვის.“

სწორედ იმხანად ორი დედაბერი წარვლენილი იყო ქალაქ ჩანშა-ს. მოსაკვდინებელთა სია აღეპყროთ, მათ ხელში ჩასაგდებად გაშურებულყვენ. სწავლულ-შეგირდმა ციაო-მ დედაბერთ ჩააბარა პინ'ნიანგ-ი. ცრემლმორეულნი გამოეთხოვნენ ერთიმეორეს.

ლიენჩენგ-ი გზაში ვიდოდა ნაბიჯით ნელით. გზა-გზა ერთ ლი-ს, თუნდც ოდნავ მეტს რომ გაივლიდა, ფერხდებოდა, ჰყოვნოდა მცირედს. მოსვენებით ვიდოდა. ერთი ათჯერ, მეტჯერაც შეისვენა, ფეხს ითრევდა. მიადგნენ სოფლის კარიბჭეს. ლიენჩენგ-ი უბნობს: „ვშიშობ, ხელმეორე სიცოცხლეში ათასგვარი დამაბრკოლებელი მიზეზი აღიმართება წინაშე ჩვენსა. გთხოვ, ჯერხანად მიდი ჩემს სახლში, გამოითხოვე გვამი ჩემი. და მე ხელმეორედ შენს ოჯახში დავიბადები. ვფიქრობ, მამაჩემი ნამუსზე ხელს აღარ აიღებს!“

სწავლულ-შეგირდი ციაო დაეთანხმა, მართალიაო, იფიქრა. და მისი სახლისაკენ გზას გაუდგნენ.

ლიენჩენგ-ი ყოველ ნაბიჯზე ყოყმანობდა. სწავლული-შეგირდი ციაო ფეხმდგომელა მოთმინებით ელოდა. ეტყოდა ლიენჩენგ-ი დანელებული ხმით: „გეგონებათ მიუსაფარი აჩრდილი ვიყო. ხელ-ფეხს ჩემსას ვერ ვიმორჩილებ, ვტორტმანებ აქეთ და იქეთ. ვშიშობ, ოცნებას ჩვენსას არ უნერია ხორცშესხმა. უმჯობესია ჯერხანად განვბჭოთ ყოველივე, ჩვენს მომავალზე მოვითათბიროთ. და თუ არა, მამ რარიგად შევუძლებთ მერმისში თავისუფლება მოვიპოვოთ?“

თავდაპირველად ხელმკლავგაყრილებმა დაივანეს ფრთედში სახლისა<sup>18</sup>. დიდხ-

ანს გაყურებულიყვნენ. უეცრივ ლიენჩენგ-ი იცინის, უბნობს: „მემდური, გული არ გითქმის ჩემთვის?“ სწავლული-შეგირდი ციოაო გაკვირვებასაა, ჰკითხავს მიზეზს შეკითხვისა ესე. ქალიშვილმა დაიმორცხვა, მიუგო: „ვიშიში, სიამტკბილე ჩვენს შორის ვერც როდის ვერ დამკვიდრდება. მეც მეტად დიდი დამელება ვალი, თქვენს იმედთა გაცრუებისა გამო. ჩვენ ხომ, შეიძლება ითქვას, ოდენ კუი<sup>19</sup> გახლავართ! ნება მიბოძე ჯერხანად ჩემი, კუი-ს სხეულით მოგგვარო სიამე, მადლი მოგაგო.“ მინიშნებამ ესე ფრიად გაახარა სწავლული-შეგირდი ციოაო. ორივემ იბედნიერა, ინეტარეს მთელი არსებით.

რადგან ამქვეყნიურ ცხოვრებაში სწრაფად დაბრუნება ვერ გაებედათ, ამ ყოყმანში სამი დღე დაჰყვეს სახლისა ფრთედსა შინა. ლიენჩენგ-მა თქვა: „ანდაზა გვაუნყებს: „მახინჯ რძალსაც კი, ადრე თუ გვიან, მართებს დედამთილ-მამამთილს თვალწინ წარუდგეს.“ აგრე შესაბრალისად მალვა უვარგისი გეგმაა!“ აჩქარებდა სწავლულ-შეგირდ ციოაო-ს მზის ქვეშეთში დაბრუნებას. მიუახლოვდა თუ არა ადგილს, საცა კუბო ესვენა, იმავ წამს შეიგრძნო თუ რომ გარდაისახა. გონს მოვიდა. ჯალაბობა განცვიფრებამ და შიშმა მოიცვა. სასმელი შეასვეს.

სწავლულ-შეგირდმა ციოაო-მ შ'-ს ოჯახს კაცი წარავლინა. მობრძანდითო, შეუთვალა. შესთხოვდა, ცხედარი ლიენჩენგ-ისა მე გადმომეცით, შევუძლებ მკვდრეთით აღვადგინოო. გახარებული ნიუჟენი შ' დაჰყვა ნებას მისას.

ის-ის იყო ცხედარი ლიენჩენგ-ისა მოასვენეს ციოაო-ს ოჯახში, ხედავენ, უკვე მოვიდა ცნობას. მამას მიმართა: „ქალიშვილი თქვენი უკვე მიუდგა ჭაბუკ ციოაო-ს, უკვე ცოლია მისი. ან მშობლიურ კერას მოსაბრუნებელი გზა მოჭრილია. და თუკი მამა ჩემი ნებას არ დამრთავს, ისლა დამრჩენია კვლავ მოკვდე.“

წავიდა ნიუჟენ-ი შ', გაბრუნდა უკან. სწავლული-შეგირდი ციოაო-ს ოჯახს მონაქალები წარავლინა ქალიშვილის პირისფარეშებად. ვანგ ხუაჩენგ-მა რომ შეიტყო ამბავი ესე, იმავ წამს საჩივარი დანერა იამენ-ში. იამენ-ში ვანგ-ისგან ქრთამი აიღეს. კვლავ გამოიტანეს განაჩენი-ლიენჩენგ-ი ვანგ ხუაჩენგ-ს მიეკუთვნოსო. სწავლული-შეგირდი ციოაო ურვამ შეიპყრო მწარემ, კინალამ კვლავაც მოკვდა. ვერა გაანყო რა. ლიენჩენგ-ი ვანგ-ების ოჯახს წაიყვანეს. დამწუხრებული, წყენით აღვსილი პირს არაფერს აკარებს, არცა ჭამს, არცა სვამს. სიკვდილსა ნატრობს. ოთახში მარტოდმარტო რომ დარჩა, თავი რომ დაიმარტოვა, სარტყელი შემოიხსნა, ჩალანგარს ჩამოაბა, თავი ჩამოიხრჩო. ხოლო გადაარჩინეს. განვლო დღემ. კიდევ მეტად დამძიმდა სენი მისი. თვალს ვერ ახელს, საცაა სულს განუტყევებს. ვანგ ხუაჩენგ-ს შიში დაეცა. მშობლიურ ოჯახში დააბრუნა. ნიუჟენ-მა შ'-მ კი აილო და კვლავ სწავლულ-შეგირდი ციოაო-ს ოჯახში გადაასვენა. ვან ხუაჩენგ-მა შეიტყო ესე ყოველი. სხვა რაღა გზა გააჩნდა, დაოკდა, დაშოშმინდა.

ლიენჩენგ-ი რომ გამოჯანმრთელდა დღენიადაგ პინ'ნიანგ-ის ხსენებაში იყო. ეწადა მსახურის ხელით გაეგზავნა ბარათი, მონახულება ეწადა მისი. პინ'ნიანგ-ისაკენ გზა შორი იდო. გამგზავრება საძნელო იყო. ერთ მშვენიერ დღესაც შემოდის მსახური, უბნობს: „ალაყაფს ეტლები მოსდგომიან, ხალხია მოსული!“ ცოლ-ქმარნი გაეგებნენ. ხედავენ, პინ'ნიანგ-ი მოსულა. ზედ ეზოშია უკვე. სამთა მათ შეხვედრას ახლდა ცრემლი და სიხარული.

თურმე ნუ იტყვი, ქალაქ ჩანშა-ს ქალაქპეტმა<sup>20</sup> ქალიშვილი თვისი პირადად ჩამოიყვანა შესახვედრად. სწავლულ-შეგირდმა ციოაო-მ შინ შეინვია თავაზიანად.

შევიდნენ. ქალაქპეტი უბნობს: „ჩემი პატარა ქალიშვილი თქვენის მეოხებით გაცოცხლდა, ხელმეორედ დაიბადა. ფიცი დადო, არც როდის სხვა არავიზე გავთხოვდებო. დღეს გადავწყვიტე მის ნებას მტკიცეს დავყოლოდი.“

სწავლულ-შეგირდმა ციანო-მ იჩქარა მუხლებზე დაცემულიყო. მდაბლა მადლობა მოახსენა, წესისა და რიგისაებრ, ფაშხანდით. ნიუჟენ შ'-ც მივიდა. ქალაქპეტთან საერთო წინაპარნიც აღმოაჩნდათ.

სწავლული-შეგირდი ციანო სახელად იყო ნიენ-ი<sup>21</sup>, ხოლო თიკუნი მისი იყო-ტანიენ-ი<sup>22</sup>

უჩვეულო, საოცარ ამა ამბავთა მთხრობელი იტყოდა ესე: ოდენ ერთი ღიმილით მოჯადოება, მონუსხვა. ოდენ ერთი შეხედვით შეყვარება. ოდენ ერთი ნახვით მიდგომა. მავანმა და მავანმა ვინძლო თქვას -სისულელეა, ფუჭიაო ესე ყოველი. ზღაპარია დაუჯერებელიო. ხოლო ხუთასი გმირი თენსენგ-ისა<sup>23</sup>, ნუთუ ყველა უგუნური, შეშლილი იყო? ეს ნიშნავს იმას, ცოტას თუ ესმის ჩემი. მე კი, მავანი, იშვიათი ადამიანი გახლავართ. მეგობრობა გულდია, ალალ, პატიოსან ხალხს აერთებს. ერთი შეხედეთ, ჩვენს სამყაროში რარიგ ბოგინობს ფუსფუსი ამაო. ნიჭით ცხებული მამები, ფარჩეულით მოსილნი, ნაქარგ კაბა-ხალათებში გამოწყობილნი, ყველა ისინიც კი გონსა ჰკარგავენ, გული ეკოდებათ, ერთადერთ ღიმილისა გამო, იმ თვალთა მზერის გამო, პეპელას უღვაშებისაებრ ნატიფი წარბნამნამიდან რომ გამოიმზირებიან. ჰოი, საბრალონი!

### **განმარტებანი**

**წინ წინ-ი** — ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთი პროვინციის ერთ-ერთი კუთხე

**1. ლი, ან ლი** — ჩინური სიგრძის ერთეული = დაახლ. 1/2C კმ. ძველ ჩინეთში საზოგადო სასაფლაოები არ არსებობდა. ყოველი ოჯახი ახლობელ-ნათესავს თავის მიწა-წყალზე, საგვარეულოს, წინაპართა შორის ასაფლავებდა. მშობლიური სახლიდან შორს გარდაცვალებულებს ყოველ მიზეზგარეშე, რაგინდ შორიც უნდა ყოფილიყო, უსათუოდ სამშობლოში მისვენებდნენ, რათა იქაური მიწისათვის მიებარებინათ. ჩინური რწმენით უცხო ქვეყანაში გარდაცვლილი სული იქცეოდა ბოროტ კუი--დ და მარადიული ხეტიალისათვის იყო განწირული, მანამდე, სანამ მისი გვამი, სხეული სამშობლოს არ დაუბრუნდებოდა. კუბოს საფასური და გადასასვენებელი ხარჯები ფრიად ძვირი ჯდებოდა. ვინც მიცვალებულის გადასვენებას იკისრებდა, ეს დიდად კეთილშობილ საქციელად ეთვლებოდა

**2. ნიუჟენ-ი** — ქენიუ-ს გამოცდაზე სიუცაი-ს მომდევნო, წინში-მდე სწავლულის ხარისხი. ენიჭებოდა მაზრის გამოცდებში გამარჯვებულს. იძლეოდა უფლებას სახელმწიფო მოხელის, ხელფასით უზრუნველყოფილი თანამდებობის დაკავებისა და, ამასთანავე, დედაქალაქის გამოცდებში მონაწილეობისა. ნიუჟენ-ი საკმაოდ მაღალი და პატივსაცემი ხარისხის მქონე პიროვნება იყო, დაახლოებით ჩვენი დროის პროფესორს უტოლდებოდა

**3. საქმროს შერჩევა** — ძველ ჩინეთში შეძლებული, არისტოკრატთა, სწავლულთა ოჯახები სასიძოს სხვადასხვა გზით ირჩევდნენ. ასეთი იყო, ვთქვათ, ნაირგვარი შეჯიბრებები, ბედისწერის ამოცნობა, ილბლის ამოკითხვა. ასე მაგ. ქალიშვილი აბრეშუმის ძაფის გორგალს, ან ნაქარგობას, გარეთ გადააგდებდა. ვინც პირველი აიღებდა, საცოლევც წილად მას ერგებოდა. ეს უმეტესად შეძლებულ

ოჯახებს სჩვეოდათ, და მათაც, ვინც ითვალისწინებდა ქალიშვილის არჩევანს. სხვა შემთხვევებში ქორწინების საკითხი წყდებოდა მშობლების სურვილისამებრ. უმეტესწილად გადამწყვეტი იყო მამის სიტყვა. დიდგვაროვან ოჯახებში საქორწინლო ხელშეკრულებანი ხშირად შვილების დაბადებამდეც იდებოდა, რადგან კლანების მატერიალურ მდგომარეობას განამტკიცებდა. ხელშეკრულების დარღვევა მკაცრად ისჯებოდა, მთავრდებოდა ახალგაზრდათა ტრაგიკული ფინალით. სწავლულთა ოჯახებში ქალიშვილის არჩევანს უფრო დემოკრატიული უფლებები ჰქონდა. ამის მაგალითია ლიენჩენგ-ის მამის მცდელობა. კონფუცური საზოგადოება ამგვარ „თავისუფლებას“ ხელს არ უწყობდა. საიმპერატორო ოჯახებში ხელშეკრულებები იდებოდა მხოლოდ უმაღლესი წოდების ოჯახებს შორის. ქენიუ-ს გამოცდებში გამარჯვებულებიც დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ. გავრცელებული იყო მაჭანკლობის ინსტიტუტი. ეს ტრადიცია XX საუკუნემდე შენარჩუნდა

**4. განუყრელ იხვთა წყვილი** — ჩინეთში ერთგული სიყვარულის, ცოლ-ქმრული ერთგულების სიმბოლო. იხვების ეს ლამაზი წყვილი ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებს, იხოცებიან.

**5. „ჩუქურთმა დაბრუნებისა“** — შემცველია მოძრაობის ხაზებისა, მაგ:



ეს ნიშნები სიმბოლოებია მარადისობისა, უსასრულობისა, მზის სხივისა, ყოფიერების წრებრუნვისა, გარდასახვისა, ხელახლა დაბადებისა და სხვ. არსებობს ლეგენდა, რომ ცინ-ის დინასტიის იმპერატორის ცოლმა, დაი ტაო-მ სწორედ ასეთი ორნამენტით შემკული ნაქარგით დაიპყრო მეუღლის გული და დაიბრუნა იგი. ეს სიტყვები ნასესხებია ხან-ის ეპოქის უდიდესი ისტორიკოსის სიმა ციან-ის თხზულებიდან „ში დი“ („ისტორიული ჩანაწერები“). ფეოდალური ეპოქის ზნეობრივი მრწამსის სიმბოლოა

**6. ლიან-ი** — ოქროს, ვერცხლის წონის ერთეული. = გირვანქის მეთედს. გირვანქა =  $1/2C$ კგ

**7. სიემილი** — შიმშილი

**8. ბერი ხ'შანგ-ი** — ბუდას მოძღვრების მიმდევარი ბერი

**9. ერთი ცენ-ი ხორცი** — ცენ-ი წონის ერთეული. ჩინურ ხალხურ მედიცინაში სწამდათ, რომ ჭლეჩისგან ავადმყოფს მხოლოდ ცოცხალი- ან ადამიანის, ან ცხოველის -სისხლი და ხორცი იხსნიდა. უფრო ძვირად ღირებული, რა თქმა უნდა, ადამიანისა იყო

**10. ქაშთაჯი** — აბი, ტაბლეტი. ნიკო ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი

**11. მოიქნია გრძელი სახელო** — დიდი განრისხების, მრისხანების, სიძულვილის გამომხატველი ჟესტი

**12. ცის ქვეშეთი** — ჩინელები თავიანთ ქვეყანას ცის ქვეშეთს უწოდებდნენ

**13. ს'** — სექსი. სექსის საკითხი უძველესი დროიდან მოიხსენიება ჩინურ ლიტერატურასა და ფილოსოფიაში. ჩინურად ეს სიტყვა გამოითქმის „ს“ და ნიშნავს ფერს, მაგრამ ამავედროულად გულისხმობს სექსს. არა გარყვნილებას, არა სიყვარულს, არა მიდგომას, არამედ სწორედ რომ ზოგადად სექსს

**14. შემოდგომის ტალღა** — ქალის თვალების პოეტური სახე. გულისხმობს წმინდა, ანკარა, შემოდგომის მდინარის გამჭვირვალე წყალსავით სუფთა თვალების გამოხედვას

**15. ვორიოდან ნოტიას მიმავალი** — სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**16. იამენ-ი** — სახელმწიფო დაწესებულება, სადაც უძველესი დროით დაწყებული იმართებოდა სხვადასხვა ღონისძიებანი, განკარგულებათა, ბრძანებულებების გაცემა, განაჩენის გამოტანა, გასამართლება და სხვ. დაახლოებით დღევანდელი გაერთიანებული მერიის და სასამართლოს მსგავსი დაწესებულება

**17. საფაშხანდიერო** — საცერემონიო, ცერემონიული

**18. ფრთედი სახლისა** — სახლის გვერდზედ მიშენებული სადგომი. ფლიგელი. ნიკო ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი

**19. კუი** — გარდაცვლილი ადამიანის სული. იხ. აგრ. განმარტება „ქალი სინგ მეთოთხმეტე“

**20. ქალაქპეტი** — ქალაქის უფროსი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**21. ნიენ-ი** — წელიწადი, ასაკი

**22. ტანიენ** — უხვმოსავლიანი წელიწადი. მწერალი მიანიშნებს, რომ ციანო სვებედნიერი კაცი იყო, ილბლიანი






## მონატული ტყავი

# 画皮

### ადაპტირებული ვარიანტის მიხედვით



1



2



3


1. უძველეს ხანაში, ქალაქ თაი'იუან-ში ცხოვრობდა ერთი სტუდენტი, გვარად ვანგ-ი. ქალაქგარეთ ერთი აგარაკი ჰქონდა. იქ სამეცადინო ოთახი მოიწყო და ხშირ-ხშირად დაიარებოდა, რათა წიგნები ეკითხა. ერთ მშვენიერ დღეს დილაადრიანად შინიდან გავიდა და აგარაკისაკენ გაეშურა.

2. ქალაქის გაღავანს რომ გასცდა, შორთ მომავალ ქალს მოჰკრა თვალი. ილღიაში რაღაც ბოხჩა ამოუდვია და სწრაფი ნაბიჯით მოდის, გეგონებათ ერქარებაო. სტუდენტი ვანგ-ს ეს ყველაფერი ერთობ უცნაურად ეჩვენა. სტუდენტმა ვანგ-მა, რომ იტყვიან, სამი ნაბიჯი ორად აქცია, დაენია და გაუსწრო ქალს. უკან მოიხედა და რას ხედავს, ნამდვილი მზეთუნახავი არ ყოფილა!

3. სტუდენტი ვანგ-ი დაედევნა, თან დაიწყო ფიქრი, თუ როგორ გამოლაპარაკებოდა. შეეკითხა: ამ სისხამ დილას მარტოდმარტო ამ უკაცრიელ ალაგას რამ მოგიყვანათო? ქალიშვილმა მორცხვად დახარა თავი, ძლივს გასაგონად აქვითინდა, უჩუმრად ასლუკუნდა და თავისი ბედკრული თავგადასავალი უამბო. მშობლებმა ერთ მდიდარ კაცს ხარჭად მიჰყიდეს. ამ მდიდარი კაცის ცოლი უმოწყალოდ სცემდა, ლანძღვა-გინებით იკლებდა, ათრევდა. მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, მაგრამ შინ დასაბრუნებელი გზაც მოჭრილი აქვს.



4



5



6

4. სტუდენტ ვანგ-ს ხელად აუჩუყდა გული და თავის აგარაკზე მიიპატიჟა. ქალიშვილმა უყოყმანოდ მიიღო შეთავაზება, უსიტყვოდ დათანხმდა.

სტუდენტმა ვანგ-მა ბოხჩა ჩამოართვა, წაუძღვა თავისი აგარაკისაკენ.

5. ხედავს ქალიშვილი, რომ ირგვლივ არავინაა, შეეკითხა სტუდენტ ვანგ-ს, ეს რა სამეცადინო ოთახიაო? სტუდენტმა ვანგ-მა მიუგო, რომ ეს მისი აგარაკია, რომელსაც სამუშაოდ, სამეცადინოდ იყენებს. ქალიშვილი ფრიად კმაყოფილი დარჩა, სტუდენტ ვანგ-ს კი სთხოვა, მისი საიდუმლო არავისთვის გაეხსნა. ეს ამბავი სტუდენტ ვანგ-საც ძალიან აძლევდა ხელს, ძალიანაც აწყობდა ასეთი რამ. მან ქალიშვილი საიდუმლო ალაგას გადამალა და გადაწყვიტა ენისთვის კბილი დაეჭირა.



7



8



9

6. შინ დაბრუნებულმა სტუდენტმა ვანგ--მა სცადა ცოლისათვის გადაკრულად მიენიშნებინა იმის თაობაზე, რაც გადახდა თავს. ცოლი მაშინვე აფორიაქდა, დაფრთხა. ყველაზე მეტად შიშის ზარს ისა სცემდა, რომ წარჩინებულ ოჯახიდან გამოქცეული ხარჭის გადამალვა სახიფათო იყო. ვაითუ ყველაფერი გამოაშკარავებულიყო, მაშინ სასამართლო დავიდარაბას ხომ ვერასგზით ვერ აიციდნენ.

ცოლი ყოველნაირად ცდილობდა ქმარი დაერწმუნებინა, ეხვეწებოდა, ქალიშ-

ვილი აგარაკიდან გაესტუმრებინა, მაგრამ სტუდენტი ვანგ-ი უკვე გატაცებული ბრძანდებოდა. ამიტომ ცოლს, რომელიც მართალია დიდხანს არნმუნებდა, მაგრამ მაინც არასგზით არ დაეთანხმა.

7. ზედიზედ რამდენსამე დღეს სტუდენტი ვანგ-ი აგარაკზე ათევდა ღამეს. მთლად აებნა თავგზა, ჭკუა-გონება დაკარგა. ერთხელაც აგარაკიდან გამოვიდა და უეცრად ესმის, ვილაც რიხიანი ხმით ეუბნება: „შე ბრიყვო, შენა! ნუთუ ამქვეყნად ჯერ კიდევ არსებობს კაცი, ვისაც სიკვდილი თვალწინ დასდგომია, ის კი დაბრმავებულია, ვერაფერს ხედავს!“ დაფეთებულმა სტუდენტმა ვანგ-მა მიიხედ-მოიხედა და დაინახა ერთი ზორბა, მხარბეჭიანი, ბრგე ტაო-ბერი.

ტაო-ბერი მიუახლოვდა სტუდენტ ვანგ-ს, თხემით ტერფამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა. მერე კი უთხრა: „ჰეი, ყმანვილო, ერთი ეს მითხარ, ამ ბოლო ხანს თვალში რამე ხომ არ მოგხვედრია?“ სტუდენტი ვანგ-ი გაშეშდა, გული გაუჩერდა, მყისვე ქალიშვილის ამბავმა გაუელვა თავში, მაგრამ გონს მოეგო და საჩქაროდ უპასუხა: „არაფერი! არაფერი მინახავსო!“

8. ტაო-ბერმა ჩაილიმა: „ფერიფური ნაგსვლია და მთელი შენი არსება ეშმაკეულ სულს ასხივებს, აბდაუბდასა რომავ, მამ როგორღაა, რომ არაფერი გინახავს?!“ სტუდენტ ვანგ-ს თმა ყალყზე დაუდგა, ბალანი აეშალა, მაგრამ კვლავ თავი მოიკატუნა და უპასუხა: „არაფერი! არაფრისგან არაფერიო!“

ხედავს ტაო-ბერი, რომ ყმანვილს შიშისგან გული საგულეს აღარ აქვს, ადგა და გაეცალა იქაურობას. სტუდენტი ვანგ-ი კი ტაო-ბერის სიტყვებმა დააფიქრა. რალაც გაურკვეველი, ბუნდოვანი შეუძვრა ტვინში. ქალიშვილის მიმართ ეჭვები დაებადა, მაგრამ უმალ შეეცადა თავი შეეკავებინა და გულში გაიფიქრა: „რა სისულელეა! ცხადად და ნათლად ჩანს, ლამაზი ქალია, მორჩა და გათავდა, ეშმაკეულის სუნი არაფერს უდის.“


მიდის თავჩაქინდრული, სული კი მთლად აფორიაქებია, ველარაა თავდაჯერებული. მიდის, მიდის და უნებურად ისევ თავის აგარაკს არ მიადგა?! თავში გაუელვა „ოჰ! ამ მზით გაჭახჭახებულ დღეს კარი შიგნიდან რადაა ჩარაზული?!“



10



11



12

9. გაღანყვიტა, მოდი ერთი ვნახო, რას აკეთებს ქალიშვილიო. ადგა და ჩუმად გადაძვრა აგარაკის გალავანზე.


10. სახლის კარი მაგრა იყო ჩაკეტილი. სტუდენტი ვანგ-ი აძვრა მახლობელ დეკორატიულ გორაკზე და უჩუმრად მიეკრო ფანჯარას.



13



14



15


11. ვაიმე! სადღაა ის მშვენიერი მზეთუნახავი ქალიშვილი. ერთი მომწვანო, ხავსისფერი, ეშვებიანი ეშმაკი იმით გართულა, რომ ტახტზე გაუშლია ადამიანის ტყავი და მონდომებითა ხატავს, გეგონება ფერმწერიაო, უსვამს და უსვამს საღებავს, ფერს ფერს უმატებს.

12. მოხატა თუ არა, მაშინვე, აიღო ეს ტყავი და მხრებზე წამოისხა. მყისვე მზეთუნახავ ქალიშვილად არ გადაიქცა?!

13. ამ საზარელი სანახაობის მნახველმა სტუდენტმა ვანგ-მა რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოჰკურცხლა იქიდან. თვალის დახამხამებაში გადაეწლო გალავანს. შიშისგან ფეხზე ვეღარ იდგა, კარგა ხანს გონს ვერ მოეგო. ტაო-ბერის სიტყვები გაახსენდა და მის საძებრად გაქანდა. სადღა იპოვნოდა. ბერი-ტაო-ს კვალიც გამქრალიყო!



16



17



18

14. ბოლოს რის ვაი-ვაგლახით კვალს მიაგნო, იპოვა ტაო-ბერი. სტუდენტი ვანგ-ი მუხლებზე დაეცა და შეევედრა: „ყველა წმინდანს გაფიცებ, გადამარჩინე!“



მიშველე! მისხენი!“

15. ტაო-ბერმა ყველაფერი დანვრილებით გამოჰკითხა და ეუბნება: „მივხვდი! კეთილი!“ გადასცა უსუპი, იქვე ხელთ რომ აღმოაჩნდა, უბრძანა სტუდენტ ვანგ-ს თავისი სახლის ალაცაფის კარზე ჩამოეკიდა. მერე დაუნიშნა პაემანი მწვანე ვარსკვლავის ტაძარში.

16. სტუდენტმა ვანგ-მა უკვე ველარ გაბედა აგარაკზე დაბრუნება. საჩქაროდ შინისაკენ გაეშურა. ალაცაფის კარზე უსუპი ჩამოჰკიდა და თავის ბინაში გაინაბა.



19



20



21

17. შუალამე მოვიდა. ერთი ც ვნახოთ და მოესმა კარს მიღმა რაღაც ფაჩუნებს, ფხაკუნებს. სტუდენტ ვანგ-ს ელდა ეცა, გახედვა რა არის, ისიც ველარ გაუბედავს. ცოლმა კარის ჭუჭრუტანაში გაიჭვრიტა და რას ხედავს: ქალიშვილი უსუპს მისჩერებია, შემოსვლას შიშობს.

18. ქალიშვილი ხან მიუახლოვდება, ხან მოშორდება უსუპს. ბოლოს და ბოლოს მიიჭრა უსუპთან, ბრაზმორეულმა ლანძღვა დაიწყო: „ტაო-ბერს ჩემი დაშინება ნებავს, ვერ მივართვი! რაზეც ხელი მიმინვდება, მოდი და ნუ მივირთმევ! ლუკმა გავარდეს-ჯამში ჩავარდეს! პირში რაც მიდევს, შევექცევი კიდევაც, აბა, ხომ არ გადმოვაფურთხებ!“

აი ასე, ლანძღვა-გინებით ქალიშვილი ეცა უსუპს, გადაამტვრია და ჭიშკარში შევარდა.

19. ცოლს შიშისგან მთლად ელეთ-მელეთი დაემართა. ეშმაკი რომ გაეცალა იქაურობას, აი, მაშინ კი მოიბრუნა სული. მოახლე გოგოს დაუძახა. მოახლეს ყვირილზე გამოეღვიძა, ხელი დაავლო სანთელს. სანოლს რომ მიანათეს, ხედავენ, ლოგინი მთლად სისხლშია მოსვრილი, სტუდენტ ვანგ-ს მუცელი გამოფატრული, გულ-ღვიძლი კი ამოგლეჯილი აქვს.






22



23



24

20. სტუდენტი ვანგ-ის თავზარდაცემულ ცოლს ცრემლიც კი დაუშრა, მთელ ღამეს თრთოდა და ცახცახებდა. ოდნავ რომ ინათა, გარიჟრაჟზე, მხოლოდ მაშინ გაბედეს შინიდან კარში გასვლა. მეზობლად სტუდენტი ვანგ-ის ძმის ეზო-კარს მიაშურეს. მაზლს სთხოვა, მწვანე ვარსკვლავის ტაძარში, ტაო-ბერთან გაქცეულიყო.

21. ტაო-ბერმა ამბავი რომ შეიტყო, განრისხებულმა შეჰყვირა: „მეტისმეტად ხომ არ გათავხედებულა ეშმაკი. ყველა ზღვარს გადასულა! როგორ ბედავს ასეთი ბოროტების ჩადენას!“. ხელი დასტაცა ძვირფას ჯადოსნურ ხმალს და სტუდენტი ვანგ-ის ძმასთან ერთად ტაძრიდან გამოვიდა.


22. სტუდენტი ვანგ-ის სახლში მისულმა ტაო-ბერმა ოთახის ოთხივე კუთხე-კუნჭული მიათვალიერ-მოათვალიერა და წარმოთქვა: „კიდეც კარგი, შორს ვერ მოუსწრია წასვლა!“



25



26



27

23. ტაო-ბერმა იკითხა: „ერთი ეს მითხარით, ვინ ცხოვრობს სამხრეთის მხარეს ეზო რომაა, იქ?“ სტუდენტი ვანგ-ის ძმამ მიუგო, ეს ჩემი სახლიაო. ტაო-ბერმა თქვა: „ეშმაკი შენს სახლშია! მიდი ერთი, გამიგე, ვინმე უცხო ხომ არ მოსულა შენს სახლში დღეს.“

24. სტუდენტი ვანგ-ის ძმა დაბრუნდა თავის სახლში. ხედავს, სამზარეულოში

ვილაც უცხო დედაბერი წამომჯდარა. ამბობს, უსახლკარო ვარ, სამუშაოს დავეძებ, ოჯახში ხომ არ გესაჭიროებათ ერთი დამატებითი მოახლეო.

25. ძმა მოტრიალდა და სასწრაფოდ მეზობელ ეზოს მიაშურა, რათა ტაო-ბერისათვის ეს ყველაფერი ეცნობებინა. ამბობს ტაო-ბერი: „სწორედ ეგ ბრძანდება, ეშმაკის ნაშიერი! სადღა წამივა!“ და გაემართა სამხრეთი ეზოსაკენ.

ფეხი შედგა თუ არა ტაო-ბერმა, მყისვე იშიშვლა ხმალი და მრისხანედ შესძახა: „შე ეშმაკის ნაშიერო! შე წყეულო, ცოდვილო სულო! ახლავე დამიბრუნე ჩემი უსუპი!“ დედაბერს უმაღლ სახე შეეშალა, გაფითრდა, მიტკლის ფერი დაედო. სკამზე გახევებული ზის, არ იძვრის, მთლად გაირინდა.



28



29



30

26. წამი წამს მისდევს. უცებ დედაბერმა დრო იხელთა, კარისკენ ისკუპა, გაძურწვა მოინდომა. ტაო-ბერმა ერთი ნაბიჯით წინ გაუსწრო და ხმალი მოუქნია.

აცახცახებული დედაბერი დაეცა და იმავე წამს ადამიანის ტყავი ჩამოსცილდა, გასძვრა. წარმოჩნდა ჭეშმარიტი სახე და არსი. მინაზე გდია ეშმაკი და საბრალლობლად წკმუტუნებს, საცოდავად წკავნკავებს.

27. ტაო-ბერმა ამოიღო ყელიანი გოგრა ხულუ, საცობი ამოაძრო. ეშმაკი ამ დროისთვის კვამლად ქცეულიყო. ხულუ-მ შეისრუტა კვამლი, ჩაიმწყვდია ეშმაკი.



31



32

28. ახალ ამბავზე მთელმა სამეზობლომ თავი მოიყარა და ხედავენ: მიწაზე გდია ადამიანის ტყავი, პანია ფეხებითა და ხელებით, წარბებიცა აქვს და თვალებიც, მზეთუნახავია ნამდვილი. ტაო-ბერმა დაახვია ტყავი ისე, კედლის სურათებს რომ გრაგნიან.

29. ტაო-ბერმა გრძნეული ხერხებით შეულოცა და გააცოცხლა სტუდენტი გვარად ვანგ-ი, მერე კი უთხრა: „ემმაკი სშირად გამოეხვევა ხოლმე ადამიანის ტყავში, რათა მშვენიერებად მოგვაჩვენოს თავი. სინამდვილეში კი რაც ძალი და ღონე აქვს გვმტრობს, ვნებასა და ზიანს გვაყენებს, შეუძლია მოგვკლას კიდევაც! ამიერიდან ფხიზლად იყავ, თავს ნურავის გააბრიყვებინებ!“





梦狼

მოხუცი პაი<sup>1</sup> ჭ<sup>2</sup>ლი-ს<sup>2</sup> მაზრის მკვიდრი გახლდათ. უფროსი ვაჟიშვილი მისი, სახელად წია<sup>3</sup>, მოხელედ იყო მივლინებული ონოტოს<sup>4</sup> მხარეს. სამმა წელიწადმა ისე ჩაიარა, მისგან ცნობა რამ ერთიც არ მოსვლოდათ. ერთხელ ბერიკაც პაი-ს ეწვია ნათესავი შორებელი, მოსანახულებლად. გვარად ტინგ-ი. მოხუცმა, რაკილა დიდი ხნის უნახავი ჰყავდა, უმასპინძლა, სადილი გაუმართა გულუხვი. ბებერ პაი-ს გაეგონა, ტინგ-ი ვითომდაც უჩანგ-ად<sup>5</sup> რომ მსახურობდა. სიმართლე რომ ითქვას, იმ-ქვეყნის თაობაზე მისი ათასგვარი ზღაპარ-მონაჩმახისა, ნაირგვარ ნაბოდვარისა არა სჯეროდა, ხოლო აილო და მაინც გამოჰკითხა საიქიოს ამბები. ტინგ-ი აბდაუბდასა როტავდა. მეტად საზღაპრო ამბებსა ტარტარებდა. ბებერ პაი-ს არ ეჯერა, მცირედ ილიმოდა ოდენ.

ერთუროს რომ დაშორდნენ, მას აქეთ რამდენიმე დღემ ჩაიარა. ერთხელაც მოხუცმა პაი-მ ძილად მისვლა ინება, დანვა. ხედავს, ტინგ-ი ისევ არ ეახლა?! გავისეირნოთო, ინვეეს. გაჰყვა. მიადგნენ ერთ ქალაქს. გაიარ-გამოიარეს. ტინგ-მა ერთ სახლის კარს მიუთითა, თქვა: „ეგე დისწულის თქვენის იამენ-ი<sup>6</sup> გახლავთ.“ მოხუცი პაი-ს უფროსი დის ვაჟიშვილი იმხანად მოხელედ მსახურობდა ძინ-ის მაზრაში. ამიტომ იყო, ბერიკაცი პაი გაოცდა მეტად, ჰკითხავს: „აქ განა რა ესაქმება?“ ტინგ-მა მიუგო: „რაკი არა გჯერათ, შევიდეთ, თვითონვე იხილავთ.“ შევიდნენ. მოხუცი პაი ხედავს, მართლაცდა დისწულს მისას თავს ერქვა საბურავი დიდმოხელისა. თავსაბურავი უნატიფესი მაქმანისებრია, ფაქიზია, მჭვირვალე, ვითარცა ფრთა-ქერეჭი ჭრიჭინობელისა. ტანთ ფარჩეული მოსავს. წარჩინებულ მოხელეთა საკუთვნელ ნიშნით, მართორქათა მოჩუქურთმებულ ამონაქარგით გამშვენებული. სითიკანს<sup>7</sup> დაბრძანებულა. ორთავ მხარეს, აქეთაც და იქეთაც, გუშაგნი მწყობრად, ხარისხ-ხარისხად ჩამომწკრივებულან, საფაშხანდიერო<sup>8</sup> საგანთა წყება, ნიშანნი ხელმწიფობისა, კვერთხები, ფაენნი<sup>9</sup>, იარალი, ბაირაღები, დროშა-აღმებია ირგვლივ. ვერვინ შეძლო ამ რიგში გავლა, რათა ამბავი მათი მოსვლისა მოეხსენებინა. ტინგ-მა ძალით გაიყვანა, უბნობს: „ბატონიშვილის თქვენისა იამენიც აქვეა, აგერ, მახლობლად. ხომ არ ინებებდით წავსულიყავით, მოგვენახულებინა?“ ხნიერი პაი დათანხმდა. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ერთ საჯარო შენობას მივიდნენ. ტინგ-ი უბნობს: „აბა ჰე, შევიდეთ!“ ბერიკაცმა პაი-მ კარებში შეჰყო თავი. ხედავს, შუა



გზად უშველებელი მგელი ესე მტაცებელი გარდიგარდმო გართხმულა. შიშმა აიტანა. ვერ გაბედა შესვლა. ტინგ-ი უბნობს: „ჰე, შედი!“ შევიდა. ხედავს, კარსუკან პალატია დიდი. ზევით და ქვევით, სხედან თუ წვანან, დგანან თუ დაბრძანებულან მგლები. მგლები და მგლებია ირგვლივ მძვინვარე, კბილებღარჭენილი. მიმოავლო დაკვირვებული თვალი. ამბიონზე დახრულ-გამოხრული თეთრი ძვლები<sup>10</sup> მთებად დამდგარა. შეძრწუნდა უფრო მეტად. შიშმა მთლადაც დარია ხელი. ხოლო ტინგ-ი სხეულით თვისით იფარავს. ბერიკაცი პაი შევიდა. სწორედ ამ დროს გამობრძანდა ბატონიშვილი პაი წია. მამა და მავანი ტინგ-ი დაინახა, გაიხარა. მიიწვია. შესთავაზა დაბრძანება. იხმო მსახურნი. კერძეული გაამზადეთო, უბრძანა. უეცრად ხედავენ, გარეგან კერძო ზორზოხი მგელი, საზარლად დიდი, შემორბის. კბილებში გვამს მკვდარი კაცისას მოაძუნძულებს. ბებერ პაი-ს შიშით კანკალმა დააწყებინა. ძლივს გასაგონად ჩიფჩიფებს: „რაო, რა ხდება?!“ ვაჟიშვილმა წია-მ მიუგო: „ქონდაქარის<sup>11</sup> მაგიერია დროებით, კერძეული რამ მართებს მოგვიმზადოს.“ ხანმოყრილი პაი ესწრაფის შეაჩეროს. სული ეყინება. მძლავრად ღელვით მთლადაც ცახცახებს. სწადია საჩქაროდ გამოეთხოვოს, გაეცალოს იქაურობას. ხოლო ხროვა მტაცებელთა აბრკოლებს, გზად ეღობება. აღარც უწყის რა იღონოს, დარჩეს თუ გაქრეს, გაუჩინარდეს. ანაზდად ხედავს, ხროვა მთელი არ დაიშალა?! ოთხივ კუთხით ყმუილით არ გაიფანტ-გამოიფანტა?! მგლები აქეთ-იქეთ აწყდებიან. ჩქარ-ჩქარა იმალებიან. ვინ ტახტს ქვეშ ძვრება, მიკუნტულა. ვინ მაგიდას გართხმულა მორჩილად, გაყურებულ-გარინდებულა. გაოგნდა მოხუცი პაი. ვერა და ვერ გაუგია, რაშია საქმე, რა ამბავია.

მალიად შემოვიდნენ ორნი, სხეულის მცველნი<sup>12</sup>. კაცნი შეჭურვილნი, მოხელისა თანა მარადის მყოფნი. ოქროს აბჯარი აუსხავთ. ხელთ აღუპყრიათ შავი ჯაჭვი. გაკოჭეს პაი წია, შებორკეს. იატაკს დაანარცხეს. დაეცა. წამისუმაღ გულშემზარავ, ბებერ მრისხანე ვეფხვად გარდაისახა. ეშვებს საზარელს აღრჭენს, კბილებსა კრეჭს. ერთმა ფალავანმა ხმალი იშიშვლა. სწადია ვეფხვს თავი წააგდებინოს. ხოლო მეორე უბნობს: „ჯერეთ არა, ჯერეთ არა! მომავალი წლის მეოთხე თვეში მოსახდენი საქმეა ესე. უმჯობესად ვცნობ ჯერ ბასრი ეშვები ჩავუღუნოთ, მოვკვეთოთ.“ იმ წუთს მოიმარჯვეს ურო უშველებელი, ზედ კბილებში ჩასცხეს. ვეფხვს ხახიდან კბილები წამოსცივდა. იატაკზე გაიფანტ-მიმოიფანტა. ვეფხვი ტკივილით მძვინვარებს, ღრიალებს იმგვარი ძალით, მთები იძვრის, კლდენი სქდებიან. ბერიკაც პაი-ს შიშით სული აღარ უდგას პირში, ძრწოლას აუტანია. ანაზდად გამოედვიდა. ახლალა მიხვდა, ოდენ სიზმარი იყო ესე ყოველი.

გულის სიღრმეში განცვიფრებამ, იჭვმა დაისადგურა. გააკვირვა ეგოდენ გულშემზარავმა სიზმარმა. საშინელმა, უცნაურმა ესე ხილვამ. მყისვე წარავლინა მსახურნი მავანი ტინგ-ის მოსახმობად. იგი უარზეა. ხანმრავალმა პაი-მ ჩანერა სიზმარი თვისი. უმრწემესს, ვაჟიშვილს მეორეს დაავალა, წა, იამენ-ს გაეშურე, ძმა უფროსი, წია მოინახულე. უსტარი ესე გადაეცი. ბარათში უმუდრებოდა, სთხოვდა, გულდამძიმებული არწმუნებდა, ჰსდექი ფხიზლად, სიფრთხილე გეპყრას გონები-თაო.

მივიდა მეორე ძმა. ხედავს, პაი წია-ს წინა კბილები მთლადაც დასცვევინა. შიშნაჭამი ჰკითხავს. უპასუხა. ნამთვრალევი ცხენიდან ჩამოვარდნილიყო. დაცემულს კბილები ერთბაშად ჩამტვრეოდა. უმცროსი ძმა ფიქრს მიეცა ძლიერს. მომხ-



დარის დრო შეაჯერა. ენიშნა, ამბავი ესე სწორედ იმხანად მომხდარიყო, მამამ სიზმარი რომ იხილა. კიდევ მეტად მიეცა შიში, იკვირვა, განცვიფრებასაა.

პაი წია-მ უსტარი მამისა ჩამოართვა, წაიკითხა. ფერი მისდი-მოსდის. მთლად აეტკრიცა სახე. გონს რომ მოეგო, თქვა: „ეჰე, ესე ზმანებაა, ოდენ სიზმარია განქარვებული. დამთხვევა შემთხვევითია. ღირს განა ეგოდენ გაზვიადება, ალიაქოთის ატეხვა?!“

სწორედ იმხანად პაი წია-ს მავანი ზემდგომი ხელისუფალისათვის ქრთამი მიერთმია. თანამსახურებზე უწინ, ნაადრევად, სამსახურში მსწრაფლ ამაღლების, სახელოს მომატების, დანიინაურების პირობა მისცემოდა. ამიტომ იყო სიზმარს ეშმაკეულს ჯეროვანი არც ყურადღება მიაპყრო, არც ფიქრი შეაყოვნა მასზედ.

უმცროსმა ძმამ უფროს ძმასთან იამენ-ს დღე რამდენიმე დაჰყო. ხედავდა, პაი წია-ს გარეშემო რარიგ ირეოდა ნამხდარ მლიქვნელთა ბრბო. დღითა თუ ღამით რარიგ უწყევტად მიდ-მოდიოდა ხელიდან წასულ მთხოვნელთა, მახვენართა, მომქრთამველთა რიგი უსასრულო, ქრთამითა თუ ძღვენით. რარიგ არ წყდებოდა ხმა შუამავალთა და შუაკაცთა, გამრიგებელთა და მაჭანკალთა. ფრიად შეანუხა ყოველივე ნანახმა. ცრემლით აევსო უბე. თვალს ცრემლმომდგარი სთხოვდა, ენუკვოდა უფროს ძმას თვისას, გმართებს გონს მოსვლა. ჭკუას მოეგეო. ხოლო პაი წია ეტყოდა: „ძამიკოვ ჩემო, სიცოცხლე მთელი, ბავშვობიდანვე, ქობ-მასში, ყორეთი შემორაგულ მიწურში გიტარებია. ამაღ არის, არ უწყი თუ ვითარია ცხოვრება მოხელეთა მაღალ წოდების შორის. არა გაგეგება რა ჩინოსანთა კანონჩვევებისა. არცა ის უწყი, თუ რარიგია ილეთები ამგვარ ურთიერთობისა. უფლება, ძალმოსილება წინ წასწიოს, ზემდგომთა ხელთაა ოდენ და არა ხალხის, მდაბიოთა. ზემდგომი უფროსი შენი თუკი შეგიყვარებს, ნიშნავს ესე — ყოფილხარ კარგი, ვარგისი მოხელე; ხოლო თუ შეიყვარებ ხალხს მდაბიოს, გლახუჭას ღატაკს, რარიგ შეაყვარებ თავს უფროსობას, ზედამდგომილთა?“

აღლო ააღო ძამიკომ უმცროსმა, ვერას გააწყობდა. ვერ ძაღვედა დაყოლიება უფროსი ძმისა. მაშინ აიღო და გაბრუნდა, გაემართა უკან. მიუთხრა მამას ყოველივე დანვრილებით. ჭაღარაშერთულ პაი-ს გული შეუშძიმდა. ატირდა. მოთქვამდა მაღალი ხმითა. რაღას გააწყობდა. აიღო, რაც რამ ებადა, გასცა ყოველი. უპოვართ, ღარიბ-ღატაკებს მიუპყრა საბოძვარი. ოღონდ კი ცოდვა შვილისა შეემსუბუქებინა. დღე და ღამ სულელების, ზეცის წინაშე ლოცვას აღავლენდა, ითხოვდა უღირს შვილის ძვირთა ცოდვათა გამო სასჯელი ცოლ-შვილს მისას არ მიზღვოდა.

მომდევნო წელიწადს შეიტყეს, პაი წია სახელმწიფო სამსახურში ახალ მაღალ თანამდებობაზე კვლავ წინ წაწეულიყო. ჩინოსანთა შორის კვლავაც დანიინაურებულიყო. მოხუც პაი-სთან მიმლოცველთა რიცხვი უთვალავი შეიქნა. ეზო-ყურე ხალხით აივსო. ხოლო ბერიკაცი პაი ოხვრიდა, გმინავდა. თავი მოიავადმყოფა. ქვეშაგებში ჩანვა, რათა სტუმართ განრიდებოდა.

არ გასულა ხანი დიდი და მოვიდა ამბავი. პაი წია-ს, გზად, შინისაკენ მიმავალს, ავაზაკნი თავს დასხმოდნენ. მხლებელნიც, მსახურნიც მისნი დაეხოცათ, ამოეჟლიტათ. ადგა ხანშიშესული პაი, გამოვიდა ხალხის წინაშე, თქვა: „სულნი, წმინდანნი განრისხებულან. ხოლო სასჯელი მარტოდმარტო მას დაატეხეს. ოჯახი ჩემი დაინდეს, გადამირჩინეს, შემინარჩუნეს. ყოველი ესე განა არ არის ნიშანი დიდი, უაღრესი კეთილყოფისა?!“

ასე და ასევეთარად, ნიშნად მაღლიერებისა სულებისა და წმინდანთა წინაშე სიანგ-ს<sup>13</sup> კმევა უყო. შესანიშნავი ქალაქი და დანვა. სამძიმარზე მისულთ მიაჩნდათ, მოტანილი ამბავი ესე მხოლოდ და მხოლოდ ხმებია გავრცელებული, გზად მოარულთა მონაჭორ-გამონაგონიაო. ბერიკაც პაი-ს კი ღრმადა სწამდა და სჯეროდა მონათხრობისა ესე. დანიშნა დრო. დაბეჯითებით, გულდაგულ იწყო მზადება პაი წია-სათვის საფლავისა.

ხოლო პაი წია თურმე არ მომკვდარიყო. მეოთხე თვის შუა რიცხვები იქნებოდა, პაი წია ძველ სამსახურს გათავისუფლებული, ახალ თანამდებობის დასაკავებლად დედაქალაქს მიეშურებოდა. ის-ის იყო მაზრის საზღვარი გადაელახა, სწორედ მაშინ გადაჰყროდა ავაზაკთ. პაი წია-მ, ავლადიდება, ზინათეულობა თვისი ყოველი მიართვა. ყაჩაღებმა თქვეს: „მოვსულვართ მხოლოდ და მხოლოდ იმად, რათა ჩვენი მაზრის მკვიდრთა რისხვა თავს დაგატეხოთ, გადმოგანთხიოთ ბოლმა მათი. ამაღ მოვსულვართ და არა ფუჭი ზინათისა, დავლისა, ზიზილ-პიპილა ოქრო-ვერცხლისა!“ თქვეს და იქვე წააგდებინეს თავი. ჰკითხეს მსახურთ: „რომელი ამათგანია ს' ტაჩენგ-ი?“ ს' ტაჩენგ-ი პაი წია-ს სანდო კაცი იყო, ერთგული, ავანჩავანი მისი. იგი აქეზებდა, ხელს აშველებდა ყველა უკეთურობასა, ძვირთა ცოდვებში. მსახურთ მასზე მიუთითეს. ისიც მოაკვდინეს. იყო კიდევ ხარბი, დამპალ ჭია-ლუათა სადარი ოთხი არამზადა. იამენ-ის გაქნილი მოხელე-ხელქვეითი. თავიანთი კლანჭებითა და კბილებით პაი წია-ს რომ ემსახურებოდნენ, ხალხს ფულსა სძალავდნენ. პაი წია-ს ესურვებინა, დედაქალაქს ისინიც თანა ჰყოლოდა. ავაზაკებმა გამოათრიეს ამალიდან. თავები დააყრვეინეს. მხოლოდ ამ ყოველის შემდეგ ხელთ იპყრეს პაი წია-ს ბინძური ფული. დაინაწილეს, გაიყვეს. ასხდნენ ცხენებზე. ელვის სისწრაფით გაეცალნენ იქაურობას.

სულთმობრძავი პაი წია-ს სული, გზის პირად რომ ეგდო, იმ დროს კავოკლარი<sup>14</sup>, დიდმოხელე ერთი მოემგზავრებოდა. იკითხავს: „მოკლული, თავნაცლილი ეგე, ვინაა?“ ეტიკმა<sup>15</sup>, ამაღას რომ ახლდა, რომ მიუძლოდა, უპასუხა: „ოლქის ერთის გამგებელი, მოხელე პაი გახლავთ.“ ვეზირმა თქვა: „ჰოო! მავანი ეგე მსცოვან პაი-ს ვაჟიშვილია. არ ეგების სიბერემონენვულმა კაცმა ესოდენ გულსაკლავი სანახაობა იხილოს. მართებს თავი მოკლულისა ტანს მისას მიუერთდეს!“

ასე და ამრიგად, თანამხლებმა ერთმა აიღო და მოკვეთილი თავი ცხედარს მიადგა. იმავე წუთს თან დაურთო: „დაღრეკილ კაცთა არც არა რაი გაასწორებს. ბილნ კაცთა თავი არც საჭიროა რიგიანად, როგორც ჯერ არს, სხეულს ზედ ადგეს. დაე, მხარი მისი ყბას უმაგრებდეს მისას. ესეც არამია მასზე, ესეც მეტია!“ მიადგეს თავი. წავიდნენ.

გამოხდა ხანი. დახეთ, პაი წია-მ სული მოიბრუნა. ხოლო ცოლი მისი მიცვალე-ბულის წამოსასვენებლად გაშურებულყო. შენიშნა, გვამი ჯერაც ძლივ-ძლივა სუნთქავს. შერჩენია ნიშატი სიცოცხლისა. ასწია კაცი, ურიკაზე დაასვენა. წამოსასვენა ცხედარი. ნელ-ნელა ასვა თხიერი რამ. შეძლო შესმა, ჩაყლაპა. შედგნენ კაპილონს<sup>16</sup>, რამეთუ შემოლყოდათ გზის ფული.

ნახევარი წელიწადი რომ გასულიყო, შემდეგლა მოუხერხდა ბერიკაც პაი-ს სანდო ცნობების შეტყობა. წარავლინა ვაჟიშვილი მეორე, რათა შინ დაებრუნებინა.

პაი წია, ცოცხალი თუმცაღა გადარჩა, ხოლო ორთავ თვალი მისი მარტოდენ თავისსავე ზურგისკენ მიჰქცეოდა. უშნოდ ნალრეჯი მთლად მობლუნკულიყო. კა-

ციშვილი აღარც აგდებდა ადამიანად.

მოხუცებული პაი-ს უფროსი დის ვაჟიშვილმა განითქვა ხელისუფალთა შორის სახელი თვისი. იმ წელიწადს დედაქალაქს გამოცდებში გაემარჯვა. წინსვლა-წარმატება ჰქონიყო. დედაქალაქს სახელდიდ ვეზირობას სწეოდა. ყოველი ესე ამბავი ბებერ პაი-ს სიზმარს დაემთხვა სრულად.

წიუფინგ-ის მაზრის მკვიდრი, სწავლული ლი ქუანგნიოუ წინშ'-ს<sup>17</sup> წოდების პატრონი, უაღრესად პატიოსანი მოხელე, ჭკუაკითხული, ბრძენი მოღვაწე ბრძანდებოდა.

იმხანად ხშირ-ხშირად ხდებოდა, იამენ-ის მოხელენი მდიდარ ოჯახისშვილებს ცილს დასწამებდნენ, საპატიმროს უკრავდნენ ხოლმე თავს.

მოხდა ისე, ერთმა წვრილმოხელემ ხელში ჩაიგდო ერთი მდიდარი კაცი. ბრალდება შეუთითხნა. უთხრა: „ბატონი მაზრის უფროსი ბრძანებს, ვალდებული ხარ ორასი ლიან-ი<sup>18</sup> ვერცხლი ჩააბარო. სასწრაფოდ გარდაიხადე, თუარადა ცუდად წაგივა საქმე.“ მდიდარი კაცი შიშნულ იქნა ფრიად. თანხის ნახევარს გადავიხდო, აღუთქვა. წვრილმოხელემ თქვა: „არა, არ ეგების ეგე! არ გაგივა!“ მდიდარი შეემუდრა. წვრილმოხელე უბნობს: „განა არ მწადია დაგეხმარო. ოღონდ ვშიშობ, მაზრის უფროსი არ შეინყნარებს თხოვნას ჩემსას. სასამართლო რომ გაიმართება, იქ შეგანევ სიტყვას. საკუთარი თვალთ ნახავ, დაგრთავს თუ არ დაგრთავს ნებას. აი მაშინ ცხადლივ შეიტყობ, რარიგ გულწრფელი, კეთილმოსურნე ვყოფილვარ შენი.“

გამოხდა ხანი. ლი ქუანგნიოუ-მ იწყო საქმეთა გამოძიება. წვრილმოხელემ უწყოდა, ლი ქუანგნიოუ-ს ის-ის იყო მიეტოვებინა მოწვევა. განძრახ სთავაზობს, ჩუმის ხმით უბნობს, ხომ არ ინებებდით ყალიონსაო. ლი ქუანგნიოუ-მ თავი გადიქნია, ნიშნად უარისა. წვრილმოხელე მდიდარ კაცთან მივიდა, უბნობს: „ეს-ეს არის მოვასხენე უფროსს, თანახმა რომ ხარ გადაიხადო ასი ლიან-ი ვერცხლი. ხოლო მან თავი გარდაიქნია, არაო. საკუთარი თვალთ აკი იხილე ესე ყოველი!“ მდიდარმა კაცმა დაიჯერა. ორასის მიცემის პირობა აღუთქვა. წვრილმოხელემ უწყოდა, ლი ქუანგნიოუ-ს ჩაი რომ ჰყვარებოდა. მიეახლა, მიუახლოვდა, თქვა: „ჩაი ხომ არ დაგიყენოთ?“ ლი ქუანგნიოუ-მ თავი დაუკრა, ნიშნად თანხმობისა. წვრილმოხელე კვლავ მივიდა მდიდარ კაცთან, აცნობა: „გამოვიდა! ბატონმა თავი დამიკრა. მომცა დასტური. საკუთარი თვალთ ხომ იხილე კიდევ!“

ამას მერე საქმე ესე დაიხურა. მდიდარ კაცს სინამდვილეში არც არა ედო ბრალი. მთლადაც უდანაშაულო იყო. გაათავისუფლეს. წვრილმოხელემ განა მხოლოდ ორასი ლიან-ი ვერცხლი შეიტყაპუნა, არამედ მას ზეით მდიდარი კაცისაგან სამადლობელი ფულიც ჩაიჯიბა.

ჰოი, მიწყვიც რაოდენ მრავლად არსებობენ მოხელენი, თავს პატიოსან კაცად რომ რაცხვენ. ხოლო მათ, ვინცა ლანძლავს სიხარბისა გამო, მაინც ცოტანი როდი არიან. ესე ხდება იმად, დიდმოხელენი ხელქვეითთ თავადვე რომ უწყობენ ხელს ბოროტებაში, მგლებს რომ ემსგავსონ, მგლურად მოიქცნენ. ხოლო არც კი უწყიან, რარიგ არიან გაბრიყვებულნი. ამქვეყნად იშვიათობა როდია მოხელე გაბრიყვებულნი. დიახ, მრავლადაც ბრძანდებიან! ამბავი ესე, აქ მონათხრობი, სარკვეა მოხელეთათვის, ვითომცდა წრფელი გულით თავი წმინდანებად რომ მოაქვთ.

## განმარტებანი

**1. პაი** — გვარია. აქ გვარს პაი გარკვეული სიმბოლური დატვირთვა აქვს. პაი ჩინურად თეთრ ფერს, ე. ი. ამ შემთხვევაში სუფთას, უცოდველს ნიშნავს

**2. ქ'ლი** — პროვინცია ხეპეი-ს ძველი სახელი

**3. ნია** — პირმო, პირველი შვილი

**4. ონოტო** — სამხრეთი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**5. უჩანგ-ი** — ძველი რწმენის თანახმად, გარდაცვლილ სულს, სახელად უჩანგ-ს, შესწევდა უნარი სიცოცხლეშივე საიქიოს სამყაროსთან ეთანამშრომლა, იმქვეყნიური სამყაროს მსახური ყოფილიყო. როცა კი სამსახურებრივი მოვალეობა მოითხოვდა, იგი კვდებოდა, მაგრამ საიქიოში შეასრულებდა თუ არა დავალებას, მაშინვე კვლავ ცოცხლდებოდა, უბრუნდებოდა ცოცხალთა ქვეყანას და ძველებურად აგრძელებდა ცხოვრებას. ამასობაში არც ასაკი ეცვლებოდა, არც სქესი, არც ცხოვრების წესი. იყო სიკვდილის ჟამს ადამიანთა სულის ამომრთმევი. შემდეგ ევალებოდა გარდაცვლილის მიცილება საიქიომდე. საუკუნეთა მანძილზე უჩანგ-მა ეშმაკის, ეშმაკის ნაშიერის სახელი შეიძინა, ზოგჯერ იუმორითაც მოსავს ხალხი, დასცინის, მასხრად იგდებს

**6. იამენ-ი** — დღევანდელი მერიის მსგავსი სახელმწიფო საჯარო დაწესებულება, სასამართლოს ფუნქციასაც ასრულებდა და სხვა საჯარო საქმეებსაც განაგებდა

**7. სითიკანი** — მამამთავართა საჯდომი ადგილი. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**8. საფაშხანდიერო** — საცერემონიო. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**9. ფაენი** — სკიპტრა. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**10. თეთრი ძვლები** — მწერალი მიანიშნებს, რომ ძვლები დიდი ხნისაა, დიდი ხნის უნინ დახვავებული, სიძველისგან გამოფიტული, გამოთეთრებული

**11. ქონდაქარი** — მზარეული, ყასაბი, მეხორციე. დავით ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი

**12. სხეულის მცველნი** — მოხელეთა შეიარაღებული მცველები

**13. სიანგ-ი** — სურნელოვანი ჩხირები, საკმევლად

**14. კავოკლარი** — მეფის მოხელე. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**15. ეტიკი** — გზის მაჩვენებელი. დავით ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი

**16. კაპილონი** — სახლი მგზავრთა სადგური. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი

**17. ნინ შ'** — ქენიუ-ს დედაქალაქის გამოცდებზე პირველ ადგილზე გასული აბიტურიენტის წოდება იყო. უმაღლესი თანამდებობის მოხელეობის უფლებას იძლეოდა. დაახლოებით ჩვენი დროის აკადემიკოსის ტოლფარდი ხარისხი

**18. ლიან-ი** — უძველესი დროიდან ჩინური ფულის, ოქროს, ვერცხლის წონის ერთეული. 1 ლიან-ი დაახლოებით = 30 გრ. ვერცხლს





**ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი** დაიბადა 1935წ. ქ. ხარპინ-ში, რუსული ენისა და ლიტერატურის ცნობილი სპეციალისტების, შემდგომში ქ. პეკინის უნივერსიტეტის პროფესორების, ლიუ ვეიჭოუ-ს და ნონა თუშმალიშვილის ოჯახში. 1954 წ. შევიდა ქ. პეკინის გამოყენებითი ხელოვნებისა და დიზაინის ცენტრალურ აკადემიაში მხატვრული ქსოვილების ფაკულტეტზე. 1959 წ-დან სწავლა განაგრძო ქ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, კერამიკის ფაკულტეტზე. ასპირანტურა დაამთავრა გობელენის განხრით. 1977წ. გახდა სსრკ მხატ-

ვართა კავშირის წევრი. ამ დროიდან აქტიურად მონაწილეობს საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში გამართულ გამოფენებში. 1992 წ-დან დღემდე მუშაობს თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში (ამჟამად თავისუფალი უნივერსიტეტი) მისივე ინიციატივით დაარსებულ ჩინური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. 2004წ. მიენიჭა პროფესორის წოდება. ლიუ-ყანდარელის ხელმძღვანელობით ჩინური ენა შეისწავლა რამდენიმე ათეულმა ქართველმა სტუდენტმა. ლიუ-ყანდარელის მოღვაწეობის შედეგად საქართველოში აღიზარდა სინოლოგთა კადრები. 1992წ. ლიუ-ყანდარელის თაოსნობით თბილისში დაარსდა საქართველო-ჩინეთის კულტურის ცენტრი „აბრეშუმის გზა“. 1992წ. ლიუ-ყანდარელი აირჩიეს ამ ცენტრის პრეზიდენტად. საქართველო-ჩინეთის კულტურის ცენტრის „აბრეშუმის გზა“ თაოსნობით საქართველოში გაიმართა არაერთი კულტურული ღონისძიება, გამოიცა წიგნები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია კრებული „ჩინეთი ჟამთა სივრცეში“ (2007). ლიუ-ყანდარელს ჰყავს ოჯახი, მეუღლე, ან განსვენებული გივი ყანდარელი, ცნობილი მხატვარი, საქართველოში გობელენის სკოლის დამფუძნებელი. ლიუ-ყანდარელს ჰყავს შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილი

**რუსუდან ქუთათელაძე** (1941წ. თბილისი) მუსიკისმცოდნე, პედაგოგი, მუსიკალური კრიტიკოსი, მთარგმნელი, რედაქტორი, ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიური დოქტორი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულეობის ასოცირებული პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს: „დასავლეთ ევროპის მუსიკის ისტორია. XVIIIს. II ნახევარი. გ. ფ. ჰენდელი, ი. ს. ბახი.“ 2002; „დასავლეთ ევროპის მუსიკის ისტორია. ვენის კლასიკური სკოლა. ვ. ა. მოცარტი“ 2003; „დასავლეთ ევროპის მუსიკის ისტორია. ვენის კლასიკური სკოლა. ქ. ვ. გლუკი. ფ. ი. ჰაიდნი“ 2004. „მზე კვლავ ამოვა. სულხან ნასიძის ცხოვრება და შემოქმედება“ 2007; სამეცნიერო შრომები, რამდენიმე ასეული საგაზეთო და საჟურნალო წერილი საკომპოზიტორო შემოქმედებისა და საშემსრულებლო ხელოვნების საკითხებზე, ინტერვიუები; აშუქებს მუსიკალურ-თეატრალურსა და საკონცერტო ცხოვრებას, მიჰყავს რადიოგადაცემები. კითხულობს სალექციო კურსს ქართული მუსიკის ისტორიისა და მსოფლიო მუსიკის ისტორიის დისციპლინებში. მისი თანარედაქტორობით გამოცემულია კრებული „ჩინეთი ჟამთა სივრცეში“ (2007)



## ნიგნში ჩართული ნახატების ავტორები:

**ჭანგ ჩენ (Zhang Chen)** — მხატვარ-კალიგრაფი სპეციალურად წინამდებარე გამოცემისათვის შექმნილი მხატვრული კალიგრაფიის ნიმუშები

**მა ი ( Ma Yi)** — XXს. მხატვარი. „ძველი ლარნაკი“

**ხუანგ პინხუნგ ( Huang Binhong)** — XX ს. მხატვარი „ტაძარი მიყრუებულ ხეობაში“

**სიუი ლინგლუ (Xu Linglu)** – XXს. მხატვარი, „ატმები“

**ჩენ ციუანშენგ (Chen Quansheng)** — XXს. მხატვარი, ალბომი რეპროდუქციებისა ლიაოჭაის მოთხრობებისათვის

**ჭანგ ანჭი (Zhang Anzhi)** — XXს. მხატვარი. პეიზაჟი ტაძრისა, ფუ სუნგლინ-ის სამშობლოში

**ჩენგ შ' შა (Cheng Shifa)** – XX ს. გრაფიკოს-მხატვარი და მისი თანამედროვე კომიკსების ჟანრში მოღვაწე მხატვრები. ილუსტრაციები „მოხატული ტყავისათვის“

**მა ჭენშენგ (Ma Zhensheng)** — თანამედროვე მხატვარი. ყდაზე გამოყენებულია ლიაოჭაის პორტრეტი. აღნიშნული პორტრეტისათვის მხატვარმა სრულიად ჩინეთის გამოფენაზე „კუო ხუა“ მიიღო I პრემია. სურათზე გამოსახულია მარად-ჟამობის სიმბოლო ნაძვი, მოთხრობათა ერთ-ერთი მთავარი გმირი, მელი-მაქცია. მწერალი მიმართულია მადლიერი მკითხველებისადმი, რომელთაც, ვფიქრობთ, ქართველი მკითხველიც შეუერთდება


ფუ სუნგლინ-ის თანამედროვე მხატვარების ვინაობა სამწუხაროდ უცნობია.

ლიაოჭაი  
ფუ სუნბლინ-ი

**მითხრობები**

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
ალ. ყაზბეგის გამზ. №45  
E – mail: [info@meridianpub.com](mailto:info@meridianpub.com) ტ. 39-15-22





$$\frac{1}{2}$$



1. ლიაოჯაის სახლ-მუზეუმი

2. ლიაოჯაის მისაღები ოთახი





$$\frac{1}{2} \mid 3$$



1. ილუსტრაცია „ლიენჩენგ-ისათვის“

2. ილუსტრაცია  
„ატმის პარვისათვის“

3. ილუსტრაცია  
„ქალბატონი თუტისათვის“





$\frac{1}{2}$

1. „ტადარი ფუ სუნგლინის  
სამუშაოები“

2. ილუსტრაცია  
„ნახატი ცხენისათვის“





ილუსტრაცია „ატმის პარვისათვის“

1 |  $\frac{2}{3}$

1. ილუსტრაცია  
„სახელმწიფო  
უამთაღმწერი წიან-ისათვის“



2. ილუსტრაცია  
„ფენგიანგ-ელი კეთილშობილი სწავლულისათვის“

3. ილუსტრაცია  
„წარჩინებული  
სწავლული ჭანგ  
სიანგკუნგ-ისათვის“







$\frac{1}{2}$

1. ილუსტრაცია  
„ლაოშან-ელი ტაო-ბერისათვის“

2. ილუსტრაცია  
„ვირთაგვათა თამაშისათვის“







$\frac{1}{2}$

1. ილუსტრაცია  
„ძველთაძველი  
ლარნაკისათვის“

2. ილუსტრაცია  
„თეთრი  
ლოტოსი“







ილუსტრაცია „მოხატული ტყავისათვის“